

მანანა ნარგიზიშვილი-მიქაძე

**ფსიქოლოგიური
პრაქტიკა სკოლაშენი
ესეჟის ბავშვებთან**



180~

მანანა ნარგიზიშვილი-მიქაძე

ფსიქოლოგიური ჰრეაქცია სკოლაგდელი ასახის ბავშვებთან

(კორექციულ-განმავითარებელი მეთოდები,
ტესტები, ფსიქოვარჯიშები
ფსიქოლოგიური ეტიუდები, თამაშები)



წიგნში „ფსიქოლოგიური პრაქტიკა სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან“ წარმოდგენილია ფსიქოლოგიურ კვლევათა მეთოდები და ტესტები ბავშვთა კოგნიტიური უნარების, თვითშეფასების, თვითცნობიერების, ნებისყოფის, ემოციების, კომუნიკაციური უნარების და სხვა ფსიქოლოგიური პროცესების საკვლევად; ასევე, მოცემულია ფსიქო-კორექციული მუშაობის მიმართულებები, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მეცადინეობათა პროგრამა, მეცადინეობათა თემატური გეგმები, ტესტი-მეთოდები, ფსიქოვარჯიშები, ფსიქოლოგიური ვტიუდები ფსიქო-კორექციისათვის.

In the book "Psychological practice with preschool children" are presented methods and tests of psychological research in children's cognitive skills, self-esteem, self-awareness, willpower, emotions, communication skills and studies of other psychological processes; also, the directions of psycho-corrective work, program of psycho-pedagogical lessons are given, thematic lesson plans, test methods, psycho-exercises, psychological etudes for psycho-correction.

რედაქტორი და ავტორი: **მ. ნარგიზიშვილი-მიქაძე**
ფსიქოლოგი, პედაგოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, ასოც. პროფესორი

მთავარი რედაქტორი
მზია რაზმაძე

დიზაინერ დამკაბადონებელი
ზაზა გელაშვილი

© გამომცემლობა **„ტისნიერი“**

თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №7

ტელ.: (+995 32) 218 03 32

www.tsignieri.ge

contact@tsignieri.ge;

tsignieri@yahoo.com

ISBN 978-9941-9632-6-1



ს ა რ რ ა 3 0

კორექციულ-განმავითარებელი მუშაობის მიმართულებები	7
ფსიქოლოგის სამუშაო კაბინეტი	8
დიაგნოსტიკური მეთოდები	9
ჯგუფური ფსიქოკორექციის საბაზისო მეთოდები	10
სწავლებისა და კორექციის ძირითადი მეთოდები	12
ტესტების გამოყენება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან	13
ფსიქოკორექციული მუშაობის ორგანიზაცია	14
ფსიქოლოგიური კონსულტაცია	15
ფსიქოკორექციული მუშაობის მიმართულებები 1-3 წლამდე	15
1-3 წლ. ბავშვთა ექსპრეს-დიაგნოსტიკა	17
ფსიქოკორექციული მუშაობის მიმართულებები 3-7 წლის ბავშვებთან	18
ფსიქოლოგიური პრაქტიკის სანიმუშო სქემა საბავშვო ბაღში	19
ფსიქოლოგიურ კვლევათა მეთოდთა სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან	22
ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მეცადინეობათა პროგრამა	36
ფსიქოლოგიურ მეცადინეობათა თემატური გეგმა (4-5 წლის ასაკი)	38
მეცადინეობის ნიმუში	39
უფროს სკოლამდელთა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მეცადინეობათა პროგრამა	40
5-6 წლიანთა ფსიქოლოგიური კურსის ამოცანები	41
5-6 წლიანთა ფსიქოლოგიური მეცადინეობის თემატური გეგმა	41
მეცადინეობის ნიმუში „სიხარული, მოწყვნილობა“ (5-6წ.)	43
მეცადინეობის ნიმუში	44
ფსიქოლოგიური განმავითარებელი მეცადინეობების ნიმუში სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის	46
მეცადინეობის ორგანიზაცია	46
სათამაშო ბავშვის ცხოვრებაში	48
როლებიანი თამაში	48
ტრენინგის თემები	51
თამაშები და სავარჯიშოები	58
თამაშები წარმოსახვისა და ფანტაზიის გასავითარებლად	61
თამაშები მეხსიერების გასავითარებლად	62
თამაშები ყურადღების გასავითარებლად	63
მეცადინეობის კონსპექტი (ნიმუში)	64
ფსიქომოტორული განვითარება	66
ტესტი „წვრილი მოტორიკის განვითარება“	68
სკოლისათვის ფსიქოლოგიური მზაობის განმსაზღვრელი ნიშნები	69
სკოლისათვის მზაობის დიაგნოსტიკა	69
სკოლისათვის მზაობის ექსპრეს-დიაგნოსტიკა	70
ტესტი: „უნდა თუ არა ბავშვს სწავლა?“	71



იღლება თუ არა ბავშვი მეცადინეობის დროს ან გაკვეთილზე?	72
სწავლის ხელისშემშლელი ფაქტორები	72
ტესტი ხანმოკლე სმენითი მეხსიერების შესამოწმებლად	73
დავალებები აზროვნების გასავითარებლად	73
სკამპერის მეთოდика	74
მეტყველების გასავითარებელი დავალებები	74
სკოლამდელ ბავშვთა კვლევითი სწავლების მეთოდика საბავშვო ბაღში	75
საბავშვო ბაღში კვლევითი სწავლების პროგრამა	75
საკვლეფ თემათა კლასიფიკაცია	78
ინფორმაციის სისტემატიზაცია	78
შეკითხვების დონეები	81
ცნებების განსაზღვრის უნარი	81
„მე“-ს კონცეფციის სკალა (8-16 წლ)	83
ბავშვის პიროვნების სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების თავისებურებები ...	83
უფროს სკოლამდელეთა დარღვევები ემოციურ სფეროში	84
სოციალურ-ემოციური განვითარების დონე უფროს სკოლამდელ ასაკში	84
ბავშვის პიროვნების ფორმირება 3 წლის კრიზისის ეტაპზე	85
სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარებისა და კორექციის მეთოდები	85
სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების თემატური გეგმა	88
თვითშეფასება	90
უფროს სკოლამდელეთან ადექვატური თვითშეფასების ფორმირება	92
ადექვატური თვითშეფასების ფორმირების კალენდარულ-თემატური გეგმა უფროსი	
სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის	94
ადექვატური თვითშეფასების გასავითარებლად (თამაში, ხატვა, ეტიუდი)	97
თვითშეფასება (რეკომენდაციები)	100
მეთოდика „დაბადების დღე“	100
მეთოდика „ინტერვიუ ბავშვთან“	101
მეთოდика „ყველაზე მეტად ვინ მიყვარს ოჯახში“	102
ემოციური ბავშვები	102
ოჯახში ბავშვის გარიყულობის ხარისხის სკალა	103
ბავშვი იმპულსურია თუ რეფლექსიური	106
ინტერნალი თუ ექსტერნალი	106
სტრესის შესახებ	107
ხასიათი	108
ხასიათის სიმტკიცე და თვისებები	109
ტემპერამენტის ფსიქოლოგიური მახასიათებლები	110
ადაპტაცია დამოკიდებულია ბავშვის ტემპერამენტზე	111
ფსიქოლოგის მუშაობა ჰიპერაქტიურ ბავშვებთან	112
გაუგონარი ბავშვი	114



ვარჯიში ყურადღების კონცენტრაციისათვის	114
შფოთვარე ბავშვები	115
მიჯაჭვულობის თეორია	116
შფოთვის ტესტი (რ. ტემპლი, ვ. ამენი, მ. დორკი)	117
ტესტი „ნერვიულია თუ არა ბავშვი?“	118
ქცევითი თერაპია	119
სკოლამდელი ასაკისა და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ტრენინგების ორგანიზაცია	119
სოციალურ უნარ-ჩვევათა ტრენინგის მოდელი	120
სკოლამდელ ბავშვთა განვითარებაში არსებული სირთულეები	122
სიმბოლოები ბავშვის ნახატში	123
ზოგადი სიმბოლოები, რომლებსაც იყენებს ბავშვი ხატვის დროს	126
ადაპტაციის დიაგნოსტიკური მეთოდთა ნახატის საშუალებით	127
ტესტი „ფერადი ბავშვები“	127
ფსიქიკური მდგომარეობის ფერადი ხატვითი ტესტი	128
დარღვეული ქცევის ეტიოლოგია	129
აგრესია	131
ქცევის აფექტურ-დინამიური რეგულაცია	132
აგრესიული ქცევის კორექცია	133
ირიბი აგრესია	134
ბავშვთან ურთიერთობა აგრესიული ქცევის შემდეგ	135
აგრესიულობის სოციალიზაცია	136
ფსიქოლოგის მუშაობა აგრესიულ ბავშვებთან	138
აგრესიულობის განსაზღვრის დიაგნოსტიკური მეთოდები	138
გემტალტთერაპიის გამოყენება აგრესიულ ბავშვებთან	139
ტყუილის თქმის მიზეზი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში	141
ტყუილის თქმის მოტივი სასკოლო ასაკში	141
ზღაპართერაპია	141
როგორ დავწეროთ ჩვენი ზღაპარი?	142
ზღაპართან მუშაობის სპეციფიკა	144
ზღაპარი შიშის შესახებ (დაუმთავრებელი ზღაპარი)	144
დიაგნოსტიკური ბარათი	145
ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების ბარათი (4-6წლ.)	147
ფსიქოლოგის დასკვნა ბავშვის სკოლისათვის მზაობის დონის შესახებ	150
ფსიქოლოგის დოკუმენტაცია	151
ფსიქოლოგიური გამოკვლევა	151
კონსულტაციური მუშაობა	152
ფსიქოლოგის დასკვნა	153
ლიტერატურა	154



- ◆ თუ ბავშვი გარემოცულია კრიტიკით, ის სწავლობს დადანაშაულებას.
- ◆ თუ ბავშვი მტრობას ხედავს, ის სწავლობს ჩხუბს.
- ◆ თუ ბავშვს დასცინიან, ის იზრდება მორცხვი.
- ◆ თუ ბავშვს სულ მუდამ არცხვენენ, ის თავს გრძნობს დამნაშავედ.
- ◆ თუ ბავშვი გარემოცულია მოთმინებით, ის სწავლობს მოთმინებას.
- ◆ თუ ბავშვი მხარდაჭერას გრძნობს, ის დარწმუნებულია საკუთარ თავში.
- ◆ თუ ბავშვს აქებენ, ის სწავლობს სხვათა დაფასებას.
- ◆ თუ ბავშვს სამართლიანად ექცევიან, ის სწავლობს სამართლიანობას.
- ◆ თუ ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, მას სჯერა ჩვენი, თუ ბავშვს აქეზებენ, ის კმაყოფილია საკუთარი თავის.
- ◆ თუ ბავშვი გრძნობს აღიარებას და კეთილგანწყობას, ის სწავლობს და პოულობს სიყვარულს ამ სამყაროში.


დორის ლოუ ნოულტი



ხორეციულ-განმავითარებელი მუშაობის მიმართულება

1. ჯგუფური ფსიქოკორექციული მეცადინეობები (პიროვნულ და შემეცნებით სფეროში არსებულ პრობლემებთან მუშაობა).
2. ინდივიდუალური ფსიქოკორექციული მეცადინეობები.
3. ინდივიდუალური მეცადინეობები ნიჭიერ და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან.
4. განმავითარებელი მეცადინეობები სასკოლო მზაობისათვის.
5. თემატური საუბრები მშობლებთან.


ბავშვებთან კორექციულ-განმავითარებელი მუშაობის მიზანი არის ფსიქიკური და პიროვნული თვისებების სრულფასოვანი განვითარება, რომელიც უნდა დაეფუძნოს ბავშვის ასაკობრივ, ინდივიდუალურ თვისებებურებებსა და შესაძლებლობებს.



ბავშვის განვითარებაში არსებული დარღვევების სახეები:


1. დარღვევები, რომელიც გამონვეულია ბავშვზე ფსიქო-სოციალური ფაქტორების ხანგრძლივი პათოლოგიური ზემოქმედების შედეგად.
2. დარღვევები, რომელიც შეიძლება გამონვეული იყოს პრენატალური, პოსტნატალური და პერინატალური მიზეზებით.

კორექციულ-განმავითარებელი მუშაობის ფორმები





ფსიქოლოგის სამუშაო კაბინეტი



- | | |
|------------------------------|-------------------------|
| 1. ჟურნალის მაგიდა | 8. კარტოთეკის თაროები |
| 2. დივანი | 9. სათამაშოების თაროები |
| 3. საბავშვო მაგიდა | 10. ქვიშის კუთხე |
| 4. საბავშვო სკამები | 11. წყლის კუთხე |
| 5. ფსიქოლოგის სამუშაო მაგიდა | 12. დეკორატიული თარო |
| 6. სკამი | 13. გამწვანება |
| 7. წიგნების კარადა | 14. ხალიჩა |



სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განვითარების დიაგნოსტიკა მოიცავს:

1. ემოციურ-პიროვნული სფეროს დიაგნოსტიკა
2. შემეცნებითი სფეროს დიაგნოსტიკა
3. სკოლისთვის მზაობის დიაგნოსტიკა
4. ბავშვი-მშობელის ურთიერთობის დიაგნოსტიკა

სკოლამდელ ბავშვთა ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა უნდა დაიწყოს შემდეგი მომენტების გათვალისწინებით:

- 1) ბავშვის გარეგნული მხარე (ჰიგიენა, აკურატულობა)
- 2) კონტაქტურობა
- 3) ინიციატივის გამოვლენის ხარისხი
- 4) შრომისუნარიანობა და ტემპი

ასაკობრივი ჯგუფი	შემეცნებითი	ემოციურ-ნებელობითი	მოქმედება-აქტივობა
2-3 წლიანთა ჯგუფი	აღქმა, წარმოსახვა, თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნება, მეტყველება, მეხსიერება, ყურადღება	გენდერული იდენტიფიკაცია, „მე“-ს კონცეფცია „მე“-ვინ ვარ, როგორი ვარ	თამაში მოტორიკა კომუნიკაციური უნარ-ჩვევები
4-5 წწ ჯგუფი	აღქმა, თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნება, მეხსიერება, ა.შ.	„მე“-კონცეფცია, თვითშეფასება, სტატუსი ჯგუფში	თამაში, მოტორიკა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან
5-6 წწ	აღქმა, აზროვნება, ყურადღება, ა.შ.	მოტივაცია თვითშეფასება ნებელობა	თამაში, მოტორიკა, ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან

დიაგნოსტიკური კომპლექსის ვარიანტები

	შესასწავლი პარამეტრი	მეთოდიკა
1	წარმოსახვა-ფანტაზია, მოტორიკა	ო. დიჩენკო „დაამთავრე ნახატი“
2	ლოგიკური აზროვნება	ა. ბერნშტეინი „მოვლენების თანმიმდევრობა“
3	მეტყველება	„შეადგინე მოთხრობა“
4	მეხსიერება	„10 სიტყვა“, „ეგვიპტური წერილი“, „გაშუალებული მეხსიერების კვლევა“, „პიკტოგრამა“
5	ყურადღება	„იპოვე და გადახაზე“, „გრაფიკული კარნახი“, „ორნამენტი“
6	თვითცნობიერება, თვითშეფასება	ლ. ხუხლავეა. ლამპენი. თვითშეფასების „კიბე“, თვითშეფასების „ხე“, „ვინ რას იცვამს“
7	სტატუსი ჯგუფში,ოჯახში	„ვის სად შეასახლებდი“, რენე ჟილის ტესტი
8	ნებელობა	გუტკინა ნ. „სახლი“, შ. ჩხარტიშვილი „ფერადი სურათების ალბომი“
9	თამაში	
10	კომუნიკაციური უნარები	„კარუსელი“, „კომპლიმენტი“



ჯგუფური ფსიქოკორექციის საბაზისო მეთოდები

1. ჯგუფური დისკუსია
2. როლური თამაში
3. ფსიქოვარჯიში
4. პროექციული ნახატი
5. მუსიკათერაპია

1. ჯგუფური დისკუსია

ჯგუფური დისკუსია არის საყრდენი მეთოდი ფსიქოკორექციულ მუშაობაში, რომელიც იგულისხმება თავისუფალი, სპონტანური, არასტრუქტურული-რებული დისკუსია და ა.შ. დისკუსიის მიზანია პრობლემური საკითხის დაყენება და გადაწყვეტა, იგი საშუალებას გვაძლევს: ა) გამოიხატოს საკუთარი პოზიცია, ბ) გზების ძიება, სხვადასხვა თვალსაზრისის გამოთქმა, აზრების გაზიარება მონაწილეებს შორის. გ) იმპროვიზირება, შიშის დაძლევა, საკუთარი თავის მიმართ ნდობის ამაღლება და ა.შ.

2. როლური თამაში

როლური თამაშის დროს აუცილებელი ხდება ისეთი პირობების შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს ბავშვს გამოიხატოს საკუთარი ემოციები და გრძნობები. როლური თამაში შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სახით:

- ა) სიტუაციურ-როლური თამაში.
- ბ) თამაში – განცდა
- გ) თამაში – დრამა
- დ) შემოქმედებითი თამაში
- ე) სპონტანურ-იმპროვიზებული თამაშები

3. ფსიქოვარჯიში

ფსიქოვარჯიშები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. გასართობი ვარჯიშები, რომელიც შეიძლება ჩატარდეს წინასწარი მოთელვის გარეშე და გამოიყენება ემოციური დაძაბულობის მოსახსნელად.
2. მოთელვითი ვარჯიშები, რომელიც გამოიყენება მაგ: სათამაშო ატმოსფეროს და განწყობის შესაქმნელად.
3. ვარჯიშები არავერბალური კომუნიკაციის გასავითარებლად ვიზუალური, მიმიკური და პანტომიმიკური. ავითარებს ურთიერთობის კულტურას სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისად.

4. პროექციული ნახატი

პროექციული ნახატის ძირითადი ამოცანაა ადამიანის ან ჯგუფის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება. პროექციული ნახატი, ისევე როგორც კორექციის სხვა მეთოდები ეხმარება ადამიანის ისეთი პრობლემებისა და განცდების გაცნობიერებაში, რომელიც ვერბალურად რთულად გადმოსაცემია. ნახატის ხარისხს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.



სახატავი თემა მოიცავს 4 ძირითად სფეროს:

1. ა) ადამიანის წარსული, აწმყო და მომავალი
ბ) ჩემი ოჯახი
გ) ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო და უსიამოვნო მოგონებები და ა.შ.
2. ზოგადი თემები, რომელიც ასახავს განსაზღვრულ ღირებულებებს და მოვლენებს (სიყვარული, სიძულვილი, ავადმყოფობა, შიში, ჯანმრთელობა, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა)
3. ურთიერთობები ჯგუფში (მე ჯგუფის თვალში, ჩემი სტატუსი ჯგუფში, ჩემი ჯგუფი და ა.შ.)
4. თავისუფალი თემები (ინდივიდუალურად) ან ერთობლივი ხატვა ფორმატზე.

5. მუსიკათერაპია

მუსიკათერაპია აქტიურად გამოიყენება ფსიქო-ემოციურ სფეროში არსებული პრობლემების, მოძრაობითი და ვერბალური, ფსიქოსომატური დარღვევების დროს და ა.შ.

მუსიკათერაპიაში არსებული მეთოდები ითვალისწინებს ბავშვებთან როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ მუშაობას, ეს მეთოდი შეიძლება იყოს ძირითადი ან გამოყენებული სხვა საშუალებებთან ერთობლიობაში.

მუსიკათერაპიით მუშაობა მიმდინარეობს ორი ძირითადი ფორმით: აქტიური და პასიური. აქტიური მუსიკათერაპია მიმართულია: ა) მოსმენილი მუსიკის აღდგენა ბ) ფანტაზირება. გ) აქტიური მუსიკალური ქმედება. დ) იმპროვიზირება საკუთარი ხმის საშუალებით. პასიური მუსიკათერაპია – მოსმენა და მუსიკის აღქმა თერაპიული მიზნით.

1508 ლ

დაგატავითი ფსიქოკორექციული მეთოდები:

- 1) ცეკვითი ვარჯიშები
- 2) სიმღერით ვარჯიშები
- 3) აუტოტრენინგი
- 4) მედიტაციური ვარჯიშები
- 5) სლაიდ-ფილმები
- 6) შემოქმედებითი ვიზუალიზაცია

ფსიქოკორექციულ მუშაობაში გამოიყენება დამატებითი ტექნიკები უკუკავშირის დასადგენად:

1. „რონდო“ – განხილვა წრეში: ფსიქოლოგი სთავაზობს ჯგუფის თითოეულ წევრს გამოთქვას აზრი.
2. „აკვარიუმი“ – ბავშვებს ვანანალებთ შიგა და გარე წრეზე, ჯგუფის პასიური, არაკომუნიკაციური წევრები სხდებიან წრის შიგნით და არიან „თევზები“, „თევზებს“ ვთხოვთ ახსნან პასიურობის მიზეზი, გამოთქვან აზრი, დამოკიდებულება ჯგუფის მიმართ და საკუთარი პრობლემები.
3. „სამუშაოს დამთავრება“ – ეს არის ძირითადი პროცედურა ჯგუფთან ფსიქოლოგიური მუშაობის დროს. ფ. ბურნარდი გთავაზობს მეცადინეობის დასრულებას შემდეგი ეტაპების გავლით:
ა) ჯგუფის თითოეული მონაწილე გამოთქვამს თავის აზრს კონკრეტული მეცადინეობის შესახებ, რა გამოცდილება შეიძინეს და როგორი ემოციები დაეუფლათ.



- ბ) თითოეული წევრი ასახელებს იმ უნარ-ჩვევას, რაც მიიღეს მეცადინეობის დროს.
- გ) ჯგუფის წევრები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას ფსიქოკორექციული მეცადინეობის შესახებ.

სწავლებისა და ხორაქციის ძირითადი მეთოდები

1. ფსიქოლოგიური ეტიუდები
2. სხეულზე ორიენტირებული ვარჯიშები (შემოქმედებითი და მიბაძვითი სახის);
3. წესებიანი თამაშები (სიტუაციურ-როლებიანი, სიტყვიერი, მოძრავი, მუსიკალურ-რიტმული);
4. შემოქმედებითი თამაშები (თამაში-დრამატიზაცია);
5. დიდაქტიკური, განმავითარებელი თამაშები (მათ შორის კონსტრუქტორი);
6. მხატვრული ნაწარმოების კითხვა;
7. მინი-კონკურსი;
8. მოცემული სიტუაციის პროექტირება და ანალიზი;
9. იმპროვიზაცია;
10. ზღაპართერაპია;
11. ისტორიის შეთხზვა;
12. დისკუსია;
13. არტ-თერაპია;
14. აუტოტრენინგი;
15. თოჯინათერაპია;
16. ქვიშათერაპია

მეცადინეობის საღისეულო თემაზი:

1. „მე ვიზრდები, მე ვიცვლები“ (6 საათი).
ამოცანა: შემეცნებითი პროცესების განვითარება (მხედველობითი, სმენითი, ტაქტილური აღქმა. ყურადღება და დაკვირვებულობა, აზროვნება, მეტყველება, მეხსიერება, მოტორიკა).
2. „მე ვსწავლობ საკუთარი თავის ფლობას, კონტროლს (6 საათი).
ამოცანა: ემოციურ-ნებელობითი სფეროს განვითარება(სიხარული, შიში, მრისხანება, როგორ მივანიჭოთ სხვა ადამიანს სიხარული, როგორ გავუმკლავდეთ შიშს, შეუძლია თუ არა ბრახს, მრისხანებას მოუტანოს ადამიანს სიხარული და არის თუ არა სასიამოვნო ეს მდგომარეობა ადამიანისთვის).
3. „მე სხვა ადამიანებთან ერთად“ (6 საათი).
ამოცანა: კომუნიკაციური სფეროს განვითარება (ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, რისთვის სჭირდება ადამიანს ურთიერთობა სხვა ადამიანთან. ვსწავლობთ საუბარს და მოსმენას, ურთიერთობის ვერბალური ფორმები და არავერბალური ფორმა – (სხეულის ენა) მეგობრობა, კონფლიქტი).



ბავშვის გამოყენება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან

1. 3-4 წლის ბავშვების ინტელექტუალური განვითარების საკვლევი ტესტები:

1. „აბდა-უბდა“
2. „ნელინადის დროები“
3. „რა აკლია სურათზე დაბატულ საგნებს“
4. შემოხაზე კონტური
5. დახატე ზუსტად ასეთი და ა.შ.

2. 4-5 წლის ბავშვების ინტელექტუალური განვითარების საკვლევი ტესტები:

1. რა არის აქ ზედმეტი?
2. დაყავი ვგუფებად.
3. გაიარე ლაბირინთი
4. გამოჭერი ფიგურები.
5. ვექსლერის ტესტი (მოდიფიცირებული)
6. ტესტი „კოსის კუბები“ და ა.შ.

3. 4-5 წლის ბავშვის აღქმის საკვლევი ტესტები

1. დაასრულე სურათი
2. გამოიცანი რა არის?
3. რომელი საგნებია დამალული სურათში, ა.შ.

4. ყურადღების საკვლევი ტესტები

1. რა არის აქ ზედმეტი?
2. ჩაწერე ნიშნები
3. ლანდოლტის რგოლები ,პიერონ-რუზერის ტესტი ა.შ.

5. წარმოსახვის საკვლევი ტესტები

1. მოიფიქრე ამბავი, ისტორია
2. დახატე რამე
3. მოიფიქრე რამე თამაში, ა.შ.

6. სამეტყველო ფუნქციის საკვლევი ტესტები

1. წარმოთქვი სიტყვები.
2. თხრობა სურათის მიხედვით, ა.შ.

7. მეხსიერების საკვლევი ტესტები

1. გამოიცანი ფიგურა.
2. დაიმახსოვრე სურათები.
3. დაიმახსოვრე რიცხვები.
4. დაისწავლე სიტყვები, ა.შ.



პიროვნულ თვისებათა დიაგნოსტიკა მოიცავს:

1. ემოციურ-სოციალური სფეროს კვლევას
2. ნებისყოფის კვლევას
3. შფოთვის დონის კვლევას
4. საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულების, თვითშეფასების კვლევას
5. დამოკიდებულება გარშემომყოფთა მიმართ (ჯგუფში, თანატოლებთან, უფროსებთან დამოკიდებულება).
6. ქცევის თავისებურებები სკოლაში, ბაღში, სახლში.
7. ქცევის დარღვევა, მანერე ჩვევები.

პიროვნულ თვისებათა დიაგნოსტიკისთვის გამოიყენება:

1. თატ-ი (თემატური აპერცეპციის ტესტი)
2. ფერადი ტესტი (მ. ლუშერი)
3. ს. როზენცვეიგის ტესტი.
4. „ხელის“ ტესტი (Hand-ტესტი) 5 .შფოთვის ტესტი (ტემპლი-დორკი)...

ფსიქოპროექციული მუშაობის ორგანიზაცია

ფსიქოპროექციული მუშაობა ბავშვებთან და მოზარდებთან განისაზღვრება რამდენიმე ეტაპით:

1. **დაგეგმვა**, რომელიც წინ უძღვის ბავშვთა და მოზარდთა ფსიქო-დიაგნოსტიკას, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული აგრესიულობით, ეგოცენტრულობით, კონკურენტულობითა და ეჭვიანობით საკუთარი დედ-მამიშვილების მიმართ, სჯობს ინდივიდუალური მუშაობა, ასევე ინდივიდუალური მუშაობა უკეთესია ისეთ ბავშვებთან, ვინც განიცადა სტრესი და კრიზისი.

ბავშვები და მოზარდები, ვინც გამოირჩევა ჩაკეტილობით, არაკომუნიკაბელურობით, პასიურობით, ქცევის დარღვევით, კონტროლირებადი აგრესიით, მიჯაჭვულობით, შიშებითა და ფობიებით,მათთან უმჯობესია ჯგუფური მუშაობა.

დაგეგმვის ეტაპზე მუშავდება კორექციული მუშაობის პროგრამა, მუშაობის ფორმები, მეთოდების და ტექნიკების არჩევანი.

2. **ორგანიზაციული ეტაპი** – ხდება ბავშვების არჩევა განსაზღვრული ჯგუფის შესაქმნელად და რაოდენობის დაზუსტება, ასევე მშობლებისა და პედაგოგების ინფორმირება მეცადინეობის დანწყებასთან დაკავშირებით.

3. **ფსიქოპროექციული მუშაობის რეალიზაცია** – რომელიც შედგება 4 ეტაპისგან:

ა) საორიენტაციო ეტაპი – მეცადინეობაზე ქცევის წესების და მეცადინეობასთან დაკავშირებული დეტალების გაცნობა



ბ) ბავშვის განვითარებაში არსებული ტიპიური სირთულეების აქტუალიზაცია და ობიექტივაცია.

გ) კონსტრუქციულ-ფორმირების ეტაპი.

დ) განზოგადება-გამყარების ეტაპი.

ფსიქოლოგიური კონსულტაცია

საბავშვო ბაღის პირობებში ფსიქოლოგიური კონსულტაცია ტარდება ბავშვის განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით, ამიტომ საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი კონსულტაციას უწევს ბავშვის მშობლებს და პედაგოგებს. კონსულტაციის პროცედურა არის სტანდარტული:

1. მისალმება

2. ფსიქოლოგთან ვიზიტის მიზეზი

3. სასურველი შედეგის წარმოჩენა

4. რეზიუმე, პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტების შემუშავება

5. კლიენტის მხრიდან მზადყოფნა სასურველი შედეგის მისაღწევად

საბავშვო ბაღების პრაქტიკაში გავრცელებულია ე.წ. კონსულტაცია „არამოტივირებულ“ მშობლებთან, პედაგოგებთან, როცა ფსიქოლოგი თავისი ინიციატივით მიმართავს მათ უკვე არსებული პრობლემების დასაძლევად.

დამწყებ ფსიქოლოგებს, ვისაც ჯერ არ აქვს საკონსულტაციო მუშაობის გამოცდილება, საჭიროა გაითვალისწინონ შემდეგი მომენტები:

1. პრობლემის მიზეზის აშკარა გამოვლენის მიუხედავად, დასკვნების გაკეთება უნდა მოხდეს აუჩქარებლად.

2. ფსიქოლოგ-კონსულტანტი ეხმარება კლიენტს თვითონ მოძებნოს პრობლემის გადაწყვეტის გზები.

3. არ შეიძლება რჩევის მიცემა კონსულტაციის პროცესში, რადგან პასუხისმგებლობას ინაწილებს ფსიქოლოგი იმაში, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს კლიენტი.

4. ეფექტურ სტრატეგიას წარმოადგენს – თანამშრომლობა კლიენტსა და ფსიქოლოგს შორის

5. თუ კლიენტს აწყობს არსებული სიტუაცია, არ არის საჭირო „ღია კარის მტვრევა“

ფსიქოლოგიური მუშაობის მიმართულებები

1-3 წლამდე

1. მოტორიკის განვითარება

ადრეულ ასაკში მოტორიკის განვითარება მნიშვნელოვანი ამოცანაა ბავშვის ზოგადი განვითარებისთვის. ყველა ბავშვს უნდა შეძლოს აქტივობის, მოძრაობის საშუალება, რათა შეიმეცნოს გარშემო არსებული სამყარო: ადამიანები, საგნები. თუ ამ ასაკში ბავშვს არ აქვს მხარდაჭერა და შესაფერისი პირობები მოტორული აქტივობის გასაფართოებლად,



საკმარისად ვერ განუვითარდება მსხვილი და წვრილი მოტორიკა. მეცნიერები თვლიან, რომ თუ ბავშვი მუდმივად იმყოფება ჰიპოკინეზიის პირობებში, შეიძლება გამოვლინდეს კომპენსატორული მოძრაობითი მოქმედებები: ტანის აქეთ-იქით რწევა, საკუთარი ხელების დათვალიერება, ხელების აკვიატებული ქნევა, თითის წოვა და ა.შ. კომპენსატორული ქმედებები გადადის მაგნე ჩვევებში და მისი აღმოფხვრა შესაძლებელია ხანგრძლივი, სისტემატიური ფსიქო-კორექციული მუშაობით.

სახისა და მეტყველების მოტორიკის არასაკმარისი განვითარება იწვევს მეტყველების დარღვევას, თანხმომავნი ბგერების დამახინჯებულად გამოთქმას, გაუმართავ, გაუგებარ ლაპარაკს.

ბავშვის თავის ტვინის განვითარება პირდაპირ უკავშირდება წვრილი მოტორიკის განვითარებას, კერძოდ წვრილი მოტორიკა ურთიერთქმედებს ისეთ სფეროსთან, როგორცაა ყურადღება, აზროვნება, ოპტიკურ-სივრცითი აღქმა (კოორდინაცია), წარმოსახვა, დაკვირვებულობა, მოძრაობითი და მხედველობითი მესხიერება.

წვრილი მოტორიკის გასავითარებლად გამოიყენება თითების ვარჯიში და თითების თამაშები, ასევე მსხვილი კუბები, სათამაშოები, შემდეგ კი წვრილი მძივები, ლილები, ხატვა, ძერწვა, მოზაიკა, პაზლი.

საერთო მოტორიკის გასავითარებლად გამოიყენება ვარჯიშები, რომელიც არეგულირებს კუნთურ ტონუსს.

1. თამაში-ვარჯიში „წავი“ – ბავშვი წვება ზურგზე, ხელები გაშლილი აქვს თავის გასწვრივ. ტრენერის სიგნალზე ერთდროულად უნდა წამოწიოს ხელები, თავი და ფეხები, ასეთ პოზაში ყოფნა დამოკიდებულია ბავშვის გამძლეობაზე, ამის შემდეგ იგივე პრინციპით, ბავშვი ასრულებს ვარჯიშს, ოღონდ წვება მუცელზე.

2. „ხის კუნძი“ – ბავშვი წვება იატაკზე. ხელები თავის გასწვრივ, ფეხები სწორად, ფსიქოლოგის სიგნალზე იწყებს გორაობას ჯერ ერთ მხარეს, შემდეგ მეორე მხარეს.

3. „ბურთი“ – ბავშვი წვება იატაკზე, მუხლები მიაქვს თავთან, ხელები კი შემოხვეული აქვს ფეხებზე, თავი უნდა „ჩარგოს“ ფეხებში და იწყებს კოტრიალს.

4. „მატლი“ – ბავშვი წვება მუცელზე (ანსახიერებს მატლს), ხელები იდაყვში აქვს მოხრილი და ცდილობს განიხილოს, შემდეგ იწევა ნახევრად მოხრილ ხელებზე, კეცავს მუხლებს და გადაადგილდება.

5. „ობობა“ – ბავშვი ზის იატაკზე, ხელები უდევს ტანის უკან, ფეხები მოხრილი მუხლებში, იწევა იატაკიდან და ცდილობს გადაადგილდეს მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან.

2. საგნებთან ურთიერთქმედების განვითარება

ბავშვის საგნებთან ურთიერთქმედება გულისხმობს საგნის დანიშნულების მიხედვით გამოყენებას, მაგალითად: თოჯინები. რომლის სამუალებითაც შეიძლება ბავშვს განუვითაროთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და დადებითი დამოკიდებულება ხელ-პირის დაბანის, ჩაცმის და სხვა საყოფაცხოვრებო უნარების მიმართ. გამოიყენება შემდეგი თამაშები:

1. „აუშენეთ თოჯინას ოთახი“

მასალა: თოჯინა, ავეჯი, ჭურჭელი, ძაღლი

- „ჩავაცვათ თოჯინას“
- „თოჯინა ვარჯიშობს“
- „ვასადილოთ თოჯინა“

2. მეტყველების განვითარება



ადრეულ ასაკში ბავშვს უნდა განუვითარდეს აქტიური მეტყველება, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვს მივცეთ ინიციატივა ურთიერთობისას. მეტყველების განვითარებისათვის რეკომენდირებულია შემდეგი თამაშები:

„ვინ არის უფრო ყურადღებიანი?“ (ინდივიდუალური)

მასალა: თოჯინა, სათამაშო დათვი, მანქანა.

თამაშის მსვლელობა: ბავშვი ზის მაგიდასთან, მაგიდაზე დევს სათამაშოები. ფსიქოლოგი აძლევს ინსტრუქციას:

„აილე დათვი და ჩასვი მანქანაში“

„ეხლა დათუნია აილე მანქანიდან“

„აილე თოჯინა და გაასეირნე მანქანით და ა.შ“

1-3 წლ. ბავშვთა ექსპრეს-დიაგნოსტიკა

1. შემეცნებითი სფერო

ა) საგნებთან ურთიერთქმედება

„კუბიკები“ (კოშკის, მატარებლის და ა.შ. აშენება) „პირამიდა“, სიდიდის მიხედვით საგნების დალაგება

ბ) ყურადღების შეფასება

„იპოვე ასეთივე სურათი“

გ) მესხიერების შეფასება

ა) „დაიმახსოვრე რა იდო მაგიდაზე“
 ბ) „მომიყევი და გაიმეორე“ (ბავშვმა უნდა თქვას გვარი, სახელი (დედის, მამის) და ა.შ. 3-4 სიტყვიანი წინადადებების გამეორება გ) რიცხვების დამახსოვრება (სმენითი მესხიერება)

2. მეტყველების სფერო

რა არის ეს? (საგნების სახელწოდება)
 აბა მაჩვენე (საგანთა, ცხოველთა, მცენარეთა სურათები)



ფსიქოლოგიური მუშაობის მიმართულებები 3-7 წლის ბავშვებთან

სკოლამდელი პერიოდი ბავშვისათვის მნიშვნელოვანია პიროვნულ-სოციალურ და კოგნიტიური განვითარების თვალსაზრისით. 3-7 წლამდე ბავშვისთვის აქტუალურია სიუჟეტური როლებიანი თამაში, ხატვა, კონსტრუირება, ზღაპრები და მრავალი სხვა სახის აქტივობები.

ფსიქო-კორექციული მუშაობა 3-7 წლამდე ბავშვებში მიმართულია:

1. შემეცნებითი სფეროს განვითარება (აზროვნება, მეტყველება, წარმოსახვა, მეხსიერება, ყურადღება)
2. კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება
3. ემოციური სფეროს განვითარება
4. თვითცნობიერის განვითარება
6. მშფოთვარე, მორცხვ და გაუბედავ ბავშვებთან ფსიქოკორექციული მუშაობა
7. აგრესიულ და კონფლიქტურ ბავშვებთან ფსიქოკორექციული მუშაობა
8. მოტორიკის განვითარება

შემეცნებითი სფეროს გასავეითარებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას რელაქსაციური და განმავითარებელი თამაშები, სავარჯიშოები

1. „დაეხმარე მხატვარს“

მიზანი – აზროვნებისა და აღქმის განვითარება.

თამაშის ფორმა: ინდივიდუალური და ჯგუფური

მასალა: დაუმთავრებელი ნახატები (მაგ: სკამი მე-4 ფეხის გარეშე და ა.შ)

3-4 წლიანებისთვის დაუმთავრებელ ნახატებს უნდა აკლდეს საგნის ძირითადი ნაწილები, ხოლო 5-6 წლიანთათვის – მეორე ხარისხოვანი დეტალები

2. „რომელ გეომეტრიულ ფორმას ჰგავს?“ (5-6 წლ)

მიზანი: საგანთა კლასიფიკაცია

თამაშის მსვლელობა: ბავშვები ირჩევენ გეომეტრიულ ფიგურებს და ამის მიხედვით ირჩევენ საგნებს (სურათებზე ან რეალურ გარემოში), რასაც იგივე გეომეტრიული ფორმა აქვს, ბავშვის სურვილით შეიძლება ფიგურის დახატვაც.

3. „ანტონიმები“ (4-6 წლ)

მიზანი: აზროვნების, რეაქციების სისწრაფის, ყურადღების განვითარება.

თამაშის ფორმა: ინდივიდუალური და ჯგუფური.

თამაშის მსვლელობა: ა) წამყვანი ასახელებს სიტყვას, ხოლო ბავშვებმა უნდა დაასახელონ სწრაფად საწინააღმდეგო შინაარსის სიტყვა. ბ) ბავშვმა უნდა დაასახელოს შესაფერისი სიტყვა. მაგ: ა) ვარიანტი (მძიმე-მსუბუქი), (სველი-მშრალი), ხოლო ბ) ვარიანტი: სველი იატაკი, მძიმე ქვა.

4. „შეადგინე წინადადება“ (5-8 წლ)

მიზანი: ლოგიკური კავშირის დამყარება სიტყვებს შორის.

თამაშის მსვლელობა: ა) წამყვანი ასახელებს ნებისმიერ სამ სიტყვას, რომელიც აზრობრივად ერთმანეთთან არაა დაკავშირებული, ბავშვებმა უნდა შეძლონ ამ და სხვა სიტყვების გამოყენებით წინადადადების რამოდენიმე ვარიანტის შედგენა, შესაძლებელია ბრუნვის, რიცხვის შეცვლა. მაგ: ტბა, ფანქარი, დათვი. – „ბიჭმა ფანქარით დახატა დათვი, რომელიც ტბაში ბანაობდა და ა.შ“

5. „დაასახელე ზედმეტი სიტყვა“ (5-7 წლ)

მიზანი: აზროვნების განვითარება

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვებს სთავაზობს ნებისმიერ სიტყვებს (3-5 სიტყვა), ხოლო ბავშვებმა უნდა დაასახელონ რომელი სიტყვაა ზედმეტი. მაგ: ძალი, მზე, პომიდორი, ბურთი.

წამყვანი წინასწარ აცნობს ბავშვებს, თუ რომელი ნიშან-თვისებით შეიძლება საგნების გაერთიანება. ზემოთ მოყვანილ მაგალითში მაგ: „ძალი“ არის ზედმეტი სიტყვა, რადგან „მზე, პომიდორი, ბურთი“ – სამივე მრგვალი ფორმისაა და უსულო.

6. „რას აკეთებს?“ აზროვნების და სიტყვათა მარაგის განვითარება (5-8 წლ)

თამაშის მსვლელობა: თამაში შედგება ორი ნაწილისგან:

1) ბავშვმა უნდა დაასახელოს, რაც შეიძლება მეტი სიტყვა, რომელიც მიეკუთვნება ხილს, ხეს, ყვავილს, ჩიტს, სათამაშოს, ავეჯს და ა.შ.

2) წამყვანი ასახელებს სიტყვას, ბავშვები კი ასახელებენ მოქმედებას, მაგ: ცოცხი (გვის,) წვიმა (ასველებს,) მზე (ათბობს) და ა.შ.

7. „იპოვე შეცდომა“ (6-8 წლ)

მიზანი: ლოგიკური აზროვნებისა და ყურადღების განვითარება.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვებს სთავაზობს წინადადებას, ბავშვები უნდა იყვნენ ყურადღებით, რომ აღმოაჩინონ წინადადებაში არსებული შეცდომები და შეასწორონ იგი. მაგ:

- ა) ზამთარია, ცივა, ყინავს, აყვავილდა ვაშლის ხე.
- ბ) შორს შევხედე და დავინახე ყინულოვანი უდაბნო.
- გ) ვერტმფრენი წავიდა, რომ დაეხმაროს ადამიანებს.
- დ) ბიჭმა შუშით გატეხა ბურთი
- ე) სოკოები რომ ამოვა, მაშინ მოვა წვიმა.

ფსიქოლოგიური პრაქტიკის სანიშნო სქემა საბავშვო ბაღში

კვლევის დღე	კვლევის შინაარსი	კვლევის მეთოდი	მასალა
1	2	3	4
I დღე	ბავშვების გაცნობა ჯგუფში, კონტაქტის დამყარება, და ნდობის მოპოვება. აღმზრდელის დახმარება სხვადასხვა საკმეინოში. მეცადინეობის გეგმის გაცნობა და ამის მიხედვით კვლევის დროის შერჩევა	ბავშვებზე დაკვირვება აქტივობის დროს და საუბარი მათთვის საინტერესო თემებზე	ჯგუფის სია და დღის რეჟიმი
II დღე	კულტურულ-ჰიგიენური უნარ-ჩვევების შესწავლა. სახვითი (ხატვა, ძერწვა) უნარების შესწავლა. გაბმული მეტყველების შესწავლა მოთხრობის მიხედვით.	რეჟიმულ პროცესებზე დაკვირვება დაკვირვება დაკვირვება	ხატვისთვის საჭირო მასალა ზღაპარი



<p>III დღე</p>	<p>ურთიერთობის კულტურის, სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის, ემოციების შესწავლა.</p> <p>სხვადასხვა თამაშის არჩევის უპირატესობები.</p> <p>აზროვნებითი პროცესების შესწავლა, ანალიზი სინთეზი.</p> <p>მოტორული უნარების შესწავლა</p>	<p>ბავშვებზე დაკვირვება თავისუფალი ურთიერთობის და სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის დროს.</p> <p>საუბარი ბავშვებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან.</p> <p>დაკვირვება</p> <p>დაკვირვება (ოთახში, ეზოში)</p>	<p>კითხვები საუბრის თემის გასაშლელად.</p> <p>1) რომელი თამაშები მოსწონთ ბავშვებს?</p> <p>2) რატომ ირჩევენ ბავშვები ამ თამაშებს და ა.შ. მოძრავი თამაში დაჭრილი ნაწილებით სურათის მთლიანობის აღდგენა მოძრავი თამაში</p>
<p>IV დღე</p>	<p>შრომითი საქმიანობის შესწავლა საყოფაცხოვრებო და ბუნებაში შრომის საფუძველზე.</p> <p>შრომითი საქმიანობის დაგეგმვის შესწავლა.</p> <p>აზროვნებითი პროცესების შესწავლა კლასიფიკაცია.</p> <p>თვითშეფასების შესწავლა</p>	<p>დაკვირვება შრომითი დავალების შესრულების ხარისხზე.</p> <p>საუბარი ბავშვებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან (დაკვირვების შემდეგ).</p> <p>ექსპერიმენტი</p> <p>კვლევა</p>	<p>შრომითი საქმიანობისთვის საჭირო საგნები</p> <p>კითხვები: ა) რისი კეთება გიყვარს? ბ) ვის ეხმარები ხოლმე საქმეში და რას აკეთებ?</p> <p>ნახატები, სათამაშოები</p> <p>ხატვისთვის საჭირო მასალა</p>
<p>V დღე</p>	<p>კონკრეტული მოქმედების შესწავლა</p> <p>მეტყველების და ყურადღების შესწავლა (სურათის ან სათამაშოს აღწერის საფუძველზე</p> <p>ფერის აღქმის შესწავლა</p> <p>დიალოგური მეტყველების შესწავლა</p> <p>მიდრეკილებების, ინტერესების შესწავლა</p>	<p>კვლევა</p> <p>კვლევა</p> <p>კვლევა</p> <p>დაკვირვება თავისუფალ საქმიანობაში</p> <p>დაკვირვება</p>	<p>კონსტრუირებისთვის საჭირო მასალა</p> <p>დიდაქტიკური სურათი, ბავშვისთვის 2-3 უცნობი სათამაშო</p> <p>სხვადასხვა ფერის რგოლები და კოლოფები. იდენტური ფერის რგოლების და კოლოფების შერჩევა</p> <p>ჩანაწერების გაკეთება ოქმის სახით</p>
<p>VI დღე</p>	<p>ზნეობრივი ნორმებისა და თვისებების გაცნობიერებულობის შესწავლა</p> <p>მშობლებისა და მასწავლებლების ნარმოდგენები ამა თუ იმ ბავშვის ზნეობრივი თვისებების შესახებ</p> <p>ბავშვების ინდივიდუალურ თვისებებთან შესწავლა</p> <p>ფორმის აღქმა (შესწავლა)</p>	<p>საუბარი ბავშვებთან</p> <p>საუბარი მშობლებთან, მასწავლებლებთან</p> <p>დაკვირვება ურთიერთობისა და თამაშის დრო</p>	<p>ზნეობრივი სიტუაციები, სურათები, სადაც ასახულია დადებითი და უარყოფითი ქცევები. ლიტერატურული ნაწარმოებები და კითხვები მათ გასაანალიზებლად</p> <p>ოქმის შედგენა</p> <p>სხვადასხვა გომეტრიული ფორმის კოლოფი ლიობებით</p>
<p>VII დღე</p>	<p>მეხსიერების შესწავლა</p> <p>ნებისყოფის შესწავლა</p>	<p>კვლევა</p> <p>ტესტი</p> <p>ტესტი</p> <p>კვლევა</p>	<p>10 სიტყვა, ეგვიპტური წერილი, ნახატი საგნებით</p> <p>მოძრავი თამაში, „გადახატე სახლი“, ფერადი სურათების ალბომი</p>



VIII დღე	გაბმული მეტყველებისა და წარმოსახვის შესწავლა ემოციებისა და გრძნობების შესწავლა ლოგიკური აზროვნების შესწავლა	კვლევა ტესტი-მეთოდისა ტესტი-მეთოდისა	3 საგანი ან ბარათი, რომლის მიხედვითაც იქმნება ზღაპარი „სამი სახლი“ სურათების თანმიმდევრობა, „აბდა-უბდა“ მეთოდისა
IX დღე	აზროვნებითი პროცესების შესწავლა განზოგადება ყურადღების გადართვა ასოციაციური მეხსიერების შესწავლა სასწავლო მოტივაციის შესწავლა უფროს სკოლამდებლებთან	ტესტი კვლევა კვლევა საუბარი ბავშვებთან, ტესტი	„რომელია ზედმეტი“ მოძრავი თამაში, „დათვალე და მოძებნე ერთდროულად“. ბარათები ან სიტყვები დასამახსოვრებლად სახატავი მასალა
X დღე	ბავშვის დახასიათების შედეგადა	დაკვირვება, საუბარი	ოქმები და შესრულებულ დავალებათა ანალიზი

შენიშვნა: თითოეული დღის გეგმის შესრულების შემდეგ უნდა შედგეს ოქმი, უნდა მიიღებულ შედეგთა ანალიზი, რეკომენდაციები, უნდა დაფიქსირდეს ის მეთოდები და მასალა, რომელიც გამოყენებული იქნა საკვლევად

ბავშვის დახასიათება უნდა შედგეს შემდეგი გეგმის მიხედვით:

I. ზოგადი ცნობები ბავშვის შესახებ:

ა) სახელი, გვარი; ბ) დაბადების თარიღი; გ) ზოგადი ფიზიკური განვითარება; დ) ჯანმრთელობის მდგომარეობა; ე) ოჯახის შემადგენლობა.

II. პიროვნული განვითარების თავისებურებანი:

1) თვითცნობიერების განვითარების ხარისხი:

ა) მიჯაჭვულობა და თვითშეფასება;

ბ) თვითკონტროლის უნარი

გ) ზნეობრივ ნორმათა ცნობიერება;

დ) ზნეობრივი ნორმების ცოდნა

- პიროვნების ზნეობრივი მახასიათებლები;

- ინტერესები, მიდრეკილებები, ქცევის მოტივები;

- ნებელობა;

- ემოციებისა და გრძნობები

- ტემპერამენტი და ხასიათი.

III. აქტივობათა სახეების განვითარების თავისებურებანი:

- სახვითი

- კონსტრუქციული

- სათამაშო

- შრომითი

- სასწავლო

ურთიერთობები მშობლებთან, მასწავლებლებთან, თანატოლებთან.

IV. მეტყველების განვითარების თავისებურებანი:

- დიალოგური



- მონოლოგური
- V. შეშეცნებითი სფეროს განვითარება:
 - ყურადღება
 - აღქმა
 - მეხსიერება
 - წარმოსახვა
 - აზროვნება
- VI. ბავშვის ფსიქიკის განვითარების ძირითადი მახასიათებლები;
- VII. ფსიქო-პედაგოგიური რეკომენდაციები ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომის შესახებ.

ფსიქოლოგიურ ხელვათა მეთოდია სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან

1. თვითცნობიერების კვლევა ადრეულ ასაკში (2,5 თვის ასაკიდან 24 თვის ასაკამდე)

კვლევისთვის საჭირო მასალა: დიდი (80X80) სარკე, მაგიდა, ფერადი მძივი, ფერადი თავსახვევი, ფერადი სათამაშო, ბამბის ქულა.

ექსპერიმენტის მსვლელობა ტარდება ინდივიდუალურად, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 1) 2,5თვ – 4თვ; 2) 4თვ – 6 თვის; 3) 6 თვიდან – 9თვ; 4) 9 თვ – 24 თვ. კვლევა ტარდება 2 სერიად და აერთიანებს 5 სხვადასხვა ექსპერიმენტულ სიტუაციას.

I სერია. ბავშვი ზის ან დგას სარკის წინ.

1. სიტუაცია – რეგისტრირდება ბავშვის თავისუფალი ქცევები;
2. სიტუაცია – წინასწარ, ბავშვისთვის შეუმჩნეველად შუბლზე უსვამენ ტუჩსაცხს 1,5 სმ-ის დიამეტრით;
3. სიტუაცია – კვლევის დაწყების წინ ბავშვს თავზე აფარებენ ლამაზ, ფერად თავსაფარს და მარცხენა ყურთან თავსაფრის ქვეშ უდებენ ბამბის ქულას 5 სმ-ის დიამეტრით;
4. სიტუაცია – ბავშვი იმყოფება სარკის წინ და უკანა მხრიდან მასთან მიდის დედა (ან კარგად ნაცნობი უფროსი ადამიანი);
5. სიტუაცია – ბავშვს უკანა მხრიდან მხარზე ადებენ ფერად, უცნობ სათამაშოს
II სერია. დედას ბავშვი ხელში ჰყავს აყვანილი (ან კარგად ნაცნობ უფროს ადამიანს).
1 – 4 სიტუაცია ტარდება ისევე, როგორც I სერიაში;
- 5 სიტუაცია – დედა ბავშვით ხელში შეუმჩნეველად იკეთებს ბავშვისათვის უცნობ ფერად მძივს და იყურება სარკეში. კვლევის დროს სარკესა და ბავშვს შორის დაშორება უნდა იყოს 20-30 სმ, თითოეული სიტუაციისთვის განკუთვნილია 2,5, წთ-ი. რეგისტრირდება ბავშვის ფსიქიკური გამოვლინებები, ქცევები შემდეგი პარამეტრების მიხედვით:



1. დათვალიერება, ყურადღებით ცქერა და მისი ხანგრძლივობა აისახება ქულებით:

ცქერა { 5 წმ-ის ხანგრძლივობით – სწრაფი
5-დან 15 წმ – საშუალო ხანგრძლივობა
15 წმ და მეტი – ხანგრძლივი

2. ემოციური გამოვლენა: რაოდენობა, მიმართულება, ხანგრძლივობა, ინტენსიურობა.

3. ქცევა, მიმართული საკუთარი თავისკენ:

ა) ათვალიერებს ანარეკლს სარკეში, გარკვეულ ქცევებს ახორციელებს სარკესთან: რითმული, მიმიკური, სათამაშო;

ბ) ქცევა, რომელიც მიმართულია სარკისკენ: იშვერს ხელს, ცდილობს შეეხოს სარკეს, ცდილობს პირით შეეხოს და ა.შ.

გ) ქცევა, რომელიც მიმართულია დედისკენ (ან კარგად ნაცნობი უფროსისკენ): ლულუნებს, ტიტინებს, კივის და სხვა.

ქსახუნური ბაზონინებაზის საშუალო მაჩვენებელი 5 სიხანისი I და II სახიხი

ბავშვის ასაკი	სერია	ექსპრესიის მაჩვენებლები			
		მხიარული ღიმილი	თავშეკავება, გაუბედაობა, შეწუხება	შფოთვა, არასასიამოვნო გაკვირვება	უკმაყოფილება, შიში
2-6 თვ.	I – II				
	I – II				
6-24 თვ.					
საშუალო	I – II				

ქსავა, ხობანის მობახობანი სახობახი თავისხანე ხახხანი სახხაში, სახხისხანე

ბავშვის ასაკი	სერია	ათვალიერებს საკუთარ ანარეკლს	ქცევა მიმართულია:		
			სარკის წინ	სარკისკენ	დედისკენ
2-6 თვ.	I – II				
	I – II				
6-24 თვ.					
საშუალო	I – II				

კვლევის დამთავრების შემდეგ ხდება მიღებული მაჩვენებლების შედარება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რის შემდეგაც ხდება იმ ასაკის დადგენა, სადაც თავს იჩენს თვითცნობიერება და „მე“-ს წარმოქმნა.



2. ბავშვის მიერ საკუთარი წარმატებების შეფასება. გამოვლენილი გრძნობების შესწავლა 3 წლის ასაკში

კვლევისათვის საჭირო მასალა: პირამიდა და მისი ნიმუში, კონსტრუქტორი.

კვლევის მეთოდიკა: ტარდება 2 წლ. 6 თვ-დან – 3 წ. 6 თვემდე ასაკის ბავშვებთან. კვლევა შედგება რამდენიმე ამოცანისგან:

- 1) პირამიდის აწყობა ნიმუშის მიხედვით;
- 2) სახლის აწყობა კონსტრუქტორის ნაწილებით ნიმუშის გარეშე;
- 3) სატვირთო მანქანის აწყობა კონსტრუქტორის ნაწილებით ნიმუშის გარეშე.

პირველი ამოცანის შესრულების შემდეგ, მიუხედავად დავალების შესრულების ხარისხისა, ბავშვი იღებს შექებას.

მეორე ამოცანის შესრულებისას ვაფასებთ „შეასრულა“, „არ შეასრულა“ შესრულების ხარისხის მიხედვით.

მესამე ამოცანის შესრულება არ ფასდება.

თუ ბავშვს უჭირს ამ დავალებების შესრულება, ფსიქოლოგი უწევს დახმარებას.

შედეგების დამუშავება: ბავშვის აქტივობა დავალების შესრულების დროს ანალიზდება 2 პარამეტრით: 1) დავალების მიღება მიუთითებს ბავშვის ინტერესსა და მოტივაციაზე, მიზანმიმართულებაზე, საკუთარი აქტივობის პროდუქტიულობის შეფასება. 2) ბავშვის ურთიერთობის ხარისხი უფროს ადამიანთან დავალების შესრულების დროს, მისი დამოუკიდებლობა, ემოციური გამოვლინებანი.

ბავშვის აქტივობას აფასებენ შემდეგი სკალით: ა) მაქსიმალური აქტივობა – 3 ქულა, საშუალო აქტივობა – 2 ქულა, დაბალი აქტივობა – 1 ქულა.

აქტივობის მაჩვენებლები	ბავშვის აქტივობის შეფასება ქულებში		
	2 წ. 6 თვ.	2 წ. 10 თვ.	3 წ. 6 თვ.
1. დავალების მიღება			
2. დაჟინებულობა			
3. ჩართულობა			
4. დამოუკიდებლობა			
5. საკუთარი აქტივობის შეფასება			
6. უფროსის მიერ ბავშვის შეფასების მოლოდინი			
7. ბავშვის მიერ შეფასების მიღწევის მიმართ დამოკიდებულება			



3. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თვითშეფასების შესწავლა სხვადასხვა აქტივობის დროს

კვლევისათვის საჭირო მასალა: ბარათები, რომლებზეც დახატულია სხვადასხვა ორნამენტები 3 სახის სირთულის: ადვილი, საშუალო, რთული, ქალაქის ფურცელი, 6 ფერადი ფანქარი, კუბები, სიუჟეტური სურათები: ა) ბავშვი ალაგებს სკამებს; ბ) ბავშვი წმენდს მაგიდას; გ) ბავშვი რეცხავს პირსახოცს.

კვლევა მოიცავს 3 სერიას, რომელიც ტარდება 2-3 დღის ინტერვალით ინდივიდუალურად 4-7 წლის ბავშვებთან.

I სერია – ხატვა.

1 სიტუაცია – ბავშვს სთავაზობენ დახატოს სურათი თავისუფალ თემაზე, თუ ნახატი გამოვა კარგი, მაშინ მას წაიღებენ გამოფენაზე. ნახატის დამთავრების შემდეგ ბავშვს უსვამენ კითხვას: „როგორ ფიქრობ კარგი ნახატი გამოგივიდა?“, „როგორ ფიქრობ წავიღოთ თუ არა გამოფენაზე?“, „რატომ ფიქრობ ასე?“...

2 სიტუაცია – ბავშვს ეუბნებიან: „აქ დევს ბარათები, რომელზეც დახატულია ორნამენტები, უნდა აირჩიო და დახატო რომელიმე. პირველი მწკრივის ბარათებზე არის ყველაზე ადვილი ორნამენტი და დახატვაც ადვილია. მეორე მწკრივში არის ცოტა რთული, ხოლო მესამე მწკრივში ყველაზე რთული ორნამენტი, უნდა იცოდე კარგად ხატვა, რომ კარგი გამოგივიდეს. თუ არ ხატავ კარგად, მაშინ აირჩიე ადვილი.“

როდესაც დარწმუნდებით, რომ ბავშვმა გაიგო ინსტრუქცია, უნდა დაიწყოს დავალების შესრულება, შემდეგ შეაფასოს და ახსნას არჩევანი;

II სერია – შრომითი საქმიანობა.

1 სიტუაცია – ბავშვს აჩვენებენ სიუჟეტურ სურათებს და უხსნიან სურათის შინაარსს: ამ სურათზე ბავშვები შრომობენ, საქმეს აკეთებენ, ერთი ბავშვი სკამებს ალაგებს თავის ადგილზე, ეს ძალიან ადვილი საქმეა. მეორე სურათზე ბავშვი წმენდს მაგიდას, მაგრამ ეს საქმე უფრო რთულია, უნდა იცოდეს ტილოს დასველება და გაწურვა, ხოლო მე-3 სურათზე ბავშვი აკეთებს ყველაზე რთულ საქმეს, რეცხავს პირსახოცს, ისე უნდა გარეცხოს, რომ იყოს სუფთა, ლაქების გარეშე. „შენ როგორ ფიქრობ, რომელ საქმეს გააკეთებდი კარგად და რატომ?“

III სერია – ფიზიკური ვარჯიშები.

წინასწარ მზადდება კუბებისაგან 3 გზა: პატარა, საშუალო და დიდი. ბავშვებს ვუხსნით ინსტრუქციას: „შენ უნდა გადაახტე ამ კუბებს და მიხვიდე ფინიშამდე, მაგრამ უნდა აირჩიო როგორი სიმაღლის კუბებს გადაახტები, არის პატარა კუბები, რომელსაც ადვილად გადაახტები, მეორე გზაზე არის ცოტა მაღალი და ცოტა რთულია გადახტომა, ხოლო მე-3 გზაზე დალაგებულია ყველაზე მაღალი კუბები და ძალიან ძნელია მასზე გადახტომა. თუ არ იცი ხტუნვა, მაშინ აირჩიე დაბალი კუბები, თუ ფიქრობ, რომ გამოგივა – აირჩიე საშუალო ზომის, თუ ძალიან კარგად ხტუნაობ, მაშინ აირჩიე ყველაზე მაღალი კუბები“.



როცა დარწმუნდებით, რომ ბავშვმა გაიგო ინსტრუქცია, უნდა დაიწყოს მისი შესრულება, შემდეგ შეაფასოს და ახსნას არჩევანი

მონაცემების დამუშავების შედეგად განისაზღვრება როგორი თვითშეფასება აქვს ბავშვს სხვადასხვა აქტივობის დროს: ადექვატური, ძალიან მაღალი თუ დაბალი. შედარება უნდა მოხდეს: ა) როგორი იყო ბავშვის თვითშეფასება დავალების შესრულებამდე და ბ) დავალების შესრულების შემდეგ გამომდინარე შედეგებიდან.

4. თვითცნობიერების კვლევა სკოლამდელ ასაკში (5-7წ.)

კვლევისათვის საჭირო მასალა: კითხვების ორი ვარიანტი: 1) ბავშვის სურვილებისა და მათთვის მნიშვნელოვანი აქტივობის შესახებ; 2) წარსულისა და მომავლის შესახებ. კითხვების შინაარსი და რაოდენობა მკაცრად არაა განსაზღვრული, დამოკიდებულია ბავშვის აქტიურობასა და განწყობაზე.

I ვარიანტი:

1. ყველაზე მეტად რა გიყვარს?
2. უფლებას რომ გაძღვედნენ, რას გააკეთებდი?
3. რისი გაკეთება გიყვარს? სეირნობ, თამაშობ და კიდევ?..
4. რა გიყვარს ყველაზე მეტად? რა არ გიყვარს?
5. ყველაფერი მოგნონს საბავშვო ბაღში? რას შეცვლიდი?
6. ოქროს თევზი რომ გქონდეს და შეეძლოს სურვილების შესრულება, რას სთხოვდი?

II ვარიანტი:

1. რას აკეთებდი სანამ მოხვიდოდი ჩემთან?
 2. რას აკეთებდი დღეს მეცადინეობებზე?
 3. გაიხსენე გუშინ, გუშინდინ ან უფრო ადრე რა მოხდა შენთვის საინტერესო ან მნიშვნელოვანი? სასაცილო? მომიყევი თუ შეიძლება?
 4. რა უნდა გააკეთო, როცა ჯგუფში დაბრუნდები?
 5. რას გააკეთებ დღეს საღამოს სახლში რომ წახვალ ან ხვალ?
- კვლევის პროცესი: კვლევა ტარდება ინდივიდუალურად 5-7 წლის ბავშვებთან.

საუბრის შედეგები ფიქსირება სხილი №1 და №2-ზე

I ვარიანტი

№1

პასუხის ტიპები	ბავშვების ასაკი	
	5 - 6 წ.	6 - 7 წ.
1. პასუხის გარეშე (დუმილი ან პასუხი „არ ვიცი“, „არაფერი“) 2. სიტუაციური პასუხი (ბავშვი პასუხობს იმის მიხედვით, რაც მისი მხედველობის ველშია) 3. ერთობლივი აქტივობა (ბავშვი ასახელებს იმას, რაც უნდა გააკეთოს ახლოებელ ადამიანებთან ერთად)		



II ვარიანტი

№2

პასუხის ტიპები	ბავშვების ასაკი	
	4 - 6 წ.	6 - 7 წ.
1. პასუხის გარეშე 2. ერთი და იგივე პასუხის სტერეოტიპული გამოვლილება 3. რეჟიმული მომენტების ჩამოთვლა 4. საკუთარი ქმედებების ჩამოთვლა 5. წარსული და მომავალი მოვლენების შესახებ		

5. ბავშვის მიერ ზნეობრივი ნორმების გაცნობიერების კვლევა

კვლევისათვის საჭირო მასალა: 3-5 სიტუაცია, რომელშიც ასახულია ზნეობრივი ნორმის დარღვევა ან შესრულება, 10-12 სურათი, რომელზეც გამოსახულია ბავშვის დადებითი და უარყოფითი ქცევა.

კვლევის ჩატარება: კვლევა ტარდება ინდივიდუალურად 2-3 დღის ინტერვალით და მონაწილეობენ ერთი და იგივე ბავშვები.

I სერია – ბავშვს ეუბნებიან: „მე მოგიყვები ამბავს და შენ უნდა დაამთავრო, მაგ:

1) ბავშვები კუბიკებისაგან აწყობდნენ ქალაქს, ანას არ უნდოდა თამაში, იდგა მათთან ახლოს და უყურებდა, ბავშვებთან მივიდა მასწავლებელი და უთხრა: „ბავშვებო სადილის დროა, თუ შეიძლება აალაგეთ სათამაშოები, ანას სთხოვეთ, რომ დაგეხმაროთ“. ანამ კი უპასუხა... რა უპასუხა ანამ? რატომ?

2) დედამ ნინოს დაბადების დღეზე აჩუქა ლამაზი თოჯინა. ნინოს ძალიან გაეხარდა და დაიწყო თამაში. მასთან მივიდა პატარა დაიკო და სთხოვა: „ნინო მეც მინდა ამ თოჯინით თამაში“, მაშინ ნინომ უპასუხა... რა უპასუხა ნინომ? რატომ?

3) ანა და დათა ხატავდნენ. ანა ხატავდა წითელი ფანქრით, დათა – მწვანით. ანას გაუტყდა ფანქარი და დათას სთხოვა: „თუ შეიძლება მათხოვე შენი ფანქარი, ნახატი რომ დავამთავრო“ დათამ უპასუხა... რა უპასუხა დათამ? რატომ?

II სერია – ბავშვს სთავაზობენ სურათებს, სადაც ბავშვების კარგი და ცუდი ქცევის ამსახველი სიტუაციებია. ბავშვმა უნდა დააღაგოს ერთ მხარეს კარგი ქცევის, ხოლო მეორე მხარეს ცუდი ქცევის ამსახველი სურათები. დახარისხების დროს ბავშვმა უნდა გაუკეთოს კომენტარი თავის არჩევანს.

შედეგების დამუშავება: მიღებული შედეგების მიხედვით ანალიზდება, თუ რამდენად აქვთ ბავშვებს გაცნობიერებული ზნეობრივი ნორმები და დამოკიდებულია თუ არა იგი ბავშვის ასაკზე. ზნეობრივი ნორმების გაცნობიერება ბავშვების მიერ განისაზღვრება 4 დონით:

1. ბავშვი ასახელებს ზნეობრივ ნორმას, სწორად აფასებს ბავშვის ქცევას და მოტივირებული აქვს თავისი შეფასება;
2. ბავშვი ასახელებს ზნეობრივ ნორმას, სწორად აფასებს ბავშვის ქცევას, მაგრამ არა აქვს მოტივი;
3. ბავშვია ფასებს სურათზე ასახულ სიუჟეტში კარგ და ცუდ ქცევას, მაგრამ არ აქვს მოტივი და ვერ ხსნის რატომ არის ეს ქცევა კარგი ან ცუდი;
4. ბავშვს არ შეუძლია შეაფასოს სხვა ბავშვის საქციელი.



6. ნებისყოფის კვლევა სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან (3-7 წ.)

კვლევისთვის საჭირო მასალა: მიმზიდველი ფერის ზარდახშა, რომელშიც უნდა მოთავსდეს რამდენიმე ახალი სათამაშო ან ბავშვისთვის საინტერესო საგნები

კვლევის ჩატარება: კვლევა ტარდება ინდივიდუალურად და შედგება 4 სიტუაციისგან. ბავშვს ეკრძალება ზარდახშის ნახვა სხვადასხვა მოტივით. მაგიდაზე დევს ზარდახშა. მკვლევარი ეუბნება ბავშვს: „ამ ზარდახშაში არის ძალიან საინტერესო ნივთები, მე ცოტა ხანს უნდა გავიდე, 1. თუ შეიძლება, არ ჩაიხედო ზარდახშაში 2. თუ არ ჩაიხედავ ზარდახშაში, მოვალ და დაგასაჩუქრებ 3. თუ ნახავ რა არის ზარდახშაში, მაშინ ბავშვებთან ერთად არ ითამაშებ, 4. შემპირდი, რომ ჩემს მოსვლამდე ზარდახშაში არ ჩაიხედავ.“

შედეგების დამუშავება: შედეგები მუშავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: 3-4წ; 4-5წ; 5-6წ; 6-7წ. პირველ სიტუაციაში ბავშვი ფსიქოლოგს ელოდება 5 წთ, ხოლო 2, 3, 4 სიტუაციაში 10 წთ-ი, რადგან I სიტუაციაში ფსიქოლოგის აკრძალვა არაა მოტივირებული, ხოლო დანარჩენ სიტუაციაში მოტივირებულია.

მოტივი	ბავშვების ასაკი			
	3 - 4 წ.	4 - 5 წ.	5 - 6 წ.	6 - 7 წ.
1. უფროსის მიერ აკრძალვა				
2. ნახალისება – დასაჩუქრება				
3. დასჯა – თამაშიდან გამოყვანა				
4. საკუთარი დაპირება				

7. ბავშვისა და უფროსი ადამიანის ურთიერთობის მოტივის კვლევა

კვლევისათვის საჭირო მასალა: სპეციალურად კონსტრუირებული „ტელევიზორი“ „გადამრთველი პულტით“.

კვლევის ჩატარება: ტარდება ინდივიდუალურად 2-7 წ. ასაკის ბავშვებთან. ბავშვს სთავაზობენ თამაშს „ტელევიზორი“. „ტელევიზორს“ აქვს 5 ლილაკი გადასართავი და თითოეული ლილაკით შეუძლია გადართვა სხვადასხვა გადაცემებზე. ბავშვი თვითონ ირჩევს მისთვის სასიამოვნო და საჭირო გადაცემას. მაგ:

I ლილაკით შეუძლია უყუროს რომელიმე ახალ დასაქოქ სათამაშოს, რომელიც გამოჩნდება „ტელევიზორში“;

II – შეუძლია უყუროს უფროს ადამიანს, რომელიც გაუღიმებს ბავშვს, მიესალმება-შეაქებს, ეტყვის თბილ სიტყვებს

III – შეუძლია ეთამაშოს უფროს ადამიანს, რომელიც „ტელევიზორიდან“ გადმოუგდება ბურთს და იწვევს სათამაშოდ;

IV – შეუძლია მოუსმინოს ზღაპარს, რომელსაც მოუყვება უფროსი ადამიანი;

V – შეუძლია გამოელაპარაკოს უფროს ადამიანს მისთვის სასურველ თემაზე.



ვარიანტები		ბავშვების ასაკი			
		2 - 3 წ.	3 - 4 წ.	4 - 5 წ.	5 - 6 წ.
1.	ახალი შთაბეჭდილებების მიღება				
2.	უფროსი ადამიანის გალიმება, მისალმება და მოფერება				
3.	უფროს ადამიანთან ურთიერთობა				
4.	ზღაპრის მოსმენა				
5.	საუბარი ბავშვისთვის საინტერესო თემაზე				

მიღებული შედეგების საფუძველზე იკვლევენ, ბავშვისთვის რა არის უფროს ადამიანთან ურთიერთობის ნამყვანი მოტივი.

8. ბავშვთა ემოციური გამოვლინების შესწავლა სხვადასხვა სიტუაციაში

კვლევისათვის საჭირო მასალა: ფსიქოლოგიური ეტიუდების გასათამაშებლად საჭირო ნივთები. ბავშვებს ვთავაზობთ შემდეგ სიტუაციებს:

1. დედა ავად გახდა და სთხოვა უფროს შვილს, რომ ბალიდან მოიყვანოს ძმა, რომელიც გაუგონარია და ცელები;
2. საბავშვო ბაღში სადილის დროს პატარა ბიჭს შემთხვევით დაეღვარა კომპოტი, ბავშვებმა დაინყეს სიცილი, ბავშვს შეეშინდა, რადგან მასთან მივიდა გ. ბრაზებული მასწავლებელი, მკაცრად გააფრთხილა იგი და ბავშვებსაც შენიშვნა მისცა უადგილო სიცილის გამო;
3. ბიჭმა დაკარგა ხელთათმანი, ძალიან ცივა და გაეყინა ხელები, მაგრამ არ უნდა, სხვა ბავშვებმა შენიშნონ;
4. გოგონას არ მისცეს ნება, ეთამაშა ბავშვებთან ერთად. ის განაწყენებული დადგა კედელთან და ტირილი დაიწყო;
5. ბიჭს ძალიან უხარია, რადგან მეგობრის ნახატი მიაქვთ გამოფენაზე.

კვლევის ჩატარება: კვლევა ტარდება 4-7 წლის ბავშვებთან 2 სერიად. მონაწილეობას იღებს 4-5 ბავშვი, რომლებსაც წინასწარ ვაცნობთ სიტუაციას და შემდეგ ხდება სცენის გათამაშება. ფსიქოლოგი მართავს საუბარს ბავშვებთან გათამაშებული სიუჟეტის ირგვლივ.

II სერიაში ბავშვებს ვთავაზობთ გადმოსცენ სხვადასხვა პერსონაჟის ემოცია მიმიკით, უესტით, პანტომიმით, მაგ:

- ა) სევდიანი დედა, რომელიც ავადაა ბ) მტირალა ბიჭი;
- გ) მკაცრი და გაბრაზებული მასწავლებელი;
- დ) განაწყენებული გოგონა და ა.შ.

9. წვრილი მოტორიკის განვითარების ხარისხის კვლევა სკოლამდელ ასაკში

კვლევისთვის საჭირო მასალა: სახატავი ქალაქი, ფანქრები, საღებავები და წამწამი.

კვლევის ჩატარება: კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს როგორია წვრილი მოტორიკის განვითარების ხარისხი 3-7 წლის ბავშვებში. ვიკვლევთ შემდეგ პარამეტრებს:

- 1) ხელის სისწრაფე. თამაში „წამოვიდა წვიმა“. ბავშვს აჩვენებენ ფანქრით როგორ დახატოს;
- 2) „მოდის თოვლი“ – სრულდება საღებავით და ფანქრით (ფუნჯი მთლიანად



ედება ფურცელს) ამის შემდეგ უნდა დაითვალოს რამდენი წვიმა და ფიფქია დახატული 1 წთ-ის განმავლობაში;

2) სისწრაფე მაგ: „მიფრინავენ საპნის ბუშტები“, სრულდება ფანქრით, დახატვამდე ბავშვებს ვურჩენებთ ჰაერში თითის მოძრაობით როგორ იხატება მრგვალი ბუშტები, შემდეგ კი ვითვლით, რამდენ საპნის ბუშტს დახატავს ბავშვი 30 წმ-ში;

3) სიზუსტე. ა) ბავშვს ვაჩვენებთ ნიმუშს „კიბე“, სრულდება ფანქრით, საღებავით. ბავშვს კიბის დასახატად ეძლევა ორი ვერტიკალური ხაზი, მან უნდა გაავლოს ჰორიზონტალური ხაზები, „კიბის“ სიგანე შეიძლება იყოს სხვადასხვა 3სმ, 6სმ, 8სმ. ბ) „ღობე“ სრულდება ფანქრით, საღებავით, ღობის სიმაღლეც შეიძლება იყოს სხვადასხვა, ბავშვს ეძლევა ნიმუში და ორი პარალელური ხაზი, რომელზეც აღნიშნულია წერტილები ვერტიკალური ხაზების გასავლებად.

4) რითმულობა. „სარკე“. ფურცელზე შუაში გავლებულია ვერტიკალური ხაზი და ბავშვს ვთხოვთ ხაზის მარჯვნივ და მარცხნივ რითმულად დასვას წერტილები. უნდა დაიცვას სიზუსტე და მანძილი ვერტიკალის აქეთ-იქით.

5) მოქნილობა. ა) „ფერადი ძაფები“. ნახატი სრულდება ფერადი ფანქრებით ან საღებავებით. ბ) კუბოკრული ცხვირსახოცი. სრულდება ასევე ფერადი ფანქრებით ან საღებავებით.

10. თვითრეგულაციის შესწავლა

კვლევისათვის საჭირო მასალა: ცალხაზიანი ფურცელი, რომელზეც არის ნიმუში მოცემული I-II-III-I.... და ფანქარი. კვლევა ტარდება ინდივიდუალურად 5-6 წლის ასაკის ბავშვებთან. ბავშვს სთხოვენ შეასრულოს ცალხაზიანი ფურცელზე ნიმუშის მიხედვით მოცემული დავალება 15 წთ-ის განმავლობაში. ბავშვმა უნდა დაიცვას შემდეგი წესები: არ გადავიდეს მინდორზე, არ გამოტოვოს ხაზი, დაიცვას თანმიმდევრობა.

ოქმში ფიქსირდება: ა) როგორი განწყობა აქვს ბავშვს დავალების მიცემისას ბ) როგორია თვითკონტროლი დავალების შესრულებისას (შეცდომების რაოდენობა და შესრულების ხარისხი); გ) ამონებებს თუ არა დასრულების შემდეგ.

შედეგების ანალიზი: ეს კვლევა აჩვენებს, თუ როგორია ბავშვის თვითრეგულაცია ინტელექტუალური სამუშაოს შესრულების პროცესში, შედეგების მიხედვით გამოიყოფა თვითრეგულაციის შემდეგი დონეები:

I დონე – ბავშვი იღებს დავალებას სრულად და სიამოვნებით, მიზანს ინარჩუნებს ბოლომდე, მუშაობს ყურადღებით და ერთი ტემპით, სიზუსტით, უშვებს თუ არა შეცდომას, ამჩნევს გადამონებების დროს და დამოუკიდებლად ასწორებს, ცდილობს შეასრულოს აკურატულად და სწორად;

II დონე – ბავშვი იღებს დავალებას სრულად, მიზანს ინარჩუნებს, უშვებს შეცდომებს, ვერ ამჩნევს და დამოუკიდებლად არ ასწორებს. დასრულებისას სწრაფად შეავლებს თვალს, მისთვის არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა აქვს შესრულების ხარისხს, თუმცა სურვილი აქვს მიიღოს კარგი შეფასება;

III – ბავშვი დავალებას იღებს ნაწილობრივ, ამიტომ ბოლომდე ვერ ინარჩუნებს მიზანს, უშვებს შეცდომებს უყურადღებობის გამო, ვერც ამჩნევს შეცდომებს, არ ასწორებს მათ არც დასრულების შემდეგ. არ აქვს სურვილი გააუმჯობესოს შედეგი.

IV – ბავშვი უშვებს ბევრ შეცდომას და არღვევს თანმიმდევრობას, ვერ ამჩნევს, არ ასწორებს მას არც დასრულების შემდეგ, ინდეფერენტულია შედეგის მიმართ;



V – ბავშვი საერთოდ არ იღებს დავალებას და არც ესმის რა უნდა გააკეთოს. მის მიერ შესრულებული დავალება არ ითვალისწინებს არცერთ გაფრთხილებას მინდორის, სიზუსტის და თანმიმდევრობის შესახებ...

11. სწავლის მოტივის კვლევა

კვლევისთვის საჭირო მასალა: ფურცელი 6 ცალი, ზომა 10სმx10სმ, ფანქარი და ტექსტი. კვლევა ტარდება 5-7 წლიან ბავშვებთან წლის დასაწყისში და წლის ბოლოს.

კვლევის მიმდინარეობა: ბავშვს ვთავაზობთ პატარა მოთხრობას, რომელშიც აღწერილია ბავშვის დამოკიდებულება სწავლის მიმართ. თითოეული ვარიანტის წაკითხვისას ბავშვს ვთხოვთ (შესაძლებელია უფროსის დახმარება) სქემატურად დახატოს სიუჟეტის შინაარსი. ყველა ვარიანტის განხილვისა და დახატვის შემდეგ ბავშვს ვეკითხებით: „როგორ ფიქრობ, რომელი ბავშვი ფიქრობს სწორედ? რატომ? რომელ ბავშვთან ერთად ითამაშებდი და იმეგობრებდი, ისწავლიდი? რატომ? (შესაძლებელია ბარათები სქემატური ნახატებით მომზადდეს წინასწარ უფროსი ადამიანის მიერ).

1. ბიჭები (გოგონები) საუბრობდნენ სკოლის შესახებ, ერთმა ბიჭმა (გოგომ) თქვა: „მე უნდა ნავიდე სკოლაში იმიტომ, რომ დედაჩემი მაძალბებს. დედას სურვილი რომ არა, მე არ ნავიდოდი სკოლაში“. (გარე მოტივი);

2. მეორე ბიჭმა (გოგონამ) თქვა: „მე მინდა სკოლაში წასვლა, მინდა ვისწავლო ბევრი რამ და სკოლაც რომ არ იყოს, მე მინც ვისწავლიდი, იმდენი რამეა საინტერესო...“ (სასწავლო მოტივი);

3. მესამე ბიჭმა (გოგონამ) თქვა: „მე სკოლაში იმიტომ მინდა სიარული, რომ იქ ბევრი ბავშვია ვისთანაც ვითამაშებ“ (სათამაშო მოტივი);

4. მეოთხე ბიჭმა (გოგონამ) თქვა: „მე იმიტომ მინდა სკოლაში, რომ მინდა დიდი ვიყო. სკოლაში თუ ვივლი, ვიქნები დიდი ბიჭი (გოგონა). საბავშვო ბაღში პატარები დადიან.“ (პოზიციური მოტივი).

5. მეხუთე ბიჭმა (გოგონამ) თქვა: „მე იმიტომ მინდა სკოლაში, რომ საჭიროა სწავლა, სწავლის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეუძლია ადამიანს, თუ ვისწავლი, გავხდები ის, ვინც მინდა“ (სოციალური მოტივი).

6. მეექვსე ბიჭმა (გოგონამ) თქვა: „მე იმიტომ უნდა ნავიდე სკოლაში, რომ მივიღო 10-ები“ (ქულების, დასაჩუქრების მოტივი).

თუ ბავშვის მიერ გაცემული პასუხი არ შეესაბამება შინაარსს, უნდა დაისვას საკონტროლო კითხვა: „რა თქვა ამ ბიჭმა (გოგონამ)“?

შედეგების დამუშავება: შედეგები უნდა დაფიქსირდეს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში და გამოვლინდნენ ის ბავშვები, ვისაც აქვს სასწავლო მოტივი, რომელი მოტივი დომინირებს ბავშვის არჩევანში და რატომ?

მოტივი	სასწავლო წლის დასაწყისი		სასწავლო წლის ბოლო	
	5 - 6 წ.	6 - 7 წ.	5 - 6 წ.	6 - 7 წ.
სასწავლო				
სოციალური				
ქულები, ნიშნები				
პოზიციური				
გარე მოტივი				



12. სკოლამდელი ასაკის (4-7წ.) ბავშვთა დამოკიდებულების კვლევა თანატოლები-სა და უფროსი ადამიანების მიმართ (ნახატის ანალიზის საშუალებით)

კვლევისათვის საჭირო მასალა: ფერადი ქაღალდები და საღებავები.

კვლევის მიმდინარეობა: კვლევა ტარდება ინდივიდუალურად 4-7 წლის ასაკის ბავშვებთან.

I სერია – სახატავი თემა: „ჩემი მასწავლებელი“;

II სერია – სახატავი თემა: „ჩემი ოჯახი“;

III სერია – სახატავი თემა: „მე – ჩემი თანატოლები“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს 3 სიტუაციას: ა) დახატოს საკუთარი თავი; ბ) დახატოს მეგობარი და გ) დახატოს ის ბავშვი, ვის მიმართაც აქვს ნეგატიური დამოკიდებულება.

ხატვის დაწყებამდე ბავშვს აძლევენ ფერად ქაღალდებს (ნაცრისფერი, ყავისფერი, მწვანე, წითელი, ყვითელი, იასამნისფერი, შავი) და აფიქსირებენ რომელი ფერი არის მისთვის სასიამოვნო და რომელი არა, ამის შემდეგ ყველა ფერის ფურცელი იდება ბავშვის წინ და იწყებს ხატვას სერიულად.

შედეგების დამუშავება: I სერია – „ჩემი მასწავლებელი“. ნახატები ანალიზდება შემდეგი პოზიციებით: 1. სახატავი ფურცლის ფერის არჩევანი (წითელი, ყვითელი, მწვანე – დადებითი ემოციები. შავი, ყავისფერი, ნაცრისფერი – უარყოფითი ემოციები);

2 მასწავლებლის მიმართ დამოკიდებულება: მონდომებით ხატავს თუ არა აკურატულად, სიამოვნებით თუ სურვილის გარეშე, საღებავების მრავალფეროვნება, მდებარეობა და ზოგადი კომპოზიცია, შტრიხები, ხაზები და ა.შ.

3. მასწავლებლის აღქმა ბავშვის მიერ სხვადასხვა საქმიანობაში. ყურადღება ექცევა შინაარსს და სიუჟეტს.

II სერია – „ჩემი ოჯახი“ – ნახატის ინტერპრეტაცია იხილეთ ნიგნში „ხატვითი ტესტები“, ყურადღება ექცევა ფერის არჩევანს.

III სერია – „მე – ჩემი თანატოლები“. ნახატი ანალიზირდება შემდეგი პოზიციებით:

1. სახატავი ფურცლის ფერის არჩევანი;

2. სურვილით თუ სურვილის გარეშე ხატვა;

3. თანატოლის მიმართ დამოკიდებულების გაგება შინაარსის, ხაზების, აქსესუარების, დეტალების საშუალებით.

13. კომუნიკაციური უნარების კვლევა

კვლევისთვის საჭირო მასალა: ქაღალდისგან გამოჭრილი ხელთათმანების რამდენიმე წყვილი და ფერადი ფანქრები.

კვლევის მიმდინარეობა: კვლევა ტარდება 4-7 წლის ბავშვებთან.

I სერია. ორ ბავშვს (ერთი და იგივე ასაკი) აძლევენ თითო-თითო ხელთათმანს, სთხოვენ გააფერადონ და მოხატონ ისე, რომ იყოს ერთნაირი – ერთი წყვილი. ხატვის დაწყებამდე ბავშვები უნდა შეთანხმდნენ როგორი ორნამენტით უნდა გააფორმონ. თითოეულს აქვს თავისი ფერადი ფანქრები.

II სერია – მიმდინარეობს ანალოგიურად, მხოლოდ ისაა განსხვავება, რომ ორ ბავშვს აქვს საერთო ფერადი ფანქრები და უნდა რიგრიგობით გამოიყენონ.

III სერია – მიმდინარეობს ანალოგიურად, როგორც II სერიაში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მონაწილეობენ სხვადასხვა ასაკის ბავშვები.

შედეგების დამუშავება: ბავშვებზე დაკვირვების შედეგად ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგზე:

1. შეუძლიათ თუ არა ბავშვებს შეთანხმება, როგორ ახერხებენ ამას, იძულებით, თხოვნით და ა.შ.
2. აკონტროლებენ თუ არა ერთმანეთს დავალების შესრულებისას. როგორ ურთიერთობენ და როგორია მათი რეაქციები ერთობლივი მუშაობის პროცესში;
3. როგორ რეაგირებენ, რა კომენტარებს აკეთებენ;
4. ეხმარებიან თუ არა ერთმანეთს ხატვის დროს და რაში გამოიხატება დახმარება? დაკვირვებიდან გამომდინარე განისაზღვრება ბავშვის ხასიათის თავისებურებები და რამდენად არის დამოკიდებული კომუნიკაციური უნარების განვითარება ბავშვის ასაკზე.

14. ბავშვის მიერ საგნის მდებარეობის აღქმა თანდებულების საშუალებით

კვლევისთვის საჭირო მასალა: ფერადი ფანქრები კოლოფით, თეფში, ჭიქა, კოვზი, ბურთი 3 სმ-ის დიამეტრით, პატარა კოლოფი.

კვლევის მიმდინარეობა: კვლევა ტარდება ინდივიდუალურად 2-4 წლამდე ასაკის ბავშვებთან. ექსპერიმენტატორი ბავშვს სთავაზობს შემდეგი სახის დავალებებს:

1. თუ შეიძლება, ფანქარი ამოიღე კოლოფიდან
2. ფანქარი დადე კოლოფის უკან;
3. ფანქარი დადე კოლოფთან ახლოს;
4. ფანქარი ჩადე კოლოფში;
5. ფანქარი დადე კოლოფზე;
6. ჭიქა დადე თეფშზე;
7. კოვზი ჩადე ჭიქაში;
8. კოვზი დადე ჭიქაზე;
9. კოვზი დადე ჭიქასთან ახლოს;
10. ბურთი ჩადე კოლოფში;
11. ბურთი დადე კოლოფის ქვეშ;
12. ბურთი დადე კოლოფთან ახლოს.

შედეგების დამუშავება: უნდა დაითვალოს ბავშვის მიერ სწორად შესრულებული დავალება ყველა ასაკობრივ ჯგუფში და ანალიზდება თანდებულის საშუალებით როგორ აკავშირებს ბავშვი ერთ საგანს მეორესთან.

15. ბავშვის მიერ წინადადების დამთავრება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოყენებით

კვლევისათვის საჭირო მასალა: წინასწარ უნდა მომზადდეს 10 წინადადება, რომელიც ლოგიკურად უნდა დაასრულოს ბავშვმა. კვლევაში მონაწილეობენ ბავშვები 5-7 წლამდე.

1. ბიჭი იცინოდა, მიუხედავად იმისა, რომ
2. თუ ზამთარში იქნება ყინვა, მაშინ
3. თუ ავფრინდები ცაში როგორც ჩიტები, მაშინ
4. გოგონა იდგა და ტიროდა, თუმცა
5. ბიჭი ავად გახდა, მიუხედავად იმისა, რომ
6. როცა მოვა ჩემი დაბადების დღე, მაშინ



7. გოგონა იდგა ფანჯარასთან მოწყენილი მარტო, თუმცა
8. თუ თოვლი დადნა, მაშინ
9. ოთახში სინათლე ჩაქრა, მიუხედავად იმისა, რომ
10. თუ ძლიერი წვიმა მოვიდა

16. სივრცითი წარმოდგენების კვლევა სკოლამდელ ასაკში

კვლევისათვის საჭირო მასალა: 5 სათამაშო – თოჯინა, ბაჭია, დათუნია, ძაღლი, ბურთი. სურათები, რომლებზეც დახატულია საგნები სხვადასხვა მდგომარეობაში, უჯრედულ რვეულის ფურცელი და ფანქარი.

კვლევის მიმდინარეობა: ტარდება ინდივიდუალურად 5-7 წლის ბავშვებთან.

1. ბავშვმა უნდა აჩვენოს მარჯვენა, მარცხენა ხელი, ფეხი, ყური;
2. მაგიდაზე ბავშვის წინ ალაგებენ სათამაშოებს: ცენტრში თოჯინა, მარჯვნივ ძაღლი, მარცხნივ ბაჭია, უკან ბურთი, წინ დათუნია და ეკითხებიან: რომელი სათამაშო დევს ბურთსა და დათუნიას შორის? და ა.შ.
3. ბავშვს აჩვენებენ სიუჟეტურ სურათს (წიგნები, ადამიანები) და უსვამენ შეკითხვებს საგნებსა და ადამიანების მდებარეობის შესახებ;
4. ბავშვს სთხოვენ უჯრიან ფურცელზე მონახოს შუა ნაწილი და დახატოს ერთ უჯრაში წრე, მარჯვნივ კვადრატი, მარცხნივ სამკუთხედი, წრის თავზე ოვალი, წრის ქვემოთ ოვალი, სამკუთხედის თავზე კვადრატი და ა.შ.
5. ბავშვი დგება ოთახის ცენტრში და პასუხობს კითხვებზე: „რა დგას შენს მარჯვნივ? მარცხნივ?“ და ა.შ.

შედეგების დამუშავება: უნდა დაითვალოს სწორად შესრულებული დავალებების რაოდენობა ასაკობრივი ფგუფების მიხედვით და დაფიქსირდეს ცხრილში.

ბავშვის ასაკი	ორიენტაცია საკუთარ სხეულზე	ორიენტაცია საგნებთან მიმართებაში	ორიენტაცია ბავშვთან მიმართებაში
5-6წ.			
6-7წ.			

17. სურათის აღქმის კვლევა (4-7წ.)

კვლევისათვის საჭირო მასალა: ბავშვის ასაკის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს 3 წარსის 3-3 სურათი-რეპროდუქცია: სიუჟეტური, პეიზაჟი, ნატურ-მორტი. სურათები უნდა იყოს ფერადი და ადვილად გასარჩევი ბავშვისათვის.

რეპროდუქციების ანალიზი უნდა მოხდეს შემდეგი სქემით:

- ა) ძირითადი არსის გაგება – სურათის დასათაურება და მოკლე შინაარსის გადმოცემა;
- ბ) სტრუქტურული ცენტრის პოვნა (სურათის რა ნაწილშია ძირითადი არსი ცენტრში თუ?..);
- გ) მთავარი და მეორეხარისხოვანი საგნები და მათი ჩამოთვლა;
- დ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირები საგნებს შორის და მათი მინიშნება.

კვლევის ჩატარება: ტარდება ინდივიდუალურად 4-7 წლის ბავშვებთან. ოქმში შედის



ინსტრუქცია და ექსპერიმენტატორის კითხვები, რეპროდუქციის თვალყურების დრო, ჩამოთვლილი საგნები, ფერები, მიზეზშედეგობრივი კავშირები, შინაარსის მოყოლა, ბავშვის ქცევა, ემოციური რეაქციები.

I სერია. სურათის აღწერა. ბავშვს რიგრიგობით უჩვენებენ რეპროდუქციებს და სთხოვენ აღწერონ. თუ ბავშვს უჭირს პასუხის გაცემა, ექსპერიმენტატორი უსვამს დამატებით კითხვებს;

II სერია. სურათის ესთეტიკური მხარე. 1. ბავშვის წინაშე მაგიდაზე დებენ რამოდენიმე ერთი და იგივე ჟანრის რეპროდუქციას, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა სტილში (მაგ:ნატურმორტი) და სთხოვენ აირჩიოს რომელი მოსწონს. 2. შემდეგ აჩვენებენ სხვა ჟანრის რამოდენიმე რეპროდუქციას სხვადასხვა სტილში (მაგ:პეიზაჟი) და ასევე ირჩევს და ა.შ. სამივე ჟანრის რეპროდუქციების არჩევანის შემდეგ ვლინდება თუ რა სტილის სურათები იწვევენ ბავშვში ესთეტიკურ სიამოვნებას და სთხოვენ ბავშვს ახსნან თავისი არჩევანი.

შედეგების შეჯამება: ბავშვებს ჰყოფენ 3 ჯგუფად იმის მიხედვით, თუ როგორია მათი ესთეტიკური შეფასება. I ჯგუფში შედიან ბავშვები, რომლებიც ვერ აფასებენ ან ვერ გააკეთეს არჩევანი. II ჯგუფის ბავშვებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული არჩევანი, მაგრამ ვერ ხსნიან რატომ გააკეთეს ეს არჩევანი. III ჯგუფი – ის ბავშვები, ვისაც გაცნობიერებული შეფასება აქვს და არჩევანიც მოტივირებული, წვდება სურათის შინაარსს. კვლევის შემდეგ კეთდება დასკვნები იმის შესახებ, რომ სურათის ესთეტიკური აღქმა ბევრად არის დამოკიდებული ბავშვის ასაკზე და ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

ბავშვის ასაკი	სურათის ჟანრი	აღქმის თავისებურებები			
		აღქმის მთლიანობა	დეტალების გამოყოფა	სურათზე ასახული სიუჟეტის გაგება	ემოციური რეაქციები სურათის გარშემო
3 — 4	სიუჟეტური ნატურმორტი				
4 — 5	სიუჟეტური პეიზაჟი ნატურმორტი				
5 — 6	სიუჟეტური პეიზაჟი ნატურმორტი				
6 — 7	სიუჟეტური პეიზაჟი ნატურმორტი				

18. კლასიფიკაციის პროცესის კვლევა

კლასიფიკაციისთვის საჭირო მასალა: სურათების ნაკრები ზომით 7X7სმ, თითოეული კლასიფიკაციის ჯგუფიდან 5 ცალი სათამაშო, ჭურჭელი, ტანსაცმელი, ავეჯი, შინაური და გარეული ცხოველები, ხილი, ბოსტნეული.

კვლევის მიმდინარეობა: ტარდება ინდივიდუალურად 3-7 წლის ბავშვებთან. ბავშვს სთავაზობენ ბარათებს და სთხოვენ დააჯგუფოს ისინი. თუ ბავშვი დავალებას ასრულებს



კომენტარების გარეშე, ექსპერიმენტატორი აძლევს შეკითხვებს: რატომ დადე ვაშლი აქ? თუ ბავშვი ვერ ახერხებს დაფუფუნებას, ექსპერიმენტატორი იყენებს დამატებით კითხვებს;

შედეგების ანალიზი: თითოეული ბავშვის მონაცემი ფიქსირდება – რა ნიშნის მიხედვით ახდენს ბავშვი დაფუფუნებას, კერძოდ, არსებითი თუ მეორეხარისხოვანი ნიშნით.

19. აზროვნების პროცესზე დაკვირვება

კვლევისთვის საჭირო მასალა: წყალი და საგნები, რომლებიც სხვადასხვა მასალისგან არის გაკეთებული (მეტალის, ცელულოიდის, ხის) და ა.შ.

კვლევის მიმდინარეობა: ექსპერიმენტი ტარდება ბავშვებთან 3-7 წლის ასაკში, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად თამაშის ფორმით. ბავშვს აჩვენებენ რომელიმე საგანს და ეკითხებიან ჩაიძირება თუ იტივტივებს წყალში? პასუხის შემდეგ, ბავშვს სთხოვენ ჩაადოს საგანი წყალში და დააკვირდეს. ექსპერიმენტის დროს ბავშვს უსვამენ შემდეგ კითხვებს: „რატომ ფიქრობ, რომ ჩაიძირება? რატომ იტივტივებს?“

შედეგების დამუშავება: ანალიზდება ბავშვების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მსჯელობა, განზოგადება, რა ნიშნებსა და თვისებებს გამოყოფს ბავშვი მსჯელობისას.

I დონე – ბავშვი გამოჰყოფს საგნის ერთეულ, არაარსებით ნიშნებს, ვერ აცნობიერებს პროცესს და მსჯელობს მარტივი განზოგადების საფუძველზე

II დონე – ბავშვს აქვს უნარი იმსჯელოს, მაგრამ არ შეუძლია ზოგადი ანალიზი გააკეთოს.

III დონე – ბავშვს სწორად აჯგუფებს, მსჯელობასთან ერთად აინტერესებს ცალკეული ცნებები და ცდილობს განზოგადოს და იმსჯელოს, აქტიურად ეძებს პასუხს.

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მეცადინეობათა პროგრამა

4-5 წლიან ბავშვებთან ფსიქო-კორექციული კურსის ამოცანები

1. ბავშვებში შემეცნებითი ინტერესის გაფართოება
2. ბავშვის თვითცნობიერების ამაღლება;
3. კომუნიკაციური უნარების სრულყოფა;
4. ემოციური განვითარება (მიმღებლობა, თანაგრძნობა);
5. წესებისადმი, ინსტრუქციისადმი ქცევის, მოქმედების, აქტივობის დაქვემდებარება;
6. მეხსიერების, აღქმის, აზროვნების, წარმოსახვის განვითარება;
7. ქცევის ზნეობრივი ნორმებისადმი დაქვემდებარება.

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კურსი ითვალისწინებს:

1. შემეცნებითი აქტივობის ამაღლებას; მეცადინეობა მოიცავს საგანთა თვისებების, ფორმების, მოვლენების შესწავლას და კვლევით მუშაობას
2. სენსორული ფუნქციების სრულყოფა.
 - ფერისა და მისი ტონალობების დიფერენცირება;

- ძირითადი ფერების დასახელება;
- ძირითადი გეომეტრიული ფორმების განსხვავება და დასახელება;
- სივრცითი ორიენტაცია (ახლოს, შორის, შორს, წინ, უკან...);
- საგანთა შედარება სიგრძის, სიმაღლის და სისქის მიხედვით;
- საგნის ამოცნობა შეხებით;

3. ა)კოგნიტური სფეროს განვითარება (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება, წარმოსახვა,) განმავითარებელი თამაშების დროს ბავშვებს ვაძლევთ დავალებებს თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნების განსავითარებლად (სურათი „აბდა-უბდა, სურათების ლოგიკური თანმიმდევრობა და ა.შ.) ბ), ემოციური სფეროს განვითარება (ემოციების გაცნობა პიქტოგრამების, ზღაპრების... საშუალებით), გ)წარმოსახვის განვითარება (ნახატის დამთავრება, სათაურის მოფიქრება).

4. სიუჟეტურ-როლებიანი თამაში

4-5 წლის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები

მაჩვენებლები	ნორმა
წამყვანი მოთხოვნილება	ურთიერთობის მოთხოვნილება: შემეცნებითი აქტივობა
წამყვანი ფუნქცია	თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნება
თამაში	თანატოლებთან კოლექტიური, როლებიან-დიალოგური
უფროსებთან ურთიერთობა	გარესიტუაციური – საქმიანი: უფროსი – ინფორმაციის წყარო
თანატოლებთან ურთიერთობა	სიტუაციური – საქმიანი, თანატოლი საინტერესოა, როგორც პარტნიორი თამაშში
ემოციები	შედარებით ზომიერი, ცდილობს გაკონტროლდეს, ემოციური თანაგრძნობის ელემენტები
შემეცნების უნარი	კითხვები, თხრობა, ექსპერიმენტირება
შემეცნების ობიექტი	საგნები და მოვლენები, რომლებიც უშუალოდ არის მოცემული
აღქმა	სენსორული ეტალონების აღქმა, საგანთა თვისებები, თავისებურებები
ყურადღება	ყურადღება დამოკიდებული ინტერესზე, ვითარდება სიმყარე და ნებისმიერი ყურადღების ელემენტები, 10-15წ. ყურად. მოცულობა 4-5 საგანი
მეხსიერება	მოკლე, ეპიზოდური დამახსოვრება, მოცულობა 4-5 საგანი 5-დან 2-3 მოქმედება
აზროვნება	თვალსაჩინო-ხატოვანი
წარმოსახვა	რეპროდუქტიული, შემოქმედებითი წარმოსახვის ელემენტები
წარმატების პირობა	ფართო თვალსაჩინო და კარგად განვითარებული მეტყველება
ამ ასაკობრივი პერიოდის ახალი ფუნქციები	<ol style="list-style-type: none"> 1. მეტყველების მაკონტროლებელი ფუნქცია: მეტყველება შესაძლებლობას უქმნის ბავშვს აკონტროლოს საკუთარი მოქმედება; 2. ელემენტარული დასკვნების გაკეთება; 3. სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის ელემენტების აღმოცენება



ფსიქოლოგიის მასაინჟინოებათა თემატიკური ბაზა
(4-5 წლის ასაკი)

სექტემბერი	1. გაცნობა 2. მოდით ვიმეგობროთ 3. ჯადოსნური სიტყვები 4. მეცადინეობაზე ქცევის წესები
ოქტომბერი	5. სიხარული, მონონება 6. ბრაზი, მრისხანება 7. გაკვირვება 8. შიში
ნოემბერი	9. სიმშვიდე 10. ემოციების ლექსიკონი 11. სენსორული ეტალონების აღქმა (ფერი, ფორმა, სიდიდე)
დეკემბერი	12. საგანთა თავისებურებათა აღქმა (მძიმე, მსუბუქი, გამჭვირვალე) 13. დიაგნოსტიკა 14. დიაგნოსტიკა
იანვარი	15. ჩემი დამხმარე თვალები 16. ჩემი დამხმარე ყურები 17. ჩემი დამხმარე ცხვირი
თებერვალი	18. ჩემი დამხმარე პირი 19. ჩემი დამხმარე ხელები 20. ჩემი დამხმარე ფეხები
მარტი	21. გამარჯობა გაზაფხულს 22. სტუმრად ზღაპართან 23. გოგონები და ბიჭუნები
აპრილი	24. სტუმრად ზღაპართან 25. დიაგნოსტიკა 26. დიაგნოსტიკა

მეცადინეობის ნიმუში

(კვლევა)

მიზანი:

1. მხედველობითი მახასიათებლების კვლევა;
2. აზროვნების კვლევა (გონებრივი ოპერაციები: ანალიზი, გამორიცხვა, განზოგადება);
3. ყურადღების კვლევა (კონცენტრაცია, განაწილება);
4. კომუნიკაციური უნარების კვლევა

მასალა: სათამაშო დათუნია, სავარჯიშო რვეულები, ფერადი და უბრალო ფანქრები
| ეტაპი - ორგანიზაციული.

მისალმება.



II ეტაპი – მოტივაციური.

ამ ეტაპზე ფსიქოლოგს შემოჰყავს სათამაშო დათუნია, რომელიც ბავშვებთან ერთად მეცადინეობს, თამაშობს და ურთიერთობს.

III ეტაპი – პრაქტიკული.

ა) დავალება „დაიმახსოვრე“ – სავარჯიშო რვეულებში.

ფსიქოლოგი: ჩვენ დავგვებმარება თვალები. დააკვირდით ყურადღებით სურათს და დაიმახსოვრეთ რაც შეიძლება მეტი საგანი (30 წმ-ის განმავლობაში) შემდეგ კი ჩამოთვალეთ ის საგნები, რომლებიც დაიმახსოვრეთ;

ბ) დავალება – საახალწლო ორნამენტი. დავალება სრულდება სამუშაო რვეულში. ინსტრუქციის მიხედვით მუშაობა.

ფსიქოლოგი: რვეულის მარცხენა მხარეს დახატულია ლამაზი ხალიჩა, მარჯვენა მხარეს კი დაუმთავრებელია, აიღეთ ფერადი ფანქრები და დაასრულეთ ხალიჩა.

გ) მოძრავი თამაში. ლოლოები, თოვლის ძალიან დიდი გუნდა, ფიფქები.

ფსიქოლოგი ბავშვებს სთავაზობს თამაშს, რომელიც მოითხოვს მათგან ყურადღებას.

ფსიქოლოგი: როცა ვიტყვი „ლოლოები“, ანევეთ ორივე ხელს ზემოთ და აინევით ფეხის წვერებზე (ფსიქოლოგი აჩვენებს), თუ ვიტყვი თოვლის „დიდი გუნდა“, ხელებს განევთ განზე, თითქოს ხელში დიდი გუნდა გიჭირავთ (ფსიქოლოგი აჩვენებს ბავშვებს), ხოლო თუ ვიტყვი სიტყვას „ფიფქები“, უნდა იბზრიალოთ, როგორც ფიფქებმა.

დ) დავალება „დაამთავრე ნახატი“

ფსიქოლოგი სთხოვს ბავშვებს დაასრულონ ნახატი (გირლიანდები, ორნამენტი და ა.შ.).

ე) დავალება „იპოვე ზედმეტი“ (სრულდება დაფაზე)

ფსიქოლოგი სთხოვს ბავშვებს რიგრიგობით მივიდნენ დაფასთან, რაზეც მიმაგრებულია ბარათები სხვადასხვა საგნების ნახატებით, უნდა გამოიყონ ზედმეტი საგნები და ახსნან არჩევანი.

IV ეტაპი – რეფლექსიური (შეჯამება, რეფლექსია, დამშვიდობება)

ფსიქოლოგი: რომელი თამაში ან დავალება მოგეწონათ? რატომ? ბავშვები ემშვიდობებიან ერთმანეთს (წრეში დგანან და სახელით მიმართავენ ერთმანეთს)

მეცადინეობის ნიმუში „ჩემი დამხმარე თვალები“

მიზნები:

1. ალქმის განვითარება
2. მხედველობითი მეხსიერების განვითარება;
3. შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება.

მასალა: დახატული ბავშვის ფიგურა დიდი თვალებით, სათამაშოები, სავარჯიშო რვეულები, ფერადი ფანქრები.

I ეტაპი – ორგანიზაციული

მისაღმება.

ფსიქოლოგი ესაუბრება ბავშვებს იმაზე, თუ რისთვის სჭირდება ადამიანს თვალები, რომ არსებობს სხვადასხვა ფერის თვალები და ა.შ.



II ეტაპი – მოტივაციური. „გასეირნება ტყეში“ (რითმული მუსიკის ქვეშ) ვარჯიში.

ა) ფსიქოლოგი სთავაზობს ბავშვებს: გავსეირნოთ ტყეში დათუნისასთან ერთად. მე და დათუნია წინ გაგიძღვებით, თქვენ კი უკან მომყვებით და ჩემთან ერთად შეასრულებთ მოქმედებებს: ჩვენ მივდივართ ტყეში, ერთი, ორი, ერთი, ორი (ბავშვები მარშირებენ), უნდა ვნახოთ მელა, ქორი, ერთი, ორი, ერთი, ორი.

გადავივლით მთებს და ზღვებს,
მდინარეს და ხევს.

გავიხედოთ მარჯვნივ, გავიხედოთ მარცხნივ,

ავიხედოთ ზემოთ, დავინახოთ მზე.

დავიხედოთ ძირს, ვნახოთ ხომ არ წვიმს,

ერთი, ორი, ერთი, ორი.

ბ) ვარჯიში თვალებისათვის.

ფსიქოლოგი: უნდა ვავარჯიშოთ თვალები, ჩემთან ერთად დახუჭეთ მარჯვენა თვალი – გაახილეთ. დახუჭეთ ორივე თვალი – გაახილეთ. 3-ჯერ დაახამხამეთ მარჯვენა თვალი, შემდეგ 3-ჯერ მარცხენა თვალი, შემდეგ 3-ჯერ ორივე თვალი. ეხლა კარგად დახუჭეთ ორივე თვალი – გაახილეთ.

გ) „დაიმახსოვრე შენი მეგობრები“

ფსიქოლოგი: კარგად დააკვირდით თქვენ გვერდით მეგობარს და ამიღწერეთ იგი

დ) თამაში „დახუჭობანა“.

ბავშვების წინ დგას კალათი, რომელშიც დევს სხვადასხვა ნივთები. ბავშვები სათითაოდ მიდიან კალათასთან და ირჩევენ რომელიმე ნივთს, კარგად დაათვალიერებენ და დებენ ცენტრში, შემდეგ ბავშვები ხუჭავენ თვალებს, ფსიქოლოგი იღებს რომელიმე ნივთს, ახასიათებს, ბავშვებმა უნდა გამოიცნონ რომელი ნივთი აღწერა ფსიქოლოგმა.

ე) დავალება „გამოიცანი რამდენი საგანია დახატული“.

ვ) დავალება „მოძებნე ზუსტად ასეთი“.

ზ) დავალება „დაასრულე ნახატი“.

IV ეტაპი – რეფლექსიური.

უფროს სკოლაშდელთა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მეცადინეობათა პროგრამა

5-6 წლიანებთან ფსიქო-კორექციული კურსის ამოცანები

1. ფსიქიკური პროცესებისა და ნებელობის განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა
2. ბავშვის შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება;
3. ბავშვებში ინიციატივის, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება;
4. ბავშვის თვითცნობიერების ხარისხის ამაღლება
5. კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება;
6. ბავშვების, უფროსების ერთობლივი ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის უნარის განვითარება.



5-6 წლიანთა ასახოებითი ბანკითა და მათი თვისებები

მაჩვენებელი	ნორმა
წამყვანი მოთხოვნები	ურთიერთობის მოთხოვნები
თამაში	თამაშის შინაარსის განხილვა, ხანგრძლივი თამაშის პროცესი
უფროსებთან ურთიერთობა	არასიტუაციური-საქმიანი + სიტუაციური-პროვოკაციული; უფროსი ადამიანი – ინფორმაციის წყარო, თანამოსაუბრე
ურთიერთობა თანატოლებთან	სიტუაციური-საქმიანი: თამაშის პროცესში პარტნიორის მიმართ ღრმა ინტერესი, ურთიერთობის უპირატესობა
ემოციები	ოპტიმისტური, ზომიერი განწყობის უპირატესობა
შემეცნების საშუალება	უფროსებთან, თანატოლებთან ურთიერთობა, დამოუკიდებელი ქმედება, ექსპერიმენტირება
შემეცნების ობიექტი	უშუალოდ არააღქმადი საგნები და მოვლენები, ზნეობრივი ნორმები
აღქმა	ცოდნა საგნების თვისებების შესახებ, დამახსოვრება (დროის, სივრცის აღქმა), ცოდნა – გამოიყენება სხვადასხვა სახის მოქმედებაში
ფურცადობა	ნებისმიერი ყურადღების ფორმირება, ყურადღების შეჩერება შეუძლია 15-20 წთ, ყურადღების ობიექტი 8-10 საგანი
მეხსიერება	მიზანმიმართული მეხსიერების განვითარება, მეხსიერების მოცულობა 5-7 საგანი (10 საგნიდან), 3-4 მოქმედება
აზროვნება	თვალსაჩინო-ხატოვანი, ლოგიკური აზროვნების დასაწყისი
ჭარმოსახვა	შემოქმედებითი წარმოსახვის განვითარება
წარმატების პირობები	ფართო თვალსაჩინო, კარგად განვითარებული მეტყველება
ასაკობრივი პერიოდის ახალი ფუნქციები	1) მეტყველების ფუნქცია (დაგეგმვა) 2) წინასწარ აღფრთოვანება შედეგებით
	მაღალ გრძობათა ფორმირება – ინტელექტუალური, მორალური და ესთეტიკური

5-6 წლიანთა ფსიქოლოგიური მახასიათებლის თანახმი ბავშვები

სექტემბერი	მეცადინეობა 1. გაცნობა მეცადინეობა 2. ჩვენი ჯგუფი. რა შეგვიძლია ჩვენ მეცადინეობა 3. მეცადინეობაზე ქცევის წესები მეცადინეობა 4. ქვეყანა „ფსიქოლოგია“
ოქტომბერი	მეცადინეობა 5. სიხარული, მოწყვნილობა მეცადინეობა 6. ბრაზი, მრისხანება მეცადინეობა 7. გაკვირვება მეცადინეობა 8. შიში
ნოემბერი	მეცადინეობა 9. სიმშვიდე მეცადინეობა 10. ემოციების ლექსიკონი მეცადინეობა 11. შემოდგომის დღესასწაული მეცადინეობა 12. წარმოსახვის ქვეყანა
დეკემბერი	მეცადინეობა 13. სტუმრად ზღაპართან მეცადინეობა 14. დიაგნოსტიკა მეცადინეობა 15. დიაგნოსტიკა მეცადინეობა 16. საახალწლო ზეიმი



იანვარი	მეცადინეობა 17. ეტიკეტი, გარეგნული იერსახე მეცადინეობა 18. ეტიკეტი, ქცევა საზოგადოებრივ ადგილებში მეცადინეობა 19. ეტიკეტი, მაგიდასთან ჯდომის და ჭამის წესები
თებერვალი	მეცადინეობა 20. ეტიკეტი, საჩუქრის მიღება, გაცემა მეცადინეობა 21. ეტიკეტი, სტუმრის მიღება, გაცილება მეცადინეობა 22. ურთიერთგაგების ჯადოსნური ხერხები მეცადინეობა 23. სამშობლო, მისი მოვლა და დაცვა
მარტი	მეცადინეობა 24. დედის და მამის პატარა დამხმარეები მეცადინეობა 25. მე და ჩემი ოჯახი მეცადინეობა 26. მე და ჩემი მეგობრები მეცადინეობა 27. მე და ჩემი სახელი
აპრილი	მეცადინეობა 28. „მე“ – ხასიათის თავისებურებები მეცადინეობა 29. „მე“ – განსაკუთრებული მეცადინეობა 30. დიაგნოსტიკა მეცადინეობა 31. დიაგნოსტიკა

მეცადინეობისთვის საჭირო აღჭურვილობა:

1. აუდიოვიდეოთექვა;
2. ფონოტექვა და ფილმოთექვა;
3. სამაგიდო თამაშები;
4. სათამაშოები;
5. დაფა;
6. ფერადი ცარცები;
7. პლასტელინი;
8. ფერადი საღებავები, ფანქრები, ფლომასტერები;
9. თეთრი და ფერადი ქაღალდი;
10. სამშენებლო მასალა (კუბები, კონსტრუქტორი);
11. ხალიჩა;
12. სავარჯიშო რვეულები.

მეცადინეობის ჩატარების პრინციპები:

- მასალის მიწოდების სისტემურობა;
- სწავლების თვალსაჩინოება;
- მეცადინეობის ციკლური წყობა;
- მისაწვდომობა;
- პრობლემის წამოჭრა და გადანყვეტა
- სასწავლო მასალის განმავითარებელი და აღმზრდელობითი ხასიათი.

მეცადინეობის ეტაპები:

1. საორგანიზაციო ეტაპი
 - ა) ემოციური ატმოსფეროს შექმნა ჯგუფში;
 - ბ) სავარჯიშოები და თამაშები ბავშვების ყურადღების მისაპყრობად.
2. მოტივაციური ეტაპი
 - ა) მეცადინეობის შინაარსის გაცნობა, თემატიკის მიმოხილვა;



- ბ) ამ თემატიკის გარშემო ბავშვთა ინფორმირებულობის ხარისხის გამოკვლევა.
- 3. პრაქტიკული ეტაპი
 - ახალი ინფორმაციის მიწოდება არსებული ცოდნის საფუძველზე;
 - შემეცნებითი პროცესების განმავითარებელი დავალებები (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, წარმოსახვა, შემოქმედებითი უნარები);
 - მიღებული შედეგების დამუშავება.
- 4. რეფლექსიის ეტაპი
 - მიღებული ცოდნის განზოგადება;
 - მიღებული შედეგების შეჯამება.

მეტადინეობის ნიშნები „სიხარული, მოწყენილობა“

(5-6ს.)

მიზანი:

1. გავაცნოთ ბავშვებს სიხარულის და მოწყენილობის გრძნობა;
2. ინტონაციის, პანტომიმიკის, მიმიკის საშუალებით გავაცნოთ და ვასწავლოთ ბავშვებს ემოციური მდგომარეობის გამოხატვა;
3. არასწორ ქცევასა და მოქმედებაზე ადექვატური ემოციური რეაგირების უნარის ფორმირება (ბავშვს აქვს უფლება გამოავლინოს ემოცია, რომელიც მას აძლევს საშუალებას გაამდიდროს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება);
4. ვასწავლოთ ბავშვებს სიხარულის, მოწყენილობის და სხვა გრძნობათა გამოხატვა ხატვის საშუალებით.

მასალა: მუსიკის შესაბამისი აუდიო ჩანაწერი, მაგნიტური დაფა, სიუჟეტური სურათები მხიარული და მოწყენილი პერსონაჟები (ზღაპრის გმირები, ცხოველები და ა.შ.) ფერადი ფანქრები, სამუშაო რეგულაჟები, პიქტოგრამები (სმაილები) მხიარული და მოწყენილი.

I ეტაპი – მისალმება (თბილი ემოციური ატმოსფეროს შექმნა ჯგუფში) შეიძლება გამოყენებული იქნას ლექსი და ა.შ.)

II ეტაპი – მოტივაციური (გამოიყენება წინასწარ შერჩეული ზღაპარი ან მოთხრობა, რომელშიც არიან მხიარული და მოწყენილი გმირები. ფსიქოლოგი ვიზუალური მასალის გამოყენებით ბავშვებს უამბობს ნელი, აუჩქარებელი ტემპით)

III ეტაპი – პრაქტიკული.

ა) ფსიქოლოგი ბავშვებთან ერთად აწყობს ზღაპრის რომელიმე ეპიზოდის ინსცენირებას, როლურ გათამაშებას, ბავშვები სწავლობენ ინტონაციის, პანტომიმიკის, მიმიკის საშუალებით ამ გრძნობების გარეგნულ გამოხატვას. ინსცენირების შემდეგ ფსიქოლოგი ბავშვებთან ერთად მსჯელობს და განიხილავს გმირთა ემოციურ მდგომარეობას და ემოციის, გრძნობის გამოხატვას;

ბ) „ჩემი სიხარული“ – დასახატი თემა

ამ დავალების შესრულების დროს სასურველია კარგი განწყობილების შესაქმნელი მელოდია. ბავშვებს ურიგდებათ ფერადი ფანქრები (საღებავები) და სამუშაო სახატავი რეგულაჟები, ფურცლები. ფსიქოლოგი სთავაზობს მათ: გაიხსენეთ ის დღე, როცა იყავით



გახარებული, რას აკეთებდით, როგორი იყო თქვენი განწყობა რა ფერით შეიძლება გამოხატოთ თქვენი სიხარული? ბავშვები ასრულებენ დავალებას და შემდეგ ხდება განხილვა.

გ) თამაში „იყავი ყურადღებით“. ფსიქოლოგი ბავშვებს აჩვენებს პიქტოგრამებს (მონყენილი, მხიარული, გაბრაზებული...) შემდეგ კითხულობს სხვა-დასხვა ლექსს (ან წინადადებას, სადაც გამოყენებულია სიტყვები: მონყენილი, მხიარული, გაბრაზებული) ბავშვებმა უნდა მიუთითონ შესაბამისი პიქტოგრამა.

დ) საუბარი პიქტოგრამების მიხედვით. „მხიარული“, „მონყენილი“.

ფსიქოლოგი: პიქტოგრამებში მოძებნეთ მხიარული ადამიანის გამოსახულება, დააკვირდით: იღიმება, თვალები თითქოს სიხარულით ანათებს. როგორ ფიქრობთ, რას გრძნობს გახარებული ადამიანი? (ბავშვების პასუხი).

ფსიქოლოგი: გახარებული ადამიანი იღიმის, თითქოს გრძნობს, რომ შეუძლია ფრენა, ხტუნვა, ხანდახან სიხარულისაგან შეიძლება იყვიროს, გრძნობს, რომ უფრო ძლიერია და დარმუნებულია საკუთარ ძალებში, ყველაფერს ხალისით და სიამოვნებით აკეთებს. აბა მაჩვენეთ, როგორები ხართ როცა გიხარიათ? (ბავშვები ცდილობენ გამოხატონ გარეგნულად). დააკვირდით, რა სასიამოვნოა, როცა განიცდით სიხარულს.

ახლა კი მოძებნეთ მონყენილი ადამიანის გამოსახულება (გრძელდება ანალოგიური სქემა)

IV ეტაპი – რეფლექსიური

მეცადინეობის შეჯამება, რეფლექსია, დამშვიდობების რიტუალი.

ფსიქოლოგი: ჩვენ ძალიან ბევრი რამ გავიგეთ სიხარულისა და მონყენილობის გრძნობის შესახებ. მითხარით, თუ შეიძლება, მხიარულება კარგია თუ ცუდი? რატომ? როგორ მოვიქცეთ, როცა ცუდ ხასიათზე და მონყენილები ვართ? (ბავშვების პასუხი).

ა) გავიხსენოთ რაიმე მხიარული ისტორია; ბ) მოვიგონოთ რაიმე სასიხარულო ამბავი; გ) დაეხატოთ მხიარული ნახატი და ა.შ.

დამშვიდობება: ბავშვები ღიმილით ემშვიდობებიან ერთმანეთს

მეცადინეობის ნიმუში

(5-6 წლ.)

(კვლევა)

მიზანი:

1. კომუნიკაციური და ემოციური სფეროს კვლევა
2. მხედველობითი მეხსიერების კვლევა
3. აზროვნების კვლევა (განზოგადება, სინთეზი, გამოსახვა, კონკრე-ტულობა);
4. ყურადღების კვლევა
5. წარმოსახვის კვლევა.



მასალა:

სავარჯიშო რეჟულები, ფერადი ფანქრები, ბარათები, რომელზეც დახატულია საგნები, ემოციების კუბიკი, გაზეთი.

I ეტაპი – ორგანიზაციული.

მისალმება. ბავშვები დგებიან წრეში და ერთმანეთს ეუბნებიან „გამარჯობას“ სხვადასხვა განწყობით: ჩურჩულით, მთქნარებით (ზარმაცვივით), ჩვეულებრივ, ხმამაღლა და წამღერებით.

II ეტაპი – მოტივაციური.

ფსიქოლოგს ბავშვებთან ურთიერთობისთვის შემოჰყავს სათამაშო ბაჭია, (ძალლი...) სანამ გააცნობს სტუმარს, მათ უნდა გამოიცნონ მინიშნებებით.

დავალება „გადავლახოთ წინააღმდეგობები“. ფსიქოლოგი წინასწარ ამზადებს ინვენტარს, რათა მოახდინოს მხიარული შეჯიბრება, მაგ. ბურთებით ხტუნვა, კუსავით სიარული, ფიფქივით ტრიალი და ა.შ. შეჯიბრის შემდეგ სტუმარი ბაჭია ასაჩუქრებს პრიზებით (ვარსკვლავები, სათამაშოები და ა.შ.).

III ეტაპი – პრაქტიკული

ა) მხედველობითი მეხსიერების კვლევა – დასამახსოვრებლად ბავშვებს ეძლევათ საგნები (30 წმ-ის განმავლობაში).

ბ) ყურადღების კონცენტრაციის კვლევა ტესტი „გრაფიკული კარნახი“ თამაში „ემოციის კუბიკი“.

ბავშვები სხდებიან წრეში და ფსიქოლოგთან ერთად იხსენებენ რომელი ემოცია ისწავლეს, შემდეგ რიგრიგობით ერთმანეთს გადასცემენ კუბიკს, რომლის ყველა გვერდზე დახატულია ემოციის გამომხატველი სახეები, თითოეულმა უნდა დაასახელოს და გადმოსცეს ემოცია, მაგ: მხიარული ადამიანი, მოწყენილი ბაჭია და ა. შ.

მოდრავი თამაში „გაზეთი“ (გაზეთი გაშლილია იატაკზე).

ფსიქოლოგი: მუსიკის გაგონებაზე, მოძრაობთ წრეზე გაზეთის გარშემო, როგორც კი მუსიკა შეწყდება, უნდა მოასწროთ გაზეთზე დადგომა. შემდეგ ისევ იყდერებს მუსიკა (მანამდე გაზეთი იკეცება ორად). მუსიკის გაჩერებისთანავე ბავშვები უნდა დადგნენ გაზეთზე, ვინც ვერ მოასწრებს, გადის თამაშიდან და ა.შ. გაზეთი იკეცება იქამდე, ვიდრე ფეხის დადგმა შეუძლია ერთ ბავშვს.

დავალება „დაუმთავრებელი სურათები“

ფსიქოლოგი: ყურადღებით დააკვირდით სურათს და დაასრულეთ თამაში „იყავი ყურადღებით“.

ფსიქოლოგი: ყურადღებით მომისმინეთ და ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე საჩვენებელი თითით მაჩვენეთ: იატაკი (ბავშვები საჩვენებელ თითს იშვერენ ქვემოთ), ჭერი (თითს იშვერენ ზემოთ), ცხვირი, მარჯვენა ფეხი, მარცხენა ფეხი და ა.შ.

IV ეტაპი – რეფლექსიური.

შედეგების შეჯამება, რეფლექსია და დამშვიდობების რიტუალი.



განავითარებალი მეცადინეობის ნიშუმი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის

სკოლამდელ ასაკში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ემოციურ-ნებელობით და შემეცნებითი სფეროს განვითარებას. ამ სფეროთა არასაკმარისი განვითარება იწვევს მრავალ ფსიქოლოგიურ პრობლემას და ნერვულ-ფსიქიკურ დარღვევას.

მნიშვნელოვანია იმ ცხოვრებისეული უნარების ფორმირება, რომელიც გააადვილებს გარემოსთან ადაპტაციას.

ბავშვის ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შენარჩუნება ნიშნავს: – ვასწავლოთ მას ადაპტაცია ნებისმიერ გარემოში, წინააღმდეგობა გაუწიოს სტრესულ სიტუაციებს და შემოქმედებითად მიუდგეს სინამდვილეს, რეალობას.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებს აქვთ არამდგრადი ემოციურ-ნებელობითი რეგულაცია: მათ არ შეუძლიათ მართონ საკუთარი ემოციური მდგომარეობა.

ამ მიმართულებით მუშაობა გულისხმობს ფსიქოლოგის, პედაგოგის და ბავშვის ურთიერთშეგავლენას, რომელთა მიზანია:

- ბავშვის შემოქმედებითი, ემოციურ-ზნეობრივი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება;
 - ურთიერთობის უნარჩვევათა ფორმირება თანატოლებთან და უფროსებთან;
 - პიროვნების ფორმირება, თვითშემეცნების უნარის განვითარება, ქცევის რეგულაცია;
 - სამყაროს სურათის ობიექტური და პოზიტიური აღქმა
- ძირითადი პრიორიტეტები:
1. თანაგრძნობის უნარის განვითარება. „მე“-სა და სხვების უკეთ გაგება და თვითმყოფადობა;
 2. თვითგამოხატვის საშუალებათა ფლობა (მიმიკა, ჟესტები)
 3. არასასურველი პიროვნული თვისების, ქცევის, განწყობის კორექცია;
 4. ურთიერთობის უნარ-ჩვევათა განვითარება ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, ადეკვატური თვითშეფასების ფორმირება;
 5. დადებითი თვითშეფასების, თვითკონტროლის, ნებისყოფის განვითარება
 6. მესხიერების, ყურადღების, აზროვნების, აღქმის, შემოქმედებითი უნარების, წარმოდგენის, მეტყველების განვითარება და სრულყოფა.

მეცადინეობის ორგანიზაცია

მეცადინეობის სტრუქტურას აქვს კომპლექსური, კომბინირებული ხასიათი და ემყარება პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას, მეცადინეობის ფორმა არის ჯგუფური ან ქვეჯგუფური და ეფუძვნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) კეთილგანწყობა და პატივისცემა თითოეული ბავშვის ინტერესების, მოთხოვნების მიმართ;
- ბ) თითოეული ბავშვი უნიკალურია, აქცენტი კეთდება მის ძლიერ მხარეებზე
- გ) დაუშვებელია მენტორული პოზიცია, შენიშვნები წარუმატებლობის შემთხვევაში;



- დ) მეცადინეობები უნდა მიმდინარეობდეს თამაშის ფორმაში
- ე) დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის მიერ საკუთარი ნამუშევრის დამოუკიდებელ შეფასებას, რაც განაპირობებს ბავშვში ობიექტური თვითშეფასების ჩამოყალიბებას
- ვ) ბავშვში უსაფრთხოებისა და თავისუფლების გრძნობის ჩამოყალიბება, რაც საშუალებას მისცემს უკეთესად გამოხატოს „მე“, საკუთარი ემოციები და გრძნობები;
- ზ) უფროსი ადამიანის პოზიცია ბავშვის მიმართ აგებულია თანამშრომლობის პრინციპზე;
- თ) გამოყენებული უნდა იყოს სტიმულირების სხვადასხვა საშუალებები: წახალისება, დარწმუნება, ჩვენება, შეფასება

მეცადინეობები უნდა ჩატარდეს კვირაში ერთხელ. თემატიკა და მეცადინეობის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული ჯგუფის პრობლემას.

უფროს სკოლამდელთათვის იქმნება ცალკე განმავითარებელ კორექციული ჯგუფი, 6-8 ბავშვის შემადგენლობით და საერთო პრობლემით. მაგ: ბავშვები, რომლებსაც აქვთ შიშები, არასტაბილური ყურადღება და ა.შ.

მეცადინეობის კურსი საშუალოდ შედგება 18 მეცადინეობისგან, თითოეულ მეცადინეობაში შედის ეტიუდი, თამაში, ვარჯიში, ასევე წუთშესვენება და ფსიქოლოგიური განტვირთვა. მეცადინეობა გრძელდება 20-30წთ, ხანგრძლივობა დამოკიდებულია ბავშვის ყურადღების ხარისხზე, ასაკსა და ქცევაზე. თითოეული მეცადინეობა შედგება 3 ძირითადი ნაწილისაგან:

1. ემოციურ-ნებელობითი სფეროს განვითარება და კორექცია.

- ემოციური მდგომარეობის გადაცემა და განსაზღვრა მიმიკისა და შესტების საშუალებით;
- თამაშები გამომხატველი მოძრაობების შესასწავლად;
- ფსიქოლოგიური ეტიუდები სხვადასხვა შესტების, პოზის, სიარულის გამოსაცნობად;
- თამაშები კომუნიკაციური უნარებისა და ურთიერთობების კორექციისათვის;
- შიშების და შფოთვის ხარისხის კვლევა და კორექცია
- ეტიკეტის შესწავლა.

2. შემეცნებითი სფეროს განვითარება და კორექცია.

მეცადინეობის ამ ნაწილში ტარდება თამაშები და ვარჯიშები ზოგადი თვალსაწიერის გასაფართოვებლად. მეცადინეობის დროს ბავშვები იღებენ ინფორმაციას ვიზუალურად, აუდიალურად და კინესთეტიკურად. იმისათვის, რომ მოხდეს შემეცნებითი პროცესების განვითარება, გამოყენებული უნდა იყოს ალქმის ყველა სენსორული არხი, ამაში შედის შეხებითი, ყნოსვითი და სმენითი ალქმის განმავითარებელი თამაშები.

3. ბავშვების მიერ რელაქსაციის მეთოდების შესწავლა.

გამოიყენება დაძაბულობისა და მოდუნების ვარჯიშები. აუტოტრენინგის დროს შეიძლება გამოყენებული იყოს რელაქსაციური მუსიკა მაგ: „ბუნებაში არსებული ხმები“, რელაქსაციური ტექსტი უნდა იყოს ლექსის სახით. დასკვნითი ნაწილში ხდება განხილვა და უკუკავშირის დამყარება.



სათამაშო ბავშვის ცხოვრებაში

პირველ თვეებში ბავშვი ეცნობა გარემომცველ სამყაროს და ამ ასაკში მნიშვნელოვანია რგოლისმაგვარი რეზინის სათამაშოები, ჩხაკუნები, სანოლში ჩამოსაკიდი სათამაშოები, რომლებიც უნდა იყოს ლამაზი ფერის, 5-6 თვიდან ბავშვს ესაჭიროება ისეთი სათამაშოები, რომელიც ხმას გამოსცემს და შესაძლებელია სხვადასხვა მანიპულაცია, 6-9 თვიდან სათამაშოების არსენალს ემატება ერთმანეთში ჩასაწყობი სათამაშოები, რომელიც ავითარებს ბავშვის აზროვნებით პროცესს, სათამაშო ცხოველები და თოჯინები დიდი ზომის, რომელსაც კარგად აქვს გამოხატული სახის ნაკვთები და შემადგენელი ნაწილები.

9-12 თვიდან შეიძლება მოძრავი სათამაშოები, 10-12 თვიდან კუბები და პირამიდები, რომელიც შედგება 3-5 ნაწილისგან.

3 წლისთვის ბავშვის სათამაშოები უნდა იყოს დიდი ზომის: დიდი თოჯინა, მანქანა, ცხოველები, პირამიდები, კონსტრუქტორები.

4-5 წლისთვის ბავშვები ინტერესდებიან სხვადასხვა ტიპის სათამაშოებით.

5-6 წლისთვის იზრდება ინტერესი მოდელირების, მოზაიკის „კონსტრუირების მიმართ.

ზემოთ ჩამოთვლილი სათამაშოები მიეკუთვნება „მზა ფორმების“ სათამაშოებს, რომელიც მზადდება ქარხნული წესით, ამის გარდა ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ტიპის ე.წ. სათამაშოები, რომლებიც ასრულებენ სათამაშოების შემცველებს, (უფროსების აზრით არასაჭირო ნივთები,) თუმცა ბავშვის ფანტაზიის და კრეატიულობის გასაავითარებლად უმნიშვნელოვანესია, მაგ: ქსოვილის ნაჭერი, კოლოფები, პატარა ჯოხები, ნივთის ნატეხები და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია ხელნაკეთი სათამაშოები, რომელსაც ერთობლივად ქმნით, მაგ: ნაჭრის თოჯინა მარიონეტი, სახლი, გემი, მანქანა და ა.შ. ხის ნაჭრების, კუბიკების, ხის კოვზების, ფენოპლასტის და სხვა მასალების საშუალებით.

თუ გადაწყვიტეთ სათამაშოების შექმნა, დაიმახსოვრეთ 4 წესი:

1. სათამაშო უნდა იყოს უსაფრთხო (მასალის ხარისხი);
2. სათამაშოს ესთეტიკური სახე;
3. სათამაშო უნდა იყოს ასაკის შესაფერისი;
4. სათამაშოს მრავალფუნქციურობა

როლებიანი თამაშის მნიშვნელობა

„როლებიანი თამაშის მნიშვნელობა“ ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას განაპირობებს ის, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს გაითავისოს, შეასრულოს სხვადასხვა სოციალური როლი. სოციოდრამატული თამაშის გამოყენება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ხელს უწყობს მათ სოციალურ-ემოციურ განვითარებას, ამისათვის გამოიყენება ა) როლებით ვარჯიში ბ) ფსიქოდრამა-ფსიქოლოგიური ეტიუდი გ) სიტუაციის როლური გათამაშება.

უმცროსი სკოლამდელი ასაკიდან გამოიყენება როლებით ვარჯიში (ხტუნვა ბაჭიასავით, მგელივით..) და ხმით მიბაძვა: კნავილი, ღრუტუნი...



უმცროს და უფროს სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან შესაძლებელია ზღაპრის პერსონაჟებისა და გმირების როლური გათამაშება.

ფსიქოდრამის გამოყენების შემთხვევაში ბავშვებმა უნდა გაცვალონ მსხვერპლისა და თავდამსხმელის როლი, შექმნან საგმირო სიტუაცია, რომელიც ქმნის შესაბამის ემოციურ დატვირთულობას.

მეცადინეობის მთავარი მიზანია – ბავშვმა შეცვალოს ჩვეული განწყობები და ქცევა. ე.ი. უნდა შეიქმნას პირობები ახალი, უფრო ეფექტური კომუნიკაციური უნარ-ჩვევების და ქცევის ფორმირებისათვის.

ტრენინგის დროს ბავშვებში ფორმირდება:

- 1) საკუთარი სახელის გათავისება-მიღება;
- 2) საკუთარი ხასიათისა და ჩვევების გათავისება-მიღება;
- 3) საკუთარი წარსულის, აწმყოსა და მომავლის გათავისება-მიღება;
- 4) საკუთარ მოვალეობათა და უფლებათა გაცნობიერება, გათავისება.

ზ. ფროიდი თვლიდა, რომ ბავშვისთვის ყველაზე საყვარელი და ყოვლისმომცველი ქცევა არის თამაში, მისი აზრით, თამაშის პროცესში ბავშვი ჰგავს გენერალს, ის ქმნის თავის საკუთარ სამყაროს, თამაში ბავშვისთვის სერიოზული აქტივობაა, ამიტომ მასში დებს ყველა ემოციას. ზ.ფროიდმა პირველად გამოიყენა თამაში, როგორც თერაპიული მეთოდი.

ლ. ფრენკი თვლიდა, რომ თამაში ბავშვისათვის არის საშუალება ისწავლოს ის, რასაც სხვა ვერ ასწავლის, იცხოვროს რეალურ სამყაროში, დროსა და სივრცეში. იგი იკვლევს საგნებს და ადამიანებს, იფართოვებს წარმოსახვას, იძენს ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს და ა.შ.

ჟ. პიაჟეს აზრით, თამაში არის ხიდი კონკრეტულ გამოცდილებასა და აბსტრაქტულ აზროვნებას შორის, აქვს მნიშვნელოვანი სიმბოლური ფუნქცია.

ზ. ფროიდის შემდეგ ფსიქოთერაპიაში ორი სკოლა შექმნეს მ. კლაინმა (1919წ.) და ა. ფროიდმა. მათი მუშაობა გულისხმობდა მშობლებთან რეგულარულ კონტაქტს და დაკვირვებას ბავშვის თამაშზე. მ. კლაინი თვლიდა, რომ ბავშვის თამაშიც იმართება ფარული მოტივებითა და თავისუფალი ასოციაციებით. მისი ფსიქოთერაპია ბავშვებთან ეფუძნებოდა:

1. არაცნობიერის გამოკვლევას
2. ტრანსფერის ანალიზს ანუ „გადატანას“.

მ. კლაინმა პირველმა წამოჭრა საკითხი სათამაშო მასალის და სათამაშო ოთახის მოწყობასთან დაკავშირებით. ა. ფროიდმა ბავშვებთან ფსიქოთერაპიული მუშაობისას პირველად გილზე დააყენა ბავშვთან კონტაქტი, რაპორტი. ის ცდილობდა ბავშვის თამაშზე დაკვირვებით ეპოვა არაცნობიერი მოტივები.

ა. ფროიდი და მ. კლაინი ამტკიცებდნენ, რომ მნიშვნელოვანია ბავშვის წარსული და „ეგო“-ს გაძლიერება. ფსიქოთერაპიული სესიის დროს ისინი ქმნიდნენ თამაშის სიტუაციას, სადაც ბავშვი თავს გრძნობდა თავისუფლად,

ბავშვს ეძლეოდა სპეციალურად შერჩეული სათამაშოები, ხდებოდა ტრავმატული ეპიზოდების გათამაშება, რასაც უწოდეს „აქტიური თამაშის თერაპია“, აქტიური თამაშთერაპიის გარდა, ისინი ასევე იყენებდნენ პასიურ თამაშთერაპიას, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ ბავშვი თვითონ წარმართავდა თამაშის პროცესს, ხოლო თერაპევტი ხანდახან ერთვებოდა. ა. ფროიდისა და მ. კლაინის აზრით, ბავშვი თამაშის დროს თვითგამოხატვის საშუალებით ცდილობს გადალახოს ემოციური დარღვევები: შფოთვა, მერყეობა, დაუცველობის განცდა.

1930-იან წლებში გამოჩნდა მეცნიერი დ. ლევი, რომელმაც ბავშვებთან მუშაობა დაიწყო სტრუქტურირებული თამაშთერაპიით. თერაპიული სესიის დროს, ბავშვს უქმნიდა (სპეციალურად შერჩეული სათამაშოებით) სიტუაციას, სადაც ბავშვს შეეძლო აღედგინა თავი-



სი უარყოფითი გამოცდილება. დ. ლევმა აღწერა 3 ტექნიკა, რომელსაც უწოდა განმათავისუფლებელი თამაშთერაპია:

1. გათავისუფლების უბრალო საშუალებები:

- აგრესიული ქცევისგან გათავისუფლება (საგნების სროლა, საჰაერო ბუშტების გახეთქვა და ა.შ.);

- ინფანტილური ქცევებისგან გათავისუფლება, სიამოვნების მიღება ინფანტილური ქცევების საშუალებით (მანოვარით წყლის დაღვევა, პირით წყლის გადმოსხმა იატაკზე და ა.შ.);

- გრძნობების გათავისუფლება თამაშში სპეციალური სტრესული ეპიზოდის გათამაშებით.

განმათავისუფლებელი თერაპიის ჩასატარებლად დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

- გამოსხატული სიმპტომები, რომლებიც დაერთო რომელიმე კონკრეტულ გარემოებას;
- პრობლემა არ უნდა იყოს ძალიან დიდი ხნის
- ბავშვის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს;
- სიტუაცია, რომელმაც შექმნა პრობლემა მომხდარი უნდა იყოს წარსულში და არა თერაპიის პროცესის პარალელურად.

1940-იანი წლების დასაწყისში კ. როჯერსმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო და შეიმუშავა თამაშთერაპიის არადირექტიული მეთოდი, რომელსაც შემდგომში დაერქვა კლიენტზე ორიენტირებული თერაპია. არადირექტიული თერაპია არ ცდილობს აკონტროლოს ან შეცვალოს კლიენტის, ბავშვის ცნობიერების აზრობრივი შინაარსი, ის ცდილობს ყურადღების კონცენტრაცია მოხდეს თერაპიულ პროცესზე, რომელიც აძლევს კლიენტს (ბავშვს) გამოცდილებას, ცვლილებების შესაძლებლობას და თავისუფლებას. არადირექტიული თერაპია აქცენტირებულია კლიენტის მიერ პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტაზე. ამგვარმა მიდგომამ გაამართლა ბავშვებთან მუშაობის პროცესშიც.

კ. როჯერსის არადირექტიული თერაპია წარმატებით გამოიყენა ვ. ექსლანმა, რომელიც მიმართულია ინდივიდის ბუნებრივი განვითარებისკენ. იგი ამბობდა: „თამაშთერაპიის მიზანი უნდა იყოს არა ის, რომ შეცვალო ბავშვი, ასწავლო სპეციალური ქცევითი ჩვევები, არამედ მისცე საშუალება „იცხოვროს“ თამაშში, ეს უნდა ხდებოდეს უფროსის ყურადღებითა და თანაგრძნობით“.

ვ. ექსლანმა ფორმულირება გაუკეთა რამდენიმე მოთხოვნას, რომელიც უნდა დაიცვას ფსიქოლოგმა ბავშვთან ფსიქოთერაპიული მუშაობის დროს:

- გამოსხატეთ გულითადი პატივისცემა და ინტერესი, მისი პიროვნების მიმართ;
- მოთმინებით და გაგებით მოეკიდეთ ბავშვის შინაგან სამყაროში არსებულ სირთულეებს;

- შეინარჩუნეთ ემოციური მდგრადობა და ემსახურეთ ბავშვის ინტერესებს;

- იყავით საკმარისად ობიექტური და გქონდეთ ინტელექტუალური თავისუფლება, რათა მოქნილად იაზროვნოთ და დაეხმაროთ ბავშვს საკუთარი თავის შეცნობაში.

- იყავით სენსიტიური, ემპათიის, იუმორის გრძნობით და მსუბუქი ბავშვთან ურთიერთობაში.



თამაშთარაპიის მიზანი მდგომარეობს შემდეგში:

1. ბავშვის პასუხისმგებლობის ამაღლება თავის ქცევებსა და ქმედებებზე
2. პოზიტიური „მე“ კონცეფციის განვითარება;
3. თვითკონტროლის განვითარება;
4. სირთულეების გადალახვის მიმართ სენსიტიურობა;
5. საკუთარი თავის რწმენის ფორმირება.

ამ მიზნების მისაღწევად მთავარია შემდეგი პრინციპების დაცვა: 1) ბუნებრიობა ბავშვთან ურთიერთობაში, 2) ბავშვის უპირობო მიღება, 3) სენსიტიურობა.

თამაშთარაპიისთვის გამოიყენება სათამაშოები 1) რეალური ცხოვრებიდან; 2) სათამაშოები, რომლებიც ეხმარება ბავშვს აგრესიაზე რეაგირება მოახდინოს; 3) სათამაშოები, რომლებიც ეხმარება ბავშვს შემოქმედებითი თვითგამოხატვისა და ემოციების შესამსუბუქებლად.

ტრენინგის თემატიკა

„საალერსო სახელი“ – ჯგუფური

ტრენინგის წამყვანი მიმართავს ბავშვებს: გაიხსენეთ, როგორ მოგმართავენ ოჯახში ახლობლები? მოგწონთ თუ არა თქვენი სახელი? რა ასოციაციას, გრძნობებს იწვევს თქვენი სახელი? შემდეგ სრულდება ნახატი „ჩემი სახელი“ სურვილის მიხედვით. ეს ტრენინგი შეიძლება ჩატარდეს 5 წლის ასაკიდან.

„მოგზაურობა მომავალში“ (ჯგუფური)

ტრენინგის წამყვანი მიმართავს ბავშვებს: „წარმოიდგინოთ, რომ ხართ დიდები, ვიმოგზაუროთ მომავალში, ალბათ გინდათ, ბევრი რამ გააკეთოთ, აირჩიოთ პროფესია, მოიფიქრეთ და თითოეული თქვენგანი გააცნობს ჯგუფის წევრებს მომავალ გეგმებს. ტრენინგი შესაძლებელია ჩატარდეს 5 წლის ასაკიდან.

„ჩვენ ვართ მშობლები“ ჯგუფური

(5 წლიდან)

ტრენინგის წამყვანი მიმართავს ბავშვებს: „წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გადაიქცით დიდებად და ხართ მშობლები, თქვენ გყავთ შვილი, რომელიც ძალიან გიყვართ, რას ეტყობდით, რას ურჩევდით, რომ კარგი შვილი იყოს?“

თითოეული ბავშვი იღებს ჯერ მშობლის, ხოლო შემდეგ ბავშვის როლს; ტრენინგის დამთავრების შემდეგ ხდება შთაბეჭდილებების და გრძნობების გაზიარება-მსჯელობა.

„გრძნობების სამყაროში“

(4 წლის ასაკიდან)

ტრენინგის წამყვანი სთხოვს ბავშვებს გაიხსენონ და დააკვირდნენ საკუთარ გრძნობებს, ახლობელთა გრძნობებს. ყურადღება უნდა გამახვილდეს გრძნობების მრავალ-ფეროვნებაზე, რომ გრძნობათა შეცნობა შესაძლებელია ადამიანის მიმიკის, ხმის ტემბრისა და პოზის მიხედვით.



ბავშვებს აცნობენ დადებით გრძნობებს: სიხარულს, სიყვარულს, ზრუნვას და ა.შ. ასევე უარყოფით გრძნობებს: წყენას, გაბრაზებას და ა.შ.

ბავშვებს მიეწოდებათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დადებით გრძნობებთან ერთად შეიძლება კეთილი საქმეების კეთება. უარყოფით გრძნობებს კი ადამიანისათვის ზიანი მოაქვს

ტრენინგის წამყვანთან ერთად ბავშვები მსჯელობენ კონკრეტულ მაგალითებზე და ასკვნიან, რომ ადამიანს შეუძლია მართოს საკუთარი გრძნობები და გადალახოს გაბრაზება, წყენა და ა.შ.

„ვინ ვარ მე?“

(5 წლიდან)

ტრენინგის წამყვანი ბავშვებს ესაუბრება იმაზე, რომ თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი სახელი, მიეკუთვნება ამა თუ იმ სქესს, რომ ცხოვრობს წარსულის, აწმყოსა და მომავლის განცდებით, უფლებებით, მოვალეობებით.

„მე“ – უნდა იყოს საკუთარ გრძნობათა პატრონი, სხვა შემთხვევაში გრძნობები ბატონობენ ადამიანზე.

წამყვანი ბავშვებს სთავაზობს განსჯისათვის თემას: „როგორი გრძნობები ცხოვრობენ ჩემ ოჯახში“, სთხოვს ბავშვებს აღწერონ ოჯახის წევრთა გრძნობები და ემოციები. დასახატი თემა „ჩემი ოჯახი“.

განხილვის თემა შეიძლება ასევე იყოს: „რა გრძნობები ცხოვრობენ ზღაპრების ქვეყანაში“, ბავშვები მსჯელობენ ამა თუ იმ ზღაპრის გმირთა საიათზე, ემოციაზე, ქცევაზე და ა.შ. შესაძლო კითხვები:

- ა) მოფერებით როგორ მოგმართავენ?
- ბ) როგორ ბავშვზე ამბობ, რომ ის კარგია?
- გ) რა შეგეძლო პატარა რომ იყავი?
- დ) ენლა რა შეგიძლია?
- ე) დიდი რომ გაიზრდები რას შეძლებ, რას გააკეთებ?
- ვ) რით განსხვავდება გოგო და ბიჭი ერთმანეთისაგან? (ჩაცმულობა, გარეგნობა, ინტერესები...)

ცხრილი 1.

შინაარსი	ვასწავლოთ		კონკრეტული სიტუაციები, მაგალითები	შეფასება	წამყვანის შენიშვნები
	ბავშვებმა უნდა შეძლონ	შესაძლო კითხვები:			
გრძნობები	გააცნობიერონ ცნება „გრძნობები“ და მისი მრავალფეროვნება	1. რა დაემართა ნინოს როცა დავარდა? 2. ნინო დაასაჩუქრეს, რა ქნა მან? 3. რას გრძნობს ბავშვი, როცა ტირის?	სიტუაციებისა და მაგალითების განხილვა, სადაც ადამიანებს უხარიათ, ბრაზობენ, ზრუნავენ და ა.შ.	ბავშვები განსაზღვრავენ რა გრძნობებს განიცდიან ამა თუ იმ ზღაპრის გმირები?	
გრძნობათა ამოცნობა-შეცნობა		როგორია თვალების გამომეტყველება როცა ადამიანი ბრაზობს, უხარია? როგორია სხეულის გამოსატყულებანი გრძნობათა გამოვლინებისას?	ბავშვებს ვთავაზობთ სურათების, მულტიფილმების ნახვას და პერსონაჟთა განხილვას გრძნობების მიხედვით.	მიმიკით, ხმით ბავშვები ბაძავენ პერსონაჟებს და გამოხატავენ იმავე გრძნობებს, ხატავენ მათ იმავე გრძნობებით.	



„ნამდვილი მეგობარი“

(5 წლიდან)

ნამყვანი სთავაზობს ბავშვებს დახატონ მეგობარი და შემდეგ აღწერონ იგი; ბავშვებს უხსნიან, რომ მეგობარი შეიძლება იყოს როგორც ოჯახის წევრი, ისე მისი ძალი, კატა, ყვავილი. ნებისმიერი სულიერი თუ უსულო საგანი. ბავშვები საუბრობენ მეგობრის შესახებ და ცდილობენ ახსნან რატომ თვლიან მას მეგობრად.

„ნინო ნამდვილი მეგობარია, იმიტომ რომ...“

ბავშვები ქმნიან წრეს, წრის ცენტრში გამოდის ბავშვი და ასახლებს თავის მეგობარს და ცდილობს ახსნას არჩევანი.

„ვის არ გაეცინება?“

ბავშვები სხედან სკამებზე და ნამყვანის მითითებაზე: „გაიყინეთ“ გაუნძრევლად რჩებიან ადგილებზე, ნამყვანი ითვლის ნელი ტემპით ათამდე, შემდეგ მიდის თითოეულ ბავშვთან და ცდილობს გააღიმოს, ვინც შეძლებს იჯდეს გაუნძრევლად, ისაა გამარჯვებული. შემდეგ გამარჯვებული ბავშვი იღებს ნამყვანის როლს.

„გამოიცანი რა დავხატე?“

ტრენინგის ნამყვანი ფანქრით ჰაერში ნელა ხატავს რაიმე ფიგურას, ასოს და ბავშვს ეკითხება: „ვინ გამოიცნობს რა დავხატე ჰაერში?“

„დაამთავრე წინადადება...“

ნამყვანი ბავშვებს სთავაზობს გაიხსენონ სასიხარულო ამბავი, შემდეგ კი დაამთავრონ შეთავაზებული წინადადებები:

- 1) ბავშვებს უხარიათ, როცა...
- 2) მოსწავლეს უხარია, როცა...
- 3) დედას უხარია, როცა...

შემდეგ ნამყვანი ბავშვებს სთავაზობს დახატონ გრძნობა, სიხარული.

„თუთიყუში“

ტრენინგის ნამყვანი ემოციის გარეშე ამბობს წინადადებებს: 1) მე მივდივარ სასეირნოდ; 2) დედამ სათამაშო მიყიდა; 3) მე მიყვარს... 4) ჩემი საყვარელი სათამაშო დაამტვრიეს და ა.შ.

თითოეული ბავშვი იმეორებს წინადადებას, რომელშიც მისი ემოცია უნდა იყოს გამოხატული, ბავშვებმა კი უნდა შეიცნონ მისი გრძნობა: უხარია თუ სწყინს და ა.შ.

ნამყვანი სთავაზობს ბავშვებს ფსიქოლოგიური ეტიუდის გათამაშებას, (მაგ: წყენის, გაბრაზების, სიხარულის სცენა), შემდეგ ხდება სიტუაციის გაანალიზება და უკუკავშირი.

„მოიფიქრე ანალოგიური საგანი“

ტრენინგის მიზანია: ბავშვებმა ისწავლონ საგანთა მრავალფეროვანი ნიშანთვისებების გამოყოფა და მათი კლასიფიკაცია.

თამაშის მსვლელობა: ნამყვანი ასახელებს რომელიმე საგანს ან მოვლენას, მაგ: ვერტმფრენი; ბავშვებს ევალუბათ მოიფიქრონ საგნები, რომლებიც ჰგავს სხვადასხვა ნიშნებით „ვერტმფრენს“ მაგ: თვითმფრინავი, მატარებელი, ავტობუსი, პეპელა, ჩიტი, ვენტლატორი... შემდეგ კი თითოეული ბავშვი ასაბუთებს პასუხის სისწორეს.



„კიდევ როგორ გამოვიყენოთ საგანი?“

ტრენინგის მიზანი: საგანზე ყურადღების კონცენტრირება და კრეატიული აზროვნების განვითარება, საგნის ნიშან-თვისებათა გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებით.

„მოუძენეთ საერთო“

ტრენინგის მიზანი: აზროვნების განვითარება.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვებს აცნობს თამაშის შინაარსს და ასახელებს ორ სიტყვას მაგ: „თეფში“ და „ნაფი“, ბავშვებმა უნდა მოძებნონ ამ ორი საგნის საერთო ნიშან-თვისება და დასახელებისას უნდა დაასაბუთონ საკუთარი აზრი. ამ სიტყვათა საერთო შეიძლება იყოს: სიღრმე, მასალის ერთგვარობა და ა.შ

„შეარჩიე სიტყვები“

ტრენინგის მიზანი: ლექსიკური მარაგის გაფართოება, აზროვნებისა და მე-ტყველების განვითარება.

თამაში – ტრენინგი შედგება ორი დავალებისგან: I დავალება: ბავშვებმა უნდა დაასახელონ, რაც შეიძლება მეტი ხილის, ბოსტნეულის, ხის, ყვავილის, ფრინველის და ა.შ. სახელები.

II დავალება: წამყვანი ასახელებს საგანს, ხოლო თითოეული ბავშვი ამბობს, თუ რას აკეთებს ეს საგანი. წამყვანი ცდილობს, ბავშვმა რაც შეიძლება მეტი სიტყვა დაასახელოს.

ქარი – ქრის

თოვლი – მოდის, დნება

წვიმა – მოდის, ასველებს...

მზე – ანათებს, აცხელებს და ა.შ.

„შეცვალე ზღაპრის დასასრული“

ტრენინგის მიზანი: წარმოსახვის განვითარება

მასალა: ფურცელი, ფერადი ფანქრები.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვებთან ერთად იხსენებს რომელიმე ზღაპარს და სთხოვს ბავშვებს მოიფიქრონ ზღაპრის სხვა ფინალი, შეასრულონ ნახატი, შემდეგ კი წამყვანი თითოეულ ბავშვთან ერთად განიხილავს შესრულებულ ნახატს.

„გავაცოცხლოთ სურათი“

ტრენინგის მიზანი: წარმოსახვის, მეხსიერების, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება.

მასალა: მარტივი სიუჟეტური სურათები.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვს სთხოვს დაათვალიეროს სურათი და შემდეგ ბავშვებს აუღწეროს სიტყვით, ქცევით, გამომეტყველებით სურათის სიუჟეტი. ბავშვი აღწერს რა სიუჟეტს, წამყვანი აჩვენებს ბავშვებს რამდენიმე სურათს, ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რომელი სურათი იყო აღწერილი. ბავშვის მიერ.

„ანბანი“

ტრენინგის მიზანი: წარმოსახვის განვითარება

მასალა – ფურცელი, ფერადი ფანქრები, საილუსტრაციოდ – დიდი ფორმატის ანბანი.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვებს აცნობს ასოებს და სთხოვს მოხაზულობის მიხედვით თითოეული ასო მიახლოებულ რაიმე ნივთს, საგანს და დახატონ, გააფორმონ სურვილის მიხედვით.



„ახალი კალენდარი“

✓ **ტრენინგის მიზანი:** წარმოსახვის განვითარება

მასალა: ფურცელი, ფერადი ფანქრები

თამაშის მსვლელობა: წამყვანი საუბრობს წელიწადის დროების შესახებ, წამყვანი სვამს კითხვებს და ბავშვები ერთვებიან საუბარში, ამის შემდეგ ბავშვები ხატავენ წელიწადის ოთხ დროს და ასათაურებენ ნახატებს.

„დახატე ფიგურა“

ტრენინგის მიზანი: მეხსიერების განვითარება

მასალა: ფურცელი, ფერადი ფანქრები; 5-ნ გეომეტრიული ფიგურა.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვებს აჩვენებს 5-ნ გეომეტრიულ ფიგურას, ბავშვები ხატავენ დამახსოვრებულ ფორმას, მნიშვნელოვანია გეომეტრიული ფიგურის ფერი და ზომა.

„დაიმახსოვრე შენი პოზა“

✓ **მიზანი:** მოტოროულ-სმენითი მეხსიერების განვითარება

თამაშის მსვლელობა: ბავშვები დგებიან წრეში, წამყვანის მითითებაზე „დაიმახსოვრე შენი პოზა“, დგებიან ნებისმიერ პოზაში და იმახსოვრებენ მას. შემდეგ უღერს მუსიკა, ბავშვები თავისუფლად მოძრაობენ ოთახში, ხოლო მუსიკის დამთავრებისთანავე უნდა დაიკავონ ის პოზა, რომელიც დაიმახსოვრეს.

„დაიმახსოვრე სიტყვები“

(4 წლიდან)

მიზანი: მეხსიერების განვითარება

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვებს სთავაზობს სიტყვებს, (5-დან 10 სიტყვამდე) რომელიც უნდა დაიმახსოვრონ მათი ერთმანეთთან დაკავშირებით, მაგ: ბურთი, მძიმე, ხელი, სროლა... უკეთ დასამახსოვრებლად ხდება სიტყვების აზრობრივად დაკავშირება, მაგ: მე მქონდა მძიმე ბურთი, რომელიც ხელით ავიღე და ვისროლე შორს...

„იყავი ყურადღებით“

(3 წლიდან)

✓ **მიზანი:** ყურადღების განვითარება

თამაშის ფორმა: ჯგუფური

თამაშის მსვლელობა: ბავშვები დადიან წრეზე, შეიძლება თავისუფალი მოძრაობაც, წამყვანის მითითებაზე: „ბაჭიები“, ბავშვები იწყებენ ხტუნვას, „კვიცები“ – ბავშვებიც შესაბამისად იწყებენ ფეხის ბაკუნს იატაკზე, ა.შ. წამყვანი სთხოვს ბავშვებს, რომ გამოსცენ შესაბამისი ხმებიც.

„მოუსმინე ტაშის დაკვრას“

მიზანი: აქტიური ყურადღების განვითარება

თამაშის ფორმა: ჯგუფური

თამაშის მსვლელობა: ბავშვები მოძრაობენ თავისუფლად, წამყვანი აცნობს თამაშის წესს: ტაშის დაკვრა ერთხელ ნიშნავს იმას, რომ ბავშვები იღებენ „ნეროს“ პოზას, 2-ჯერ ტაშის დაკვრა – „ბაყაყის“ პოზას (ბავშვები უნდა ჩაიმუხლონ), 3-ჯერ – თავისუფლად დგომას.



„ოთხი სტიქია“

მიზანი: ყურადღების, სმენითი და მოძრაობითი კოორდინაციის განვითარება.

თამაშის ფორმა: ჯგუფური

თამაშის მსვლელობა: ბავშვები სხედან წრეში, თუ წამყვანი ამბობს „დედამინა“, ბავშვებმა ხელები უნდა დანიონ ძირს, სიტყვაზე „წყალი“ – ხელები წინ, სიტყვაზე „ჰაერი“ – ხელები ზემოთ, სიტყვაზე „ცეცხლი“ – წრიულად ამოძრავებენ ხელის მტევნებს, ბავშვების გასააქტიურებლად შესაძლებელია წამყვანმა უფრო სრაფად წარმოთქვას სიტყვები.

„გაცნობა“

მიზანი: ა) დავებმართო ბავშვებს ვერბალურ თუ არავერბალურ ფორმაში გამოხატონ დამოკიდებულება საკუთარი სახელის მიმართ, ბ) პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება საკუთარი სახელის მიმართ და გ) გაცნობის რიტუალი.

თამაშის მსვლელობა: ბავშვები დგებიან წრეში, თითოეული ამბობს თავის სახელს, შემდეგ წამყვანი სთავაზობს ბავშვებს, გაითამაშონ გაცნობის სცენა. ბავშვები იყენებენ ფრაზებს: „გამარჯობა“, „რა გქვია?“ „როგორ ხარ?“ „დილა მშვიდობისა“, და ა.შ. გაცნობის შემდეგ, ბავშვები ხატავენ საკუთარ სახელს, როგორ წარმოუდგენიათ, რას ამსგავსებენ საკუთარ სახელს? რა ფერია მათი სახელი?

წამყვანი ეხმარება ბავშვებს პოზიტიური მიმართულება მისცეს მათ წარმოდგენებს... ასოციაციებს...

„გამოიცანი ემოცია“

მიზანი: ვასწავლოთ ბავშვებს საკუთარი და სხვა ადამიანთა ემოციების გაცნობიერება.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი მიმიკით, უესტით გამოხატავს რომელიმე ემოციას, ბავშვმა უნდა გამოიცნოს, რით შეიძლება იყოს გამოწვეული ასეთი ემოციური მდგომარეობა. ამის შემდეგ თამაშს აგრძელებენ ბავშვები რიგითობით.

„დაამთავრეთ წინადადება“

მიზანი: საკუთარი და სხვა ადამიანთა ემოციების გაცნობიერება

თამაშის მსვლელობა: წამყვანი სთავაზობს ბავშვებს დაამთავრონ შემდეგი წინადადებები:

- 1) როცა ბავშვი ტირის, დედა ...
- 2) როცა ბავშვი თამაშობს, ის გრძნობს...
- 3) როცა ბავშვი ავადაა, დედა...
- 4) როცა ბავშვი მარტოა, ის გრძნობს... და ა.შ.

„სტუმრად ჯადოქართან“

მიზანი: ვასწავლოთ ბავშვებს საკუთარი და სხვა ადამიანების ხასიათის თავისებურებათა განსაზღვრა, შეცნობა.

თამაშის მსვლელობა: 1. ბავშვებს ვაცნობთ ინსტრუქციას:

1. წარმოიდგინეთ, რომ მოხვდით სტუმრად ჯადოქართან, მას ძალიან გაუხარდა და სურვილი აქვს გაჩუქოთ ის თვისება, რომელსაც სთხოვთ. მაგ: სიბეჯითე, სიზარმაცე, გულკეთილობა, სიძუნწე, სიხარბე და ა.შ.

ბავშვები რიგრიგობით ასახელებენ იმ თვისებებს, რომელსაც ისურვებენ, წამყვანი თითოეულ ბავშვთან ერთად ანალიზებს არჩევანს.

2. ბავშვებს ვთავაზობთ წარმოიდგინონ, რომ მათი დედები მივიდნენ სტუმრად ჯადოქართან და შეუძლიან აირჩიონ საკუთარი შვილისთვის რომელიმე თვისება.



ნამყვანი მიმართავს ბავშვებს: „თქვენი აზრით, რომელ თვისებას აირჩევდა დედა თქვენთვის?“

ნამყვანი ბავშვებთან ერთად განიხილავს და აანალიზებს არჩევანს.

ამის შემდეგ ვთავაზობთ ბავშვებს დახატონ ფერადად ის თვისებები, რომელიც აირჩიეს და ახსნან ფერთა არჩევანი.

„მე შემოიღია“

მიზანი: დავეხმაროთ ბავშვებს გააფართოვონ წარმოდგენა საკუთარ თავზე და საკუთარ შესაძლებლობებზე, გააცნობიერონ და გამოხატონ საკუთარი აზრები, სურვილები.

თამაშის მსვლელობა: ნამყვანი სთავაზობს ბავშვებს დაამთავრონ ფრაზა: მე შემოიღია... თუ ბავშვისთვის რთულია ფრაზის დამთავრება, ნამყვანი და ბავშვები ეხმარებიან მას.

„გუშინ, დღეს, ხვალ“

მიზანი: დავაზუსტოთ ბავშვების წარმოდგენა დროის შესახებ: ა) რა მოხდა გუშინ, ბ) რა არის დღეს და გ) რა შეიძლება იყოს ხვალ; დავეხმაროთ მათ გაიხსენონ და გააცნობიერონ საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები და მიღწევები, ჩამოფუყალიბოთ მომავლის მიმართ დადებითი განწყობა, ავუმალლოთ თვითშეფასება და საკუთარ თავში დარწმუნებულობა.

თამაშის მსვლელობა: ნამყვანი სთხოვს ბავშვებს გაიხსენონ წარსულიდან რომელიმე ფაქტი; რაც ხდება ახლა, შემდეგ ნამყვანი ბავშვებს ეკითხება მომავალზე – რა იქნება 20 წლის შემდეგ?

დასახატი თემა: მე გუშინ, დღეს, ხვალ.

„კეთილი საქმე“

მიზანი: თვითშეფასებისა და ბავშვის როლის, მნიშვნელობის ამაღლება.

თამაშის მსვლელობა: ნამყვანი ბავშვებს ახსენებს რომელიმე მხატვრული ნაწარმოების ეპიზოდს, სადაც მოთხრობილია კეთილი საქმის შესახებ ან გაიხსენონ კონკრეტული მაგალითი რეალობიდან; შემდეგ ნამყვანი სთხოვს ბავშვებს გაიხსენონ მათ მიერ გაკეთებული კეთილი საქმე. ბავშვებს გასახსენებლად ეძლევათ 2-3 წთ, თამაშის ბოლოს, ნამყვანი სთხოვს ბავშვებს შეაფასონ და შეაქონ თითოეულის ქცევა და გამოთქვან საკუთარი აზრი.

„კურდღლები და სპილოები“

მიზანი: ბავშვებმა თამაშის დროს თავი უნდა იგრძნონ ძლიერად და უშიშრად, ხელი შეუწყონ მათი თვითშეფასების ამაღლებას.

თამაშის მსვლელობა: ნამყვანი ბავშვებს აცნობს ინსტრუქციას: ა) „ჩვენ ჯერ ვიქნებით მშობარა ბაჭიები, ხომ იცით, როგორ იქცევიან ბაჭიები, როცა ეშინიათ? ცახცახებენ და ცდილობენ დაემალონ მტერს. წარმოიდგინეთ, რომ ტყეში გამოჩნდა მონადირე, რას შვრებიან ამ დროს ბაჭიები? აბა მანვენეთ!“ – „ბაჭიები“ იწყებენ ცახცახს და გარბიან სხვადასხვა მიმართულებით, იმალებიან. ერთ-ერთი ბავშვი, რომელიც მონადირის როლშია, დადის და ეძებს მშობარა ბაჭიებს, მოძებნის რა ყველას, შეიძლება განახლდეს თამაში ბ) შემდეგ ბავშვები „გადაიქცევიან“ სპილოებად, ნამყვანი ახსენებს მათ, რომ ისინი ეხლა არიან ძალიან დიდები, ძლიერები, უშიშრები და სთხოვს ბავშვებს განასახიერონ სპილო დინჯი სიარულით, რომელსაც არაფრის არ ეშინია.

თამაშის დასრულების შემდეგ, ბავშვები მსჯელობენ ვის როლში მოეწონათ ყოფნა უფრო მეტად და რატომ.



„ქანდაკება“

მიზანი: ვასწავლოთ ბავშვებს მართონ საკუთარი სხეულის ნაწილები და კუნთები, შეძლონ დაძაბულობის შემცირება.

თამაშის მსვლელობა: ბავშვები იყოფიან ორ ჯგუფად: „მოქანდაკეებად“ და „ქანდაკებად“. წამყვანი მოქანდაკეებს სთავაზობს თემას, რომელიც უნდა „გამოძერწონ“

- ა) ბავშვი, რომელსაც არაფრის არ ეშინია;
- ბ) ბავშვი, რომელიც ყველაფრით კმაყოფილია;
- გ) ბავშვი, რომელიც რალაცამ შეაშინა.

მოქანდაკე ბავშვი ეხმარება „ქანდაკებას“ მიიღოს შესაფერისი პოზა. შემდეგ ბავშვები ცვლიან როლებს, ასევე შეიძლება ბავშვებს შეეთავაზოთ ჯგუფური სკულპტურის შექმნა. თამაშის დამთავრების შემდეგ ხდება განხილვა.

„როგორი ვარ მე?“

(6 წლიდან)

მიზანი: ბავშვებს განუვითაროთ საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარ თავში ჩაღრმავების, გაანალიზების უნარი.

მასალა: ფურცელი, რომელზეც არის გამოსახული „ხასიათის კიბე“, „ფერადი ფანქრები“.

ტრენინგის მსვლელობა: 1) წამყვანი თითოეულ ბავშვს ურიგებს ფურცელს და უხსნის რა არის ფურცელზე გამოსახული.

კიბე: მაგ: სიბოროტიდან-სიკეთემდე; სიძუნწიდან-ხელგაშლილობამდე და ა.შ. „რაც უფრო მეტად ავდივართ კიბეზე, მივისწრაფვით, რომ ვიყოთ კეთილები, ხელგაშლილები; კარგად დავაკვირდეთ პირველ კიბეს და დაფიქრდით, რომელ საფეხურზე დგებართ? აიღეთ მწვანე ფანქრები და აღნიშნეთ წრით; შემდეგ დააკვირდით მეორე კიბეს და დაფიქრდით, უფრო ძუნწი ხართ თუ ხელგაშლილი? ინსტრუქციის მეორე ნაწილს შეადგენს შემდეგი: შევხედოთ პირველ კიბეს და დაფიქრდეთ კიბის რომელ საფეხურზე დაგვაყენებდა დედა? აღვნიშნოთ წითელი ფანქრით და ა.შ.

ინსტრუქციის მესამე ნაწილში ბავშვებმა „კიბეზე“ უნდა აღნიშნონ მასწავლებლის და მოკიდებულება მის მიმართ, შემდეგ ნაწილში კი მეგობრის შეფასება. შესაძლებელია ტრენინგი გაიყოს ორ მეცადინეობად.

თამაშები და სავარჯიშოები

თემატიკა

1) თამაშები: „ტელეფონი“ (სიტუაციის როლებიანი გათამაშება). ბავშვები წყვილებიან და თითოეულ წყვილს ეძლევა სხვადასხვა თემა ტელეფონზე სასაუბროდ:

- ა) დაბადების დღის მილოცვა და სტუმრად მისვლა (შეთანხმება დღეზე, დროზე);
- ბ) მეგობრის დაპატიჟება თეატრში, რომელსაც არ უყვარს სპექტაკლებზე სიარული;
- გ) მეგობრისათვის სიხარულის გაზიარება ახალი სათამაშოს შესახებ და დაპატიჟება სათამაშოდ;

დ) განაწყენებული ბავშვის დამშვიდება

2) არტ-თერაპიული სავარჯიშო „ლურჯი ზღვა“. ბავშვებს სთავაზობენ ერთობლივ ხატვას დიდ ფურცელზე, რომელიც დევს იატაკზე (წინასწარ მზადდება მონახაზი: ტალღების,



ზღვის ვარსკვლავების, თევზების, წყალმცენარეების და ა.შ.). ბავშვები აფერადებენ, ამ-
თავრებენ ნახატს და ამატებენ დეტალებს. ერთობლივი ხატვა სრულდება მშვიდი მუსიკის
ფონზე (ბუნების ხმები);

3) სავარჯიშო „მე მინდა ვიყო ისეთი, როგორც ხარ შენ“.

ფსიქოლოგი: თითოეულ ადამიანს აქვს ბევრი კარგი თვისება, ზოგი კეთილია, ზოგი
ყურადღებიანი, ზრდილობიანი, მოსიყვარულე, ძლიერი, მეგობრული, მხიარული... მოდით
დავფიქრდეთ, რომელი კარგი თვისება აქვს თითოეულ თქვენგანს? არის თქვენს გარშემო
ისეთი თანატოლი ან უფროსი ადამიანი, რომელსაც გინდათ ჰგავდეთ?

4) თამაში „საიმედო ვარდნა“.

ფსიქოლოგი სთავაზობს ბავშვებს შეკრან მჭიდრო წრე და ხელები ჩაკიდონ ერთმანეთს.
წრის ცენტრში დგას ბავშვი, რომელიც იწყებს „ვარდნას“ (სხეული ვერტიკალურად უნდა
ჰქონდეს) სხვადასხვა მიმართულებით, ბავშვები კი იჭერენ, რომ ძირს არ დავარდეს.

5) თოჯინათურაპია „ჩააცვი თოჯინას“.

თითოეული ბავშვი იღებს ქალაქისაგან გამოჭრილ თოჯინის ფიგურას (გოგონას,
ბიჭს). ბავშვებმა უნდა გააფერადონ და ჩააცვან (ქალაქისაგან წინასწარ არის გამოიჭრი-
ლი ტანსაცმელი და აქსესუარები (ბაფთა, ჰალსტუხი, ჩანთა, სამკაულები და ა.შ.)). თითო-
ეული ბავშვი ცდილობს საკუთარი თოჯინის ისე გალამაზებას, რომ წაიყვანოს მეჯლისზე.
ბავშვებთან მსჯელობის შედეგად არკვევენ რომელი თოჯინა გახდება მეჯლისის პრინცი
და პრინცესა.

6) სავარჯიშო „საინტერესო და კარგი ამბები“.

ბავშვები სხედან წრეში, ერთმანეთს გადასცემენ ბურთს და ჰყვებიან გუშინდელ დღეს
მომხდარი საინტერესო და კარგი ამბების შესახებ, როგორ იქცეოდნენ, ვის დაეხმარნენ,
რა სასარგებლო საქმე გააკეთეს და ა.შ. დასრულების შემდეგ განხილვა

7) დისკუსია სიუჟეტური სურათის მიხედვით.

ფსიქოლოგი სვამს კითხვებს: ა) რა არის დახატული სურათზე? ბ) რა უნდოდა მხატვარს
რომ ეთქვა თქვენთვის? გ) რას დაარქმევდი ამ სურათს? და ა.შ.

8) არადირექტიული თამაშთურაპია.

წყნარი მუსიკის ქვეშ ბავშვები ირჩევენ რომელიმე სათამაშოს: კონსტრუქტორს, ფაზლს,
კუბებს და ა.შ. დასასრულს ბავშვები ათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და უზიარ-
ებენ შთაბეჭდილებებს.

9) ცეკვათურაპია.

ფსიქოლოგი წინასწარ ირჩევს მელოდიას სიმღერას, რომლის ტექსტი ნაცნობია ბავშვე-
ბისათვის. მუსიკის ქვეშ წყვილებად ასრულებენ ცეკვას და მღერიან.

10) ზღაპართურაპია როლური თამაშის ელემენტებით.

გამოიყენება ხელზე ჩამოსაცმელი თოჯინა – თავუნა, (ან ნებისმიერი თოჯინა) ტომარა
(რომელშიც არის საგნები).

ფსიქოლოგი: ბავშვებო ჩვენს კარადაში ცხოვრობს თავუნა, მოდით გავიცნოთ და დავე-
ლაპარაკოთ (ბავშვები რიგ-რიგობით ხელს ართმევენ თავუნას).

ფსიქოლოგი: მოდით ვკითხოთ თავუნას, რა აქვს ტომარაში?

ბავშვები: თავუნა გვითხარი თუ შეიძლება, რა გაქვს ტომარაში? ძალიან გვიანტერესებს.

თავუნა: არავის არ გაჩვენებთ, ყველაფერი ჩემია და თან უნდა ნავილო.

ფსიქოლოგი: შენ როგორი თავუნა ყოფილხარ, ბავშვებო, თუ იცით ასეთ ადამიანებს
რას ეძახიან?

ბავშვები: ხარბ ადამიანს



ფსიქოლოგი: თავუნა იცი, რომ ბავშვებს არ უყვართ ხარბი თავუნა, არც ხარბი ადამიანი და აღარ გეთამაშებიან!

თავუნა: მე არ ვარ ხარბი, გეხვენებით ბავშვებო მეთამაშეთ რა...

ფსიქოლოგი: თავუნა თუ გინდა, რომ ბავშვები შენი მეგობრები გახდნენ, დაათვალიერებინე შენი სათამაშოები და ერთად ითამაშეთ; შემდეგ კი ისევ დაგიბრუნებენ და წაილე სახლში.

თავუნა: კარგით, კარგით, მე მიყვარს ბავშვები და მინდა, რომ მათთან ვიმეგობრო. ეხლა გავხსნი ტომარას და გაჩვენებთ რა მაქვს, ნახეთ! (თავუნა ხსნის ტომარას და ამოალაგებს სათამაშოებს).

ბავშვები: ყოჩაღ თავუნა, ერთად ვითამაშოთ და დაგიბრუნებთ, ეს ხომ შენი სათამაშოებია...

ბოლოს ბავშვები მადლობას უხდებიან თავუნას და ემშვიდობებიან.

11) თამაში „ფოლადის ჯარისკაცი“.

ფსიქოლოგი: როდესაც თქვენ ძალიან ცელქობთ, დარბიხართ, ყვირით და ვერ ჩერდებით, გასწავლით ერთ კარგ თამაშს, ჰქვია „ფოლადის ჯარისკაცი და ფოლადის გოგონა“. როცა იჟღერებს მუსიკა თქვენ ირბინეთ, იხტუნეთ, როგორც კი მუსიკა შეწყდება და გაიგონებთ სიტყვას „გაჩერდი“ თითოეული უნდა დადგეთ ცალ ფეხზე, მეორე კი მოხაროთ მუხლში. ყველაზე მთავარია, რომ შეძლოთ მუსიკის დამთავრებისთანავე გაჩერდეთ. გამარჯვებული ბავშვები მიიღებენ ვარსკვლავს (დროშას ან სხვა რამეს).

ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ, ირთვება მუსიკა და ბავშვები მოძრაობენ თავისუფლად, მუსიკის დამთავრებისთანავე და ფსიქოლოგის დახილზე ბავშვებმა უნდა მიიღონ „ფოლადის ჯარისკაცის“ პოზა.

12) ვარჯიში „მზესუმზირა“ – ბავშვები მოქმედებენ ტექსტის შინაარსის შესაბამისად.

ფსიქოლოგი: წარმოიდგინეთ, რომ ხართ მზესუმზირას პატარა მარცვლები (ბავშვები არიან ჩაკუზულები და თავი დახრილი აქვთ) მწვანე მინდორში. ანათებს მზე და მისი სხივები გათბობთ, გსიამოვნებთ, როგორ გეთამაშებათ მზის სხივები. ეხლა კი ყუყუნა წვიმა წამოვიდა და დასველდით, წყალმა გაგამხიარულათ და დაიწყეთ ზრდა, გამოგივიდათ პატარა ყლორტი მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, ნელ-ნელა იზრდებით და გადაიქცეით ლამაზ მზესუმზირის ყვავილად. შეხედეთ მზეს, გაულიმეთ და ხელი დაუქნიეთ.

13) თამაში „დაიმახსოვრე სად იდექი“.

ფსიქოლოგის გარშემო დგანან ბავშვები: ზოგი წინ, ზოგი უკან, რამდენიმე მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ფსიქოლოგი მიმართავს მათ: ბავშვები დაიმახსოვრეთ ვინ სად დგას, მე დავტრიალდები და გაჩერდები, თქვენ კი ისევ უნდა დაიკავოთ თქვენი ადგილები, ისე, როგორც იდექით ჩემს მიმართ.

14) სავარჯიშო „ჩხირები“.

თითოეული ბავშვის წინ დევს სათვლელი ჩხირები 5 ცალი. ფსიქოლოგი სთავაზობს შემდეგ დავალებებს:

ა) ჩხირებისაგან დააწყეთ სამკუთხედი; ბ) დაამატეთ ერთი ჩხირი და დაალაგეთ რომბი; გ) რომბი გადააკეთეთ კვადრატად; დ) აიღეთ 5 ცალი ჩხირი და დაალაგეთ ტეხილი ხაზი და ა.შ.

15) თამაში „აბღა-უბღა“.

ფსიქოლოგი წინასწარ ამზადებს მასალას, რომელიც შედგება გართი მული წინადადებებისაგან ან გამოცანებისაგან, მაგრამ არ შეესაბამება სინამდვილეს. ბავშვები უსმენენ ყურადღებით და ასწორებენ შეცდომას:



ა) მატყუარა და კუდაგრძელია
არის მგელი (მელია)

ბ) ხტება ხიდან ხეზე,
უყვარს პალმა, ბანანი,
არის ქათამი (მაიმუნი)

გ) მსუნაგი და ღრუტუნა,
ეძებს ტლაპოს კატუნა (გოჭუნა)

16) სავარჯიშო ბურთით.

ფსიქოლოგი ბურთს უგდებს თითოეულ ბავშვს და აძლევს შეკითხვებს: ა) კვირაში რამდენი დღეა? ბ) მერამდენე დღეა ორშაბათი? გ) მერამდენე დღეა ხუთშაბათი? დ) გაზაფხულის თვეებია? და ა.შ.

17) თამაში „სკამები“.

ბავშვები თავის სკამებს აწყობენ წრეზე, სკამების რაოდენობა უნდა იყოს ერთით ნაკლები ბავშვების რაოდენობაზე. ფსიქოლოგი მიმართავს მათ: მე დავუკრავ ტაშს, თქვენ კი უნდა ირბინოთ სკამების გარშემო, როგორც კი შევწყვეტ ტაშის დაკვრას, უნდა დასხდეთ სკამებზე, ვინც ვერ მოასწრებს, დადგება ჩემს გვერდით და დაუკრავს ტაშს და ა.შ.

18) ვარჯიში თითებისათვის.

ა) ბავშვებს ურიგდებათ ფანქრები და ცდილობენ ფანქარი გადაიტანონ თითებს შორის, ჯერ მარჯვენა ხელში, შემდეგ კი მარცხენა ხელში;

ბ) „ჩიტები“. მარჯვენა და მარცხენა ხელის თითები „გადავწნათ“ ერთმანეთში, შემდეგ საჩვენებელი თითები ბალიშებით მივადოთ ერთმანეთს, შემდეგ ცერა თითები და დანარჩენი თითები ვამოძრავებთ ფრთებივით.

19) თამაში – ხატვითი ელემენტებით „ხელთათმანები“.

ბავშვებს ურიგდებათ ქალაქისგან წინასწარ გამოჭრილი ხელთათმანის ცალი, ხოლო მეორე არის უკვე მოხატული ნიმუში. ყველა აფერადებს ხელთათმანის წყვილს შესაბამისად და დებენ მაგიდაზე (უკანა მხრიდან), ბავშვები რიგ-რიგობით იღებენ და ეძებენ შესაბამის წყვილებს.

თამაშები წარმოსახვისა და ფანტაზიის გასაპოვებლად

1. „როგორ გამოვიყენოთ საგანი“ (5-6 წ)

მიზანი: წარმოსახვისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ასახელებს რომელიმე სიტყვას და ეკითხება ბავშვებს, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ იგი. მაგ. „გაზეთი“, (ვკითხულობთ, ვაკეთებთ ქუდს, გემს და ა.შ.) . ბავშვებმა უნდა მოიფიქრონ რაც შეიძლება მეტი ვარიანტი. შემდეგ შევთავაზოთ დახატონ „ინსტრუქცია საგნის გამოყენების შესახებ“ სიმბოლურად...

2. „შეცვალე ზღაპრის ფინალი“ (5-6 წ)

მიზანი: წარმოსახვის განვითარება

თამაშის მსვლელობა: წამყვანი კითხულობს რომელიმე ზღაპარს, მოთხრობას, შემდეგ კი ბავშვებს სთხოვს მოიფიქრონ სხვანაირი დასასრული და დახატონ ზღაპრის ფინალის თავისი ვერსია.



3. „გააცოცხლე სურათი“ (5-6 წ)

მიზანი: წარმოსახვის, მეხსიერების, აზროვნების, კომუნიკაციური უნარ-ჩვეულების განვითარება.

მასალა: მარტივი ტიპის სიუჟეტური სურათები.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ირჩევს ბავშვს, რომელიც ათვალიერებს სურათს და ირჩევს ერთ-ერთს, რათა განასახიეროს სურათზე ასახული სიუჟეტი. (დანარჩენს ბავშვებმა არ იციან რა ხატია სურათებზე.) ამის შემდეგ ბავშვები ათვალიერებენ სურათს და უნდა გამოიცნონ რომელი სურათის სიუჟეტი განასახიერა ბავშვმა. შემდეგ კი უნდა განიხილონ როგორ მოახერხა სიუჟეტის აღწერა და რამდენად გასაგები იყო სხვებისთვის.

4. „ასოციაციები“

მიზანი: წარმოსახვის განვითარება (5-6 წ)

მასალა: ბარათები რომელზეც დახატულია სხვადასხვა საგნები.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ასახელებს სიტყვას, ბავშვები ეძებენ იმ ბარათს, რომელიც ასოციაციურად მოაგონებს დასახელებულ საგანს, მაგ: წამყვანი ასახელებს სიტყვას „ფუტკარი“ ბავშვებმა უნდა მოძებნონ ბარათზე დახატული „ყვავილი“, „თაფლი“, „კაწარა“ ა.შ.

X თამაშები მეხსიერების გასაპოვებლად

1. „დახატე ფიგურები“ (5-6 წ)

მასალა: ქალაქი, ფერადი ფანქრები, 5-6 ცალი გეომეტრიული ფიგურა.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვებს აჩვენებს სხვადასხვა ზომის ფერად ფიგურებს რიგრიგობით და შემდეგ სთხოვს ჩახატონ ის რიგითობა, რომელიც დაამახსოვრდათ ფერად და ზომის მიხედვით.

2. გამოიცანით რა საგანია? სიმკვრივე

მიზანი: ტაქტილური მეხსიერების გასაპოვებლად.

მასალა: 3-10 ცალი სხვადასხვა საგანი და თვალეების ასახვევი.

თამაშის მსვლელობა: წამყვანი ბავშვს უხვევს თვალეებს და ხელეში აძლევს რიგრიგობით საგანს, რომელიც უნდა გამოიცნოს შეხებით. შემდეგ ბავშვს ვხსნით თვალის ასახვევს და ვთხოვთ რიგითობის მიხედვით გაიხსენოს ის საგნები, რომელიც გამოიცნო.

3. „გაიმეორე ჩემთან ერთად“

მიზანი: მოტორულ-სმენითი მეხსიერების გასაპოვებლად. (3-5 წ)

მასალა: თოჯინები

თამაშის მსვლელობა: ფსიქოლოგი აჩვენებს ბავშვს როგორ ცეკვავს თოჯინა და ახდენს ნებს ფეხით, ამის შემდეგ ბავშვიც იმეორებს თოჯინასთან ერთად ცეკვას, შემდეგ ფსიქოლოგი და ბავშვი რითმულად, სინქრონულად აცეკვებენ თოჯინებს.

4. „იპოვე წყვილი“ (5-6 წ)

მიზანი: ლოგიკური მეხსიერების განვითარება

მასალა: ბარათები, რომელზეც დახატულია სხვადასხვა საგნები. (15-20 ცალი)

თამაშის მსვლელობა: ბავშვს ვთავაზობთ აირჩიოს 5-6 ბარათი, დაალაგოს მაგიდაზე დაასახელოს ისინი და შემდეგ თითოეულს მოუძებნოს შესატყვისი ბარათი, რომელზეც დახატული იქნება ლოგიკურად შესაბამისი საგანი. მაგ: ბავშვმა აირჩია შემდეგი ბარათები:

ნახატებით: „ყვავილი“, „სოკო“, „ძალი“, „მაგიდა“ „კაბა“, „კოვზი“. ამის შემდეგ შესაბამისად უნდა აირჩიოს: „ყვავილი – „მინდორი“ ან „ყვავილი-ლარნაკი“ და ა.შ. ამ ბარათებს ანეობს ერთმანეთის ქვეშ და იმახსოვრებს. ამის შემდეგ წამყვანი არჩეულ ბარათებს გადადებს გვერდზე და ბავშვების ყურადღებას გადართავს სხვა აქტივობაზე. 20-30 წუთის შემდეგ, ბავშვმა უნდა აღიდგინოს მეხსიერებაში რომელი ბარათები აირჩია და რომელი ბარათები მიუსადაგა მათ.

თამაშები ყურადღების გასაპოვებლად

1. „კომპიუტერი“ (5-6 წ)

თამაშის მსვლელობა: წამყვანი თითოეულ ბავშვს მიაკუთვნებს რომელიმე ასოს (შეიძლება გამოვიყენოთ ანბანის ბარათები) შემდეგ წამყვანი ამბობს სიტყვას და წერს დაფაზე ან ფურცელზე დიდი ასოებით, შესაბამისი ასოების მფლობელები გამოდიან და ქმნიან ამ სიტყვას.

2. „გადახაზე სწორად“

მიზანი: ყურადღების კონცენტრაციის განვითარება (5-6 წ)

მასალა: ნებისმიერი მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტი

თამაშის მსვლელობა: ბავშვებს ვურიგებთ მსხვილი შრიფტით დაბეჭდილ ტექსტს და ფანქრებს. ა) 2 წთ-ის განმავლობაში უნდა გადახაზონ რომელიმე კონკრეტული ასო, რომელსაც მიუთითებს წამყვანი, ბ) დავალების გართულება: ერთროულად ორი სხვადასხვა ასოს გადახაზვა, გ) დავალების გართულება: ორი ასოს სხვადასხვაგვარად გადახაზვა: ერთი ასო ვერტიკალურად, ხოლო მეორე – ჰორიზონტალურად.

კომენტარი: ამ დავალების შესრულება სისტემატურად 3-4 კვირის შემდეგ იძლევა სასურველ შედეგს, ბავშვები შეცდომებს 2-3-ჯერ ამცირებენ, მაღალი მაჩვენებლის მისაღწევად 2-4 თვეა რეკომენდირებული.

3. „დათვალე და დაწერე ერთდროულად“ (5-10 წ)

მიზანი: ყურადღების განვითარება

მასალა: ბარათები რიცხვებით

თამაშის მსვლელობა: ა) ბავშვი წამყვანის დავალებით იწყებს თვლას 1-10-მდე და თან ეძებს ბარათებზე დაწერილ შესაბამის რიცხვს. ბ) ამბობს:

ა) ერთს და დაფაზე ან ფურცელზე წერს 10

ბ) ორს და წერს 9

გ) სამს და წერს 8

დ) ოთხს და წერს 7

ე) ხუთს და წერს 6


ვ) ექვსს და წერს 5 და ა.შ.

4. „ლექსი სხვადასხვა ტემპით“

მიზანი: ყურადღების განვითარება

მასალა: ფანქარი

თამაშის მსვლელობა: წამყვანი სთავაზობს ბავშვს თქვას ლექსი და ფანქრით რითმულად აკაკუნოს მაგიდაზე, შემდეგ აჩქარებს ან ანელებს ლექსის ტემპს.



მეცადინეობისთვის საჭირო მასალა: ბურთი, პატარა ხალიჩები, მშვიდი მუსიკის აუდიო-ჩანაწერი.

1) თამაში: „კომპლიმენტი“

ფსიქოლოგი: „ბავშვებო, დადებით წრეში, ერთმანეთს უნდა გადასცეთ ბურთი და უთხრათ სასიამოვნო, თბილი სიტყვები;

2) სუნთქვითი ვარჯიში „გეომეტრიული ფიგურები“

ფსიქოლოგი: დადებით სწორად, ხელები გასწვრივ, გააკეთეთ ღრმა ჩასუნთქვა და ხელები ნელ-ნელა დაუშვით ძირს, ცოტა ხანს გააჩერეთ სუნთქვა, შემდეგ ამოსუნთქეთ და შაერში ხელით მოხაზეთ წრე. ვიმეორებთ ორჯერ, შემდეგი ამოსუნთქვის დროს შაერში ვხაზავთ კვადრატს, სამკუთხედს, ოვალს და ა.შ.

3) სავარჯიშო მოძრაობის კოორდინაციისა და გრაფიკული უნარების განსავითარებლად.

ფსიქოლოგი: აიღეთ ფურცელი, ფანქრები მარჯვენა და მარცხენა ხელში, ერთდროულად ორივე ხელით უნდა დაგხატოთ წრე, შემდეგ კვადრატი და ა.შ.

4) თამაში „ვინ რას მართავს?“ ბავშვები პასუხობენ რიგრიგობით.

მატარებელი დაჰყავს ვის? (მემანქანეს)

მანქანას ატარებს ვინ? (მძღოლი)

ვერტმფრენს მართავს ვინ? (მფრინავი)

კოსმოსში მიფრინავს ვინ? (კოსმონავტი)

გემს მართავს ვინ? (კაპიტანი)

მოტოციკლს მართავს ვინ? (მოტოციკლისტი) და ა.შ.

5) თამაში „ატომი-მოლეკულა“

ფსიქოლოგი ბავშვებს უხსნის ატომისა და მოლეკულის არსს, ბავშვები იყოფიან ატომებად და მოლეკულებად. ფსიქოლოგის სიგნალზე, მაგ: 3 ატომი, ორი მოლეკულა – ბავშვები რიგის მიხედვით ჯგუფებიან (მანამდე მოძრაობენ თავისუფლად).



6) რელაქსაცია „პლაჟი“

ბავშვები წვებიან ხალიჩაზე და ფსიქოლოგი მშვიდი ხმით მიმართავს მათ: „დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ, რომ ისვენებთ ზღვის სანაპიროზე, თბილ ქვიშაზე, მზე გათბობთ, უბერავს ნიავი, გესმით ტალღების ხმა... ეხლა ყური მიუგდეთ თქვენს სხეულს, მოდუნდით... (2 წთ), ეხლა გაიზმორეთ, ღრმად ამოისუნთქეთ და ჩაისუნთქეთ, გაახილეთ თვალები, ნელა წამოჯექით და ადექით.“

7) მეცადინეობის შეჯამება.

ფსიქოლოგი: ყოჩაღ ბავშვებო! ძალიან დიდი მადლობა, რომ ჩემთან ერთად ივარჯიშეთ, ითამაშეთ. საინტერესო იყო დღევანდელი მეცადინეობა? რა იყო ადვილი? რთული? ეხლა ერთმანეთს გაგულიმით და დავემშვიდობოთ.

მეცადინეობა 2. (ნიმუში)

მეცადინეობისთვის საჭირო მასალა: ბარათები ბავშვის სხვადასხვა ემოციური მდგომარეობით; ხალიჩები (ბავშვების რაოდენობის შესაბამისად), მუსიკის აუდიოჩანაწერი, სათამაშოები, ნივთები.

1) სავარჯიშო „მე მიხარია შენი ნახვა“

ბავშვები დგებიან წრეში, რიგ-რიგობით ერთმანეთს გადასცემენ სათამაშოს და ეუბნებიან ერთმანეთს „მე მიხარია შენი ნახვა“.

2) სავარჯიშო „ჩვენი ემოციები“

ფსიქოლოგი: ჩვენ დღეს ვისაუბრებთ სხვადასხვა ემოციის შესახებ, რომელსაც ადამიანი გამოხატავს სიტყვებით, მიმიკით, უესტებით, ეხლა მე გაჩვენებთ სურათებს და მითხარით რა გრძნობას განიცდის ბავშვი? როგორ გამოიცანით? რატომ შეიძლება ჰქონდეს ბავშვს ეს გრძნობა? თქვენ როდის განიცადეთ ეს გრძნობა?

3) თამაში „ერთი, ორი, სამი – გაიყინე“ – ფსიქოლოგი ბავშვებს აჩვენებს ბარათებს სათითაოდ, რომელზეც გამოსახულია ადამიანის ემოცია (შიში, სიხარული...). ფსიქოლოგის მიმართვაზე: „ერთი, ორი, სამი – გაიყინე“, ბავშვებმა უნდა გამოხატონ ანალოგიური ემოცია.

4) რეფლექსია. ბავშვები პასუხობენ ფსიქოლოგის შეკითხვებს:

- რა მოხდებოდა, ჩვენ, ადამიანებს, რომ არ გვქონდეს გრძნობები?
- ყოფილა ისეთი სიტუაცია, რომ ხელი შეგიშალა შენმა გრძნობებმა?
- ყოფილა როდესმე, რომ სხვებმა ვერ გაიგეს შენი გრძნობები? შენ გესმის ყოველთვის, რას გრძნობს სხვა ადამიანი?
- საჭიროა თუ არა ადამიანმა დამალოს რას გრძნობს?
- როგორ გრძნობებს გინდა განიცდიდე?

5) სავარჯიშო „ბარტყი“

ბავშვები დგანან ნახევარ წრეზე, ფსიქოლოგი მიმართავს მათ: „ბავშვებო შეხედეთ თქვენ ხელის გულს, წარმოიდგინეთ, რომ ხელის გულზე ზის პატარა, ლამაზი ბარტყი, მაგრამ წვიმამ დაასველა და სცივა. მოდით ნაზად შევუბეროთ სული, გავათბოთ და გავაშროთ“.

ბავშვები ასრულებენ დავალებას. ფსიქოლოგი: „ყოჩაღ! ნახეთ როგორ გათბა და გაშრა ჩვენი ბარტყი, მოდი ეხლა გაუშვათ, გაფრინდეს და ჭიკჭიკით გაახაროს ბავშვები (ბავშვები ხელს იშვერენ ზემოთ და ემშვიდობებიან ჩიტუნას: „ნახვამდის“



6) სავარჯიშო „მე მიხარია როცა...“ (თვითცნობიერების, რეფლექსიის განსავითარებლად)

ფსიქოლოგი: ეხლა ჩვენ ერთმანეთს გადავცემთ ბურთს და ვამბობთ: „მე მიხარია როცა...“

7) რელაქსაცია „საჰაერო ბუშტები“

ბავშვები სხედან ან წვანან პატარა ხალიჩებზე, ფსიქოლოგი მიმართავს მათ: წარმოიდგინეთ, რომ ხართ საჰაერო ბუშტები, ძალიან ღამაში ფერის, მსუბუქი და მხიარული. ზოგი წითელი, ზოგი ყვითელი, მწვანე, ცისფერი, თეთრი, ვარდისფერი, სტაფილოსფერი... ძალიან ჰაეროვანი, მსუბუქები ხართ და დაფრინავთ, როცა ნიავი დაგიბერავთ.

ფსიქოლოგი: ეხლაც დაგიბერათ ნიავმა და მოფრინდით ჩვენთან, გაიზმორეთ, ერთი, ორი, სამი, გაახილეთ თვალები. თუ შეიძლება მიამბეთ, ვინ რა ფერის ბუშტი იყო და როგორ იფრინა.

ამის შემდეგ ბავშვებს ვთავაზობთ ფერადი ფანქრებით დახატონ ბუშტები.

8) **მეცადინეობის შეჯამება.** ფსიქოლოგი მაძღობას უხდის ბავშვებს და განიხილავს მეცადინეობის შინაარსს, ყველა ერთმანეთს უნდა დაემშვიდობოს ღიმილით.

ფსიქომობოროული განვითარება

• **მსხვილი მოტორიკის განვითარებისთვის:**

1. გარკვეული მანძილიდან კალათში ბურთის ჩაგდება.
2. თოკით „გააკეთეთ გზა“. ბავშვმა ნაბიჯ-ნაბიჯ ზედ გაიაროს.
3. ცხოველების სიარულის მიბადვა (ბაყაყი, ბატი...)
4. შეჯიბრი სირბილში.
5. ცალ ფეხზე ხტუნვა
6. ხეზე აცოცება ან ხეზე მიბმული თოკის მეშვეობით აცოცება.
7. ხტუნვა, ხტუნვისას ხიდან ხილის კრეფის იმიტაცია.
8. ველოსიპედის ტარება, ბურთით თამაში, ცურვა, ცხენოსნობა, სათამაშო პარკში თამაში, ტანვარჯიში – ხელს უწყობს მსხვილი მოტორიკის განვითარებას.

• **წვრილი მოტორიკის განვითარებისთვის:**

1. პატარა კონტეინერში ჩაყვართ ქვიშა, თითით „დავხატოთ“ფიგურები.
2. ბრინჯი, ლობიო და ა. შ. ავურიოთ და ბავშვს გავაცალკევებინოთ.
3. პლასტელინით და ცომით ძერწვა.
4. გაზეთის ფურცლებიდან პატარა ბურთების გაკეთება
5. ლურსმნის დაჭედება.
6. ძაფზე მძივის ასხმა.
7. კონსტრუქტორით თამაში.
8. გაზეთებიდან და ყურნალებიდან სურათის/ნახატების ამოჭრა.
9. „ორიგამია“ – ქალაქისგან თვითმფრინავის ან მსგავსი რამის გაკეთება.
10. აკვარელით ხატვა.
11. დიდ პოლიეთილენის ნაჭერზე საპარსი ქაფის გაშვება და თითით „ხატვა“



• **მეტყველების განვითარებისთვის:**

1. გამოიყენეთ დაუსრულებელი წინადადებები
2. ბავშვს მოუყევით საინტერესო ამბავი და სთხოვეთ მოუძებნოს სათაური
3. მიეცით 3-4 სიტყვა, სთხოვეთ გამოიყენოს წინადადებაში.
4. აპოვინით სიტყვის ანტონიმები.
5. მიეცით სიტყვა, აპოვინით აზრობრივად დაკავშირებული სიტყვა (ქვაბი-თავსახური, ბოთლი-ლიმონათი, თმა-სამაგრი.)
6. ფილმის სახელის გამოცნობა (მოძრაობებით „აღწეროს“ ფილმის/მულტფილმის სახელი).
7. აფორიზმებისა და ანდაზების ახსნა.
8. ჩამოუთვალეთ 10 სიტყვა, გაიმეოროს, რასაც დაიმახსოვრებს
9. შეადგინეთ ჯერ მარტივი წინადადება და გაამეორებინეთ, თანდათან გაართულებთ წინადადებები.

• **თვითმომსახურების განვითარებისთვის:**

1. მიუჩინეთ ბავშვს თავის ოთახში ერთი კარადა ან უჯრა, რომლის მოწესრიგებაც მას დაევალება.
2. მიეცით ნება დოქიდან წყალი დაისხას.
3. მიეცით ნება გაფინოს თავისი წინდები, მაისური.
4. ქურთუკი და ფეხსაცმელი თავად ჩაიცვას ხოლმე.
5. მიეცით ნება გადაიღოს თეფშზე იმდენი საჭმელი, რამდენსაც მოერევა.
6. ტანსაცმლისა და საცვლების დამოუკიდებლად გამოცვლა.
7. სკოლიდან ან ბაღიდან დაბრუნებისას მიეცით უფლება, რომ თვითონ გამოიცვალოს, დაიბანოს ხელები და ა.შ.
8. მიაჩვიეთ, რომ ჭუჭყიანი ტანსაცმელი თვითონ ჩაყაროს სარეცხში.
9. ითამაშეთ ჩაცმა/გახდის თამაში.
10. დააკისრეთ მოვალეობა, რომ ყოველ დღით საუზმის მომზადებისას დაგეხმაროთ
11. მაგიდის ალაგებისას დაიხმარეთ.

• **შემეცნებითი განვითარებისთვის:**

1. ოთახში შეცვალეთ ნივთების ადგილი და აპოვინით სხვაობა.
2. თვალეები აუხვიეთ, ხელში მიეცით რაიმე ნივთი და გამოაცნოს
3. აჩვენეთ 10 ნივთი, გადააფარეთ ქსოვილი, სთხოვეთ გაიხსენოს რა ნივთები იყო.
4. დროის დაფიქსირებით აანყობინეთ ფაზლები.
5. ბურღულეული გადაურიეთ, მიეცით დრო რომ დააჯგუფოს ცალ-ცალკე.
6. ააღწერინეთ რამე ადგილმდებარეობა (კინოს, მაღაზიის, სკოლის...)
7. განუვითარეთ კრეატიული აზროვნება
8. დაანწყვილებინეთ წინდები
9. ჰკითხეთ რაიმეს თანმიმდევრობა (მაგ. გააკეთეთ ერთად კექსი, ჰკითხეთ ჯერ რა ათქვიფეთ, მერე რა დაამატეთ...)



• სოციალურ-ემოციური განვითარებისთვის:

1. ბავშვს საუბრისას სიტყვა არ შეაწყვეტინოთ. ასწავლეთ რომ სხვასაც არ შეაწყვეტინოს სიტყვა ნებართვის გარეშე.
2. კვირაში ერთხელ მიიწვიეთ მისი მეგობრები სახლში.
3. ასწავლეთ „ნახვამდის“, „გამარჯობა“, „მობრძანდით“, „როგორ ხართ“ ა.შ. როდის უნდა გამოიყენოს.
4. საუარჯიშო: წარმოიდგინოს ბავშვმა, რომ ვითომ პატარა ჩიტია, გარეთ თოვს და ჭკითხეთ თავს როგორ იგრძნობს..
5. ბავშვთან ერთად შეარჩიეთ საინტერესო თემა, მოიძიეთ მასალა და მოამზადეთ პრეზენტაცია .
6. ნდობას ბავშვში აყალიბებს დედ-მამა, იყავით ყურადღებიანი და გამობატეთ მისადმი სიყვარული.
7. ხშირად წაიყვანეთ ბავშვი საბავშვო თეატრში.
8. ერთად გამოაცხეთ ორცხოობილა და დაურიგეთ შვილის მეგობრებს
9. ოჯახში ბავშვს დააკისრეთ მცენარის, ცხოველის მოვლა

ბასტი „წვრილი მოტორიკის განვითარება“




30 წმ-ის განმავლობაში ბავშვმა წრეებში უნდა დასვას წერტილები. შედეგების შესამოწმებლად დასჭირდა დასმული წერტილების საერთო რაოდენობის დათვლა, შემდეგ საერთო რაოდენობას გამოაკელით წერტილები, რომელიც ბავშვმა წრის გარეთ ან წრეზე დასვა

- შედეგები:** 34 (ცენტრში დასმული წერტილი) და მეტი – მაღალი დონე
 27-33 – საშუალოზე მაღალი დონე
 18-26 – საშუალო დონე
 12-17 – საშუალოზე დაბალი დონე
 11-მდე – დაბალი დონე

„დახატე წრეები“ (დავალება სრულდება ხელის აულებლად)

დავალება №2

თითოეული ფიგურა დაშტრიხეთ ვერტიკალური, ჰორიზონტალური და ირიბი შტრიხებით:



სკოლისათვის ფსიქოლოგიური მზაობის განსაზღვრელი ნიშნები

1. სწავლისა და სკოლაში სიარულის სურვილი (რომელიც გვევლინება როგორც სასწავლო მოტივაციის მომნიშვნის ნიშანი);
2. ცოდნა გარემომცველი სამყაროს შესახებ;
3. ძირითადი გონებრივი ოპერაციების შესრულება;
4. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ამტანობის განსაზღვრული დონე;
5. ინტელექტუალური, მორალური და ესთეტიკური გრძნობების განვითარების განსაზღვრული დონე;
6. მეტყველებისა და კომუნიკაციური უნარების განვითარების დონე, რომელშიც იგულისხმება:
 - ზრდილობიანი ქცევა თანატოლებთან და უფროსებთან
 - კონტაქტში შესვლის უნარი
 - სკოლაში არსებული ნორმის, ტრადიციებისა და წესების დაცვა
 - დისციპლინიზებულიობა

სკოლისათვის მზაობის დიაგნოსტიკა

უფროსი სკოლამდელების შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი მონაცემების მიხედვით:

- ა) ჯანმრთელობის მდგომარეობა. ბ) სოციალური სიმწიფე. გ) ფსიქოფიზიოლოგიური და ინტელექტუალური მომწიფება. დ) სწავლის უნარი. ე) ინფორმაციის სწრაფი გადამუშავების უნარი. ზ) ნებისმიერი ყურადღება ზ) ხანმოკლე სმენითი და მხედველობითი მეხსიერება. თ) მეტყველების განვითარების ხარისხი ი) ცნებითი და აბსტრაქტული აზროვნება კ) ადაპტაციური უნარები. ლ) სოციალური და ზნეობრივი განვითარების ხარისხი. მ) წარმოსახვის განვითარების ხარისხი. ნ) თვითშეფასების ხარისხი.

მეთოდები:

- 1) კითხვარი „ბავშვთა ზოგადი ორიენტაცია და ცოდნა გარემომცველი სამყაროს შესახებ“
 - 2) მეთოდის „ცნებების განსაზღვრება, მიზეზების განხილვა, მსგავსება და განსხვავება“
 - 3) მეთოდის „ტექსტის იმიტაცია“
 - 4) რავენის ტესტი
 - 5) შფოთვის ტესტი
 - 6) ბენდერის ვიზუალურ-მოტორული ტესტი
 - 7) ლუშერის ტესტი
 - 8) ტულუზ-პიერონის ტესტი
- ტესტირების რეკომენდირებული დრო სკოლამდელთათვის 40 წთ.



სკოლისთვის მზადების ექსპრეს-დიაგნოსტიკა

1. სუბტესტი „აბდა-უბდა“

შეფასება: ა) ბავშვი სურათზე ასახული არალოგიკური მოვლენების მიმართ ავლენს გაკვრევებას (ლიმილს), დახმარების გარეშე-2 ქულა

ბ) ბავშვი მცირე დახმარებით ნახულობს ნახატზე არალოგიკურ მომენტებს (1 ქულა)

გ) ბავშვი ემოციურად არ რეაგირებს და მხოლოდ პედაგოგების საშუალებით პოულობს ნახატის არალოგიკურ მომენტებს-0 ქულა

2. სუბტესტი „სურათების თანმიმდევრობა“ (ანალოგიურია ბინე-სიმონისა და ვექსლერის ტესტის)

შეფასება: ა) თუ ბავშვი დამოუკიდებლად ახერხებს სწორად, ლოგიკური თანმიმდევრობით დაალაგოს სურათები – ენიჭება 2 ქულა.

ბ) თუ ბავშვს უჭირს სიუჟეტის თანმიმდევრულობის გაგება, ან სიუჟეტის შინაარსს ხვდება ეპიზოდურად, მაშინ ენიჭება 1 ქულა.

გ) თუ ბავშვი არღვევს თანმიმდევრობას და მისი მონათხრობი მხოლოდ აღწერს ცალკეულ დეტალებს, ენიჭება 0 ქულა.

3. სუბტესტი „გეომეტრიული ფიგურები“. ამ სუბტესტისთვის გამოიყენება ფიგურები (გამოჭრილი) და ნიმუში (გეომეტრიული ფიგურებისგან აწყობილი)

ინსტრუქცია: ბავშვს ვთხოვთ დააკვირდეს ნიმუშს და ააწყოს ზუსტად ისეთი.

შეფასება: ა) ბავშვს ვანიჭებთ 2 ქულას, თუ სწორად ალაგებს ფიგურებს. ბ) ბავშვი იღებს 1 ქულას, თუ ძირითადი ნაწილი ააგო, მაგრამ ბოლომდე ვერ შეძლო დამოუკიდებლად დამთავრება.

გ) ბავშვს ენიჭება 0 ქულა, თუ ვერ შეძლო ფიგურის აწყობა.

სუბტესტი 4. „ანალოგია“ – ტესტი აზროვნების საკვლევად

ინსტრუქცია: დაგისახელებ 3 სიტყვას, აქედან ორი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ხოლო მესამე სიტყვას შენ უნდა მოუძებნო შესატყვისი, მაგალითად:

ა) კალმახი – თევზია, ვარდი?

ბ) სტაფილო – ბოსტნეულია, ვაშლი?

გ) საათი უჩვენებს დროს, თერმომეტრი?

დ) თვალით – ვხედავთ, ყურით?

ე) უთო – აუთოვებს, ხოლო ტელეფონი?

ვ) სოკო ტყეშია, ხორბალი?

ზ) ნათურა ანათებს – ფანქარი?

თ) წიგნს ვკითხულობთ, მუსიკას?

შეფასება: თუ ბავშვმა აზრობრივად სწორი პასუხი გასცა, მაგრამ არა ზუსტი, მაინც ვთვლით როგორც სწორ პასუხს, მაგ; თერმომეტრი – ავადმყოფობა, სიცხე და ა.შ.

ა) ბავშვს ვანიჭებთ 1 ქულას, თუ 8 მაგალითიდან 4-5 უპასუხა სწორად.

ბ) ბავშვს ენიჭება 0 ქულა, თუ მან 8 მაგალითიდან უპასუხა – 2-3 სწორად.

სუბტესტი 5. „ლოგოპედიური“ – ეს ტესტი ადგენს ბგერათა სწორად წარმოთქმის უნარს და ფონემატურ სმენას. სუბტესტი შედგება 2 ნაწილისგან.

ნაწილი I. გეტყვი სიტყვას, სიტყვა უნდა დაჰყო მარცვლებად და თან დაუკრა ტანს (ფსიქოლოგი აჩვენებს) გამოიყენება ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი სიტყვები და ა.შ.



II ა) „მე გეტყვი სიტყვას, ხოლო შენ უნდა მითხრა, ამ სიტყვაში რომელია 1) პირველი ბგერა და ბოლო. (შეარჩიეთ ბავშვისთვის ნაცნობი სიტყვები). 2) მე-2 და მე-4 ბგერა და ა.შ.

ბ) ბავშვს ვაჩვენებთ დანერილ სიტყვებს, ვეუბნებით რა სიტყვა წერია და შემდეგ უნდა გვანახოს ჩვენი მითითებით I, III, V, II ასო და ა.შ.

შეფასება: ა) ბავშვს ვანიჭებთ 2 ქულას თუ სწორად წარმოთქვამს ყველა ბგერას, სწორად მარცვლის, სწორად ასახელებს ბგერების, ასოების რიგითობას.

ბ) ბავშვს ენიჭება 1 ქულა თუ 2-3 ბგერას გამოთქვამს არასწორად და უშვებს შეცდომებს დავალების შესრულებაში.

გ) ბავშვს ენიჭება 0 ქულა, თუ ბგერებს ვერ გამოთქვამს სწორად და უჭირს დანარჩენ დავალებათა შესრულება, ხშირად სჭირდება უფროსების დახმარება.

სუბტესტი 6. „მოძებნე ასეთივე“ – ამ ტესტის საშუალებით შეიძლება გავიგოთ, რამდენად აქვს განვითარებული საგანთა კლასიფიკაციის უნარი. მასალად ვიყენებთ სურათებს, რომელზეც დახატულია თითქმის ერთნაირი საგნები

შეფასება: ა) თუ ნახატზე არსებულ საგნებს ბავშვი სწორად აჯგუფებს და მსჯელობს, ვანიჭებთ 2 ქულას.

ბ) ბავშვს ვანიჭებთ 1 ქულას, თუ ბავშვი უფროსის დახმარებით ახერხებს დაჯგუფებას

გ) თუ ბავშვმა ვერ შეძლო საგანთა დაჯგუფება უფროსის დახმარებითაც, მაშინ ვანიჭებთ 0 ქულას.

სუბტესტი 7. „დახატე ადამიანი“.

კითხვარი: „უნდა თუ არა ბავშვს სწავლა?“

1. მოგწონს სკოლაში?

ა) არც ისე (1 ქულა); ბ) მომწონს (3); გ) არ მომწონს (0).

2. დილით როცა იღვიძებ, ყოველთვის სიხარულით მიდიხარ სკოლაში, თუ გინდა ხოლმე სახლში დარჩენა?

ა) ხშირად მინდა სახლში დარჩენა (0); ბ) ხან მინდა და ხან არა (1); გ) მივდივარ სიხარულით (3).

3. მასწავლებელი გთავაზობთ: „ხვალ არაა აუცილებელი სკოლაში მოსვლა და შეგიძლიათ სახლში დარჩეთ“ – რას იზამ?

ა) არ ვიცი (1); ბ) სახლში დავრჩები (0); გ) წავალ სკოლაში (3).

4. მოგწონს როცა გაკვეთილი გიცდებათ?

ა) არ მომწონს (3); ბ) ხანდახან (1); გ) მომწონს (0).

5. გინდა, რომ სკოლაში არ გაძლევდნენ საშინაო დავალებას?

ა) დიახ (0); ბ) ალბათ არა (3); გ) არ ვიცი (1).

6. გინდა, რომ სკოლაში სულ შესვენება იყოს?

ა) არ ვიცი (1); ბ) არა (3); გ) კი (0).

7. ხშირად უყვები მშობლებს სკოლის შესახებ?

ა) ხშირად (3); ბ) იშვიათად (1); გ) არა (0).

8. გინდა, რომ ნაკლებად მკაცრი მასწავლებელი გყავდეს?

ა) ზუსტად არ ვიცი (1); ბ) დიახ (0); გ) არა (3).

9. კლასში ბევრი მეგობარი გყავს?



ა) ცოტა (1); ბ) ბევრი (3); გ) არ მყავს (0).

10. მოგნონს შენი კლასელები?

ა) დიას (3); ბ) არც ისე (1); გ) არა (0).

25-30 ქულა – მაქსიმალური დონე სასკოლო მოტივაციისა და სასწავლო აქტივობის. ასეთი ბავშვები გამოირჩევიან მაღალი შემეცნებითი მოტივებით, ასრულებენ მასწავლებლის ყველა მითითებას. კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი ბავშვები, თუმცა ღრმად განიცდიან არადამაკმაყოფილებელ შეფასებას და შენიშვნებს.

20-24 ქულა – კარგი სასკოლო მოტივაცია და უმრავლესობას აქვს დაწყებით ეტაპზე ასეთი მაჩვენებელი.

15-19 ქულა – დადებითი დამოკიდებულება სკოლის მიმართ, მაგრამ სკოლა მათთვის მიმზიდველია არასასწავლო მიტივით, ასეთი ბავშვები სკოლაში კარგად გრძნობენ თავს, რადგან მოსწონთ თანატოლებთან და მეგობრებთან ურთიერთობა. მოსწონთ მოსწავლის როლი, ლამაზი ჩანთა, წიგნები, ფანქრები, მაგრამ შემეცნებითი მოტივები ნაკლებად არის ფორმირებული, თვითონ სწავლის პროცესიც ნაკლებად მიმზიდველია მათთვის.

10-14 ქულა – დაბალი სასკოლო მოტივაცია. ასეთი მოსწავლეები სკოლაში დადიან არც თუ ისე ხალისიანად, ხშირად სურთ გაკვეთილების გაცდენა და გაკვეთილზე დაკავებულნი არიან სხვა საქმეებით, უჭირთ სწავლა.

10-0 – ნეგატიური დამოკიდებულება სკოლის მიმართ.

იღლება თუ არა ბავშვი მეცადინეობის დროს ან გაკვეთილზე?

ფსიქოლოგები გამოყოფენ დადლილობის შემდეგ ნიშნებს:

ა) სამეტყველო რეაქციები

- 1) გვერდითი საუბრები;
- 2) კარნახი;
- 3) წამოყვირება;
- 4) არაადექვატური სიცილი;
- 5) სიმღერა;
- 6) ჯუჯლუნი.

ბ) მოძრაობითი რეაქციები

- 1) წამოხტომა ადგილიდან;
- 2) ფანქრის, კალმის ლეჭვა;
- 3) გვერდზე მჯდომის შეწუხება;
- 4) მაგიდის ქვეშ შეძრომა;
- 5) სხვა ნივთებით გართობა;
- 6) სხვა არაადექვატური მოძრაობები.

სწავლის ხელისშეშლებელი ფაქტორები

- 1. ცუდად განვითარებული მეხსიერება;
- 2. ცუდად განვითარებული ყურადღება;
- 3. დამოუკიდებლობისა და ადაპტაციის დაბალი დონე



4. ცუდად განვითარებული მეტყველება;
5. კითხვის არასაკმარისი დონე;
6. გაფანტულობა
7. არაორგანიზებულობა
8. ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლის ნელი ტემპი;
9. პასუხისმგებლობის დაბალი ხარისხი;
10. მოსმენის დაბალი ხარისხი;
11. შემეცნებითი ინტერესის დაბალი ხარისხი;
12. სირთულეების დაძლევის სურვილის არქონა;
13. უპატივცემულობა სწავლის პროცესისა და მასწავლებლის მიმართ.

ტესტი ხანმოკლე სმენითი მხსნიერების შესამოწმებლად

ბავშვს წაუკითხეთ ფრაზა და სთხოვეთ გაიმეოროს, ყოველ შემდეგ ფრაზაში უფრო მეტი სიტყვაა, რაც უფრო გრძელ ფრაზას გაიმეორებს, უკეთესი შედეგის მაჩვენებელია.

1. ბავშვებო დაიძინეთ;
2. საათი ჰკიდია კედელზე;
3. შეშინებული ძალი მირბის გზაზე;
4. კატა გაეკიდა თავს, მაგრამ ვერ დაენია;
5. კრუხმა პატარა წინილები საღამოს ეზოში გაასეირნა;
6. პატარა გოჭები იწვნენ ტლაპოში და ბედნიერად ნებივრობდნენ;
7. ერთ საღამოს დედამ საყვარელი ზღაპარი წაუკითხა შეილებს და მათ ტკბილად დაეძინათ.

დავალეზები აზროვნების გასაპრობებლად

1. „შევადგინოთ მოთხრობა“ ფსიქოლოგი (მასწავლებელი) ბავშვებს სთავაზობს თემას, მაგ: „გაზაფხული“. თითოეული ბავშვი ამბობს „გაზაფხულთან“ დაკავშირებულ სიტყვებს., ფსიქოლოგი დაფაზე ხატავს ამ სიტყვებს სიმბოლურად, ხოლო შემდეგ ერთობლივად ადგენენ მოთხრობას გაზაფხულის შესახებ;
2. დავალეზა „მიზეზების ძებნა“. ასეთი ტიპის დავალეზა გამოიყენება ჰიპოთეზათა ჩამოყალიბებისათვის, მაგ:
 - მთელი დღე ქუჩაში ისმოდა მუსიკა-რატომ?
 - ნინი მთელი დღე ელოდებოდა დედას-რატომ?
 - ბავშვს გაუხარდა ავტობუსის დანახვა-რატომ?
 - ბავშვებმა არ ითამაშეს საბავშვო მოედანზე-რატომ? და ა.შ.
3. „მოძებნე სიტყვა“ – ფსიქოლოგი ბავშვებს ეუბნება სიტყვას, მაგ: ზაფხული, შემდეგ ჩამოთვლის ზედსართავ სახელებს, ბავშვებმა კი უნდა აირჩიონ რომელი სიტყვა მიესადაგება სიტყვას „ზაფხული“ (ცხელი, მზე, მწვანე, კაშკაშა, ალერსიანი, ცოცხალი), საღამო – წვიმიანი, მზიანი, მშვიდი;
4. პიქტოგრამები (საგნების, მოვლენების სიმბოლური გრაფიკული გამოსახვა) ფსიქოლოგი სთავაზობს ბავშვებს ერთმანეთს მისწერონ წერილი პიქტოგრამების გამოყენებით, შემდეგ ხდება წერილების კითხვა და განხილვა.



საბავშვის მეთოდთა

Substitute, Combine, Adapt, Modifi, Eliminate ,Reverse.

მეთოდთა კრეატიულობის გასაფართოებლად – ავტორი ბობ ებერლე (1997 წ)

შემოკლებით	მოდულიზაცია	მნიშვნელობა
S	Substitute	შეცვალე რამე, მაგ: კომპონენტი, მასალა, ადამიანები
C	Combine	კომბინირება, მაგ: სხვა ფუნქციებით, ხელსაწყოებით
A	Adapt	დაამატება რამის, მაგ: ახალი ელემენტები, ფუნქციები
M	Modifi	მოდულიზირება, მაგ: შეცვლა ფორმის, ზომის, ფერის და ა.შ
P	Put	გამოყენება სხვა დანიშნულებით, სხვა სფეროში
E	Elimiate	წაშლის მოცილება, გამარტივება
R	Reverse	ადგილების ჩანაცვლება, გადაბრუნება, გამოყენება რაღაც სხვა ფორმაში.

მეტყვალის გასაფართოებელი ღვაწლები

1) დავალება: „საპირისპირო სიტყვები“. ფსიქოლოგი ასახელებს რომელიმე სიტყვას, ბავშვი უნდა შეარჩიოს მისი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა (ანტონიმები). მაგ: მაღალი-დაბალი, სუსტი-ძლიერი, შავი-თეთრი, წვრილი-მსხვილი, ღამე-დღი.

2) დავალება: „რა ან ვინ შეიძლება იყოს“. ფსიქოლოგი ასახელებს ანტონიმებს და ბავშვებს უნდა უპასუხონ რა ან ვინ შეიძლება იყოს...

„მაღალი-დაბალი“ (ადამიანი, ხე, კარადა...)

„ცივი-ცხელი“ (წყალი, საჭმელი...)

„დიდი-პატარა“ (ადამიანი, ბურთი, ქვა...)

„მაგარი-რბილი“ (პური, ყველი, ბურთი...)

„მყარი-თხევადი“ (წყალი, კარაქი, რკინა...)

„ვინრო-ფართე“ (ნაჭერი, გზა, ხიდი...)

„სამკუთხედი-ოთხკუთხედი (სახლი, სახაზავი, ნამცხვარი...)

3) დავალება: „სურათების მიხედვით შეადგინე მოთხრობა. ფსიქოლოგი აჩვენებს 1, 2, 3, 4 სურათს და სთხოვს ბავშვებს შეადგინონ მოთხრობა სიუჟეტის მიხედვით (რომელი სურათით იწყება და მთავრდება). გასამარტივებლად შეიძლება კითხვების დასმა: ვინ? რა? რატომ? როგორ? როდის? და ა.შ.

ბავშვის მონათხრობი ფასდება შემდეგი პარამეტრებით:

- ბავშვი იგებს ძირითად შინაარსს;
- ლოგიკურად ალაგებს მოთხრობას;
- შეუძლია სიტყვიერად გადმოსცეს;
- ადვილად პოულობს სიტყვებს აზრის გადმოსაცემად;
- წინადადებებს აწყობს გრამატიკულად სწორად და სწორად გამოთქვამს სიტყვებს,

ბგერებს;

- იყენებს მარტივ (სრულ) წინადადებებს;
- ემოციურად გამოხატავს შინაარსისადმი დამოკიდებულებას.



4) დავალე: „შეარჩიე აზრობრივად სწორი სიტყვა“. ფსიქოლოგი სთავაზობს ბავშვებს დაუმთავრებელ ფრაზას, მაგ: 1) ბიჭს ერქვა ზურა, გოგოს კი... 2) გზაზე მირბის... 3) ძაღლი ყეფს, ძროხა... 4) მაგიდაზე დევს ფურცელი და...

სკოლამდელ ბავშვთა ხვლევიითი სწავლების მეთოდია საბავშვო ბაღში

სწავლების რეპროდუქტიული და პროდუქტიული სწავლების მეთოდები ეს მეთოდები შემოტანილი იქნა XX საუკუნის 70-იან წლებში ი. ლერნერის მიერ და მოიცავდა 5 ძირითად მეთოდს:

- ახსნით-ილუსტრაციული (ინფორმაციულ-რეცეპციური);
- რეპროდუქციული;
- პრობლემური;
- ძიებითი;
- კვლევითი.

პირველი ორი მეთოდი მიეკუთვნება რეპროდუქციულ მეთოდთა რიცხვს, რომელიც ნიშნავს იმას, რომ ბავშვი უკვე ითვისებს მზა ცოდნას და აღადგენს ან რეპროდუქცირებს უკეთეს უკვე ცნობილი საშუალებებით. რაც შეეხება ბოლო ორ მეთოდს: ძიებითი და კვლევითი მეთოდი მიეკუთვნება პროდუქტიული მეთოდების რიცხვს, რისი საშუალებით ბავშვი დამოუკიდებლად ხსნის ახალ ცოდნას საკუთარი კვლევითი, შემოქმედებითი აქტივობის დროს. რაც შეეხება პრობლემურ მეთოდს, იგი მოიცავს როგორც მზა მასალის თვისებას, ასევე კვლევითი ძიების ელემენტებს.

ამ დარგში მომუშავე სპეციალისტები თვლიან, რომ კვლევითი მეთოდიკა იძლევა დიდ საგანმანათლებლო ეფექტს პროდუქტიულ მეთოდებთან ერთად.

საბავშვო ბაღში ხვლევიითი სწავლების პროგრამა

კვლევითი სწავლების პროგრამის მიზანია – ბავშვის პიროვნების ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების იმპულსის ამოქმედება.

პროგრამის ამოცანები:

1. სკოლამდელ ბავშვთა შემეცნებითი მოთხოვნილებების აქტივირება;
2. სკოლამდელთა შემეცნებითი შესაძლებლობების განვითარება;
3. სკოლამდელთა სპეციალური ცოდნით აღჭურვა, რომელიც აუცილებელია დამოუკიდებელი კვლევისათვის;
4. კვლევით-ძიებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
5. კვლევითი სწავლის, როგორც ნამყვანი მეთოდის მნიშვნელობის გაცნობიერება და განვითარება.

პროგრამის ძირითადი ბლოკები:

- დამოუკიდებელი კვლევითი პრაქტიკა;
- კვლევის უნარ-ჩვევების ტრენინგი;
- ბავშვთა კვლევითი აქტივობის მონიტორინგი.



1. დამოუკიდებელი კვლევითი პრაქტიკა.

პროგრამის ამ ბლოკში ძირითადი სამუშაოს არსი არის ის, თუ როგორ შევუქმნით პირობებს და ხელს შევუწყობთ, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად განახორციელოს შემოქმედებითი პროექტები. ეს ბლოკი არის ძირითადი. მეცადინეობები ამ ბლოკის ფარგლებში ისეა აწყობილი, რომ ბავშვის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობა თანდათანობით გაიზარდოს.

2. კვლევის უნარ-ჩვევათა ტრენინგი.

ამ ტრენინგის ფარგლებში ბავშვებმა უნდა აითვისონ სპეციალური ცოდნა, უნარები და კერძოდ:

- დაინახონ სად არის პრობლემა;
- დასვან შეკითხვა;
- წამოწიონ ჰიპოთეზა;
- ცნებები განმარტონ;
- კლასიფიცირება;
- დაკვირვება;
- ექსპერიმენტის ჩატარება;
- დასკვნის გაკეთება;
- მასალის სტრუქტურირება;
- თემის გარშემო მოხსენების მომზადება.

3. მონიტორინგი მოცავს კვლევითი სწავლების პროცესის მართვას. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მისი მუშაობის შედეგი სხვებისთვისაც საინტერესოა. ბავშვმა უნდა აითვისოს საკუთარი კვლევის შედეგების პრეზენტაციის პრაქტიკა და შეძლოს საკუთარი აზრის არგუმენტირება.

კვლევითი სწავლების ეტაპები:

1. პრობლემის გამოყოფა (საკვლევი თემის არჩევა);
2. ჰიპოთეზის დამუშავება;
3. პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტების ძიება;
4. მასალის შეგროვება;
5. შეგროვილი მასალის განზოგადება;
6. მასალის მომზადება პრეზენტაციისათვის;
7. პრეზენტაცია (პროექტის განხილვა).

მეცადინეობის მომზადება და ორგანიზაცია:

1. მეთოდის აღწერა;
2. ბარათები „კვლევის მეთოდების“ გამოსახულებებით (მზადდება ფერადი მუყაოსგან):
 - ა) იფიქრე დამოუკიდებლად;
 - ბ) შეეკითხე სხვა ადამიანს;
 - გ) ნახე წიგნში;
 - დ) ნახე ტელევიზორში (ვიდეოფილმი);
 - ე) დააკვირდი;
 - ვ) ჩაატარე ექსპერიმენტი;
 - ზ) ნახე ინფორმაცია კომპიუტერში;
 - თ) ჰკითხე სპეციალისტს.



3. ბარათები სხვადასხვა საგნების, ცხოველების, მცენარეების, ბუნების და სხვა გამოსახულებით (ბარათები მზადდება მუყაოსგან, რომელზეც უნდა დაიკრას სურათები სხვადასხვა გამოსახულებით). ეს ბარათები გამოიყენება საკვლევე თემის ასარჩევად;

4. ფანქრები (ფერადი), ფლომასტერები, ქალაღები;

5. პატარა მაგიდა ან დაფა, რომელზეც განლაგდება ეს ბარათები.

მეცადინეობის დაწყებამდე ბავშვების სურვილით ან არჩევით უნდა გამოიყოს ორი აქტიური ბავშვი, რომლებიც მიეხმარებიან მასწავლებელს (ფსიქოლოგს) ძირითადი საქმეების მოგვარებაში.

ბავშვებისთვის ამ მეთოდის გასაცნობად საჭიროა 2-3 ფრონტალური მეცადინეობა, რომელიც ჩატარდება ნახევარ ჯგუფთან (12-13 ბავშვი).

საკვლევე თემის არჩევა. ბავშვები ათვალთვლებენ ბარათებს, თითოეული ბარათის ირგვლივ ხდება მოკლე მიმოხილვა, შემდეგ ბავშვები ერთობლივად ირჩევენ მათთვის სასურველ თემას. არჩეული თემის ბარათს დებენ მაგიდის შუაში, ხოლო დანარჩენი ბარათები ინახება.

კვლევის გეგმის შედგენა. მაგალითად ბავშვებმა აირჩიეს ბარათი, რომელზეც გამოსახულია კურდღელი (კუ, ჩიტი და სხვა: მზე, მთვარე, წყალი და ა.შ.).

მასწავლებელი ბავშვებს უხსნის, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვონ არჩეული თემის გარშემო და შემდეგ უნდა მოამზადონ პატარა მოხსენება. ასევე მნიშვნელოვანია იმ ბარათების გამოყენება, რომლებზეც აღნიშნულია რა მეთოდებით შეიძლება ამ ინფორმაციის მიღება (ეს ბარათები განლაგებულია ბავშვების წინ ან დაფაზე). მასწავლებელი (ფსიქოლოგი) ბავშვებთან ერთად მსჯელობს რა უნდა გაკეთდეს პირველად, შემდეგ რა არის მეორე ამოცანა და ა.შ. შესაბამისად პირველ ადგილას დებენ იმ ბარათს, რომელზეც სიმბოლურად ხატია "იფიქრე დამოუკიდებლად, კიდევ ირჩევენ შემდეგ ბარათს, მაგ: „ნახე ნიგნში“ ან „ნახე კომპიუტერში“ და ა.შ. ყველა ბარათის შესაძლო გამოყენების შემდეგ იწყება ეტაპი, რომელსაც ჰქვია მასალის შეგროვება. მასალის შესაგროვებლად ბავშვებს ურიგდებათ ფურცლები, ფანქრები, ფლომასტერი და თითოეული ინფორმაცია, რომელსაც მოიძიებენ უნდა დააფიქსირონ ე.წ. პიქტოგრამების საშუალებით, სიმბოლოებით. ამასთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნას სტიკერები, ყურნალებიდან ამოჭრილი შესაბამისი საგნები და ა.შ.

საგნის შესახებ წარმოდგენების პიქტოგრაფიული გადმოცემა ავითარებს ბავშვის აზროვნებას, წარმოსახვას, რადგან მან უნდა ხატონად წარმოიდგინოს საგანი, შემდეგ გაიაზროს მისი არსებითი ნიშნები და სიმბოლურად გადმოსცეს. ამ პროცესში ბავშვები ეჩვენებიან ფიქრს და უფითარდებათ ასოციაციური, შემოქმედებითი აზროვნება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები სასურველი ინფორმაციის მისაღებად მიმართავენ უფროს ადამიანს, ეს მეთოდი მათ საშუალებას აძლევს დაძლიონ ეგოცენტრიზმი, მივიდნენ უფროს ადამიანთან და ჰკითხონ აზრი. ამ პროცესში ბავშვი სწავლობს უფროსისადმი მიმართვას, კითხვის დასმას და ა.შ.

დაკვირვება და ექსპერიმენტი. თუ საკვლევე თემა ეხება ისეთ ობიექტს ან სუბიექტს, რომელზე შეიძლება დაკვირვება ან ექსპერიმენტის ჩატარება, საჭირო ინფორმაციის მიღების შესანიშნავი საშუალებაა. მაგ: დააკვირდნენ რომელიმე ცხოველს, მოვლენას და ა.შ. მიღებული ინფორმაციის პიქტოგრამებით, ნახატებით, სიმბოლოებით ჩახატვის შემდეგ დგება შემდეგი ეტაპი – მასალის განზოგადება. ბავშვები მასწავლებელთან ერთად კრე-



ბენ იმ ინფორმაციას, რომელიც მიიღეს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ამ ეტაპის შემდეგ დგება პრეზენტაციის დრო, თითოეულ ბავშვს წინასწარ მომზადებულ ფორმატზე გადააქვს თავისი ნამუშევარი (ფურცლებზე არსებული პიქტოგრამები), სტიკერები, ამოჭრილი სურათები, სიმბოლოებით ბავშვები აფორმებენ ფორმატს. მზა ფორმატი გამოაქვთ პრეზენტაციაზე, ბავშვები ირჩევენ თვითონ, თუ ვინ იქნება მთავარი მომხსენებელი საკვლევი თემის გარშემო, შემდეგ, თითოეული ბავშვი ჰყვება მის მიერ მომზადებული მასალის შესახებ; მოხსენების დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის ინფორმაციის შეგროვებას მოახერხებენ ბავშვები. მოხსენების შემდეგ ბავშვები ერთად განიხილავენ იმას, თუ რამდენად ნაყოფიერად იმუშავეს და აფასებენ მეცადინეობას.

სახვავ თემათა ჯანსიფიხასია

კვლევათა ზოგადი მიმართულება	ძირითადი მეცნიერებები და სფეროები
ცოცხალი ბუნება	ზოოლოგია, ბოტანიკა, გენეტიკა, სოფლის მეურნეობა
დამიანი	ადამიანის წარმოშობა, ადამიანის განვითარება, მედიცინა. ადამიანის ფსიქოლოგია, აქტივობა, გამორჩენილი ადამიანები
საზოგადოება	ცივილიზაციები, სახელმწიფოები, ქვეყნები, ისტორია
კულტურა	ენა, რელიგია, ხელოვნება, განათლება
დედამიწა	გეოგრაფია, კლიმატი, დედამიწის აგებულება
კოსმოსი	გალაქტიკა, მზე, ვარსკვლავები, პლანეტები
მეცნიერება	მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია
ტექნიკა	ტრანსპორტი, მშენებლობა, არქიტექტურა, დიზაინი
ეკონომიკა	ფული, ვაჭრობა, ბანკი

ინფორმაციის სისტემატიზაცია

1) მაგალითად ზოოლოგიის მიმართულება „ცოცხალი ბუნება“. ამ თემის საკვლევად საჭირო ინფორმაცია:

ა) ცხოველი, ფრინველი, მწერი – სად, ცხოვრობს; ბ) რით იკვებება; გ) როგორი ტიპის ცხოველია (ფრინველი); დ) კლასი, ოჯახი; ე) როგორია მისი ქცევა; ვ) მისი მტრები.

2) მიმართულება „გამორჩენილი ადამიანები“:

ა) სად და როდის დაიბადა; ბ) ოჯახი, სად გაიზარდა; გ) მისი შემოქმედება; დ) მისი მიღწევები და დამსახურება; ე) როგორ აფასებდნენ მისი თანამედროვენი და მისი შემოქმედების მნიშვნელობა დღეს.

კვლევის სწავლების ეტაპებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პრობლემის გამოყოფას ანუ საკვლევი თემის არჩევას. ბავშვმა უნდა განსაზღვროს თუ რა აქვს საკვლევი და რა მასალის შეგროვება საჭირო პრეზენტაციისათვის. მეცნიერები თვლიან, რომ პრობლემის დაყენება და ფორმულირება ხშირად უფრო რთულია, ვიდრე მისი გადაწყვეტა, ეს ნიშნავს კვლევის შემოქმედებითი ნაწილის გადანყვეტას, ხოლო განხორციელება – ტექნიკური ნაწილია.



პრობლემის გამოყოფა და მისი გადაწყვეტა დაკავშირებულია აზროვნების ინტეგრირებულ უნართან, რომელიც ვითარდება ხანგრძლივი დროის მანძილზე სხვადასხვა საქმიანობის და აქტივობის პროცესში. ამ უნარის განვითარება შესაძლებელია სხვადასხვა სახის სპეციალური სავარჯიშოებისა და მეთოდების გამოყენებით. განვიხილოთ რამდენიმე:

1. „შეხედე სამყაროს სხვისი თვალებით“ – პრობლემის გამოსაყოფად ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის უნარი შეცვალოს საკუთარი შეხედულება და შეხედოს პრობლემას სხვადასხვა კუთხით. ამისათვის ბავშვს ვუკითხავთ დაუმთავრებელ მოთხრობას, მაგ: „დილით ცას გადაეფარა შავი ღრუბელი და წამოვიდა თოვლი. თოვლის დიდი ფანტელები ცვიოდა სახლებზე, ხეებზე, ტროტუარებზე და გზებზე...“

ბავშვებს ვთხოვთ გააგრძელონ მოთხრობა: 1) წარმოიდგინე, რომ სეირნობ მეგობრებთან ერთად ეზოში, როგორ შეხვდებოდი პირველი თოვლის მოსვლას? 2) წარმოიდგინე, რომ ხარ სატვირთო ავტომანქანის მძღოლი ან მფრინავი; 3) წარმოიდგინე, რომ ხარ ქალაქის მერი; 4) ხარ ჩიტი, რომელიც ზის ხეზე ან კურდღელი ტყეში.

ბავშვს შესაძლებლობა ეძლევა სხვადასხვა გმირის თვალთ შეხედოს თოვლის მოსვლას და მიხედეს, თუ რამდენად სხვადასხვაგვარად აღიქვამს ადამიანი ერთი და იგივე მოვლენასა თუ სიტუაციას.

2. დავალება „შეადგინე მოთხრობა სხვა პერსონაჟის სახელით“. ბავშვმა უნდა შეხედოს სამყაროს „სხვისი თვალებით“: ა) წარმოიდგინე, რომ ცოტა ხნით ხარ დიდი ადამიანი, პროფესიით ექიმი (არქიტექტორი, გამყიდველი...). ამიღწერე როგორი იქნება შენი დღე... ბ) წარმოიდგინე, რომ ხარ მელია, რომელიც ცხოვრობს ტყეში (ან მგელი, ცხენი, ცხვარი...).

3. დავალება, შეადგინე მოთხრობა და დაასრულე მოცემული ვარიანტით:
„ ჩვენ მხიარულები დავბრუნდით სეირნობიდან.“
„ როცა დავბრუნდით სახლში უკვე სალამო იყო.“
„ ზურას ძალი უკვე აღარ უღრენდა არავის, მხოლოდ მხიარულად დარბოდა და კუდს აქიცინებდა“.

4. დავალება „რამდენი მნიშვნელობა აქვს საგანს“ – საგნის შესახებ ღრმა ცოდნის მიღება. წარმოსახვის საშუალებით ბავშვმა უნდა წარმოადგინოს საგანი სხვადასხვა დანიშნულებით (ავტორია ამერიკელი ფსიქოლოგი ჯ. გილფორდი) კრეატიულობის, აზროვნების, მოქნილობის განსავითარებლად.

5. დავალება „აღწერე საგანი“.
მასწავლებელი (ფსიქოლოგი) ასახელებს რომელიმე საგანს, მაგ: „მაგიდა“, ბავშვმა უნდა დაასახელოს, რაც შეიძლება მეტი დამახასიათებელი ნიშანი, მაგ: მაგიდა – მაღალი, დაბალი, ლამაზი, ძველი, ახალი, საბავშვო... შესაძლებელია ამ თამაშს მიეცეს კონკურსის სახე – ვინ მეტ ნიშანს დაასახელებს.

6. დავალება „თემა ერთია – სიუჟეტი ბევრი“.
ფსიქოლოგი-მასწავლებელი ბავშვებს აძლევს თემას დასახატად, მაგ: ზამთარი და სთხოვს მათ დახატონ ამ თემაზე რამოდენიმე სურათი, ბავშვს უვითარდება უნარი ერთ მოვლენას, სიტუაციას შეხედოს სხვადასხვა რაკურსით.

ერთ-ერთი ეტაპი კვლევით სწავლებაში არის ჰიპოთეზის დამუშავება. ჰიპოთეზას წარმოშობს პრობლემა და იგი გვევლინება, როგორც პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტი, შემ-



დეგ მონშდება კვლევის პროცესში. ჰიპოთეზის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს კითხვების დასმით, მაგ: „მოდით ერთად ვიფიქროთ, რატომ უყვართ ბავშვებს თამაში?“, „გაზაფხულზე ხეებს რატომ გამოაქვთ კვირტი?“, „რატომ უბერავს ქარი?“

კითხვაზე: რატომ უყვართ ბავშვებს თამაში? – შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ჰიპოთეზა: ა) იქნებ ბავშვებს წყინდებათ თამაშის გარეშე? ბ) იქნებ თამაშის დროს ბავშვები ახალ ცოდნას იძენენ? გ) იქნებ თამაში ბავშვს ეხმარება გახდეს დიდი და ა.შ.

ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისას ბავშვებს ვთავაზობთ გამოიყენონ შემდეგი სიტყვები: – იქნებ; – დავუშვათ; – შეიძლება; – თუ....

დავალება 1) „იპოვეთ მოვლენის წარმოშობის შესაძლო მიზეზები“

- ა) ავტომობილი სიგნალს აძლევს;
- ბ) ფოთლები გაყვითლდა;
- გ) კუ შეცოცდა კარადის ქვეშ;
- დ) ბავშვთა მოედანზე მთელი დღე არავინ გამოჩენილა;
- ე) ძალი იწვა საწოლის ქვეშ.

ბავშვებს ვთხოვთ დაასახელონ 2-3 მიზეზი ამ მოვლენათა ასახსნელად.

დავალება 2) „რა მოხდებოდა, რომ...“ (აზრობრივი ექსპერიმენტი), ავტორი ჯ. ფრიმენი.

ბავშვებს ვთავაზობთ კითხვებს, რომელზეც უნდა იმსჯელონ, მაგ:

- ა) რა მოხდებოდა, ჯადოქარმა რომ ყველა ადამიანს დედამიწაზე შეუსრულოს 3 ნატვრა?
- ბ) რა მოხდებოდა, სპილოები რომ პატარები იყვნენ, როგორც ჭიანჭველები?
- გ) რა მოხდებოდა, ყველა ადამიანი რომ გიგანტური იყოს?
- დ) რა მოხდებოდა, ყველა ცხოველი, ფრინველი რომ ლაპარაკობდეს?

დავალება 3) „გამოიცანით რა ვკითხე?“

ფსიქოლოგი ბავშვს ჩურჩულით ეკითხება, მაგ: „რატომ ატარებენ სათვალეს ადამიანები?“ ხოლო ბავშვი ხმამაღლა პასუხობს: „იმიტომ, რომ უსათვალოდ კარგად ვერ ხედავენ.“ ბავშვებმა უნდა გამოიცნონ რა კითხვა დაუსვა ფსიქოლოგმა ბავშვს. შესაძლო კითხვები შეიძლება იყოს:

- ა) გიყვარს პლასტელინისგან ძერწვა?
- ბ) რას ძოვენ ძროხები?
- გ) ქოლგას რატომ იყენებენ?
- დ) რატომ იყენებენ მობილურ ტელეფონებს? და ა.შ.

დავალება 4) „იპოვე მიზეზი“ – რატომ?

ბავშვებს ვთავაზობთ სიტუაციას:

- ა) დედამ შვილი საბავშვო ბაღიდან სადილამდე გამოიყვანა;
- ბ) ბავშვებმა თოვლისგან გააკეთეს 2 თოვლის პაპა, ორივე მალე დადნა..
- გ) ანიმ დახატა ნახატი, მაგრამ მასწავლებელს ნახატი არ აჩვენა;
- დ) პოლიციის მანქანა ძალიან სწრაფად მიჰქროდა და სიგნალს აძლევდა.

დავალება 5) „ცხოველები გვეკითხებიან“.

ფსიქოლოგი: „წარმოიდგინეთ, რომ ცხოველები ლაპარაკობენ. როგორ ფიქრობთ, რა კითხვებს დაგვისვამდნენ?“



შახითხვების დონეები

ფსიქოლოგ ერიკ ლანდაუს მოცემული აქვს შეკითხვათა იერარქია – კიბე. ლანდაუ ფიქრობს, რომ ბავშვების კითხვები თავიდან უნდა იყოს:

1) **აღწერიითი დონის:** „ვინ?“, „რა?“, „როგორ?“, „სად“, „როდის“. ეს კითხვები უკავშირდება სიტუაციას „აქ და ეხლა“ და ბავშვს ხელს უწყობს გაიაზროს და გაიგოს ანშყო

2) **მეორე დონეზე ბავშვი სვამს კაუზალურ შეკითხვებს:** რატომ? საიდან? რისთვის? როგორ?. ამ ეტაპზე ბავშვი ახდენს კავშირების დადგენას (ასოციაციები). ბავშვი უფრო ობიექტურად ახერხებს დაკვირვებას და იძენს ახალ ცოდნას. ეს კი ქმნის კითხვების სხვა დონეზე გადასვლის შესაძლებლობას – სუბიექტური კითხვების დონეზე, ბავშვს უჩნდება კითხვა „რა ვიცი ამ საგნის, მოვლენის შესახებ?“, „რას ვგრძნობდი?“ და ა.შ. ამ დონეზე ბავშვები ემყარებიან ანალოგიას და ასოციაციას, რაც იძლევა აზროვნების და სხვა კოგნიტიური ფუნქციების განვითარების შესაძლებლობას.

3) **შემდეგი დონე კითხვებისა არის წარმოსახვითი.** ბავშვი კითხვას სვამს ასე: „რა იქნებოდა...?“, „რა მოხდებოდა...?“. ამ კითხვებს ბავშვი ხშირად „მიჰყავს“ ფანტაზიის სფეროში.

4) **შეფასებითი კითხვა** – შეფასებითი კითხვები ბავშვს უჩნდება წარმოსახვითი კითხვების შემდეგ, მაგ: „რომელია უკეთესი?“, „რა არის უფრო სწორი?“

შეფასებითი კითხვები უნდა იყოს გვირგვინი, ყველაზე მაღალი დონე კითხვების იერარქიაში, საჭიროა ბავშვების ინტერესი მიმართული იყოს მომავლისკენ, მაგ: „კიდევ რამ შეიძლება დაგაინტერესოს?“, „რისი გაკეთება შეგიძლია კიდევ?“ და ა.შ.

ერიკ ლანდაუს მიერ შემოთავაზებული კითხვათა იერარქია სპირალისებურად ვითარდება და ძალიან მნიშვნელოვანია მათი იერარქიული განვითარება.

5. რა არის სწორი, რა არა?
4. რა იქნებოდა, რომ?
3. რა ვიცი, რას ვგრძნობ?
2. რატომ, როგორ?
1. ვინ, სად, რა?

5. შეფასებითი კითხვა
4. წარმოსახვითი კითხვა
3. სუბიექტური კითხვა
2. კაუზალური კითხვა
1. აღწერიითი კითხვა

ცნებების განსაზღვრის უნარი

ცნება, როგორც ცნობილია, ლოგიკური აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა. ცნება არის აზრის გარკვეული ფორმა, რომელიც ასახავს საგნის, მოვლენის არსებით და ზოგად ნიშანთვისებებს.

ცნებისეული ანუ სიტყვიერ-ლოგიკური აზროვნება სკოლამდელ ასაკში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ განსაზღვრული მეთოდით საჭიროა ლოგიკური აზროვნების განვითარება. ყველაზე მარტივი და ეფექტური მეთოდია არის – მეთოდ-ცნების განსაზღვრა. ბავშვს ვთავაზობთ რომელიმე სიტყვას, მაგ: „ავტობუსი“ და ვეკითხებით: რა არის ავტობუსი? ბავშვების პასუხი იქნება მრავალნაირი, რაც მთავარია ბავშვს



ეძლევა საშუალება გამოიყენოს ლოგიკის ელემენტარული უნარები, იფიქროს და ეცადოს უფრო არსებითი ნიშნებით მოახდინოს საგნის დახასიათება.

ცნების განსასაზღვრად ბავშვს უნდა შეეძლოს საგნის, მოვლენის აღწერა მისი არსებითი და არაარსებითი ნიშნების მიხედვით. დავალების გასამარტივებლად ბავშვს ეუსვამთ კითხვებს: „რა არის ეს?“, „რით განსხვავდება ის სხვა საგნებისაგან?“, „რითი ჰგავს იგი სხვა საგნებს?“ ბავშვმა უნდა გამოიყენოს ფერის, სიდიდის, სტრუქტურის და სხვა მახასიათებლები.

საგნის აღწერის გარდა, მნიშვნელოვანია ბავშვს შეეძლოს საგნის დახასიათება, რომლის დროსაც ბავშვმა უნდა დაახასიათოს საგნის როგორც ზოგიერთი შინაგანი, ასევე გარე არსებითი ნიშნები. მაგ: ბავშვებს ვთხოვთ დაახასიათონ რომელიმე გმირი კონკრეტული ზღაპრიდან.

ამასთან ერთად ლოგიკური აზროვნების გასავითარებლად აუცილებელია ბავშვებს განუფითაროთ შედარების, განსხვავების, განზოგადების, კლასიფიცირების, კატეგორიზაციის უნარი.

აზრობრივი ექსპერიმენტი. ბავშვებს ვთავაზობთ შემდეგ დავალებას:

- ა) როგორ ფიქრობ, რისი გაკეთება შეიძლება თოვლისგან?
- ბ) რა მოხდება, ყველა ადამიანი გიგანტი რომ იყოს?
- გ) რომელი ცხოველი ჰგავს სამგზავრო მატარებელს? რატომ?
- დ) შეიძლება, რომ ოცნება და ღრუბელი შეადარო ერთმანეთს? რითი ჰგვანან?
- ე) ქალაქი რომ ტყე იყოს, ავტომანქანები რა იქნებოდა?
- ვ) რა იქნებოდა, რომ ადამიანს შეეძლოს სხვა ადამიანის ფიქრების წაკითხვა;
- ზ) რა უნდა გავაკეთოთ, რომ მსოფლიოში ომები აღარ იყოს?

რეალური ექსპერიმენტი. რომელი საგანი იძირება და რომელი არა?

წინასწარ მზადდება ჭურჭელი წყლით და რამდენიმე ნივთი: ფენოპლასტი, ხის სათამაშო, კოვზი, მეტალის პატარა თეფში (სათამაშო), ვაშლი, კენჭი, პლასტმასის სათამაშო, ნათურა, რეზინის ბურთი, პლასტელინის ბურთი, მუყაოს კოლოფი, ლურსმანი და სხვა.

სანამ დავიწყებთ სათითაოდ ამ ნივთების წყალში აკურათულად ჩაგდებას, ბავშვებთან ერთად უნდა ვიმსჯელოთ, რომელი საგანი ჩაიძირება და რომელი არა, შემდეგ კი ექსპერიმენტით შევამოწმოთ.

პირველი ცდის შემდეგ, ბავშვებთან ერთად უნდა შევისწავლოთ ის საგნები, რომლებიც არ ჩაიძირა, ყველა მსუბუქია? დამოკიდებულია თუ არა საგნის ჩაძირვა მის ფორმასა და ზომაზე. მაგალითად: ა) პლასტელინის ბურთი იძირება, მაგრამ თუ მას მივცემთ ნავის ან თეფშის ფორმას, ჩაიძირება? ბ) რა მოხდება, თუ ჩვენ შევავერთებთ მოტივტივე და არამოტივტივე საგნებს, ჩაიძირება თუ არა?

ექსპერიმენტი „როგორ ქრება წყალი“.

წინასწარ მზადდება სხვადასხვა საგნები: გაზეთი, ღრუბელი, ქსოვილის ნაჭერი (პირსახოცი), პოლიეთილენი, მეტალის ნივთი, ხე, თეფში. ამ საგნებზე კოვზით ნელ-ნელა ვასხამთ წყალს და ვაკვირდებით ბავშვებთან ერთად რა ემართება წყალს, რა ინოვს წყალს უფრო სწრაფად? მაგ: თეფშზე ვასხამთ წყალს და მოცულობას ავლნიშნავთ ფლომასტერით. ერთი დღე ვდგამთ ფანჯრის რაფაზე და ბავშვებთან ერთად ვაკვირდებით როგორ აორთქლდა წყალი.



ექსპერიმენტი „სინათლის შუქი“.

ექსპერიმენტისთვის საჭიროა სამაგიდო ნათურა ან ფანარი, ასევე სანური ქალაღი, ფორმატი, კალკა, ფერადი ფურცელი და ა.შ. ექსპერიმენტულად უნდა შევამოწმოთ რომელი საგანი ატარებს სინათლეს და რომელი არა. ექსპერიმენტის დაწყებამდე ბავშვები გამოთქვამენ აზრს (ჰიპოთეზას), მათი აზრით რომელი საგანი გაატარებს სინათლეს, შემდეგ კი ვამოწმებთ ცდით.

ექსპერიმენტი „ცისარტყელა“.

ამ ცდის ჩასატარებლად პლასტმასის ჭურჭელში, ვასხამთ წყალს და ვდგამთ ფანჯრის რაფაზე. წყლიან ჭურჭელში ვდებთ სარკეს ისე, რომ მისი ნაწილი იყოს წყალში, ხოლო მზის სხივები ეცემოდნენ სარკეს წყლის ქვეშ. წყლის ზემოდან გვიჭირავს თეთრი ფურცელი, სარკეს თუ გადავხრით, მაშინ ქალაღზე აირეკლება ცისარტყელა.

„მე“-ს აონცეფციის სხალა (8-16 წლ)

ავტორი პირს ჰარისი

1. ჩემი ამხანაგები დამცინიან
2. მე ბედნიერი ადამიანი ვარ
3. მე მიჭირს მეცადინეობა
4. მე ყოველთვის მონყენილი ვარ
5. მე ჭკვიანი ვარ
6. მორცხვი ვარ
7. ვნერვიულობ, როცა გამოვდივარ დაფასთან.
8. ჩემი გარეგნობა მალიზიანებს
9. როცა გავიზრდები, ვიქნები მნიშვნელოვანი ადამიანი
10. მე ვლელავ, როცა მაქვს საკონტროლო წერა
11. მე არ ვარ პოპულარული
12. სკოლაში კარგად ვიქცევი
13. როცა პრობლემა მაქვს, ჩემი ბრალია
14. მე ჩემი ოჯახისთვის უსიამოვნება მომაქვს.
15. მე ძლიერი ვარ.

ეს კითხვარი მოიცავს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ფორმულირებას და მნიშვნელოვანია დადებითი და უარყოფითი პასუხების რაოდენობა.

ბავშვის პიროვნების სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების თავისებურებები

სკოლამდელი ასაკის ბავშვის სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარება განისაზღვრება იმით, თუ რა ურთიერთზეგავლენა ყალიბდება ბავშვსა და მის გარემომცველ სამყაროს შორის, როგორია ბავშვის ურთიერთობები უფროსებთან, თანატოლებთან. ეს რთული პროცესი მოიცავს სოციალურ მოთხოვნილებებსა და მოტივებს, რასაც შემდგომში დაეყრდნობა ბავშვის ემოციური, სოციალური და ზნეობრივი განვითარება.



ბავშვის სოციალური განვითარება ორი მიმართულებით უნდა განვითარდეს, ერთი მიმართულება გულისხმობს ნორმებისა და წესების გათავისებებას საგნობრივი სამყაროს მიმართ, ხოლო მეორე მიმართულება – ადამიანებთან ურთიერთობას, კომუნიკაციური უნარების განვითარებას სწორედ ამ პროცესებს თან სდევს ემოციური დამოკიდებულების ფორმირება, რაც აისახება ბავშვის ქცევაში.

არასასარგებლო ფსიქოლოგიური კლიმატი, მაგალითად როგორც არის ბავშვი მშობლის დარღვეული ურთიერთობა და ა.შ. ბავშვში აყალიბებს უარყოფით სოციალურ-ემოციურ მდგომარეობას, რომელიც გამოვლინდება ურთიერთობებში (უფროსები, თანატოლები) და ბავშვის მიერ სამყაროს არაობიექტურ აღქმაში.

უფროს სქოლამედიან დახმავებათა ეფექტურობის სტრატეგია

გამოვლენის სფერო	ფსიქოლოგიური მახასიათებლები
გართულებული ურთიერთობები თანატოლებთან და უფროსებთან	გაუნონანსორებელი ხასიათი, გაღიზიანებადობა, მძაფრი ემოციური რეაქციები (მრისხანება, ისტერიული ტირილი, წყენის დემონსტრირება), რომელსაც თან სდევს სომატური ცვლილებები: განითლება, ოფლიანობა და ა.შ. ნეგატივიზმი, სიჯიუტე, კონფლიქტურობა, სისასტიკე. „გაჭედვა“ – უარყოფით ემოციებში, ემოციური სიცივე, გარიყულობა, დაფარული დაურწმუნებლობა საკუთარ თავში
ბავშვის შინაგანი სამყაროს თავისებურებები	მკვეთრი მგრძობელობა, შიშების დიდი რაოდენობა, ასაკობრივი შფოთვა, ეჭვიანობა

ცხრილში ჩამოთვლილი მახასიათებლები არის პირობითი, რადგან თითოეული ბავშვი ინდივიდუალურია.

სოსიალური-ემოციური ბანკითა დახმავების ეფექტურობის სტრატეგია

დონე	მახასიათებლები
დაბალი	<ul style="list-style-type: none"> • თანატოლებთან და უფროსებთან ერთობლივი ქმედების უუნარობა და სურვილის არქონა • უინიციატივობა • თვითკონტროლის თვითკონტროლის დაბალი დონე • ორიენტირება მხოლოდ საკუთარ მოქმედებებზე • ურთიერთობებსა და ქმედებებში წესებისა და ნორმების უგულვებელყოფა • ცნებების „ცუდი-კარგი“ მიუღებლობა, არცნობა • კონფლიქტურობა, აგრესიულობა
საშუალო	<ul style="list-style-type: none"> • არასაკმარისი ინიციატივა ურთიერთობებში • პასიური როლების არჩევანი • აფექტურ გამოვლინებათა სუსტი რეგულაცია • კონფლიქტების გადაწყვეტის უუნარობა



მაღალი	<ul style="list-style-type: none"> • ურთიერთობის უნარი და სურვილი ხანგრძლივი დროით • ჯგუფთან აქტიური კომუნიკაცია • პასიური და ლიდერული როლების მორგება • კონფლიქტის მოგვარება (დათმობა, პრინციპულობა) • უფროსების მიერ დადგენილ ნორმათა, წესების აღიარება და შესრულება • მზრუნველი დამოკიდებულება ადამიანის და საგნობრივი სამყაროს მიმართ • საკუთარი თავის დაინტერესება და დასაქმება • საკუთარი შინაგანი მდგომარეობის გამოვლენის ადეკვატური, მიღებული ფორმა
--------	---

ბავშვის პიროვნების ფორმირება -3 წლის კრიზისი

კრიზისის პირველი სიმპტომი არის ნეგატივიზმი, ბავშვი უარს ამბობს შეასრულოს უფროსი ადამიანის თხოვნა, ცდილობს იყოს დამოუკიდებელი, ეს – პროგრესული ტენდენ-ციაა.

ნეგატივიზმის გარდა ბავშვს ახასიათებს სხვა კრიზისული სიმპტომები, მისთვის მნიშვნელოვანი ხდება წარმატება და წარუმატებლობა თამაშსა და აქტივობაში. ის მწვავედ რეაგირებს შეფასებაზე და ხდება ბუტია, ადვილად წყინს, შექებისა და აღიარების ძალიან დიდი სურვილი აქვს, ხშირად ზედმეტად აფასებს საკუთარ თავს.

ბავშვის პოსტკრიზისული განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ბავშვთან ურთიერთობა და ზეგავლენა, არსებობს ორი ვარიანტი:

ა) თუ უფროსი ადამიანი ზოგადად დადებითად აფასებს ბავშვის პიროვნებას, ტაქტიკითა და არგუმენტირებულად მიუთითებს ნაკლოვანებებსა და გადაცდომებზე, მხარს უჭერს, უთანაგრძნობს და უწონებს ინიციატივას, მონდომებას, მაშინ ბავშვი სწავლობს თავისი თავის ობიექტურად შეფასებას, შესაბამისად კრიზისული ასაკი შედარებით ადვილი გადასატანი ხდება.

ბ) თუ უფროსი ადამიანი ცდილობს ნებისმიერი ხერხით დაიმორჩილოს ბავშვი, ცდილობს „დაიჭიროს“ ტყუილში, ბავშვს ექმნება წინააღმდეგობის განევის დიდი სურვილი, რომ იყოს გამარჯვებული და მიაღწიოს თავის სანაღველს. ასეთი სცენარით განვითარებულ სიტუაციაში ბავშვი ხშირად გამოავლენს მრისხანებას, გაღიზიანებულობას, სიჯიუტეს, რაც შეიძლება იქცეს მახასიათებელ თვისებად.

სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარებისა და ხორაქციის მეთოდები

სკოლამდელთა სოციალურ-ემოციური სფეროს კორექციისა და განვითარებისათვის გამოიყენება თამაშთერაპიის, არტთერაპიის და ფსიქოვარჯიშის ელემენტები, ასევე სხვა მეთოდური ხერხები:

- ა) სიტყვიერი და მოძრავი თამაშები
- ბ) ფსიქოვარჯიშები და ეტიუდები
- გ) ხატვა (თემატური, თავისუფალი)
- დ) საუბარი და პრობლემური სიტუაციების შექმნა

თამაშ-თერაპია – ფსიქოთერაპიული ზეგავლენის მეთოდი, თამაშის გამოყენებით. მთავარი უმნიშვნელოვანესი ღირსება თამაშისა არის ის, რომ არის ორპლანია: ერთი, რომ თამაშის დროს ბავშვს ნაკლებად ეშინია შეცდომის დაშვებისა – მეორეს მხრივ აძლიერებს



თამაშის განმავითა-რებელ ეფექტს. ფსიქოთერაპიაში თამაში პირველად გამოყენებული იქნა ზ. ფროიდის მიერ.

თამაშის ფუნქცია თერაპიული თვალსაზრისით არის სამი სახის: 1) დიაგნოსტიკური, 2) თერაპიული, 3) განმავითარებელი.

თამაშის პროცესის დაკვირვების შედეგად შესაძლებელია მივიღოთ ღირებული ინფორმაცია ბავშვის პიროვნული თვისებების და ქცევების შესახებ, საგნებთან ურთიერთობის ხარისხის შესახებ, ასევე შესამჩნევი ხდება თამაშის პროცესში ბავშვის სოციალურ-ემოციური მდგომარეობა და ა.შ. ამიტომ სკოლაშენი ასაკში თამაშთერაპია გვევლინება ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად. მეორე მნიშვნელოვანი მეთოდი არის არტთერაპია და კერძოდ, პროექციული ხატვა, რომელიც თავისთავად შეიცავს მრავალ განმავითარებელ ფუნქციას:

- ხატვის პროცესში ხდება ერთობლივი ფუნქციონირება ფსიქიკური ფუნქციებისა
- ხატვა ავითარებს კონკრეტულ, აბსტრაქტულ და ხატოვან აზროვნებას
- ხატვა გვევლინება, როგორც წარმატების მიღწევისა და უნარების გამოვლენის საშუალება

- ხატვა, როგორც ემოციების გამოხატვის საშუალება.

ფსიქოვარჯიში (სავარჯიშო, ეტიუდი, თამაშები) – ეს არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც ბავშვებს შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი განცდები მოძრაობით, ექსპრესიით, სიტყვების გარეშე. ფსიქოვარჯიში, როგორც მეთოდი, ჩამოყალიბდა პრაქტიკული ფსიქოლოგიისა და სამსახიობო ხელოვნების საფუძველზე. ხშირად ვერბალური სიგნალები ისე ძლიერად არ გამოხატავენ ემოციებს, როგორც მიმიკა, ჟესტი, ქცევა, და ა.შ. სწორედ ფსიქოვარჯიში ეხმარება ბავშვს უსიტყვოდ გაიგოს მეორე ადამიანის ემოციური მდგომარეობა. ეხმარება ასევე ემოციური დაძაბულობის მოხსნაში, ხასიათის კორექტირებაში და აუტორელაქსაციაში. ფსიქოვარჯიშის მეთოდი მოიცავს თამაშებსა და ეტიუდებს, რომელიც ეყრდნობა მოძრაობით ექსპრესიას.

ფსიქოვარჯიში ხელს უწყობს:

1. გამომხატველი მოძრაობების გამოყენებით ემოციებისა და გრძნობების განვითარებს.
2. უნარ-ჩვევების გამომუშავებას და აუტორელაქსაციას.

ფსიქოვარჯიში გამოიყენება:

- შიშების მოსახსნელად
- ემოციური სფეროს დარღვევის დროს
- ენურეზის დროს
- ფსიქომოტორული დარღვევის დროს და ა.შ.

ფსიქოვარჯიშის დროს გამოიყენება:

- სხვადასხვა თამაშები
- თავისუფალი და თემატური ხატვა
- მუსიკა
- თეატრალიზებული აქტივობის ელემენტები.



ფსიქოვარჯიშების ჩატარების სქემა:

I ფაზა – მიმიკური და პანტომიმიკური ეტიუდები

მიზანი: მკვეთრი გამომხატველი მოძრაობები სხვადასხვა ემოციური მდგომარეობის გამოსახატად.

II ფაზა – ეტიუდები და თამაშები ხასიათის და ემოციის გამოსახატად.

მიზანი: ემოციების გამოხატვა, რომელსაც ადგილი აქვს სოციალურ სფეროში და მათი მორალური შეფასება.

III ფაზა – ეტიუდები და თამაშები, რომელსაც აქვს ფსიქოთერაპიული მიმართულება.

მიზანი: განწყობისა და ხასიათის კორექცია სტანდარტული სიტუაციების გათამაშებით.

IV. ფსიქომოტორული ვარჯიში.

მიზანი: ფსიქოემოციური დაძაბულობის მოხსნა და სასურველი განწყობის, ქცევის და სახის შთაგონება.

II და III ფაზებს შორის საჭიროა შესვენება – „მხიარული წუთი“

საუბრის მეთოდი და პრობლემური სიტუაციების შექმნა – ეს მეთოდი გამოიყენება სხვა მეთოდებთან ერთად ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (მეტყველების არასაკმარისი უნარი საკუთარი განცდების გამოსახატად, აზროვნების თავისებურება), თუმცა მარტივი პრობლემური სიტუაციების შექმნა ეხმარება ბავშვს დამოუკიდებლად მოიფიქროს გადაწყვეტის გზები და მოისმინოს სხვა ბავშვების აზრი.

მეცადინეობები უნდა ჩატარდეს უფროს სკოლამდელებთან კვირაში ერთხელ. მეცადინეობის ხანგრძლივობა 35 წთ.

მეცადინეობა უნდა ჩატარდეს დღის მეორე ნახევარში.

ბავშვების რაოდენობა 6-7 ადამიანი.

ბავშვებთან მეცადინეობა ტარდება განსაზღვრული პროგრამით, რამოდენიმე ეტაპად:

I – დიაგნოსტიკური,

II – კორექციულ-განმავითარებელი

III – საკონტროლო

პროგრამა პირობითად მოიცავს სამ სფეროს:

1. ემოციური სფეროს განვითარება
2. კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება
3. ხასიათი და თავისებურებების გაცნობა

პროგრამაში გამოსაყენებელი მეთოდები:

1. სიტყვიერი და მოძრავი თამაშები
2. ეტიუდები ემოციების გამოსახატად
3. ხატვა
4. საუბარი სხვადასხვა ემოციების და გრძნობები გასაცნობად
5. პრობლემური სიტუაციების გათამაშება.



სოსიანე-ჰომსიუჩი სფიქს ბანვითახების თემატიკი ბაზა

№	თემა	პროგრამული შინაარსი	მეთოდი	სამუშაო მასალა
1	თითოეული ადამიანი თავისებურად მიმზიდველია და ინდივიდუალური	ბავშვის მიერ გაცნობიერება იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საკუთარი თავის მიმართ, საკუთარი ხასიათის, შესაძლებლობების, გარეგნობის მიმართ	<ol style="list-style-type: none"> 1. საუბარი იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანი განსხვავებულია და რაღაცით მსგავსი. 2. თამაში „ჩემი მოფერებითი სახელი“ <p>მიზანი: პოზიტიური თვითშეფასების განვითარება.</p> <ol style="list-style-type: none"> 3. ხატვა „ავტოპორტრეტი“ 4. ნახატების მიხედვით საუბარი 	<p>საღებავები</p> <p>ფანრები</p> <p>სახატავი ქაღალდი</p>
		სხეულებრივი შეგრძნებების გავითარება, ტაქტილური კონტაქტის გამოყენება სიმპათიის, სითბოს, მაღლიერების გამოსახატვად.	<ol style="list-style-type: none"> 1. საუბარი იმაზე, თუ რა ნიშნავს კეთილი, კარგი ბავშვი. 2. თამაში „კომპლიმენტი“ <p>მიზანი: ბავშვის მიერ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი სიტყვების საშუალებით.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თამაში „გაზეთი“ <p>მიზანი: ტაქტილური კონტაქტის განვითარება და ურთიერთობის ბარიერის დაძლევა.</p> <p>თამაშის მსვლელობა: იატაკზე იდება გაზეთი (გაშლილი) და ჯდება ოთხი ბავშვი, შემდეგ ბავშვები კეცავენ ორად და ისევ სხდებიან, შემდეგ ისევ კეცავენ და ა.შ.</p>	

ცხრილი

2	თემა	პროგრამული შინაარსი	მასალა
მე, შენ ვართ ჩვენ	მიკუთვნიებულობის გრძნობის განვითარება, (ჯგუფის, ოჯახის მიმართ) ურთიერთობის პოზიტიური გამოცდილების მიღება	<ol style="list-style-type: none"> 1. პოზიტიური ურთიერთობის ხატვა სქემატურად და გათამაშება (ეტიუდი) <ul style="list-style-type: none"> - დაეხმარე მეგობარს - გაუნანილე მეგობრებს - შეაჩერე მეგობარი თუ ის იქცევა ცუდად - ნუ იჩხუბებ უმიზეზოდ - არ დასცინო სხვას 2. სქემატური ნახატების ან ეტიუდების განხილვა 	<p>სახატავი ქაღალდი, ფაქრები, დაფა, ცარცი</p>
		<ol style="list-style-type: none"> 1. თამაში „კომპლიმენტი“ 2. თამაში „ზარი“ <p>მსვლელობა: ბავშვები დგანან წრეში მჭიდროდ, ერთი კი შუაში, ის ხან ერთი მხარეს იხრება, ხან მეორე მხარეს, ბავშვები კი იჭერენ მას.</p> <ol style="list-style-type: none"> 3. ხატვა „ჩემი ჯგუფი“ 	<p>სახატავი ქაღალდი</p> <p>საღებავები</p> <p>ფანქრები</p>
		<ol style="list-style-type: none"> 1. თამაში „მოლეკულა“. მსვლელობა: ბავშვები დარბიან და ძახილზე „მოლეკულა“ ერთად მჭიდროდ იკრიბებიან ან ერთ რიგში ატომები, მეორეში მოლეკულები, ძახილზე 2 ატომი 3 მოლეკულა ერთად იკრიბებიან და ა.შ. 2. თამაში „ნაპერნკალი“. დგანან წრეში ხელჩაკიდულნი და ერთმანეთს რიგრიგობით უჭერენ ხელს და გადასცემენ ნაპერნკალს 3. კოლაჟი „ჩემი ჯგუფი“ 	<p>სახატავი ქაღალდი, საღებავი, ფანქრები</p> <p>ფერადი ქაღალდი</p>



<p>3 ურთიერთობის ჯადოსნური ხერხები</p>	<p>ბავშვებს გაცე- ცნოთ მეტყველების ინტონაციები, მიმიკები და პანტომიმია, ყურად- ღების მიქცევა სხვა ადამიანთა ემოციურ მდგომარეობაზე. მათი განწყობილების მიღება, ანგარიშის განწევა</p>	<p>1. თამაში „მე ვგრძნობ..“ მსვლელობა: ბავშვებს ურიგდებათ ბარათები, რომელზეც ასახულია სხვადასხვა ემოციები, ბავშვი ასახელებს ემოციას და ჰყვება როდის განუცდია ეს გრძნობა, ემოცია. 2. თამაში „მოლეკულა“ ან „ხელისგულები“ 3. ინტონაციური ეტიუდები: ბავშვებს ვთავა- ზობთ წარმოთქვან ფრაზა „წამოდი ვითამაშოთ“ – მოწყენილმა, მხიარულმა, გაბრაზებულმა, შეშინებულმა, განაწყენებულმა.</p>	<p>ბარათები, ემოციური გამოსახულებები</p>
		<p>1. საუბარი ინტონაციის, მიმიკის, პანტომიმის შესახებ 2. ნიღბების დამზადება 3. თამაში „ნიღბები“ მსვლელობა: ბავშვი იკეთებს ნიღბს და გადმოსცემს ამ ნიღბის ემოციას და ჰყვება მის შესახებ</p>	<p>ფერადი ქალაქი, ფანქრები, ზონარები</p>
		<p>1. თამაში „ხელები“ მსვლელობა: ბავშვები თამაშობენ წყვილებში – – ჩხუბობენ ხელები – შერიგდნენ ხელები 2. თამაში „მე ვგრძნობ“ 3. ხატვა „ჩემი განწყობილება“</p>	
<p>ჯადოსნური ხაზი</p>	<p>გამოცდილების გაფართოება და ემოციების რეგულირება</p>	<p>ხატვა „ჯადოსნური ხაზი“ სახაზავისა და ფერის საშუალებით. განწყობილების გადმოცემა: – მშვიდი ხაზი – მხიარული ხაზი – ცელქი ხაზი – ბოროტი ხაზი – შეშინებული ხაზი</p>	<p>ქალაქი საღებავი</p>
<p>მე – კარგი მე – ცუდი</p>	<p>ბავშვის მიერ საკუთარი თვისებების გაცნობიერე- ბა, ადეკვატური თვითშეფასების ფორმირება, ნაკლოვანი მხარეების აღმოჩენა და დაძლევა</p>	<p>1. თამაში „ანტონიმები“ მსვლელობა: ბავშვები სხედან წრეში და წამყვანი გადასცემს ბურთს, ვისთანაც არის ბურთი ეუბნებიან სიტყვას და უნდა წარმოთქვას ანტონიმი 2. თამაში „ძაღვები“ მსვლელობა: ბავშვები თავისი სურვილით ირჩევენ ვინ როგორი ძაღლი იქნება, განასახიერებენ მას და ჰყვებიან როგორები არიან.</p>	<p>ბურთი</p>
		<p>1. თამაში „მე შენიძლია“ მსვლელობა: ბავშვები სხედან წრეში. წამყვანი ვისაც გადასცემს ბურთს, უნდა ჩამოთვალოს რა შეუძლია (დადებითი, უარყოფითი). 2. თამაში-რელაქსაცია, „ყვავილების მინდორი“. ბავშვებს ვთავაზობთ წარმოიდგინონ ყვავილების მინდორი, იპოვონ თავისი ყვავილი და აღწერონ 3. ხატვა „ყვავილი“</p>	<p>ბურთი, ფურცელი საღებავები ფანქრები</p>



საყვარელი ზღაპრები	ურთიერთობებში სირთულეების დაძლევა და რეაგირება საკუთარ ემოციებზე	<ol style="list-style-type: none"> 1. თამაში „გამოიცანი ვინ არის?“ მსვლელობა: წამყვანი ასახელებს ხასიათის რომელიმე თვისებას და ბავშვებმა უნდა გამოიცნონ რომელი გმირია, შემდეგ განხილვა. 2. თამაში „ზღაპარი უკულმა“. ბავშვები ირჩევენ რომელიმე ზღაპარს და მასში მოქმედ გმირებს უცვლიან თვისებებს. მაგ: ნითელქუდა – ბოროტი, მგელი – კეთილი და ა.შ. მსჯელობენ როგორ განვითარდებოდა სიუჟეტი? 3. „წერილი მივწეროთ სასურველ გმირს“ 4. ხატვა „საყვარელი ზღაპრის გმირი“ 	
ერთად უფრო მხიარულად ვართ	პოზიტიური ურთიერთობის გამოცდილების გაფართოება, ბავშვის მიერ საკუთარი სურვილების შესაბამისობა სხვების სურვილებთან და მოთხოვნილებებთან	<ol style="list-style-type: none"> 1. თამაში „ქალაქების გორა“. მსვლელობა: ბავშვებთან ხდება შეთანხმება, რომ თამაშის დასრულების შემდეგ ყველანი ერთად ალაგებენ. წინასწარ მზადდება ქალაქები ზოგი დაჭმუჭნული, დახეული. ბავშვები დგანან წრეში, შუაგულში იყრება ქალაქები, ბავშვები ისვრიან ზემოთ და მხიარულობენ. 2. თამაში. 3. ხატვა. 4. წრეში თითოეული სიტყვით ზღაპრის შეთხზვა 	

პროგრამით გათვალისწინებული შეცადინეობის ალგორითმი:

1. მისალმება
2. საუბარი ან პრობლემური სიტუაცია
3. განმავითარებელი თამაში. ფსიქოლოგიური ეტიუდი, ფსიქოვარჯიში, თემატური ან თავისუფალი ხატვა.
4. მოძრავი თამაში.
5. დამშვიდობება.

თვითშეფასება

უფროს ადამიანთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი, ძირითადი ფაქტორია, რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს ბავშვის ადექვატურ თვითშეფასებაზე. უფროსი ადამიანების დახმარებით ხდება ბავშვის ქმედების, აქტივობის შეფასებითი სტიმულაცია:

- ა) უფროსი გამოხატავს თავის დადებით დამოკიდებულებას გარშემომყოფთა მიმართ
- ბ) უფროსი ადამიანი უკეთებს ორგანიზაციას ბავშვის აქტივობას, უზრუნველყოფს მისი ინდივიდუალური მოქმედების გამოცდილებას და უჩვენებს სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტის გზებს;
- გ) ორგანიზებას უკეთებს თანატოლებთან ერთობლივ მოქმედებას, რომელიც ეხმარება ბავშვს გაიცნოს მისი თანატოლის პიროვნული თვისებები, მისი მისწრაფებები, სურვილები და გაითვალისწინოს იგი.



თვითშეფასების ფორმირება გადის შემდეგ ეტაპებს:

- ბავშვის არადიფერენცირებული დამოკიდებულება მისი ქცევის შეფასების მიმართ;
- ბავშვის დიფერენცირებული დამოკიდებულება მისი ქცევის შეფასების მიმართ;
- საკუთარი ქცევის დამოუკიდებლად შეფასების უნარი (ცუდი-კარგი);
- არა მხოლოდ საკუთარი ქცევის შეფასების, არამედ ემოციური მდგომარეობის გარჩევის უნარი;
- თვითცნობიერების უნარის განვითარება, ე.ი. საკუთარი შინაგანი ცხოვრების გააზრება და შეფასება.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის თვითშეფასება ბევრად არის დამოკიდებული უფროსის შეფასებაზე. უარყოფითი შეფასებები ბავშვის თვითშეფასებაზე ახდენს ნეგატიურ ზეგავლენას, ხოლო გადაჭარბებულმა დადებითმა შეფასებამ შეიძლება ბავშვში გამოიწვიოს ზედმეტი დარწმუნებულობა საკუთარ თავში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაეხმაროს ძალების მობილიზებაში (ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე)

რაც უფრო ობიექტურია ბავშვის შეფასება, მით უფრო მეტი ალბათობაა, რომ ბავშვს ჩამოუყალიბდეს ადექვატური თვითშეფასება, ხოლო, როცა ბავშვს საკუთარ თავზე უკვე აქვს შექმნილი „ვარსკვლავური“ წარმოდგენა, შეიძლება კრიტიკულად შეხვდეს უფროსის შეფასებას.

3-7 წლის ასაკში ბავშვის ურთიერთობები თანატოლებთან იძენს არსებით ფუნქციას და ეხმარება ბავშვს თვითცნობიერების ამაღლებაში. მისთვის უფრო ადვილია საკუთარი ქმედების, ქცევის შედეგები შეადაროს თანატოლთა შედეგებს.

3-4 წლის სკოლამდელს აქვთ სუბიექტური შეფასება თანატოლების მიმართ და დამოკიდებულია ემოციურ ფონზე, მაგ: თანატოლმა არ ათხოვა სათამაშო, მაშინ ეს ბავშვი „ცუდია“. 5-7 წლის ასაკში უფროს სკოლამდელს უკვე შესწევთ უნარი უფრო კრიტიკულად შეაფასონ თანატოლთა მოქმედებანი, ვიდრე თავისი.

3-4 წლის ასაკში ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ჭარბი თვით-შეფასება, რადგან ცოტა რამ იცის საკუთარი პიროვნული თვისებებისა და შემეცნებითი შესაძლებლობების შესახებ. 6-7 წლის ასაკში უფროს სკოლამდელს უფრო კარგად აქვს წარმოდგენილი თავისი ფიზიკური შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები და გონებრივი შესაძლებლობები. ბავშვები საკუთარი თავის დასამკვიდრებლად იყენებენ ორ პოზიციას:

ეგოისტური პოზიცია – როცა ბავშვისთვის სულერთია თანატოლთა ინტერესები, ემოციები, ამიტომ ასეთი ბავშვი ხშირად არის უხეში და აგრესიული.

კონკურენტული პოზიცია – ბავშვი ცდილობს, რომ იყოს სანაქებო, აღიარებული, ყველასათვის საყვარელი და საჭიროდ მიიჩნევს იყოს დამჯერი, კარგი ბავშვი. ასეთი ბავშვები მართლაც უყვართ და იმსახურებენ შექებას, აღიარებას პოულობს თანატოლებშიც, მაგრამ ბავშვს ეს სჭირდება მხოლოდ თვითდამკვიდრებისათვის, კონკურენტული პოზიცია ბავშვს უყალიბებს არაობიექტურ თვითშეფასებას, ასეთი პოზიცია შესაძლებელია იყოს დროებითი, თუმცა არ უნდა გახდეს მომავალში, როგორც პიროვნული მახასიათებელი და პოზიცია.



უფროს სკოლამდელბთან აღქმასხი თვითშეფასების ფორმირება

ეტაპები	მიმართულება	მუშაობის სახე
I ეტაპი	ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დიაგნოსტიკა	დაკვირვება, საუბარი, ექსპერიმენტული შესწავლა
	ოჯახის შესწავლა	დაკვირვება, კითხვარი, პროექციული მეთოდები
II ეტაპი	თამაშები	თამაშები სოციალური უნარების განსავითარებლად. თამაშები თავში დარწმუნებულობისა და სხვათა ემოციების შესაფასებლად. თამაშები აგრესიულობის დასაძლევად. თამაშები ადეკვატური თვითშეფასების გასავითარებლად
	ფსიქოვარჯიშები	ეტიუდები კუნთების მოსადუნებლად. ეტიუდები ძირითადი ემოციების გამოსახატად
	ტრენინგები	პიროვნული ზრდის, კომუნიკაციური უნარ-ჩვევათა ტრენინგი
	შრომითი საქმიანობა	საკოფაცხოვრებო დავალებები. შორიგეობა
	სწავლითი აქტივობა	სავარჯიშოები, დიდაქტიკურ-სამაგიდო თამაშები
	სახვითი მოქმედება	შემოქმედებითი თამაშები. სტანდარტული და არასტანდარტული ტექნიკების გამოყენება ხატვაში
	თეატრალიზირებული მოქმედება	სიტუაციების გათამაშება, სპექტაკლების დადგმა
	სეირნობა და ექსკურსია	დაკვირვება, შრომითი საქმიანობა და თამაში
	დღესასწაულები და გართობა	ლექსების კითხვა, ცეკვა, სიმღერა
	ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მუშაობა ბავშვის ოჯახთან	ტრენინგი, კონსულტაცია, სემინარი
	III ეტაპი	ბავშვი-მშობელის ურთიერთობის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური შესწავლა
უფროს სკოლამდელი ბავშვის ფსიქოლოგიური შესწავლა		საუბარი, დაკვირვება, ექსპერიმენტი, შესწავლა
დიაგნოსტიკა		დაკვირვება, ექსპერიმენტი, შესწავლა



უფროს სკოლამდელთა თვითშეფასების შენაწავლა ხდება ორი მიმართულებით: 1) – ექსპერიმენტული და 2) – არაექსპერიმენტული. შესწავლას ვიწყებთ არაექსპერიმენტული ნაწილით, კერძოდ: დაკვირვებით ბავშვის ქცევაზე, თავისებურებებზე. ხდება მისი ნახატების შესწავლა. დაკვირვების მეთოდით ანალიზდება მისი ემოციურ-ნებელობითი პროცესების მიმდინარეობა, როგორ იქცევა თანატოლებთან. როგორია მისი კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, მშიშარაა თუ მორცხვი, არის თუ არა დარწმუნებული საკუთარ თავში; მშვიდი, ორგანიზებული; ზედმეტად მოძრავი, მოლაპარაკე, ქირვეული, პასიური და ა.შ.

ბავშვთან საუბრის დროს დაკვირვება ხდება იმაზეც, თუ როგორ რეაგირებს ბავშვი სხვადასხვა კითხვებზე, ზრდილობიანია თუ უხეში, კეთილად არის განწყობილი თუ არ სიამოვნებს დიალოგი, თავშეკავებულია თუ ზედმეტად მოლაპარაკე. ბავშვთან საუბარი უნდა ატარებდეს უშუალო ხასიათს, თუმცა მიზანმიმართულს.

ექსპერიმენტულ ნაწილში კვლევა უნდა ჩატარდეს თამაშის ფორმაში. მთავარია ბავშვმა არ დაკარგოს ინტერესი და სურვილი, ამიტომ ფსიქოლოგი თვითონ ირჩევს იმ დავალებებს, რომელიც ინდივიდუალურად იქნება მორგებული ბავშვის ინტერესებზე.

უფროს სკოლამდელთა თვითშეფასების შესასწავლად რეკომენდირებულია შემდეგი მეთოდები:

1. თვითშეფასების განსაზღვრის მეთოდიკა (ავტორი ზახაროვი ა.ვ.)

ინსტრუქცია: ექსპერიმენტატორი სთავაზობს ბავშვს ნახატს (8 ცალი წრე, 1 სმ დიამეტრი) და სთხოვს გააფერადოს ნებისმიერი წრე სურვილის მიხედვით.

შედეგის დამუშავება: ბავშვისთვის ნორმად ითვლება მარცხნიდან 3,4,5 გაფერადებული წრე. ამ შემთხვევაში ის ადექვატურად აღიქვამს „მე“-ს ხატს, ხოლო პირველი, მეორე გაფერადებული წრე ნიშნავს, რომ თვითშეფასება არის ზედმეტად მაღალი, მე-5 წრიდან მარჯვნივ – დაბალია თვითშეფასება.

2. მეთოდიკა „კიბე“ (ავტორი ვ. გ. შერი და ს. გ. იაკობსონი.)

წინასწარ მზადდება კიბის, გოგოს და ბიჭის მაკეტი

შედეგების დამუშავება: თუ ბავშვი თვლის, რომ დედა დააყენებდა უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე თვითონ, ეს პოზიცია მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვები გრძნობენ მყარ მხარდაჭერას, „ზურგს“ და აქვთ გამოკვეთილი უნარი კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი პიროვნება, ეს პოზიცია შეესაბამება ადექვატურ თვითშეფასებას.

3. მეთოდიკა „როგორი ვარ“ (ავტორი ნემოვი რ. ს.)

4. მეთოდიკა „თვითშეფასების ხე“ (ავტორი ლამპენი დ.)



აღაჯაბაჟი თვითმფარველის ფიქსიების ანალიზის ანალიზი ანალიზი ანალიზი

№	თვე	თემა	პროგრამული შინაარსი	აქტივობის სახე
1	სექტემბერი	"ვინ ვარ?" "როგორი ვარ?"	ადამიანის გაცნობა (ფიზიოლოგია, ჯანმრთელობა, ფსიქოლოგია). მათი მნიშვნელობა. ბავშვის მიერ საკუთარი თავის აღქმა	თამაში "ვადოსნური სარკე", "დამიხატე შენი სახელი", სპორტული თამაშები ჩვენ ვართ ძლიერები (მხარეული შეჯიბრება)
2	სექტემბერი	"მომი გაცნობით ვარ?"	გაცნობით ნარმოცდგენა საკუთარ თავზე, როგორც სოციალურ არსებაზე, სახელის, გვარის, ასაკის, სქესის და სტატუსის შესახებ. "მე ვარ ბავშვი", მე ვარ მშვენიერი	თამაში "მე ვარ", თამაში-სავარჯიშო "მე-სხვადასხვანაირი" გამოცდის მიხედვით "მეფის სავარჯიშო"
3	სექტემბერი	"მე თვითონ"	ბავშვებში საკუთარი მოქმედების, უნარ-ჩვევების აღქმის ფორმირება. საკუთარ თავში დარწმუნებულობის გამყარება	საუბარი იმაზე, თუ რა უნარ-ჩვევები აქვთ ბავშვებს, გაცნობიერებული აქვთ თუ არა საკუთარი ქმედებები, შინაარსი, მიზანდასახულებად მოქმედებენ თუ არა შემოქმედებითი მუშაობის დროს.
4	სექტემბერი	"მე და ჩემი მომავალი"	საკუთარი პერსპექტივების წარმოდგენის ფორმირება, "მე ვიქნები..." ადეკვატური თვითშეფასების ფორმირება	თამაში "მე ყველაფერი შემიძლია"
1	ოქტომბერი	"მე და ჩემი ახლობელი ადამიანები"	სახელების ფორმირება, მათი საქმიანობის, მათდამი დადებითი დამოკიდებულების მნიშვნელობა. მათ მიმართ სიყვარულისა პატივისცემის გრძნობის გაცნობიერება	მხატვრული ნაწარმოები, სადაც მოთხრობილი იქნება სხვადასხვა პროფესიების შესახებ.
2	ოქტომბერი	"მე სხვა ადამიანებს შორის"	ფსიქოლოგიური ბავშვის აღწერის საკუთარი გარეგნობა, განსხვავებულობა და მსგავსება თანატოლებთან. დადებითი დამოკიდებულების ფორმირება საკუთარი თავის და სხვის მიმართ	თამაში "მე ვის ჰგავხარ", სახატავი თემა "ჩემი ოჯახი", ფოტოგამოფენა "ჩემი ოჯახი"
№	თვე	თემა	პროგრამული შინაარსი	აქტივობის სახე
3	ოქტომბერი	"დასვენება ოჯახთან ერთად"	ბავშვთან საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ზრუნავდნენ ოჯახის წევრები ერთმანეთზე, პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ, ნესიერი და უკომუნური დამოკიდებულება სხვა ადამიანების მიმართ	ნახატი თემაზე "დასვენება ოჯახთან ერთად", როლებიანი თამაში "ჩვენ მივდივართ აგარაკზე"



4	ოქტომბერი	ჩემი სახლი ჩემი ქვეყანა	ცოდნის მიწოდება იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ, დედაქალაქს, ენის, კულტურის, ისტორიის შესახებ. ბავშვის როლი თავისი ქვეყნის განვითარებაში და თითოეულის მონაწილეობის მნიშვნელობა სამშობლოსათვის — პატრიოტიზმის ფორმირება, ჰიმნი, დროშა	ექსკურსია ქალაქში. პატარა ფილმის ყურება დედაქალაქის შესახებ. ბავშვებთან ერთად პრეზენტაციის მომზადება „ჩემი ქალაქი“. ბავშვებთან ერთად წინასწარ მომზადებული მასალით (სურათები) დიდ ფორმატზე წებდება ქალაქის სურათები, ბავშვები აფორმებენ ნახატებით. შემდეგ კი ხდება პრეზენტაცია — ჰყვებიან რა არის ასახული მათ მიერ მომზადებულ მასალაზე და როგორი იყო მათი მონაწილეობა ამ პროცესში
1	ნოემბერი	ჩენი საქმეები და ჩენი საქციელი	საკუთარი საქმიანობის, მოქმედების, საქციელის შეფასებების უნარი და სხვათა შეფასების უნარი, კონკრეტული სიტუაციების მიმართ ემოციური და მოკიდებულების გამოვლენა	შესაბამისი სიტუაციის როლური გათამაშება. მიმიკის, პატივმოქმედების, ფესტის გამოყენებით ფსიქოფარჯიტები ემოციური მდგომარეობის გამოსახატად. სოუფიტური სურათების განხილვა და დასათაურება. მსატყურელი ნაწარმოების გამოყენება (ზღაპარი, მოთხრობა) მუსიკის თანხლებით
2	ნოემბერი	„რა გგახარებს და რა გგწყინს“	სიხარულსა და წყენის, გაბრაზების ემოციების დიფერენცირების უნარი და ემოციონალური გამოვლენა. უარყოფითი ემოციების გაცნობიერების უნარი, ემოციების კონტროლის უნარის ფორმირება	საუბარი თემაზე „რატომ ბრაზობს ადამიანი?“, როგორ დავძლიოთ გაბრაზება და ვიყოთ უფრო ხალისიანები? მსატყურელი ლიტერატურის კითხვა. სახატავი თემა „ჩემი განწყობილება“
№	თემა	პროგრამული შინაარსი		აქტივობის სახე
3	ნოემბერი	როსი კეთება ვიცი? რა შემოძლია?	პროდუქტული საქმიანობის უნარის ფორმირება, ურთიერთქმედება თანატოლებთან. საკუთარი პოტენციალის, ძალების ცნობიერება, მეგობრობის და ურთიერთ-გაგების გრძნობის ცნობიერება	შრომითი საქმიანობა საბავშვო ბაღის ეზოში. საჩუქრების მომზადება დაბადების დღის აღსანიშნად (ან რომელიმე დღესასწაულის) და ერთმანეთის დასაჩუქრება. საუბარი თემაზე „როგორ ვებარები დედას, მამას“
4	ნოემბერი	მე ზღაპრის გმირი	„მე“-ს დადებითი და უარყოფითი თვისებების დიფერენცირება, თითოეული ადამიანის როლი და მნიშვნელობა	თითოეული ბავშვი ქმნის თავის ზღაპარს, რომელშიც თვითონ არის მთავარი გმირი, ხატავენ რომელიმე სოუფიტს თავისი ზღაპრიდან, შემდეგ კი განხილავენ. ბავშვების მიერ არჩეული ზღაპრის ინსცენირება. ხატავენ „ჩემი საყვარელი ზღაპრის გმირი“



1	დეკემბერი	„ცენტრით თუ არა ერთმანეთს?“	სოციალური ნდობის ფორმირება, ჯგუფთან მიკუთვნილებულობის, ერთობის განცდა	თამაში „დამიჭირეთ“ – ბავშვები წრეში ხელჩაკიდული და მჭიდროდ დგანან, შუაში დგას ბავშვი, რომელიც ვერტიკალური მდგომარეობით ხან ერთ მხარეს გადაიხრება, ხან მეორე მხარეს, ბავშვები ცდილობენ მის დაჭერას, რომ არ წაიქცეს მხარული შეჯობრება აერთი ყველათვის, ყველა ერთისთვის“
2	დეკემბერი	„ზამთარი ქალაქში“	ბუნების მოვლენების გაცნობა, სეზონური ცვლილებების გარშემო ცოდნის გამყარება, თითოეული სეზონის სილამაზის, მშვენიერების განცდის გამოვლენა. ბავშვების მიერ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წელიწადის თითოეული დროს მიმართ	ხატვა „ზამთრის ზეინაჯი“ ან აბლიკაცია პუნტბრივი მასალების გამოყენებით. მხატვრული ნაწარმოების კითხვა (ზღაპარი, მოთხრობა, ლექსები). საახალწლო სათამაშოებისთვის მასალის მომზადება და ბავშვებთან ერთად წინასწარ შეთანხმება ვინ რა სათამაშოს გააკეთებს. საახალწლო ორნამენტების ხატვა ქალაქისგან წინასწარ გამოჭრილ ხელთათმანებზე
№	თემა	პროგრამული შინაარსი		აქტივობის სახე
3	დეკემბერი	„ახალი წლისთვის მზადება“	დღესასწაულის მნიშვნელობა და ახალი წელი, შობა როგორც საოჯახო დღესასწაული. რა განცდები, ემოციები მოაქვს ახალ წელს. რა არის შობის დღესასწაული და როდის აღინიშნება. სურვილებისა და ოცნებების გამოვლინების, უერბალურად გამოხატვის უნარის განვითარება. ბავშვებში მშობლების, ახლობლების მიმართ სიხარულის მინიჭების სურვილის განვითარება (სახალწლო საჩუქარი, სიურპრიზი, ლექსის მომზადება, ორცხობილას გამოცხობა და ა.შ.)	საუბარი თემაზე „ჩემი საახალწლო სურვილები“, „ჩემი სული რა საახალწლო საჩუქრების გაკეთება შემიძლია?“ მხატვრული ლიტერატურის კითხვა. სახატავი თემა „ჩემი განწყობილება ახალ წელს“
4	დეკემბერი	ახალი წლის ზეინაჯის საბავშვო ბაღში და სახლში	ზეინაჯის მნიშვნელობის მნიშვნელობაზე, თითოეულის როლის მნიშვნელობაზე, მშობლების მოლოდინზე, განცდებზე, რომელიც თან ახლავს სცენაზე გამოსვლას, რა გრძობების აქვთ ბავშვებს, როცა ემზადებიან სცენაზე გამოსასვლელად, მათი აზრი ზეინაჯის შესახებ	ინსცენირება თემაზე „მე სცენაზე გამოვდივარ“ ხატვა თემაზე „ზეინაჯი“ ფსიქოლოგიური ეტიუდები: სიხარულის, ღელვის, სიმორცხვის გამოხატვები სიტუაციების გათამაშება



ადექვატური თვითშეფასების ფორმირებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი თემატიკა:

- 1) „სათამაშოების სამყარო“ (სათამაშოების მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება, მოვლა-პატრონობა, თანატოლებთან სათამაშოს გაყოფა, შეთანხმება);
- 2) „ბავშვი და ცხოველთა სამყარო“ (ცხოველთა სამყაროს შესახებ ცოდნის გაფართოება, მათი აღწერა, მათდამი ფრთხილი და მზრუნველი დამოკიდებულების ფორმირება);
- 3) „ბავშვი და მცენარეთა სამყარო“ (ცოცხალი ბუნების შესახებ ცოდნის გაფართოება, მათი აღწერა, ცვლილებები ბუნებაში, მოვლა და ზრუნვა);
- 4) „ჩემი დედიკო“ (დედის მიმართ პატივისცემის, სიყვარულის და მზრუნველობის განცდა, გამოვლენა);
- 5) „გაზაფხული მოდის“ (ბუნებაში ცვლილებების შესახებ, გაზაფხულის აღწერა, ფერების შემოსვლა ბუნებაში);
- 6) „ჩვენ მხიარული ბავშვები ვართ“ (ბავშვებს ვასწავლით თვითონ შეიქმნან კარგი განწყობა და სხვებიც გაამხიარულონ. დღესასწაულების მონყოფა, ორგანიზება, პოზიტიური ატმოსფეროს შექმნა);
- 7) „ჩემი მამიკო“ (მამის მიმართ პატივისცემის, სიყვარულისა და მზრუნველობის განცდა-გამოვლენა);
- 8) „ჩემი საყვარელი საბავშვო ბაღი – ჩემი მეორე სახლია“ (საბავშვო ბაღის მასწავლებლების, ძიძების და სხვა პერსონალის მიმართ მადლიერების გრძნობის გამოხატვა, პატივისცემა და მზრუნველი დამოკიდებულება საბ. ბაღში არსებული ნივთების მიმართ).

აღქვამური თვითშეფასების გასაპირობებლად

(თამაში, ხატვა, ეტიუდი)

ნიმუში.

1. „მე სხვადასხვანაირი“

მიზანი:

დავეხმაროთ ბავშვს უკეთ შეიცნოს საკუთარი თავი და შესაძლებლობები.

მსვლელობა: ბავშვს ვთხოვთ დახატოს ფურცელზე საკუთარი თავი: ა) როგორი იყოს ადრე, ეხლა და როგორი უნდა, რომ იყოს მომავალში

მეთოდური მითითება: სახატავი ფურცელი გაყოფილია 3 ნაწილად, ბავშვმა უნდა შეასრულოს ნახატი ფერადი ფანქრებით. დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს ნახატის განხილვა.

2. „სიტუაციები“ (ფსიქოლოგიური ეტიუდი)

მიზანი: ემოციების გამოვლენის უნარი სხვადასხვა სიტუაციაში.

მსვლელობა: ფსიქოლოგი სთავაზობს ბავშვს სიტუაციას, რომელშიც ბავშვმა უნდა განასახიეროს საკუთარი თავი. მაგ: – შენმა ამხანაგმა აიღო შენი საყვარელი სათამაშო, ითამაშა და დაგიბრუნა გატეხილი. როგორ მოიქცევი?

– დედამ მოგაწოდა 3 ცალი შოკოლადის კანფეტი, შენ და შენს დაიკოს, როგორ გაანაწილებდი? რატომ?



მეთოდური მითითება: სიტუაციები შეიძლება აღებული იქნას ბავშვის რეალური ცხოვრებიდან.

3. „დაამთავრე წინადადებები“

მიზანი: საკუთარი შესაძლებლობების ადექვატური შეფასების ფორმირება.

მსვლელობა: ფსიქოლოგი თითოეულ ბავშვს სთავაზობს დაასრულოს წინადადება: მე მინდა..., მე შემიძლია..., მე მევალება..., მე მივალწევ...

მეთოდური მითითება: ბავშვს ვთხოვთ ახსნას საკუთარი პასუხი.

4. „დაასახელე შენი ძლიერი მხარეები“

მიზანი: საკუთარი აზრის თავისუფალი გამოთქმა.

მსვლელობა: ფსიქოლოგი სთავაზობს თითოეულ ბავშვს დაფიქრდნენ რომელი კარგი თვისებები გააჩნიათ

მეთოდური რეკომენდაცია: არ არის აუცილებელი ბავშვმა ჩამოთვალოს მხოლოდ დადებითი თვისებები, მთავარია, რომ გულახდილად აღნიშნოს ყველა ის თვისება, რომელიც ახასიათებს და კარგად აცნობიერებს თავის დადებით და უარყოფით მხარეებს

5. თამაში „სამეფო სავარძელი“.

მიზანი: თვითპატივისცემის გრძნობის, საკუთარი მიღწევების და წარუმატებლობის ადექვატური აღქმა.

თამაშის წესები:

ა) ფსიქოლოგი თითოეულ ბავშვს რიგითობით სთავაზობს დაჯდეს „სამეფო სავარძელში“ და დაიდგას გვირგვინი.

მეთოდური მითითება: ფსიქოლოგი წინასწარ ეცნობა ბავშვის „ისტორიას“ – მისი სახელის, წარმოშობის, მისი თვისებების, ღირსებების შესახებ.

ბ) სურვილის მიხედვით თითოეული ბავშვი რიგ-რიგობით ჯდება „სამეფო სავარძელში“ და როგორც მეფე (დედოფალი) ჰყვება თავის ისტორიას, როგორია, რა უყვარს და ა.შ.

6. „ემოციები“

მიზანი: სხვადასხვა ემოციათა დიფერენცირება. დადებითი და უარყოფითი ემოციების გაცნობიერება.

თამაშის წესი: ფსიქოლოგი სთავაზობს ბავშვებს:

- ა) ვითომ ხარ შემოდგომის ღრუბელი, რომელიც წვიმას აპირებს;
- ბ) ვითომ ხარ გაბრაზებული ადამიანი;
- გ) ვითომ ხარ ბოროტი ჯადოქარი;

გაიღიმეთ როგორც:

- ა) მზეს მიფიცებულმა კატამ
- ბ) ვითომ ხარ მზე;
- გ) მატყუარა მელაკუდამ;
- დ) როგორც გახარებულმა ბავშვმა;
- ე) თითქოს დაინახე სასწაული

გაბრაზდი, თითქოს:

- ა) გამოგართვეს ნაყინი;
- ბ) ხარ როგორც მშვიერი ვეფხვი.

შეგეშინდა:

- ა) როგორც დაკარგულ ბავშვს ტყეში;
- ბ) ხარ ბაჭია, რომელიც შეაშინა მგელმა;
- გ) ფისო, რომელსაც უყეფს ძაღლი.

მეთოდური რეკომენდაციები: განიხილეთ ბავშვებთან, რომელი ემოციის გად-მოცემა იყო ადვილი.

7. „მე – ლომი“

მიზანი: თავდაჯერებულობის განმტკიცება.

თამაშის წესი: ფსიქოლოგი სთავაზობს ბავშვებს: დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ, რომ გადაიქცით ლომებად. ლომი – ნადირთა მეფეა, თქვენ ხართ ძლიერები, თავდაჯერებული, მშვიდი, ბრძენი, თავისუფალი, ჭკვიანი.

– გაახილეთ თვალები და თითოეულმა წარმოიდგინეთ საკუთარი თავი, მაგ: მე ვარ – ლომი ზურა და გაიარეთ ამაყი, დინჯი ნაბიჯით.

მეთოდური რეკომენდაცია: თამაშის დროს გაამხნევეთ და შეაქეთ ბავშვები.

8. „მე ვეძებ გამოსავალს“

მიზანი: პირადი დამოკიდებულების გადმოცემა და გარკვეული სიტუაციების მიმართ გამკლავების, გადანწყვეტის უნარი.

თამაშის წესი: ფსიქოლოგი სთავაზობს ბავშვებს სხვადასხვა სიტუაციას: ვინც შეძლებს გაუმკლავდეს და მოძებნოს გამოსავალი სიტუაციიდან;

როგორ მოიქცევი?

- ა) გაბრაზებენ და დაგცინიან;
- ბ) წაგართვეს საყვარელი სათამაშო;
- გ) არ გიშვებენ ტელევიზორის ყურებას;
- დ) არ გაჩუქეს შეპირებული საჩუქარი;
- ე) იჩხუბე დასთან, ძმასთან.

მეთოდური რეკომენდაცია: ბავშვები თითოეული სიტუაციას განიხილავენ და მსჯელობენ. ბავშვების გადანწყვეტილებით, ვინც უკეთ გაუმკლავდება სიტუაციას აჯილდოვებენ (ვარსკვლავით...).

9. ხატვა კარნახით.

მიზანი: თავდაჯერებულობის ფორმირება, სმენითი აღქმის განვითარება.

თამაშის მიზანი: ფსიქოლოგი სთავაზობს ბავშვებს დაიყონ წყვილებად და დაჯდნენ ერთმანეთთან ზურგით, ერთი ხატავს, მეორე აღწერს, ბავშვები თვითონ თანხმდებიან ვინ დახატავს და ვინ აღწერს სურათს. იმ ბავშვებს, ვინც უნდა დახატოს, ურიგდებათ ფურცლები და ფანქრები, ხოლო ვინც უნდა აღწეროს, ურიგდებათ სიუჟეტური სურათები.

მეთოდური მითითება: ბავშვი, რომელმაც უნდა დახატოს აღწერილი სურათის სიუჟეტი, არ აქვს უფლება ნახოს, დასვას კითხვა ან კომენტარი გააკეთოს. დავალების შესასრულებლად ეძლევათ 7 წთ. დასრულების შემდეგ უნდა შეადარონ ერთმანეთს ორიგინალი და ასლი, შემდეგ ცვლიან როლებს და იხატება სხვა სურათები.



თვითშეფასება

(რეკომენდაციები)

- აქცენტი არ გააკეთოთ ბავშვის ფიზიკურ თავისებურებებსა და დაავადებებზე. მოერიდეთ მისი გარეგნული მხარის მკვეთრ შეფასებას. არასდროს განიხილოთ ეს საკითხები ბავშვის თანდასწრებით;
- ობიექტურად შეაფასეთ ბავშვის ღირსებები, შეაქეთ სიკეთის, კარგი ხასიათის, ყურადღებუიანობის გამო;
- ხშირად აღნიშნეთ მისი კარგი თვისება – კონტაქტურობა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ურთიერთობებს მისთვის არ მოაქვს მაინცდამაინც პოზიტიური გამოცდილება;
- გაითვალისწინეთ ბავშვის რეალური შესაძლებლობები, ეცადეთ არ გააკეთოთ ის საქმე მის მაგივრად, რაც დამოუკიდებლად შეუძლია;
- დაეხმარეთ ბავშვს გამოხატოს თავის ემოციები და გრძნობები. ამაში დაგეხმარებათ ხატვა, ძერწვა და სხვა მხატვრული მეთოდები;
- ბავშვს დაეხმარეთ მოძებნოს თთვის საყვარელი საქმიანობა, რომელშიც შეძლებს გამოავლინოს თავისი პოტენციალი და დაიმსახუროს გარშემომყოფთა შექებას, აღიარებას;
- ხშირად გამოხატეთ ბავშვის მიმართ თანაგრძნობა, მხარდაჭერა, სიყვარული და თბილი დამოკიდებულება;
- საჭიროების შემთხვევაში ბავშვს მოუყვებით ანალოგიური პრობლემური სიტუაციის შესახებ თქვენი ბავშვობიდან და როგორ შეძელით მასთან გამკლავება.

მეთოდია „დაბადების დღე“

ბავშვებთან საუბარი იწყება თემაზე „დაბადების დღე“, საჩუქრების, სტუმრების შესახებ, უყვარს თუ არა თავისი დაბადების დღე, შემდეგ კი ვთავაზობთ დახატოს მაგიდა სკამებით და გაანანილოს სუფრასთან სტუმრები. შეიძლება წინასწარ დახატული იყოს სადღესასწაულო მაგიდა, რომელზეც ბავშვი განათავსებს თავის მეგობრებს, დიდებს. შესაძლებელია, დაიხატოს ორი მაგიდა ბავშვებისთვის და დიდებისთვის.

ინსტრუქცია: მე და შენ ვითამაშოთ დაბადების დღეობა, ეს დიდი წრე იყოს მაგიდა, რომელზეც უნდა დაედგათ დიდი ტორტი იმდენი სანთლებით, რამდენი წლისაც ხარ, შემდეგ დავხატოთ სკამები, ეხლა აირჩიე სკამი, რომელზეც შენ იჯდები და ავლიშნოთ ვარსკვლავით ან ყვავილით.

ბავშვის არჩევანით (ვარსკვლავი თუ ყვავილი) შეიძლება შევაფასოთ სქესთან იდენტიფიკაცია: ბიჭები უმეტეს შემთხვევაში არჩევენ ვარსკვლავს, ხოლო გოგონები ყვავილს.

- ვინ გინდა დაჯდეს შენს გვერდით?

სახელები სკამებს ეწერება გარედან, ხოლო ნომერი წრის შიგნით. მეოთხე სტუმრის შემდეგ ისევ შეიძლება გავიმეოროთ კითხვა – კიდევ ვინმეს დაჰატიყებ, თუ სკამი ავილოთ? (გადახაზვა), ბავშვის პასუხი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად აქვს ურთიერთობის მოთხოვნილება.



შედეგების ანალიზი

1. ურთიერთობის მოთხოვნილება

ა) გამოიყენება ყველა სკამი ან ემატება ახლები – სურს ურთიერთობების გაფართოება.

ბ) სკამების გადახაზვა – ბავშვს სურს ურთიერთობა, მაგრამ მხოლოდ ახლობელ ადამიანებთან ვინრო წრეში.

გ) ირჩევს სათამაშოებს, საგნებს, ცხოველებს – ურთიერთობის არაფორმირებული მოთხოვნილებები

2. ურთიერთობის ემოციური უპირატესობა.

ადამიანები, რომლებიც გვერდით სხედან ბავშვთან – ახლობელი, სანდო და სასიამოვნო ურთიერთობის მანიშნებელია.

3. სოციალური გარემოცვის მნიშვნელობა

ა) უფროსი ადამიანების, თანატოლების ან საგნების რაოდენობრივი უპირატესობა.

ბ) რომელი სქესის ადამიანები ჭარბობენ სტუმრების სტატუსით.

გ) რომელიმე ჯგუფის უპირატესობა (ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა, ეზო, აგარაკი)

მეთოდია „ინტერვიუ ბავშვთან“

ამ მეთოდის საშუალებით შეიძლება გამოვიკვლიოთ ოჯახური მდგომარეობა და ბავშვის როლი, სტატუსი ოჯახში.

ბავშვს უსვამთ შემდეგ კითხვებს:

კითხვა:

– ვისთან ერთად ცხოვრობ სახლში?

ბავშვი როგორც წესი პირველად ასახელებს იმ ადამიანს, რომელთანაც აქვს მეტი მიჯაჭვულობა, ხოლო ბოლოს ასახელებს ნაკლებად მნიშვნელოვან ადამიანებს.

კითხვა:

– შენ რომ სახლობანას თამაშობ, შენ ვინ ხარ ხოლმე, დედა, მამა თუ შენ თვითონ?

უფროს სკოლამდელ ასაკში ბავშვები ირჩევენ მშობლის როლს (იმავე სქესის), ვისთანაც სურთ იდენტიფიცირება, თუ ირჩევს საპირისპირო სქესის მშობელს, ეს ხაზს უსვამს დისპოზიას თავისი სქესის მშობელთან.

კითხვა:

– თუ სახლში ხარ მარტო, ვის მოსვლას ელოდები პირველ რიგში? (დედის, მამის...)

თუ ბავშვის პასუხში დედა არ დგას პირველ რიგში, ეს მიუთითებს ბავშვის ემოციურ პრობლემას დედასთან ურთიერთობაში.

კითხვა:

– თუ ვინმემ განწყენინა ან გაგაბრაზა, ყოველთვის უყვები დედას, თუ ხანდახან? (ეს კითხვა მეორდება მამასთან მიმართებაშიც..)

უარყოფითი პასუხი მიუთითებს არა კონფლიქტზე, არამედ ნდობის დაბალ ხარისხზე

კითხვა:

– შენ გეშინია, რომ დაგსჯის დედა? (მამა)

კითხვა:

– როცა გაიზრდები და გახდები დედა (მამა), გეყოლება გოგონა (ბიჭი) შენც ასევე მოექცევი და გაზრდი, როგორც შენ გექცევიან და გზრდიან, თუ სხვანაირად?



ბავშვები ხშირად არ არიან გულახდილები (სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო).

კითხვა:

– შენ რომ გაიზრდები, როგორც დედა (მამა) მუშაობს, ისე იმუშავებ?

ბავშვის მხრიდან იმ პროფესიის არჩევა, რომელიც მშობლებს აქვთ, მიუთითებს მათ მაღალ ავტორიტეტზე.

მეთოდია „ყვალაზე მებალ ვინ მიყვარს“

ბავშვს ვთავაზობთ დახატოს ნახატი თემაზე „ყველაზე მეტად ვინ მიყვარს“. ბავშვის მიერ ნახატის კომენტირება ფიქსირდება. ყურადღება ექცევა ნახატის შინაარსს, რომელიც შეიძლება დაიყოს 5 ჯგუფად: 1) პორტრეტი, 2) ერთობლივი აქტივობა და ურთიერთობა რომელიმე ოჯახის წევრთან 3) საყოფაცხოვრებო სიტუაცია, რომლებშიც ჩართული არიან მშობლები: 4) დასვენება და 5) გართობა.

ეს მეთოდიკა გავძლევს სურათს არა მარტო რომელიმე მშობლის ან მშობლების უპირატესობის შესახებ, არამედ ურთიერთობის ხარისხის შესახებაც. ფსიქოლოგის ამოცანაა – კვალიფიციურად მოხდეს ნახატის შეფასება.

ემოციური ბავშვები

სკოლამდელი და დაწყებითი სკოლის ბავშვები ემოციურობით გამოირჩევიან, მათი ნერვული სისტემა ჯერ კიდევ მოუმწიფებელია, გამოცდილება აქვთ ნაკლები, ამიტომ არ იციან როგორ გაუმკლავდნენ მძაფრ ემოციურ რეაქციებს. ემოციური ბავშვები არიან ძალიან შთამბეჭდავები, იმპულსურები. კარგად აქვთ განვითარებული წარმოსახვა, მიდრეკილები არიან ფანტაზიისაკენ, რის გამოც შეიძლება გაძლიერებული ჰქონდეთ შიშები. არიან ბუტიები, წარუმატებლობის შემთხვევაში ხშირად ტირიან.

ამერიკელმა ბავშვის ფსიქოლოგმა ე. კრეირმა შეიმუშავა ბავშვის მიერ ემოციის მართვის ეფექტური ხერხები;

როცა ბავშვს აქვს მკვეთრად გამოხატული მრისხანება, იგი მიმართავს აგრესიას, რადგან არ შეუძლია მოძებნოს სხვა გზა ემოციის გამოსახატად. ე. კრეირის მიხედვით ბავშვთან შეიძლება გამოვიყენოთ:

1. სიტყვიერი მეთოდი: გამოიყენება მაშინ, როცა ბავშვი არის მშვიდ მდგომარეობაში, მეთოდი გულისხმობს ანალოგიური ისტორიის მოფიქრებას და მსჯელობას ბავშვთან ერთად. გაანალიზების შედეგად ბავშვი აცნობიერებს სხვა ბავშვების ქცევას და შეძლებს გააცნობიეროს, პარალელი გაავლოს მის ქცევასთან, უნდა მოხდეს შეთანხმება, რომ სხვა დროს ეცდება შეცვალოს იგი;

2. ფიზიკური მეთოდი: ბავშვს უნდა გადავატანინოთ აგრესია სხვა ობიექტებზე (ჩაჰყვიროს ჭიქაში, იხტუნაოს, ისროლოს მიზანში და ა.შ.) ამ მეთოდების შეთავაზება ხდება წინასწარ, რათა ბავშვმა აირჩიოს აგრესიის გამოსატვის ფორმა და მრისხანების შემთხვევაში გამოიყენოს;



3. შემოქმედებითი მეთოდი: ბავშვს ვთავაზობთ მოიფიქროს ზღაპარი იმ ბავშვის შესახებ, რომელიც ხვდება სხვადასხვა სიტუაციებში და არ შეუძლია ადექვატურად რეაგირება. ზღაპრის შეთხზვა დაეხმარება ბავშვს მოიფიქროს სხვადასხვა გზა, რომ მისი გმირი გაუმკლავდეს ემოციებს და გამოვიდეს გამარჯვებული.

ოჯახში ბავშვის გარიყულობის ხარისხის სკალა

სკალა მოიცავს ხასიათის სხვადასხვა თვისებურებებს, რომელიც განლაგებულია გრაფა I და გრაფა II. გრაფა I-ში უნდა აღინიშნოს ის თვისებები, რომელიც მშობელს სურდა, რომ მის შვილს ჰქონოდა, ხოლო გრაფა II-ში უნდა აღინიშნოს ის თვისებები, რომელიც მოცემულ მომენტში აქვს ბავშვს. თითოეულ გრაფაში დადებითი პასუხი აღინიშნება „+“-ით. შემდეგ I და II გრაფაში დანერილი „+“-დან რომელი „+“ ემთხვევა. რაც უფრო მეტი „+“ ემთხვევა ერთმანეთს, მით უფრო ნაკლებია გარიყულობის ხარისხი.

ოჯახში ბავშვის ბაჩიყალობის ხარისხის სკალა

როგორ ბავშვზე ოცნებობდით	როგორია ბავშვი
1. ჭკვიანი	1. ჭკვიანი
1. საზრიანი	2. საზრიანი
3. სწრაფად ითვისებს ყველაფერს	3. სწრაფად ითვისებს ყველაფერს
4. ნიჭიერი	4. ნიჭიერი
5. ტალანტი	5. ტალანტი
6. სულელი	6. სულელი
7. უტვინო	7. უტვინო
1. მიზანსწრაფული	8. მიზანსწრაფული
2. სერიოზული	9. სერიოზული
10. ყინიანი	10. ყინიანი
11. შრომისმოყვარე	11. შრომისმოყვარე
12. ქმედითი, შემოქმედებითი	12. ქმედითი, შემოქმედებითი
13. აქტიური	13. აქტიური
14. ზარმაცი	14. ზარმაცი
15. კონცენტრირებული	15. კონცენტრირებული
16. კეთილსინდისიერი	16. კეთილსინდისიერი
17. მონდომებული	17. მონდომებული
18. მორიდებული	18. მორიდებული



19. დამჯერი	19. დამჯერი
20. დაბნეული	20. დაბნეული
21. არაკეთილსინდისიერი	21. არაკეთილსინდისიერი
22. არამონდომებული (არამოტივირებული)	22. არამონდომებული (არამოტივირებული)
23. ჭირვეული	23. ჭირვეული
24. გაუგონარი	24. გაუგონარი
25. კეთილი	25. კეთილი
26. სამართლიანი	26. სამართლიანი
27. რბილი	27. რბილი
28. მგრძნობიარე	28. მგრძნობიარე
29. ავი, ბოროტი	29. ავი, ბოროტი
30. არასამართლიანი	30. არასამართლიანი
31. სასტიკი	31. სასტიკი
32. უგრძნობი	32. უგრძნობი
33. ალერსიანი	33. ალერსიანი
34. ნაზი	34. ნაზი
35. მომხიბლავი	35. მომხიბლავი
36. გულღია	36. გულღია
37. კომუნიკაციური	37. კომუნიკაციური
38. უხეში	38. უხეში
39. ჩაკეტილი	39. ჩაკეტილი
40. ბუტია	40. ბუტია
41. უეშმაკო	41. უეშმაკო
42. ეჭვიანი	42. ეჭვიანი
43. მონყენილი	43. მონყენილი
44. მშფოთვარე	44. მშფოთვარე
45. ეშმაკი	45. ეშმაკი
46. მხიარული	46. მხიარული
47. სიცოცხლით სავსე	47. სიცოცხლით სავსე
48. ფანტაზიორი	48. ფანტაზიორი
49. ტრაბახა	49. ტრაბახა
50. ლაქლაქა	50. ლაქლაქა



51. მორცხვი	51. მორცხვი
52. ჩუმი	52. ჩუმი
53. ძლიერი	53. ძლიერი
54. ამტანი	54. ამტანი
55. მომთმენი	55. მომთმენი
56. მატყუარა	56. მატყუარა
57. სუსტი	57. სუსტი
58. აგრესიული	58. აგრესიული
59. ფეთქებადი	59. ფეთქებადი
60. მავნე	60. მავნე
61. ჯიუტი	61. ჯიუტი
62. კაპრიზული	62. კაპრიზული
63. ეგოისტი	63. ეგოისტი
64. მშვიდი	64. მშვიდი
65. არამავნე	65. არამავნე
66. ძუნწი	66. ძუნწი
67. მშიშარა	67. მშიშარა
68. მოუხერხებელი	68. მოუხერხებელი
69. არაკურატული	69. არაკურატული
70. ნელი	70. ნელი
71. გულუხვი	71. გულუხვი
72. გულადი	72. გულადი
73. მამაცი	73. მამაცი
74. მოხერხებული	74. მოხერხებული
75. მონესრიგებული	75. მონესრიგებული
76. მოძრავი	76. მოძრავი
77. ლამაზი	77. ლამაზი
78. ჯანმრთელი	78. ჯანმრთელი
79. ჩვეულებრივი როგორც ყველა	79. ჩვეულებრივი როგორც ყველა
80. ულამაზო	80. ულამაზო
81. ავადმყოფი	81. ავადმყოფი
82. არაჩვეულებრივი	82. არაჩვეულებრივი



ბავშვი იმპულსურია თუ რეფლექსიური

გარკვეული დავალებების შესრულების დროს ბავშვი იყენებს იმპულსური ან რეფლექსიური რეაგირების სტილს.

იმპულსური ბავშვი დაუფიქრებლად პასუხობს ყველა გარე გამაღიზიანებელზე, დაუფიქრებლად იღებს გადაწყვეტილებას, ასევე ხარჯავს ნაკლებ დროს დავალების შესასრულებლად, თუმცა უშვებს ბევრ შეცდომას. იმპულსურობა არის მახასიათებელი სკოლამდელი და დაწყებითი ასაკის ბავშვებისათვის.

რაც შეეხება რეფლექსიურ ტიპს, პირიქით, ბავშვი სანამ დაინყებს მოქმედებას, ფიქრობს, მსჯელობს, ფრთხილობს და ისე მოქმედებს. ამის გამო უშვებს ნაკლებ შეცდომას. რეფლექსიური ბავშვი არ ჩქარობს პასუხის გაცემას, ვიდრე კარგად არ აწონ-დანონის სიტუაციას.

თანამედროვე ცხოვრების პირობები ბავშვისაგან მოითხოვს სწრაფ და სწორ გადაწყვეტილებას, ამიტომ იმპულსური ტიპის ბავშვს უნდა ვასწავლოთ ქცევის, გადაწყვეტილების აწონ-დანონა და შემდეგ მისი მიღება. რაც შეეხება რეფლექსიურ ბავშვებს, მათ უნდა შეძლონ უფრო სხარტად გაანალიზონ, დაფიქრდნენ, რათა ნაკლები დრო მოანდომონ სწორი გადაწყვეტილების გამოტანას.

ინტერნალია თუ ექსტერნალი?

ადამიანები კიდევ განსხვავდებიან იმით, თუ ვის აკისრებენ პასუხის-მგებლობას, როდესაც მათ ცხოვრებაში რაიმე მოვლენა ხდება.

ადამიანი ინტერნალი – მის ცხოვრებაში ყველაფერზე თვითონ იღებს პასუხისმგებლობას და თვლის, რომ თვითონ ქმნის თავის ბედ-იღბალს.

ადამიანი ექსტერნალი კი – პირიქით, მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს გარე მოვლენებს, ბედ-იღბალს, სხვა ადამიანებს.

ბავშვი – ექსტერნალი იღებს რა ცუდ ქულას, ნიშანს, ამბობს, რომ „არ გამიმართლა, ცუდი საკითხები შემხვდა“, „შავმა კატამ გადაამირბინა“ და ა.შ.

ხოლო ბავშვი – ინტერნალი ასეთ შემთხვევაში ამბობს, რომ მან უპასუხა ცუდად, იზარმაცა და ლელავდა.


იმისათვის, რომ ექსტერნალი ბავშვი მიეჩვიოს პასუხისმგებლობას, საჭიროა მასთან ურთიერთობისას ყოველთვის ყურადღება გავამახვილოთ მიზეზშედეგობრივი კავშირების არსებობაზე. ამ მიზნით შეიძლება შევთავაზოთ დაუმთავრებელი წინადადებები:

1. ბიჭი იცინოდა იმიტომ...
2. თუ ბავშვმა არ შეასრულა მასწავლებლის თხოვნა...
3. თუ ზამთარში იქნება ყინვა...
4. ბავშვმა ვერ დაიმსახურა შექება იმიტომ...
5. თუ ბავშვი არ უვლის თავის სათამაშოებს, მაშინ...



სტრესის შესახებ

სტრესი ზიანს აყენებს განვითარების პროცესში მყოფ ორგანიზმს და ტვინს; ჩვენი ორგანიზმი სტრესს მართავს სისტემით, რომელსაც ეწოდება ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ-თირკმელზედა ჯირკვლის სისტემა, სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც ქიმიური სიგნალი ტვინსა და სხეულში მძაფრ სიტუაციებზე საპასუხოდ გადაიცემა, როცა პოტენციური საფრთხე ჩნდება. ჰიპოთალამუსი გამოყოფს ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც ალაგზნებს რეცეპტორებს ჰიპოფიზში, ჰიპოფიზი გამოყოფს სასიგნალო ჰორმონებს, რომელიც თირკმელზედა ჯირკვლის სტიმულირებას ეწვევს, რის შედეგადაც თირკმელზედა ჯირკვალი გზავნის სტრესის ჰორმონებს – გლუკოკორტიკოიდებს, რომლებიც აქტიურებენ მრავალი სახის სპციფიკურ საპასუხო დამცავ რეაქციას. ზოგ ასეთ რეაქციას მათი მიმდინარეობისას ვგრძნობთ კიდეც (შიში, შფოთვა, გახშირებული სუნთქვა, გულისცემა და ა.შ.)



ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ-თირკმელზედა ჯირკვლის სისტემის ზედმეტად გადატვირთვა, განსაკუთრებით ჩვილებსა და ბავშვებში ათასგვარ სერიოზულ და ხანგრძლივი ზემოქმედების მქონე შედეგებს წარმოშობს – ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და ნევროლოგიურს. 1990 წლებში როკფელერის უნივერსიტეტის ნეიროენდოკრინოლოგმა ბ. მბიუენმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ეს პროცესი. მან სტრესის მართვის პროცესს უწოდა ალოსტასი, რაც ორგანიზმის ცვეთას და ნგრევას იწვევს. სტრესის ფიზიოლოგებმა დაადასტურეს, რომ ტვინის უბანი, რომელშიც ადრეული სტრესი ყველაზე ძლიერად აისახება, არის თავის ტვინის პრეფრონტალური ქერქი, რომელიც გადამწყვეტია ყველა სახის თვითრეგულაციის განხორციელებაში, როგორც ემოციური, ისე შემეცნებითი თვალსაზრისით. ამის შედეგად ბავშვებს, რომლებიც სტრესულ გარემოში იზრდებიან, როგორც წესი უჭირთ ყურადღების კონცენტრირება, მშვიდად ჯდომა, უფრო მწვავედ რეაგირებენ იმედგაცრუებაზე და უფრო უჭირთ მითითებების შესრულება, ეს კი უშუალოდ ზემოქმედებს მათ წარმატებაზე სკოლაში.

თავის ტვინის პრეფრონტალურ ქერქზე ჭარბი სტრესის ზემოქმედება შეიძლება გამოვლინდეს ემოციების მართვის პრობლემაში ან აზრების მართვის უნარის დათრგუნვაში, რომელიც უკავშირდება თავის ტვინის პრეფრონტალურ ქერქში ლოკალიზებული აღმასრულებელი ფუნქციების სახელს. აღმასრულებელი კოგნიტური ფუნქციები მაღალი რიგის გონებრივი მონაცემების უნარებია, ამ ფუნქციის უნარს ამონებს სტრუპის ტესტი, მაგ: ჩვენ ვხედავთ სიტყვას „წითელი“, რომელიც წერია მწვანე ასოებით „წითელი“ და გვეკითხებიან, თუ რა ფერისაა ეს სიტყვა, გარკვეული ძალისხმევას საჭირო, რომ უნებურად არ წამოგცდეს „წითელი“. ის უნარები, რომლითაც ჩვენ ამ იმპულსის უკუსაგდებად მოვუბნობთ, სწორედ აღმასრულებელი ფუნქციები გახლავთ. ეს უნარი განსაკუთრებით ფასობს სკოლაში.



მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მოზარდის ტვინს აქვს სრულიად სპეციფიკური მიდრეკილება ფსიქოლოგიური ნონასწორობის დაკარგვისა და ადვილად შეუძლია უარყოფითი და იმპულსური გადაწყვეტილებების მიღება. „ტემპელის“ უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა ლ. სტაინბერგმა ორი დამოუკიდებელი ნევროლოგიური სისტემა გააანალიზა. პირველ სისტემას უწოდებენ „ნამქვებელ პროცედურულ სისტემას“, შეგრძნებების მიმართ უფრო მგრძობიარეა, ემოციურად უფრო მეტად რეაგირებს იმპულსებზე, უფრო ფხიზელია სოციალური გარემოს შესახებ არსებული ინფორმაციის მიმართ. II სისტემა – კოგნიტური მართვის სისტემას, რომელიც ზემოხსენებული მისწრაფებების მართვის საშუალებას გვაძლევს.

ლ. სტაინბერგი ამბობს: მოზარდობის ასაკი სახიფათოა, იმიტომ, რომ „ნამქვებელი“ პროცედურული სისტემა სრულ განვითარებას ადრეულ სიყმანველში აღწევს, მაშინ როცა კოგნიტური სისტემა ბოლომდე მომწიფებული არაა, ვიდრე 20 წლის ასაკამდე.

ხასიათი

სიტყვა „ხასიათი“ ბერძნულიდან ითარგმნება როგორც „ჭედური, ანაბეჭდი“. იგი წარმოადგენს რამდენიმე ფაქტორის: გენების, გარეგნობის, აღზრდის, სოციალური მდგომარეობის, სამყაროს მიმართ დამოკიდებულების და ფსიქიკის ინდივიდუალური თავისებურებების სინთეზს, ის ფორმირდება ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე, დაწყებული ადრეული ასაკიდან.

მეცნიერები ტომი და ბერი ჩესები გამოყოფენ ხასიათის 8 თავისებურებას, რომლებიც ნაკლებად იცვლება ადამიანის ცხოვრების მანძილზე:

1. დაუინებულობა;
2. საპასუხო რეაქციების ინტენსივობა;
3. მუდმივობა;
4. ადაპტაციის უნარი;
5. ფიზიკური მგრძობელობა;
6. ყურადღება;
7. პოზიტიური ან ნეგატიური განწყობა;
8. ახლის მიუღებლობა.

ა. ე. ლიჩკომ გამოყო ბავშვთა და მოზარდთა ხასიათის რამდენიმე ტიპი:

1. ჰიპერტიული ტიპი – ასეთ ბავშვებს მუდმივად ამაღლებული განწყობა აქვთ, აქტივობის სურვილი, მაგრამ ხშირად ბოლომდე არ მიჰყავთ დაწყებული საქმე. არიან ურთიერთობის მოყვარულნი, მოძრავი, დამოუკიდებლები, ანცები, დაუოკებელნი და ხშირად ვერ იჭერენ უფროსთან ურთიერთობის დისტანციას. არიან ხმაურიანები, უყვართ თანატოლებთან ურთიერთობა და ცდილობენ მართონ ისინი. არ უჭირთ ადაპტაცია იმის გამო, რომ ადვილად შეუძლიათ გადართვა, ცოცხალი გონება აქვთ, არადისციპლინირებულები არიან.

2. სენზიტიური ტიპი – მშისარა ბავშვი, ეშინია სიბნელის, ცხოველების, მარტოობის, არ უყვარს მოძრავი და ხმაურიანი თამაშები, ხმაურიანი ბავშვები. არის მორცხვი, გაუბედავი, უჭირს უცნობებთან ურთიერთობა, თანატოლებზე მეტად უყვარს მასზე პატარებთან ურთიერთობა. სწავლობს გულმოდგინედ, გამოირჩევა იმით, რომ დამჯერი ბავშვია, ადაპტა-



ციის სირთულეს წარმოადგენს სკოლაში არსებული ხმაური და ბევრი თანატოლი, უყვარს სწავლა, მაგრამ ეშინია საკონტროლო წერების და დაფასთან პასუხის.

3. ფსიქოსტენიკური ტიპი – ჰგავს სენზიტიურ ტიპს: გაუბედავი, მორცხვი, მშიშარა, მიდრეკილი განსჯისაკენ, მოუხერხებელია მოძრაობაში. მშობლებს ხშირად ასეთი ბავშვის მიმართ აქვთ მომატებული მოთხოვნები, გამომდინარე აქედან ბავშვს უვითარდება პასუხისმგებლობის ძლიერი გრძნობა. საბოლოოდ ასეთ ბავშვს მუდმივად აქვს შიში, რომ ვერ გაამართლებს მშობლის მოლოდინებს.

4. შიზოიდური ტიპი – გარიყული, ჩაკეტილი ბავშვი, ძალიან უჭირს კონტაქტის დამყარება, გამოირჩევა ემოციური სიცივიტით. ურთიერთსაინააღმდეგო პიროვნული თვისებების მატარებელი ა – ცივი, მაგრამ დახვეწილი ქცევით, ჯიუტი – დამყოლი. ძალიან ფრთხილი, მაგრამ ადვილად სჯერა. აპათიური, მაგრამ „მიმწოლი“, არაკომუნიკაბელური, მაგრამ მომაბეზრებელი. გაუბედავი, მაგრამ უტაქტო. უყვარს მარტო თამაში, არ იზიდავს თანატოლები, არ უყვარს ხმაურიანი გართობა და ურჩევნია დიდებთან ყოფნა. ადაპტაციის სირთულე მის არაკომუნიკაბელურობაშია.

5. ეპილეპტიკოიდური ტიპი – გამოირჩევა უმართავი ქცევით, იმპულსურობით, მოუთმენლობით, კონფლიქტურობით, „ჩაკეტილი“ აზროვნებით, დანვრილმანებული მეტყველებით, პედანტურობით, კაპრიზულია და შეიძლება მდგომარეობიდან გამოიყვანოს გარშემომყოფები. შეიძლება აბრაზებდეს და ცემდეს მასზე უმცროსებს.

6. ისტერიოდული ტიპი – ეგოცენტრული, აქვს დაუსრულებელი სურვილი იყოს ყურადღების ქვეშ, აქებდნენ, იყვნენ აღფრთოვანებული მისით, იყოს პატივცემული, მუდმივად უთანაგრძნონ. ყველაზე საშინელი მისთვის ისაა, რომ არ დარჩეს შეუმჩნეველი.

7. არამდგრადი ტიპი – მოუსვენარია, ყველგან ცდილობს ავიდეს, აცოცდეს. ამასთან ერთად არის მშიშარა, ეშინია დასჯის. ადვილად ექვემდებარება სხვა ბავშვებს და ქცევის ელემენტარულ წესებს ითვისებს რთულად. ადაპტაციის სირთულე იმაშია, რომ არ აქვს სწავლის სურვილი, მხოლოდ მკაცრი კონტროლის პირობებში იძულებით ემორჩილება წესს და აკეთებს დავალებას.

ადაპტაციის პროცესისათვის მნიშვნელოვანია რამდენად აქტიური ან პირიქით – პასიურია ბავშვი;

პასიური ბავშვი – მოდუნებული, ინერტული, მშვიდი, ყველაფერს აკეთებს ნელა, მეტყველება აუჩქარებელი და საუბრობს თითქოს სურვილის გარეშე (სიტყვაძენი).

აქტიური ბავშვი – მიზანმიმართული, მუდმივ მოქმედებაში, ფეთქებადი ხასიათის. ყველგან უნდა „ცხვირის ჩაყოფა“, კაპრიზობს და ბრაზდება თუ მის აქტივობას ბოჭავენ. ყველაფერს აკეთებს სწრაფად და მოხერხებულად. მეტყველება სწრაფი და მრავალსიტყვიანი.

ხასიათის სიგბახი და თვისებები

ავტორები: სელიგმანი, პიტერსონი

ხასიათი ამ ავტორების მიხედვით განისაზღვრება, როგორც ადამიანის უნარებისა და ძლიერი მხარეების ნაკრები. თვითკონტროლი და ნებისყოფა ხასიათის მნიშვნელოვანი თვისებებია, რომლის კვლევა 1960 წლების ბოლოს ჩაატარა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა უ. მიშელმა 4 წლის ბავშვის ნებისყოფის შესამოწმებლად, ე.წ. „ზეფირის ტესტი“.



სტენფორდის უნივერსიტეტის საბ. ბალში მკვლევარს შეჰყავდა ბავშვი ოთახში, დასვამდა საწერ მაგიდასთან და შესთავაზებდა რომელიმე საკონდიტრო ნაწარმს, მაგ: ზეფირს. მაგიდაზე იდო ზარი. მკვლევარი ეუბნებოდა ბავშვს, რომ ის გავიდოდა ოთახიდან და როცა დაბრუნდებოდა, ბავშვს მხოლოდ მაშინ შეეძლო ზეფირის ქამა, ამის შემდეგ ბავშვს სთავაზობდა არჩევანს: 1) თუ მას მაინც მოუნდებოდა მის დაბრუნებამდე ზეფირის ქამა, უნდა დაერეკა ზარი, მკვლევარი შემოვიდოდა და მას უფლებას მისცემდა ეჭამა ზეფირი. 2) თუ ბავშვი დაელოდებოდა მის შემოსვლას, მაშინ მიიღებდა ორ ზეფირს.

მიღებული შედეგების ანალიზის შემდეგ, დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ ჩაეტარებინათ ხანგრძლივი კვლევა და დაკვირვება იგივე ბავშვებზე, შეიძლებოდა თუ არა მიღებული შედეგებით აკადემიური თუ სხვა მაჩვენებლების პროგნოზირება მომავალში. არსებული მიმართება მართლაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა. იმ ბავშვების კოლეჯში ჩაბარებული ტესტის შედეგები, ვინც შეძლო 15 წთ მოეთმინა ზეფირის შეჭმა, საშუალოდ 210 ქულით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მათი, ვინც ვერ მოითმინა და ზარი 30 წამის მერე დარეკა. ასევე აღმოჩნდა, რომ ბავშვებს უფრო უადვილდებოდათ ლოდინი, რაც უფრო განყენებული იყო მათი ფიქრი ზეფირის შესახებ, მაგ: როცა დაუმალეს და ვერ ხედავდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის წარმატებას განსაზღვრავს მოტივაცია, თვითკონტროლი და ნებელობა, ამას გარდა, მეცნიერები შეთანხმდნენ ადამიანის ხასიათის იმ მაჩვენებლებზე, რომელიც განსაზღვრავს შემდგომში ადამიანის კმაყოფილებას და წარმატებას:

1. ხასიათის ურყევობა, გამძლეობა
2. თვითკონტროლი
3. ყინი
4. სოციალური ინტელექტი
5. მაღლიერება
6. ოპტიმიზმი
7. ცნობისმოყვარეობა

ტაშვაჩაძის ფსიქოლოგიური მახასიათებლები

ნერვული სისტემის ტიპი	ტიმპერამენტი	ფსიქოლოგიური მახასიათებლები	აქცენტები აღზრდაში
ძლიერი, განონას-წორებული, მოძრავი	სანგვინიკი	ენერგიული გადართვა ერთი აქტივობიდან მეორეზე, მოძრავი, ცოცხალი და გამობატული მიმიკა, გრძნობები და დამოკიდებულება რაიმეს მიმართ არ არის დაფარული, ადვილად ბრაზდება, მაღალი შრომისუნარიანობით გამოირჩევა, ემოციური, გუნება-განწყობილება, ინტერესები, მისწრაფებები ცვალებადია, ექსტრავერტია, ადვილად ადაპტირდება	<ol style="list-style-type: none"> 1. მყარი ინტერესების ფორმირება. 2. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. 3. კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი ქცევის, შრომის შედეგების მიმართ. 4. ყურადღების მიპყრობა შესრულებული დავალების მიმართ. 5. ისეთი თამაშის, ვარჯიშების ან აქტივობების შეთავაზება, რომელიც მოითხოვს მისგან ყურადღების კონცენტრაციას, სიზუსტეს და თავშეკავებულობას



ნერვული სისტემის ტიპი	ტემპერამენტი	ფსიქოლოგიური მახასიათებლები	აქცენტები აღზრდაში
ძლიერი გაუნონას-ნორებული ინერტული	ქოლერიკი	გალიზიანებადი, მოუთმენელი გრძნობებსა და ემოციებში არამდგრადი. – ინტერესები და მისწრაფებები შედარებით მდგრადი – დაჟინებული – უჭირს ყურადღების გადართვა – ემოციური, გონებრივი აქტივობის საკმარისი ტემპი.	1. განუვითაროთ თანაგრძნობის, ემპათიის უნარი 2. მივმართო ბავშვის ენერჯია სასარგებლო საქმეებზე 3. თავშეკავების პროცესის გამყარება მშვიდი საქმიანობით 4. ისეთი თამაშების, ვარჯიშების და აქტივობების შეთავაზება, რომელიც მოითხოვს ბავშვისგან ყურადღების კონცენტრაციას, სიზუსტეს, თავშეკავებულობას
ძლიერი განონას-ნორებული ინერტული	ფლეგმატიკი	ნაკლებადემოციური, უსიამოვნო სიტუაციებში ინარჩუნებს სიმშვიდეს, მიმიკა და მოძრაობა ნაკლებად გამოხატული ენერჯიული, ამტანი, უყარდლების კონცენტრაცია შენელებულია. მიდრეკილია სტერეოტიპული ჩვევებისადმი და უჭირს ახალთან შეგუება, ნაკლებად კომუნიკაბელურია აქტივობის ტემპი ნელია	აქტივობის, მოძრაობის თანდათანობით განვითარება თამაშში, მეცადინეობაზე გათვალისწინებული იქნას აქტივობის ზოგადი დაბალი ტემპი.
ნერვული სისტემის ტიპი	ტემპერამენტი	ფსიქოლოგიური მახასიათებლები	აქცენტები აღზრდაში
შუსტი	მელანქოლიკი	– მაღალი მგრძნობე-ლობა – ნებისმიერი რამ შეიძლება გახდეს ტირილის მიზეზი – ძალიან ბუტია, ადვილად სწყინს და ვერ იტანს უსამართლობას მიმიკა და ყესტები, მოძრაობა ნაკლებად გამოხატული – ხმადაბალი, მორცხვი, მშფოთვარე, დაბალი თვითშეფასება, ნაკლებადენერჯიული, დაჟინებული, დაბალი შრომისუნარიანობა. ყურადღება ადვილად გადართვადი, ახალ პირობებს დიდხანს ეგუება. ნაკლებად კონტაქტური	მელანქოლიური ბავშვები ხშირად საჭიროებენ დადებით შეფასებას, სტიმულირებას და წარმატების მისაღწევად საჭირო სიტუაციების შექმნას. საჭიროა მელანქოლიური ტემპერამენტის ბავშვთა ერთობლივი საქმიანობა ლიდერ და წარმატებულ ბავშვებთან.

თითოეული ტემპერამენტის ბავშვს აქვს ისეთი მახასიათებლები, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში შეიძლება თამაშობდეს უარყოფით როლს და არის როგორც ნაკლოვანი მხარე, ფსიქოლოგის ამოცანაა, რომ დაეხმაროს მშობელს და პედაგოგს შეიმუშაოს ისეთი აღზრდის მეთოდები, რომლებიც განუვითარებს ბავშვს პოზიტიურ და ძლიერ მხარეებს.



აღვსავალი დაგვიწმინდა ბავშვის ბავშვობის ბავშვობა

ახალდაბადებულ ბავშვს აღენიშნება 5 ძირითადი თავისებურება:

- 1) სხვადასხვა გამალიზიანებელზე სხვადასხვა რეაქციები;
- 2) ზოგადი აქტივობა
- 3) აგზნებადობა
- 4) ძილის დროს მოუსვენრობა;
- 5) ადაპტაციურობა

ყველა ეს თავისებურება დაკავშირებულია ნერვული სისტემის სტრუქტურის თავისებურებებთან და ბავშვს მთელი ცხოვრების მანძილზე უნარჩუნდება.

ამერიკელი ფსიქოლოგი რ. კემპბელი გამოიყვანა ბავშვების შემდეგ ტიპებს:

- მაღალი ხარისხის რეაქტიულობით
- სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში მიდრეკილია „ჩაკეტვისკენ“
- რთულად ეგუება ახალ სიტუაციას
- მუდმივად ცუდი განწყობილებით

თითოეული ტიპის ტემპერამენტის ადამიანს აქვს სუსტი და ძლიერი მხარეები, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მშობელმა, თუმცა „ნმინდა“ სახით არცერთი ტემპერამენტი პრაქტიკულად არ არსებობს. ბავშვი არის ტიპოლოგიური სინთეზის მატარებელი.

ფსიქოლოგის გუგურობა ჰიპერაქტიურ ბავშვებთან

ჰიპერაქტიურობის მიზეზები:

1. პრენატალური პათოლოგია (ტოქსიკოზი, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება), ინფექციური დაავადებები, იმუნოლოგიური შეუსაბამობა რეზუს-ფაქტორში და ა.შ.

2. ნეიროანატომიური, ნეიროტრანსმიტერული და ალერგიის ჰიპოთეზა.

3. ფსიქოსოციალური (ალზრდის სტილი)

ბავშვები ჰიპერაქტიურობის სინდრომით დაბადებიდან გარკვეული დროის შემდეგ ავლენენ შემდეგ სიმპტომებს:

ცუდად სძინავთ, ძალიან მგრძნობიარენი არიან გარე გამალიზიანებლების მიმართ (სინათლე, ხმაური, ტემპერატურა, საგნები) აქვთ კუნთების მაღალი ტონუსი, ჰიპერაქტიურ ბავშვებს უჭირთ ზღაპრის მოსმენა, საქმის ბოლომდე მიყვანა, მათი ინტერესები ზედაპირულია და ხანმოკლე, მოქმედებები მეტად სპონტანური, არათანმიმდევრული და ხმაურიანი, არასოდეს ფიქრობენ მოსალოდნელ შედეგებზე, არ აქცევენ ყურადღებას ახლობელთა ემოციურ მდგომარეობას, ახასიათებთ ეგოიზმი, დემონსტრაციულობა და მომთხონელობა, რაც ხშირად იწვევს კონფლიქტს და აგრესიას.

ჰიპერდინამიური სინდრომის დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება ყურადღების ტესტები, ასევე ნეიროფსიქოლოგიური ექსპრეს დიაგნოსტიკა „ლურია-90“ ე. გ. სმირნიცკაიას მიხედვით და სხვა.

ჰიპერაქტიურ ბავშვებთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგის, ფსიქოლოგის ემოციური ფონი იყოს ზომიერი და პოზიტიური, ეიფორიის გარეშე, ასევე დაუშვებელია მეტისმეტი თავისუფლების მიცემა, რადგან სწრაფად იწყებენ სიტუაციის გამოყენებას თავის სასარგებლოდ.



.მნიშვნელოვანია მშობლების ურთიერთობა ჰიპერაქტიურ ბავშვებთან, საჭიროა მიმართვა პოზიტიური ფრაზით, მაგ: „იქნებ მერე ირბინო“ ან „ეზოში ჯობია“ დაუშვებელია ფრაზა – „შენყვიტე სირბილი“ უფრო ეფექტურია თუ მშობელი ერთვება ბავშვის თამაშში და მიმართავს მის ენერჯიას საჭირო კალაპოტში.

ჰიპერაქტიური ბავშვის გადართვას სხვა აქტივობაში სჭირდება დრო, ამიტომ წინასწარ საჭიროა ინფორმირება, რათა გაიაზროს და მოემზადოს ახალი აქტივობისთვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაიმე სიგნალი (ზარი, მუსიკა..)

აქტივობის დროს უმჯობესია უფროსი იყოს მის გვერდით, რათა დაამშვიდოს, თავზე ხელი გადაუსვას და მშვიდი ხმით მისცეს ინსტრუქცია, მთავარია – სიმშვიდის შენარჩუნება.

რეკომენდაციები ჰიპერაქტიური ბავშვების მშობლებისათვის:

1. გადაუტანეთ ყურადღება რომელიმე სხვა აქტივობაზე ან მიეცით მოულოდნელი კითხვა;
 2. ნუ დაუშლით რამეს კატეგორიული ფორმით, ნუ უბრძანებთ, სთხოვეთ, თუმცა ზედმეტი თხოვნაც დაუშვებელია. იშვიათად გამოიყენეთ სიტყვები „არა“, „არ შეიძლება“;
 3. ეცადეთ ბავშვს ელაპარაკოთ მშვიდად და ნელა;
 4. მოუსმინეთ ბავშვს რისი თქმა უნდა;
 5. ავტომატურად, ერთი და იმავე სიტყვებით გამოთქვით ერთი და იგივე თხოვნა;
 6. მკვეთრად უნდა იყოს რეგლამენტირებული წესები, რომელიც უნდა შეასრულოს ბავშვმა;
 7. მიიყვანეთ სარკესთან და მიაქციეთ მისი ყურადღება ემოციაზე, ქცევაზე, მხოლოდ არა მრისხანების დროს;
 8. გააკეთებინეთ რაიმე მონოტონური საქმე: დაახვიოს ძაფი, ითამაშოს ქვიშაში, წყალში და ა.შ.
- ჰიპერაქტიურ ბავშვებს უჭირთ ადაპტაცია, ხშირად არღვევენ დისციპლინას, რათა მიიპყრონ ყურადღება. უყვართ ლიდერობა და არ უყვართ დამორჩილება. როგორც კი გრძნობენ ზენოლას, მაშინვე იჩენენ აგრესიას, გაღიზიანებას და იწყებენ ჩხუბს. ასეთი ბავშვი უნდა დავარწმუნოთ და შთავაგონოთ, რომ ის ყველაფერს აკეთებს საკუთარი სურვილით და პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს საკუთარ თავზე.
- 9. დაიცავით მკაცრი დღის რეჟიმი
 - 10. ბავშვთან ისაუბრეთ მშვიდად და დანყნარებით: ეცადეთ, რომ ბავშვი არ გააღიზიანოთ.
 - 11. იყავით თანმიმდევრული ბავშვის მიმართ მოთხოვნებში.
 - 12. ნუ უყვირებთ და გაუბრაზდებით ბავშვს – არ აქვს აზრი, ბავშვს არ შეუძლია საკუთარი თავის მართვა.
 - 13. დასაჯეთ მხოლოდ სერიოზული მიზეზების გამო, ხოლო პატარ-პატარა შეცდომები დატოვეთ ყურადღების გარეშე. წარმატების გასაღები – ალერსიანი და მომთმენი დამოკიდებულებაა.
 - 14. ოჯახის ყველა წევრს ასწავლეთ ჰიპერაქტიურ ბავშვთან ურთიერთობა: შექება, ნახალისება, ემოციონალური მხარდაჭერა და ყურადღება.
 - 15. განუვითარეთ ბავშვს უნარი გაიაზროს თავისი ქცევის შედეგის მიზეზ შედეგობრივი კავშირი, ასევე სხვათა ემოციების სწორი აღქმა.



16. ეცადეთ, რომ ბავშვს გამოუმუშაოთ თანმიმდევრულად დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

17. ითამაშეთ ხშირად ბავშვთან ერთად, მისთვის სასარგებლოა ისეთი თამაშები, რომელიც განუვითარებს მას ყურადღებას, იმპულსების შეკავებას, კონცენტრირებას, ასევე აუცილებელია წესებიანი თამაში, როლებიანი თამაში და ნიმუშის მიხედვით მოქმედება (ფაზლი, კონსტრუქტორი..)

გაუგონარი ბავშვი

მიზეზები:

- ასაკობრივი კრიზისები, რომელსაც თან სდევს კაპრიზები და ნეგატივიზმი.
- ახალი აკრძალვები, ნორმებისა და წესებისადმი დამორჩილების მოთხოვნა უფროსთა მხრიდან.
- არათანმიმდევრულობა აღზრდაში (დღეს შეიძლება, ხვალ არა)
- აღზრდაში საერთო ტაქტიკის არარსებობა.
- მთავარ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა (სიყვარული, აღერსი, ემოციონალური კონტაქტი)

რეკომენდაციები

- გაითვალისწინეთ ბავშვის პოზიცია, მოუსმინეთ მას და აუხსენით მისთვის გასაგებ ენაზე, რატომ უკრძალავთ რამეს, არგუმენტი უნდა იყოს რეალური და ობიექტური. ნუ გამოიყენებთ ფრაზას: „იმიტომ რომ მე ასე ვთქვი!“
- ხშირად არ გამოიყენოთ სიტყვა „არ შეიძლება“, რადგან იგი ბავშვისთვის ხდება „ცარიელი“ სიტყვა.
- ეცადეთ, რომ მოილაპარაკოთ და გამოჩაბოთ კომპრომისი ბავშვთან.
- იყავით თანმიმდევრული მოთხოვნებში, თუ უკრძალავთ, ნუ შეცვლით თქვენს განწყვეტილებას, უკეთესია ბავშვს ეწყინოს, ვიდრე თავისას მიაღწიოს კაპრიზებითა და ისტერიკებით.
- ეცადეთ აკონტროლოთ თქვენი ემოციები, გამოხატეთ უკმაყოფილება გაუგონრობის გამო. უთხარით მშვიდად, კონკრეტულად, თქვენი უკმაყოფილების მიზეზი, იქნებ ისიც ღელავს თავისი ცუდი საქციელის გამო. გაიგებს რა ბავშვი თქვენი გრძნობების შესახებ, ეცდება აღარ გაგაბრაზოთ.

პარჯიზები ყურადღების ჯონცენტრაციისათვის

ვარჯიში 1. ზარები – დარეკთ ზარი და სთხოვეთ ბავშვებს მოუსმინონ ვიბრაციის ხმას. როცა ზარის ხმა შენელდება, უნდა გაჩუმდნენ 1 წთ და მოუსმინონ სხვა ხმებს, შემდეგ გაუზიარონ ერთმანეთს, თუ რა ხმები ესმოდათ.

ვარჯიში 2. სუნთქვა (ბავშვს მუცელზე ადებენ სათამაშოს ან პატარა ქვას და უნდა ისუნთქოს 1 წთ-ის განმავლობაში ისე, რომ ყურადღება მიაქციოს სათამაშოს, როგორ მოძრაობს სუნთქვასთან ერთად).



ვარჯიში 3. მედიტაცია. ბავშვები წვებიან იატაკზე, ხუჭავენ თვალებს, უნდა დაჭიმონ ყველა კუნთი, მომუჭონ ხელები და ფეხის თითები (გაჩერდნენ სანამ შეეძლებათ, შემდეგ კი ღრმად ამოისუნთქონ).

ვარჯიში 4. სუნი. დაურიგეთ ბავშვებს საგნები ნატურალური არომატით (ნინვი, ფორთოხლის კანი) და სთხოვეთ კონცენტრირება მოახდინონ მასზე. ავითარებს მესხიერებას, ახდენს ყურადღების კონცენტრაციას.

ვარჯიში 5. შეხება. სხვადასხვა ფორმისა და ზომის რამდენიმე ნივთი (ჯადოსნური ტომარა).

ვარჯიში 6. გულისცემა.

ვარჯიში 7. გრძნობა. „მოდით ვილაპარაკოთ გრძნობებზე“.

მშფოთვარე ბავშვები

ძირითადი სირთულე გაუბედავ და მშფოთვარე ბავშვებთან მუშაობაში არის კონტაქტის დამყარება და ნდობის გამონვევა, ამიტომ ფსიქოლოგმა არ უნდა იჩქაროს, სისტემატურად უნდა შევიდეს ჯგუფში და ჩაერთოს ერთობლივ თამაშებსა და აქტივობაში. ამის შემდეგ შესაძლებელია ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობის ჩატარება.

გაუბედავი და მშფოთვარე ბავშვები უფრო ადვილად ეკონტაქტებიან პატარებს, ვიდრე თანატოლებს, ამიტომ ეს მომენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას თვითშეფასების ასამაღლებლად (დაეხმაროს პატარებს თამაშის, აქტივობის, მეცადინეობის დროს). ასევე მნიშვნელოვანია გაუბედავ ბავშვებთან მშვიდი და თბილი კონტაქტის შენარჩუნება, რადგან მკაცრი მითითება, შენიშვნები და ბრძანებები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მათზე.

ეფექტურია ასევე აქტიური, კომუნიკაბელური და გულისხმიერი თანატოლის ჩართვა გაუბედავი ბავშვის აქტივობასა და თამაშში.

რეკომენდაცია:

1. გაუბედავ და მშფოთვარე ბავშვებთან აუცილებელია მშვიდი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა;

2. მინიმუმამდე იქნას დაყვანილი კრიტიკა და ბავშვის ქცევის ნეგატიური შეფასება

3. ძირითადი მოთხოვნა მშობლების მიმართ – ტაქტი და მოთმინება;

4. განუვითარეთ ბავშვს ინიციატივა და დამოუკიდებლობა (საყოფაცხოვრებო პირობებში მიეცეთ პატარა დავალებები, მაგ: ვინმეს დაუძახოს, გადასცეს რამე, მაღაზიაში, გარეთ და ა.შ.).

გაუბედავ და მშფოთვარე ბავშვებთან დიაგნოსტიკის მიზნით გამოიყენება:

1. თვითშეფასების „კიბე“

2. ხატვითი ტესტი „ჩემი ოჯახი“

3. „შფოთვის ტესტი“ (ომენი, დარკი)

ფსიქოლოგის მუშაობა უნდა წარიმართოს რამდენიმე მიმართულებით:

- პოზიტიური თვითშეფასების განვითარება
- საკუთარ თავში დარწმუნებულობის ამაღლება
- სხვების მიმართ ნდობის განვითარება
- შიშების კორექტირება



- სხეულბრივი დაძაბულობის მოხსნა
- საკუთარი ემოციების გამოხატვის უნარის განვითარება
- ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარება
- თვითკონტროლის უნარის განვითარება

ამ მიმართულების გასახორციელებლად გამოყენებული უნდა იქნას შემდეგი მეთოდები და ხერხები:

- 1) პრობლემური სიტუაციების გათამაშება (საჯარო გამოსვლა, გაცნობა)
- 2) მოძრავი თამაშები კომუნიკაციური უნარების გასავითარებლად
- 3) თოჯინებით, სათამაშოებით სპექტაკლის დადგმა
- 4) ხატვა შიშების დასაძლევად
- 5) ზღაპართერაპიის ელემენტების გამოყენება, მხატვრული ნაწარმოებიდან გმირების ხასიათის წარმოჩენა.
- 6) სიუჟეტურ-როლებიანი თამაშები (დიალოგური მეტყველების განვითარება).

რეკომენდაციები:

- ეცადეთ, არ აჩვენოთ ბავშვს თქვენი დაურწმუნებლობა და შიშები. ოჯახში მინიმუმ-ზირებული უნდა იყოს საუბარი სახიფათო, უსიამოვნო და ტრაგიკულ ამბებზე.
- ბავშვს შეუქმენით წარმატებულობის გრძნობა, რაც უფრო მეტია საკუთარ თავში დარწმუნებულობის, წარმატების გრძნობა, მით ნაკლებია შფოთვა.
- რაც შეიძლება ხშირად შეაქეთ მშფოთვარე ბავშვი, მიეცით სტიმული იაქტიუროს და გაიმდიდროს პოზიტიური გამოცდილება გარემომცველ სამყაროსთან.
- ბავშვთან ერთად შეარჩიეთ ისეთი აქტივობა, რაშიც ის შეძლებს თავისი შინაგანი პოტენციალის რეალიზებას.
- გახსოვდეთ, მშფოთვარე ბავშვს ძალიან სჭირდება მშობლების ემოციური მხარდაჭერა, დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა, განსაკუთრებით პრობლემურ სიტუაციაში.
- იყავით თანმიმდევრული თქვენს მოთხოვნებში, ადეკვატურად შეაფასეთ მისი შესაძლებლობები, უნარები და მიზნები, რომელსაც აყენებთ მის წინაშე.

მიჯაჭვულობის თეორია

ბრიტანელმა ფსიქონალიტიკოსმა ჯონ ბოულბიმ და მერი ეინსუორთმა შემუშავეს 1950-60 წლებში მიჯაჭვულობის თეორია. ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტი ბავშვის ემოციურობის გასაზომად (მ. ეინსუორთმა ახალი მეთოდი შექმნა, რომელსაც „უცხო ვითარება“ უწოდებდა). ექსპერიმენტი მდგომარეობდა შემდეგში: სათამაშო ოთახში დედებს მიჰყავდათ 12 თვის ჩვილები, ბავშვთან ცოტა ხნის თამაშის შემდეგ, დედა გადიოდა ოთახიდან, ბავშვთან უცნობი ადამიანი რჩებოდა, ხანმოკლე ინტერვალის შემდეგ დედა უკან ბრუნდებოდა. (ამ პროცესს აკვირდებოდნენ „გეზელის“ სარკიდან). მეცნიერები დაკვირვების შედეგად ახდენდნენ ემოციების კატეგორიზაციას. ბავშვების უმრავლესობა დედის დაბრუნებას სიხარულით ეგებებოდა, ეხუტებოდნენ ხან ცრემლმორეულები, ხან მხიარულები, ამ ბავშვებს უწოდეს „საიმედოდ მიჯაჭვულები“, ხოლო ის ბავშვები ვინც ა) გულთბილად არ ეგებებოდა დედას, - ბ) თავს იკატუნებდნენ, ვითომ ვერ შენიშნეს. გ) აგზნებულები აგრესიულად ურტყამდნენ დედას დ) მოწყვეტილ ეცემოდნენ იატაკზე – უწოდეს „მშფოთვარე მიჯაჭვულობა“. მ. ეინსუორთმა აღმოაჩინა, რომ ბავშვის რეაქცია „უცხო ვითარებაში“



პირდაპირ კავშირში იყო მისი მშობლების გულისხმიერების ხარისხთან პირველი წლის განმავლობაში. მშობლები, ვინც შეწყობილები იყვნენ შვილების გუნება-განწყობილებასთან და გულისხმიერად რეაგირებდნენ მათ ძახილზე, ჰყავდათ „საიმედოდ მიჯაჭვული“ შვილები, ხოლო მშობლები, რომელთაც შორს ეჭირათ თავი შვილებისგან, ეჩხუბებოდნენ, მტრულად ეპყრობოდნენ, ჰყავდათ „მშფოთვარე მიჯაჭვული“ შვილები.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ის ბავშვები, ვინც მიიღო ადრეულ ასაკში მზრუნველობა, შემდგომში გამოირჩეოდნენ მეტი ცნობისმოყვარეობით, მეტი თავდაჯერებულობით, სიმშვიდით, წინააღობებთან გამკლავების უკეთესი უნარებით. ადრეული ასაკიდან დედის ყურადღება, გულისხმიერება ხელს უწყობს გარემოსთან ადაპტაციურობას, რომელიც დამცველი ბუფერის როლს ასრულებს სტრესთან გამკლავების შემთხვევაში.

შფოთვის ტესტი (რ. ტამაზი, ვ. აბანი, მ. ღორაძე)

შფოთვის ტესტი შედგება 14 სურათისაგან (8,5X11სმ), თითოეული სიტუაცია არის ბიჭისთვის და გოგოსთვის.

ტესტის ჩატარების პროცედურა:

ბავშვს ვაჩვენებთ სურათს განსაზღვრული თანმიმდევრობით, უნდა ახსნას სურათის სიუჟეტი და უსვამთ შეკითხვებს;

1. სურათი – თამაში უმცროს ბავშვთან. როგორ ფიქრობ, როგორი სახე ექნება ბავშვს: მხიარული თუ მონყენილი?
2. სურათი – ბავშვი და დედა ჩვილთან ერთად. როგორ ფიქრობ.... როცა ის სეირნობს დედასთან და ბავშვთან ერთად?
3. სურათი-აგრესიის ობიექტი. როგორ ფიქრობ....
4. სურათი-ჩაცმა... როგორ ფიქრობ...
5. სურათი-თამაში უფროს ბავშვებთან. როგორ ფიქრობ.....
6. სურათი-მარტო მიდის დასაძინებლად. როგორ ფიქრობ...
7. სურათი-პირის ბანა. როგორ ფიქრობ.....
8. სურათი-შენიშვნა, მითითება. როგორ ფიქრობ.....
9. სურათი-იგნორირება. როგორ ფიქრობ.....
10. სურათი-აგრესიული თავდასხმა. როგორ ფიქრობ.....
11. სურათი-სათამაშოების ალაგება.როგორ ფიქრობ...
12. სურათი-იზოლაცია.როგორ ფიქრობ...
13. სურათი-მშობლებთან ერთად. როგორ ფიქრობ...
14. სურათი-ჭამა მარტოობაში. როგორ ფიქრობ...

სურათი	ბავშვის მიერ აზრის გამოთქმა	არჩევა	
		მხიარული სახე +	მონყენილი სახე -
1.			
2.			
3.			
4.			



ოქმში უნდა შევიდეს თითოეული ბავშვის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგები.

რაოდენობრივი ანალიზი. მიღებული შედეგების საფუძველზე უნდა გამოი-თვალოს შფოთვის ინდექსი (შ. ი.), რომელიც ტოლია ემოციურად ნეგატიური არჩევანის შეფარდებისა სურათების რაოდენობასთან, გამრავლებული 100%.

$$\text{შ. ი.} = \frac{\text{ემოციურად ნეგატიური არჩევანი}}{14} \cdot 100\%$$

მიღებული შედეგების გამოთვლის შედეგად ბავშვები შფოთვის დონის მიხედვით იყოფა 3 ჯგუფად:

- ა) მაღალი შფოთვის დონე 50% მეტი;
- ბ) საშუალო შფოთვის დონე 20%-დან 50%-მდე;
- გ) დაბალი შფოთვის დონე 0%-დან 20%-მდე.

თვისობრივი ანალიზი. თითოეული ბავშვის პასუხი ანალიზირდება ცალკე და კეთდება დასკვნა შესაძლო ემოციური გამოცდილების საფუძველზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურათი №4 (ჩაცმა), №6 (დასაძინებლად მარტო ნასვლა), №14 (ჭამა მარტოობაში). ასევე ნეგატიური არჩევანი, №2, №7, №9 და №11, შეიძლება მიუთითებდეს მაღალი შფო-თვის დონეზე,

„ნარვილია თუ არა ბავშვი?“

(6-7 წლ.)

1. იკვნეტს თუ არა ფრჩხილებს?
2. ნოვს თუ არა თითს?
3. აქვს თუ არა მადა?
4. აქვს თუ არა მუცლის ტკივილი?
5. ხშირად ითხოვს მეცადინეობისას ოთახიდან გასვლას?
6. უკიდებს თუ არა ენას?
7. აქვს თუ არა მეტყველების დარღვევა?



8. ხშირად და ძალიან ოფლიანობს?
9. ხშირად წითლდება? ფერი მისდის?
10. ლელავს თუ არა მაშინ, როცა გამოდის ბავშვების წინაშე, დაფასთან საპასუხოდ?
11. ხშირად ახამხამებს თვალებს?
12. კანკალებს როცა ლელავს ან გალიზიანებულია?
13. აქვს აგრესიის მკვეთრი გამოვლენა?
14. იჩეჩავს მხარს, ხელს და ა.შ.?
15. უჭირს ყურადღების კონცენტრირება?
16. ხშირად არის ჩუმად?
17. კარგად აქვს ფანტაზია განვითარებული?
18. ეშინია ხმაურის, მკვეთრი ხმების?
19. მკვეთრად განიცდის სირცხვილს, დანაშაულს?
20. ეშნია თუ არა ადამიანების?

უმეტესი პასუხი „დიახ“ ნევროზულობის მაღალი ხარისხის მაჩვენებელი იქნება.

სკოლამდელი ასაკისა და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ტრენინგების ორგანიზაცია

კორექციულ – განმავითარებელი მუშაობა სკოლამდელი ასაკისა და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებთან ხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

- 1) შემეცნებითი სფეროს განვითარება (აზროვნება, მეტყველება, ფანტაზია – წარმოსახვა, მეხსიერება, ყურადღება);
- 2) ემოციური-სოციალური სფეროს განვითარება და კორექცია;
- 3) თვითცნობიერების ამაღლება;
- 4) დეზადაპტაციური ქცევისა და ხასიათის კორექცია;
- 5) შფოთვისა და სიმორცხვის, აგრესიულობის კორექცია;
- 6) მოტორიკის განვითარება;
- 7) ადამიანურ ურთიერთობათა უნარ-ჩვევების განვითარება;
- 8) უმცროს სასკოლო ასაკის ბავშვებში სწავლის პროცესში შექმნილი სირთულეების კორექცია.

მეცადინეობა-ტრენინგი შეიძლება ჩატაროს ფსიქოლოგმა, მასწავლებელმა ან აღმზრდელმა კვირაში ერთხელ მთელი წლის მანძილზე.

3-4 წლის ბავშვებისათვის მეცადინეობის ხანგრძლივობა არის 15 წთ, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის კი 45 წთ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა განლაგებას მეცადინეობის დროს, სკოლამდელი ბავშვები უმჯობესია დავსვათ ნახევარწრის ფორმით, რაც შეეხება სკოლის მოსწავლეებს, მეცადინეობის ჩატარება შეიძლება კლასშიც, მაგიდებთან, მათ მეტად აქვთ მეცადინეობის განწყობა, ვიდრე თავისუფალ მდგომარეობაში.



სოციალურ უნარ-ჩვევათა ტრენინგის მოდელი

სოციალურ უნარ-ჩვევათა ტრენინგის მიზანია ქცევის გამომუშავება, რომელიც მიმართულია ბავშვის მიერ ნორმალური სოციალური უნარების ასათვისებლად. სოციალურ უნარ-ჩვევათა ტრენინგი ითვალისწინებს ემოციების მართვას, ახლო და შორეული მომავლის დაგეგმვას, გადაწყვეტილებების მიღების უნარს, კომუნიკაციური უნარების განვითარებას, თვითშეფასებისა და საკუთარ თავში დარწმუნებულობის ფორმირებას.

ტრენინგის ამოცანაა:

1. უარყოფითი ემოციებისგან განთავისუფლება (შიში, მრისხანება), რომლის საფუძველზე ირღვევა ქცევა, რომელსაც აქვს აგრესიული, დესტრუქციული ან ასოციალური მიმართულება;

2. საკუთარ თავში დარწმუნებულობის ფორმირება, გარემოსთან კონსტრუქციული ურთიერთგავლენა. საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი ნიშნავს – განსაზღვროს და გამოსატოს აგრესიის გარეშე თავისი სურვილი და მოთხოვნილებანი. შეეძლოს თხოვნით მიმართვა ისე, რომ არც სხვას აწყენინოს და არც საკუთარი თავი იგრძნოს დამცირებულად. შეეძლოს ტაქტით უპასუხოს უარის შემთხვევაში, აქ იგულისხმება არა მხოლოდ სიტყვები, არამედ ყესტი, მიმიკა, პოზა. საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანს აქვს მაღალი თვითშეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი იყენებს დესტრუქციულ ქცევას იმისათვის, რომ დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები სხვების დამცირების და სხვათა უფლებების იგნორირების ხარჯზე.

ტრენინგის მოდელი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- 1) ამოცანის განსაზღვრა, ანუ იმ ქცევის სახის განსაზღვრა, რომლის კორექციაც უნდა მოხდეს;
- 2) რელევანტური სიტუაციის არჩევა;
- 3) ჯგუფის წევრების ინსტრუქტაჟი დაგეგმილი სიტუაციის ირგვლივ;
- 4) სიტუაციის გათამაშება;
- 5) სასურველი ქცევის მოდელირება;
- 6) მთელი ტრენინგის მანძილზე ოპტიმალური ქცევის დამუშავება;
- 7) უკუკავშირი: ტრენინგის შემდეგ გათამაშებული სიტუაციის და მოდელირებული ქცევის განხილვა ჯგუფის წევრების მიერ;
- 8) შესწავლილი ქცევის, უნარ-ჩვევის გამყარება რეალურ სიტუაციაში.

ტრენინგზე სოციალურ უნარ-ჩვევათა გასავითარებლად გამოიყენება მოდელირება, სოციალური თამაში, უკუკავშირის დამყარება და შეძენილ უნარ-ჩვევათა გადატანა რეალურ სიტუაციაში.

მოდელირება – იმიტაციის საშუალებით კონკრეტული სიტუაციის გათამაშების დროს მისაღები ქცევის ფორმირება. მისი საშუალებით ხდება არააგრესიული, არამედ კონსტრუქციული ქცევის დე-მონსტრირება. ტრენინგის წევრები დაკვირვების გზით ეცნობიან შესაძლო ქცევის რამდენიმე მოდელს, იხილავენ მის სოციალურ მხარეს, შემდეგ ხდება განხილვა.

როლური – სოციო-დრამატული თამაში – ჯგუფის წევრებს ეძლევათ საშუალება გაითამაშონ ცხოვრებისეული სიტუაცია, წარმოადგინონ კონკრეტულად ის სიტუაცია, სადაც აუცილებელია გარკვეული უნარ-ჩვევების გამოყენება. ტრენინგზე ასეთი გათამაშება



ინყება მარტივი სიტუაციებით, მაგ: საუბარი უნემ პედაგოგთან, მამასთან ან დედასთან და ა.შ. თანდათანობით ჯგუფი გადადის უფრო რთული სიტუაციების გათამაშებაზე, საბოლოო ჯამში ამოცანა არის ერთი – ოპტიმალური ქცევის გამომუშავება ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რომელიც დაეფუძნება ბავშვის, მოზარდის საკუთარ თავში დარწმუნებულობას, ობიექტურ თვითშეფასებას.

უკუკავშირის დამყარება. ტრენინგის ამ სტადიაზე ფსიქოლოგი, ტრენერი რეაგირებს ორი ძირითადი ხერხით:

ინსტრუქტაჟი – ფსიქოლოგის, ტრენერის ჩართულობა პროცესში, რომელიც ეხმარება ტრენინგის წევრებს რჩევებით, სტიმულაციით, მხარდაჭერით, რეკომენდაციით.

გამყარება – ხდება ნახალისებით სტიმულირება სწორად განხორციელებული ქცევისა. რაც შეეხება შენიშვნას, პირობითად, იგი გულისხმობს ამა თუ იმ ქცევის მიღება-მიუღებლობას კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

ტრენინგის ჩატარების სქემა (3 წლის ასაკიდან.)

გრძნობების განხილვა. ამ მეთოდით მუშაობა საჭიროა კვირაში ერთხელ 20-40 წთ. განხილვის თემა შეიძლება იყოს ბედნიერება, ბრაზი-მრისხანება, შიში, მარტოობა, სევდა, სიყვარული, ზიზღი, წყენა და ა.შ. ეს თემები უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის განვითარების ასაკს. თითოეულ თემას უნდა დაეთმოს კვირაში 20-40 წთ. ჯ. ალანი რეკომენდაციას გვინევს გამოვიყენოთ ჩანერის ფორმა, რომელიც შედგება 3 ნაწილისგან. მაგალითისთვის განვიხილოთ თემა „ბრაზი“.

I ნაწილი. ბავშვებს უსვამთ კითხვას ბრაზის შესახებ. კარგი შედეგების მისაღწევად უნდა დაისვას ზოგადი კითხვები და შემდეგ გადავიდეთ კონკრეტულზე. მეცადინეობის პროცესში შეიძლება გამოვიყენებულ იქნას ილუსტრირებული მასალა და სხვა საშუალებები. წინასწარ უნდა მომზადდეს კითხვები:

1. რა არის ბრაზი?
2. რას გრძნობს ბიჭი (გოგო), როცა ბრაზობს? (სთხოვეთ ბავშვებს აგიღწეროთ როგორ გამოიყურება გაბრაზებული ბიჭი (გოგო), სთხოვეთ მიმიკით, ფესტებით გაჩვენოთ.
3. რას აკეთებს ხოლმე გაბრაზებული ბიჭი (გოგო)?
4. თქვენ გაბრაზებულხართ როდესმე?
5. როგორ და რატომ ბრაზდებით?
6. სად, სხეულის რა ნაწილში გრძნობთ ბრაზს? შეგიძლიათ მაჩვენოთ?
7. რას აკეთებთ როცა ბრაზდებით?
8. რას გააკეთებ, კიდევ რომ გაბრაზდები?
9. გაიხსენე როდის იყავი ყველაზე, ყველაზე გაბრაზებული?

II ნაწილი. განხილვის შემდეგ ბავშვებს ვთავაზობთ დახატონ ბრაზი ან მოიფიქრონ მოთხრობა ბრაზის შესახებ. შეიძლება შემდეგი კითხვების დასმა:

1. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ როგორია ბრაზი?
2. როგორ გამოიყურება?
3. შეგიძლიათ ბრაზი დამიხატოთ?
4. დამიხატეთ სიტუაცია, რომელშიც იქნება გაბრაზებული ადამიანი.

III ნაწილი. ხატვის დასრულების შემდეგ ბავშვებს ვთავაზობთ ნახატების განხილვას სათითაოდ, სურვილის მიხედვით. შეგიძლიათ გამოვიყენოთ შემდეგი კითხვები:

1. რა არის გამოსახული ნახატზე?



- 2. რა ხდება ნახატზე?
- 3. რით დამთავრდება ეს სიტუაცია?

ამ მეცადინეობის მიზანია ბავშვებს დავებმაროთ: ა) უკეთესად გააცნობიერონ საკუთარი გრძნობები; ბ) ისწავლონ როგორია ეს გრძნობა და აკონტროლონ გ) შეძლონ თავისი გრძნობების მოყოლა და აღწერა, გაიგონ, რომ სხვა ბავშვებიც განიცდიან ანალოგიურ გრძნობას; ნახატი გვაძლევს დამატებით ინფორმაციას ბავშვის იმ გრძნობების და ემოციების შესახებ, რომელიც ვერ გადმოსცა ვერბალური გზით, ხატვის საშუალებით გრძნობების გადმოცემა ამცირებს დაძაბულობას და დესტრუქციული ქცევის მოთხოვნილებას.

სკოლამდელ ბავშვთა განვითარებაში არსებული სირთულეები

ვერბალიზმი – ბავშვები, რომლებიც ხასიათდებიან ვერბალიზმით, მაღალი ხარისხით ფლობენ აქტიურ მეტყველებას, თუმცა აქვთ აზროვნების განვითარების დაბალი დონე. ასეთი ბავშვები მეტყველებაში იყენებენ რთულ ვერბალურ კონსტრუქციებს, შეუძლიათ მსჯელობა არასაბავშვო თემებზე, თუმცა მათი შემეცნებითი ინტერესები ზედაპირული და არამდგრადია. მათ მოსწონთ აჩვენონ საზრიანობა და ყველგან დემონსტრირებენ ამ უნარს. ასეთი ბავშვების თვითშეფასება საკმაოდ მაღალია, მათი ურთიერთობები ატარებენ ფორმალურ ხასიათს.

ვერბალიზმის ფორმირების შესაძლო მიზეზები შეიძლება იყოს აქცენტების გადატანა მხოლოდ მეტყველების განვითარებაზე, რადგან მშობლებს ჰგონიათ, რომ მეტყველების განვითარების მაღალი დონე მოწმობს ასევე ინტელექტუალური განვითარების მაღალ ხარისხს, ამიტომ დიდ მნიშვნელობას და დროს უთმობენ ბავშვის სწორი, გაამული მეტყველების განვითარებას და სტიმულირებენ მას.

სკოლამდელ ასაკში მნიშვნელოვანია მეტყველების განვითარება, თუმცა არ უნდა ატარებდეს ფორმალურ, ზედაპირულ, დემონსტრაციულ ხასიათს, უფრო მნიშვნელოვანია, მეტყველება იყოს, როგორც კომუნიკაციის ძირითადი საშუალება თანატოლებთან და უფროსებთან, გამონვეული ურთიერთობის ინტერესით.

დემონსტრაციულობა – დემონსტრაციული ბავშვების ძირითადი მიზანია მიიქციონ გარშემომყოფთა ყურადღება, ეს სურვილი შეიძლება ატარებდეს პოზიტიურ ან ნეგატიურ ელფერს. დემონსტრაციულობა შეიძლება გულისხმობდეს ჰიპერტროფირებულ ეგოცენტრიზმს, რადგან ასეთ ბავშვებს პატარა ასაკიდან უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩაცმას, გარეგნობას, სამკაულებს, როდესაც უფროსები ყურადღებას აქცევენ სხვა ბავშვს, ისინი ავლენენ ნეგატიურ დემონსტრაციულობას: ცნობიერად იწყებენ წესების დარღვევას, წინააღმდეგობას, რათა ისევ აღმოჩნდნენ ყურადღების ცენტრში.

დემონსტრაციული ქცევისადმი მიდრეკილ ბავშვებთან ურთიერთობაში აუცილებელია ადეკვატურად შეფასდეს მათი წარმატება და წარუმატებლობა, ხშირად უნდა მოხდეს მათი ჩართვა თეატრალიზებულ აქტივობაში, რათა მოხდეს მათი მოთხოვნილებების რეალური დაკმაყოფილება.



უმჯობესია უფროსები არ წამოეგონ პროვოკაციაზე, კარგი საშუალება ნეგატიურ დემონსტრაციულ ქცევაზე არის იგნორი.

პასიური ბავშვები – არიან წყნარები, შეუმჩნეველები, ისინი არ გამოხატავენ მძაფრ ემოციებს, შეუძლიათ საათობით ჯდომა ერთ ადგილზე და სათამაშოთი გართობა. საუბრობენ ხმადაბლა. არიან პასიურები, ამიტომ ჯგუფიდან ირიყებიან. გარეგნული უემოციო ქცევის მიღმა შეიძლება იმალებოდეს მგრძნობიარე ადამიანი.

პასიური ბავშვების ქცევა შესაძლებელია განპირობებული იყოს ოჯახში არსებული ურთიერთობებით. კერძოდ უყურადღებობით ბავშვის მიმართ, ემოციური სიცივიტით, კონფლიქტებით.

ფსიქოლოგისა და უფროსების მიზანია დაეხმარონ ბავშვს ემოციების გამოხატვაში, გაერკვნენ ასეთი ქცევის მიზეზებში. პირველი ნაბიჯი კი არის ნდობის საფუძველზე წარმართული ურთიერთობა, კომუნიკაციურ უნარ-ჩვევათა განვითარება.

სიმბოლოები ბავშვის ნახატში

უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ სიმბოლოს არ აქვს ერთი უნივერსალური მნიშვნელობა. ამასთან ერთად მას შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური ან ნეგატიური დატვირთვა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის გამოყენებული ნახატში და რა ფერია. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურულ გარემოს, რადგან სიმბოლოს სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა დატვირთვა აქვს. მაგ: ჩიტები ასახავენ ტრანსცენდენტულობას: „გათავისუფლება უაზრო ყოფისაგან, ნებისმიერი ცხოვრების სტილისაგან, რომელიც ბოჭავს სწრაფვას ფსიქოლოგიური განვითარების უფრო მაღალი და მოწიფული სტადიისაკენ. ამასთან ერთად ჩიტები სიმბოლოურად ასახავენ სულს ან სულის აღმადგენას ცაში, ჩიტები ბავშვის ნახატებში ჩნდება მაშინ, როცა მისი ავტორი გრძნობს სულში გარკვეულ ტრანსფორმაციას.

კატა – აქვს მრავალი მნიშვნელობა, ასახავს სურვილს, თავისუფლებასა და დაფარულ ხასიათს. შავი კატა – უბედურების, გრაციოზულობის სიმბოლოა. ბავშვისათვის კატა ასახავს სიყვარულის მოთხოვნილებას.

ძალი – როგორც კატას, აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობა. იგი ასახავს ერთგულებას, მადლიერებას და ა.შ. ბავშვისათვის ძალს აქვს იგივე მნიშვნელობა, როგორც კატას, თუმცა უფრო მეტად გამოხატავს სულის ძლიერ და ინსტიქტურ მხარეს.

თევზები – ზოგიერთ შემთხვევაში ასახავს ნაყოფიერებას, გამრავლებას, განახლებას.

ცხენი – სიმბოლოა სიცოცხლისა და სიკვდილის. ასახავს ინსტიქტურ და ცხოველურ ბუნებას, დინამიურობას, კეთილშობილებას, ინტელექტს. ცხენები ხშირად გვხვდება გოგონების ნახატში (გარდატეხის ასაკში), რაც მიანიშნებს მათი ინსტიქტური ბუნების გამოხატულებას.

ღრუბლები – ღრუბლების ფერს აქვს მთავარი მნიშვნელობა. თეთრი ღრუბლები გამოხატავენ სულით ამალლებას და სისუფთავეს, შავი ღრუბლები – დეპრესიას ან მწუხარებას, ლურჯი ღრუბლები – ცრემლს და ტირილის (გამოტირების) სურვილს.



ცეცხლი – შეიძლება ნიშნავდეს ცხოვრების განახლებას, ტრანსფორმაციას, ვნებას, ხელისუფლებას, დაცვას, ნგრევას. ბავშვი ცეცხლს აღიქვამს როგორც რაღაც დესტრუქტურულს და მტრულს, მაგრამ თუ ცეცხლი ასოცირდება ბუნების მოვლენასთან, მაგ: ვულკანის ამოფრქვევა, მაშინ იგი სიმბოლოა ემოციური განტვირთვის ან ტრანსფორმაციის შესაძლებლობის, რომელსაც მოაქვს ცხოვრების განახლება.

მთები – მუდმივობა, მარადიულობა, სიჩუმე. ბავშვი, რომელიც ხატავს და განიხილავს მას, როგორც ცენტრალურ ფიგურას, შესაძლებელია ეს სიმბოლოურად ასახავდეს სურვილს, რომ ცხოვრებაში რაღაც იყოს მუდმივი.

ოკეანე და წყალი – სიმბოლო სიცოცხლისა და სიკვდილის, რომელიც ისევ აღდგება სიცოცხლედ. ცხოვრების ოკეანე, რომელიც უნდა გადაცუროს ადამიანმა ან ქაოსი და ჩამოუყალიბებლობა, რომელიც დომინირებს ბავშვის ცხოვრებაში.

წვიმა – აქვს ორი ფსიქო-სიმბოლოური მნიშვნელობა: სულიერი გახსნილობის ან ბავშვის ნაღვლიანი განწყობის, თუ წვიმიანი ამინდია ასახული; ხშირად წვიმასთან ერთად ხატავენ სახლს, რაც შეიძლება მიანიშნებდეს სახლში არსებულ პრობლემებს, ხოლო კოკისპირული წვიმა ქარიშხალთან ერთად ტანჯვასა და მშფოთვარე გრძნობებს.

მზე – ბევრ კულტურაში გამოხატავს მამაკაცურ ძალას, ამასთან ერთად არსებობს კულტურები, სადაც მზე გამოხატავს ქალურ ძალას. მზე კურნავს და აღორძინებს, წყაროა სიბრძნისა და სისუფთავის. ბავშვის ნახატზე მზე გამოხატავს სითბოს და უზრუნველჰყოფს ზრდას. ასევე მზე შეიძლება ასახიერებდეს იმ ადამიანს, რომელიც გულისხმიერია, ესმის ბავშვის და ეხმარება მას ფსიქოლოგიურ განვითარებაში. მზის ჩასვლა შეიძლება სიმბოლოურად გამოხატავდეს დეპრესიას, ხოლო მზის ამოსვლა – დაბადება და განახლებას. როცა მზე „არასწორად“ არის ნახატში (ქვემო მარჯვენა კუთხეში), მაშინ შესაძლებელია სერიოზული პრობლემები იყოს მამასა და შვილს შორის.

მთვარე – იშვიათად ჩნდება ბავშვის ნახატში. ის ასახავს მზის ბუნების სანინაალმდეგო მხარეს და მიუთითებს მიმდინარე მოვლენებზე.

ხე – ასახავს ბავშვის ფსიქიკის 5 ნახნაგს. ფსიქოლოგიური სფეროს არაცნობიერ მხარეს, ფსიქოსექსუალური განვითარების დონეს და სიმწიფეს, რეალობასთან კავშირს და შინაგან წონასწორობას. ხის ხატვა ხელს უწყობს ცხოვრებისეული როლის ფორმირებას და ახლოებელ ადამიანებთან ურთიერთობის სასიამოვნო განცდას. ზემოთ აწვდილი ხის კონტურები მიუთითებს გადახრას ემოციონალურ არარეალობაში. გამხმარი ხე სიმბოლოა არასახარბიელო ფსიქიკური მდგომარეობისა, გამხმარი ტოტები შეიძლება მიანიშნებდეს ფსიქოლოგიურ ტრავმებზე, მაგალითად საყვარელი ადამიანის დაკარგვა. მზისკენ აწვდილი ტოტები მიუთითებს კეთილგანწყობილი ურთიერთობების ღრმა მოთხოვნილებზე. თუ ხის წვერი გადადის ფურცელს იქით, სავარაუდოდ ბავშვს აქვს მიდრეკილება გაექცეს რეალობას, „იფანტაზიოროს“ და მიიღოს სიამოვნება. ხის გადახრა ხელის მოძრაობის მიმართულებით ხატვის დროს, მიუთითებს ბავშვის სწრაფვას დაამყაროს კონტროლი საკუთარ გრძნობებზე და თავი დააღწიოს იმ პიროვნებას, ვინც ცდილობს მის დამორჩილებას(თუ



პიროვნება არის ნახატში). ხის გადახრა სანიანალმდეგო მიმართულებით მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვს სურვილი აქვს ყველაფერი იყოს ძველებურად, როგორც წარსულში. ხის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ბავშვის ფსიქოლოგიურ ძალას. გადატეხილი ხე შეიძლება მიაწინებდეს ბავშვის დიდ ფსიქოლოგიურ ტრავმაზე. თუ ხეს აქვს მოჭრილი, გამხმარი და მოლუნული ტოტები, მიაწინებს იმას, რომ წარსულში ბავშვს მიღებული აქვს ფსიქოლოგიური ტრავმა. ხის დაზიანებული ადგილმდებარეობა, სავარაუდოდ ემთხვევა გადატანილ ტრავმატულ პერიოდს, თუ ხის ძირითადი ნაწილი „ტანი“ არის დეფორმირებული „გაფოთლის კონტურთან“ ერთად, მაშინ სავარაუდოდ ადგილი აქვს შიგაპიროვნულ კონფლიქტს.

ვაშლი – სიუხვე, სიყვარული, სიხარული, ცოდნა, სიბრძნე, ტყუილი, სურვილი. ბავშვები ვაშლს ხატავენ ძირითადად მაშინ, როცა აქვთ ემოციური შიმშილი და ზრუნვის მოთხოვნილება. როცა ბავშვი ხატავს ვაშლს მატლით და ამბობს, რომ ვაშლი გაფუჭებულია – ბავშვს აკლია მოვლა.

სახლი – ცხოვრება და ოჯახური ურთიერთობები, დაცვა. სახლი საკვამურის გარეშე ნიშნავს იმას, რომ ბავშვს არ აქვს უნარი გამოხატოს თავისი გრძნობები ოჯახურ გარემოში. თუ საკვამურიდან ამოდის სქელი ბოლი, ეს მიუთითებს ოჯახში დაძაბულ ემოციურ ატმოსფეროზე. თუ სახლს არ აქვს ფანჯრები ან ფარდებია გაფარებული, აქვს მძიმე კარები, შესაძლებელია ოჯახში იყოს დაფარული, მტრული ატმოსფერო, ასევე უფანჯრო პირველი სართული შეიძლება მიუთითებდეს რაღაც მოვლენის საიდუმლოებაზე; თუ სახლი არის ოდნავ გადახრილი – ფსიქიკური წონასწორობის დაკარგვაზე მიუთითებს, თუ ძალიან არის გადაყირავებული, შეიძლება იყოს ფსიქიკური დაავადების მაჩვენებელი.

ადამიანები – ადამიანი ნახატში გვაძლევს საშუალებას გავიგოთ ბავშვის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა მოცემულ მომენტში, მისი სწრაფვები, შესაძლებელია იგი ასახავდეს არა ბავშვის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, არამედ ბავშვისათვის მნიშვნელოვან პერსონას. ფიგურის სიდიდე გაიგივებულია ძალასთან. რაც უფრო დიდია ფიგურა, მით ძლიერია. სახის რომელიმე ნაკვთის არარსებობა ან გაზვიადება მიუთითებს პრობლემაზე, გაზვიადებული სახის ნაწილები მიუთითებენ, რომ ამ ნაწილის ფუნქცია იწვევს განსაკუთრებულ ყურადღებას. პატარა თავი სხვა ნაწილებთან შედარებით შეიძლება მიუთითებდეს ფსიქიკურ პრობლემაზე ან დეპრესიას.

ადამიანი ხელების ან ფეხების გარეშე მიაწინებს იმას, რომ ბავშვი გრძნობს გაუბედაობას ან უუნარობას გამოვიდეს შექმნილი სიტუაციიდან. ფეხები და ტერფები სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება ნიშნავდეს იმედგაცრუებასა და სურვილს, რომ თავი დააღწიოს შექმნილ გარემოებას, თუმცა ბავშვის ნახატში ეს ითვლება ნორმად. პატარა ფეხები ტანის სხვა ნაწილებთან შედარებით მიუთითებს არასტაბილურ პიროვნებაზე. აქცენტირებული ხელები მიგვანიშნებს მიდრეკილებას ძალადობრივი და აგრესიული ქმედებებისაკენ, ასევე შეიძლება ნიშნავდეს ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობაზე. თუ ტანის მიდამოებში და კერძოდ გენიტალიებზე სამიზნეა დახატული, შესაძლებელია ბავშვის მიმართ ადგილი ჰქონდა სასტიკ მოპყრობას ან სექსუალურ ძალადობას.



ზოგადი სიმბოლოები, რომლებსაც იყენებს ბავშვი ხატვის დროს

გასათვალისწინებელია ბავშვის ნახატების ინტერპრეტაციის რთული ხასიათი, ისინი უნდა განიხილებოდეს გეშტალტის ჩარჩოებში, ე. ი. მთლიანობით სტრუქტურაში, რათა გაადვილდეს სიმბოლური აზრის გაგება. ნახატის ინტერპრეტაციისთვის ორიენტირი უნდა იყოს ფერი და სიმბოლოები.

ფერი. ნახატში ფერთა უპირატესობა იცვლება და დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე. უმცროსი ასაკის ბავშვები უფრო მეტად იყენებენ წითელი და ყვითელი ფერის თბილ ტონალობას, ხოლო უფროსი ასაკის ბავშვები – მწვანე და ლურჯის ცივ ტონალობებს.

ფერს ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არ აკისრია, როგორც იმ კონტექსტს, რომელიც ასახულია ნახატში.

ფერის ჩვეულებრივი გამოყენება. წითელი ფერი ჩვეულებრივ გამოიყენება ტუჩების, თმების, ვაშლის, ალუბლის დასახატად. ნარინჯისფერი – სვიტერის, ფორთოხლის და ა.შ. ყვითელი – ყვავილების, მზის..., ლურჯი – ცის, ტანსაცმლის, თვალების, ფარდების და ა.შ. მწვანე – ტანსაცმელი, სახურავი, ბუნება..., ბროწეულის, იასამნისფერი გამოიყენება ქალის ტანსაცმლის დასახატად, შავი – ბოლის, თმის, ფეხსაცმლის, ქამრის, კარების..., ყავისფერი ფერი გამოიყენება თმის, ტანსაცმლის, თვალების, ხის, ტოტების, კედლების დასახატად, თეთრი ფერი ღრუბლების და ა.შ.

ფერთა არაჩვეულებრივი გამოყენება. ყველაზე ემოციურ ფერად ითვლება წითელი. წითელი ფერის ზედმეტი გამოყენება მიუთითებს ადამიანის თვითგამოხატვის იმპულსურობასა და სპონტანურობაზე, აგრესიულობასა გაღიზიანებაზე, მნიშვნელოვანი ადამიანის მხრიდან აღიარების მოთხოვნილებაზე.

ნარინჯისფერი – განიხილება, როგორც ემოციურად შეკავებული წითელი ფერი. ის მიუთითებს თანაგრძნობაზე, მეგობრულ განწყობაზე ან აგრესიულ მცდელობაზე ვინმე მიიჯაჭვოს ან დაიმორჩილოს.

ყვითელი, ისე როგორც წითელი, შეიძლება მიუთითებდეს თვითგამოხატვის სპონტანურობაზე, აგრესიულობაზე. ყვითელი ფერი არის ამბივალენტური. ოქროსფერი და ყვითელი ტონალობები ასახიერებენ ინტელექტს, ინტუიციას, რწმენას და სივრცეს, ხოლო მუქი ყვითელი – შურს, პატივმოყვარეობას, დაფარულ და ურწმუნო ხასიათს.

მწვანე ფერი – შფოთვისგან გათავისუფლება, ქცევის მართვის შეგრძნება, მაგრამ არა მყარი ემოციური საფუძველით

შავი და ყავისფერი – დათრგუნულობა, შეფერხება, დეპრესია, თუ ეს ფერები არაკურატულად არის გამოყენებული.

თეთრი – ამ ფერს აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო სიმბოლური მნიშვნელობა. ერთის მხრივ მიუთითებს ანტისაზოგადოებრივ განწყობაზე, მეორეს მხრივ ტრანსცენდენტულობაზე, უბრალოებაზე, სრულყოფილებასა და სისუფთავეზე.

ასეთი სიმბოლური მნიშვნელობები ხშირ შემთხვევაში იმსახურებს ნდობას, თუმცა გასათვალისწინებელია ფერების მიმართ ბავშვის მიკერძოებული დამოკიდებულება.

აღაბაჯიის დიაგნოსტიური მეთოდია ნახატის საშუალებით

ბავშვებს ევალუბათ დახატონ სურათი „მე საბავშვო ბაღში“ ან „მე სკოლაში“ (გამომდინარე ასაკიდან). ნახატთა შეფასება ხდება შემდეგი ძირითადი პრინციპების მიხედვით, კერძოდ: 1) ნახატის სიუჟეტის ხასიათი, 2) დეკორატიული ელემენტების და დამატებითი ელემენტების არსებობა და ა.შ.

ანალიზის შედეგად გამოიყოფა 3 ჯგუფი: I ჯგუფში შედიან ის ბავშვები, რომელთაც არ აქვთ დეზადაპტაციის ნიშნები; II ჯგუფში ერთიანდებიან ბავშვები რამდენიმე დეზადაპტაციის ნიშნით, ხოლო III ჯგუფში ის ბავშვები, რომელთაც აშკარად აქვთ გამოხატული სკოლის ან ბაღის მიმართ დეზადაპტაციის ნიშნები.

ძირითადი განსხვავებები უნდა იყოს I და III ჯგუფის ბავშვებს შორის ფერის, სიუჟეტის და ადამიანების გამოსახვაში:

1) I ჯგუფის ბავშვთა ნახატებში გამოყენებული უნდა იყოს მეტი ფერი, III ჯგუფის ბავშვთა ნახატებში კი მეტი უნდა იყოს შავი-რუხი ფერები.

2) I ჯგუფის ბავშვებს გამოსახული უნდა ჰქონდეთ სასწავლო ან სათამაშო პროცესი, III ჯგუფის ბავშვებს – სახლში წასვლა ან რაიმე სხვა სიუჟეტი.

3) ადამიანების რაოდენობა I ჯგუფის ბავშვთა ნახატებში უნდა იყოს 2-ზე მეტი, III ჯგუფის ბავშვთა ნახატებში ხშირად არ არის ან მხოლოდ მასწავლებელია (აღმზრდელი) დახატული, ასევე გასათვალისწინებელია ადამიანთა გამომეტყველება (აგრესიულია თუ კეთილგანწყობილი)

ბასტი „ფარალი ბავშვები“

ყველა ბავშვს უყვარს ხატვა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ნახატის საშუალებით შესაძლებელია დადგინდეს ბავშვის ხასიათი, რეაქციები ცხოვრებისეულ სიტუაციებზე, ემოციური კლიმატი ოჯახში, აქვს თუ არა ბავშვს ნერვულ-ფსიქიკური ტრავმა და ა.შ.

ფერი, რომელსაც ხატვისას ხშირად იყენებენ ბავშვები, შეიძლება გავიგოთ მისი ხასიათის თავისებურებანი.

„ყვითელი“ ბავშვები, ყველაზე მეტად არიან მიდრეკილი შემოქმედებისაკენ, ისინი არიან თავისუფლები, ლალი, ორიგინალური, ამიტომ ხშირად იმსახურებენ იმ ადამიანებისაგან შექებას, ვინც ცდილობს მუდმივად შეინარჩუნოს წესრიგი და მორალური ჩარჩო – მორჩილი ბავშვისა. „ყვითელი“ ბავშვი არის მეოცნებე, ფანტაზიორი, მეზღაპრე, ხუმარა, მაგრამ არაპრაქტიკული და ნაკლებად მოხერხებული.

„იასამნისფერი“ ბავშვები გამოირჩევიან მდიდარი შინაგანი სამყაროთი, არტისტიზმით. იასამნისფერი არტ-თერაპიაში განიხილება როგორც საიდუმლოს, ღამის, შენიღბვის, ფიქრის, შთაგონების, ესთეტიზმის, თავშეკავებულობის სიმბოლო, ხშირად ამ ფერის გამოყენება მოუთითებს ბავშვის მგრძობიარე ხასიათზე და საჭიროებენ მხარდაჭერას, ნახალისებას, სტიმულაციას.

„წითელი“ ბავშვები არიან აქტიურები და გახსნილები. ეს ფერი მიანიშნებს სიცოცხლის ხალისზე, ენერჯიაზე, ძალაზე, ძალა-უფლებაზე, კონფლიქტზე. ასეთი ბავშვები ადვილად ღიზიანდებიან, არიან ეგოისტები და დაჟინებულები, აგრესიულები. დიდობაში სავარაუ-



დოდ, გამორჩეული იქნებიან მაღალი შრომისუნარიანობით, წარმატებებისა და ძალაუფლების მიღწევის მცდელობით.

„ლურჯ-მწვანე“ ბავშვები სავარაუდოდ გამოირჩევიან ნერვული სისტემის დაძაბულობით, მაგრამ თუ ბავშვს ეს ფერი არ მოსწონს და ეძახის „შხამიანს“, შესაძლებელია ჰქონდეს ნერვული სისტემის მეტისმეტი დაძაბულობა ან გამოფიტვა, რაც შეიძლება ვლინდებოდეს პედანტურობაში, კონტროლის მაღალ ხარისხში, შიშში, არაფერი შეეშალოს ან „წყალში ჩაეყაროს“ მიღწეული შედეგები, ფერების ენაზე ლურჯ-მწვანე ფერი ნიშნავს წყალს, ყინულს, სიცივეს, სიღრმეს, პრინციპს, სიამაყეს, ამპარტავნებას. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებს მიეცეთ მეტი თავისუფლება და ნაკლები რეგლამენტირება, ნახალისებულ იქნას ინიციატივა.

„მწვანე“ ბავშვები – სავარაუდოდ, ძალიან საჭიროებენ დედობრივ სიყვარულს, მათ ესაჭიროებათ განსაკუთრებული შემოქმედებითი მიდგომა, რათა განუვითაროთ ნდობის და გახსნილობისა უნარი.

„სტაფილოსფერი“ ბავშვი ადვილად აგზნებადია, როგორც „წითელი“ და „ყვითელი“, ასეთი ბავშვები მხიარულობენ, ცელქობენ, ხშირად ყვირიან, მაგრამ უმიზეზოდ. ყურადღება უნდა მიექცეს, თუ ბავშვი მზის გარდა, სტაფილოსფრად ხატავს ცას, ადამიანებს, დედას;

„ყავისფერი“. ყავისფერი მიიღება სტაფილოსფერისა და შავის შერევით, ამიტომ ის ბავშვები, რომლებიც ყველაფერს ხატავენ ყავისფერით, სავარაუდოდ განიცდიან გაუცნობიერებელ დისკომფორტს. შეიძლება ეს გამოწვეული იყოს: სუსტი ჯანმრთელობით, ოჯახში არსებული პრობლემებით, რაიმე დრამატული სიტუაციებით (ევაკუაცია, გაქცევა, ემიგრაცია) ან გონებრივი შეზღუდულობით. ყავისფერის გამოყენება შესაბამისად, შეიძლება მიანიშნებდეს ბავშვის სურვილს კარგი კვების, თბილი გარემოს და სიმყუდროვის მიმართ.

„შავი“ შავი ფერი მიანიშნებს საფრთხეს და მისი ხშირი გამოყენება შეიძლება მიანიშნებდეს სტრესსზე, დეპრესიასა და პრობლემებზე.

„რუხი“ ამ ფერის აქტიური გამოყენება არაა მიზანშეწონილი და შეიძლება მიანიშნებდეს გარიყულობას, სიდუხჭირეს, რუტინას, უპერსპექტივობას. ასეთი ბავშვები არიან ჩუმები, ჩაკეტილები და მშობრები.

ფსიქიკური მდგომარეობის ფერადი ხაზვითი ტასტი

მასალა: ქაღალდის ფურცელი A4 და ფერადი ფანქრები (წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, შავი, ყავისფერი, სტაფილოსფერი, ცისფერი, ვარდისფერი).

წინასწარ, ქაღალდის მარცხენა მხარეს კუთხეში იხატება კვადრატი 5სმX5სმ, ხოლო დანარჩენი თავისუფალი ადგილი ეთმობა ბავშვის ნახატს .

ინსტრუქცია I: „ბავშვებო თქვენს წინ დევს ფერადი ფანქრები და ფურცელი, მარცხენა მხარეს ხატია კვადრატი. ფერადი ფანქრებით კვადრატში უნდა დახატოთ თქვენი განწყობილება, როგორ ხასიათზე ხართ. თუ თქვენს განწყობილებას ვერ გადმოსცემთ ერთ ფერში, შეგიძლიათ გააფერადოთ სხვადასხვა ფერით“.

ინსტრუქცია II: „ბავშვებო, დაფიქრდით, რა საგანი, მოვლენა გამოხატავს თქვენ განწყობილებას? მაგალითად: ბურთი, სათამაშო..., მზე, წვიმა, ყვავილი და დახატეთ



შედეგების ანალიზი:

ფერი კვადრატში	ნახატი	განწყობილება (როგორ ხასიათზეა ბავშვი)
წითელი	რვეული, ოთახი, მაგიდა და სხვა ატრიბუტი	აქტიურობა
წითელი+ყვითელი	ცისარტყელა, ახალი წელი, ნაძვის ხე, ტორტი, ნაყინი, კანფეტი, საჩუქარი, სასრილო, მზე, საპაერო ბუშტი	მხიარული, აქტიური
მწვანე	შუქნიშანი, მანქანა, ტელევიზორი, ტრენაჟორი „სარბენი“, ჟონგლიორი	ყურადღება გამახვილებული, კონცენტრირებული
ვარდისფერი	რობოტი, კომპიუტერი, მანქანა, პრინტერი, თოჯინა	ფანტაზიორი, მეოცნებე
შავი	წვიმა, ნაჯღაზნი, მძინარე ბავშვი მაგიდასთან	დადლილობა
სტაფილოსფერი	ყვავილები, ბავშვები თამაშობენ, ცხოველები, ბავშვი ეხმარება მოხუცს, დედას	მეგობრული, კეთილმოსურნე
ყვითელი	გატეხილი ლარნაკი, ბავშვი მასწავლებელთან ან დედასთან ერთად	გულახდილობა
ცისფერი	შხაპი, აუზი, ზღვა...	ხალისიანი, ენერგიული
ლურჯი	სახტუნაო, ფრენბურთი, ფეხბურთი	აზარტული
ლურჯი	ბავშვები მასწავლებელთან, უფროს ადამიანთან	პატივისცემით მო-პყრობა ადამიანების მიმართ, ზრდილო-ბიანი
ყავისფერი	მინდორი, სასწრაფო დახმარება, ძირს დაცემული ბავშვი, დედა ეალერსება ბავშვს	თანაგრძნობა

ნახატის ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები და არსებული რეალობა

დარღვეული ქცევის ეტიოლოგია

1. აქტივობა ძირითადად მიმართულია მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტის საძიებლად;

2. როცა მოთხოვნილება არ კმაყოფილდება, მოტივაციის მიმართულება ნარჩუნდება, მაგრამ ძლიერდება მისი დაძაბულობა, ახალი მდგომარეობა განიცდება როგორც ნეგატიური, რომელსაც თან ახლავს უარყოფითი ემოციური ტონი;

3. მოტივაციის ძალა განსაზღვრავს ქცევის ემოციური ტონის ვალენტობას, ანუ მნიშვნელოვანი მიზნები მიღწევის მაღალი ალბათობით (დიდი იმედით) იწვევს დადებით აფექტს (სიხარული, სიამოვნება), ხოლო მნიშვნელოვანი მიზნები მიღწევის დაბალი ალბათობით (სუსტი იმედი) იწვევს შფოთვას ან დეპრესიულობას.

დაძაბულობა, რომელიც აღმოცენდება კრიზისული სიტუაციის დროს და თან ახლავს განცდები, ცვლის, აძლიერებს ზოგიერთ პიროვნულ მახასიათებელს და ქცევას. ძლიერი და ხანგრძლივი სტიმულაციის (დაძაბულობა, რომელიც დაკავშირებულია მოთხოვნილების



დაკმაყოფილებასთან) შედეგად ადამიანს უჩნდება ტანჯვის, წუხილის გრძნობა, რომელიც გაცნობიერებულია თუ არა, ცდილობს დაძლიოს ეს გრძნობა (ე. ფრომი). ამ გრძნობის (ტანჯვა და წუხილი) აღმოცენების მიზეზი არის ორი: **1. დეპრეზაცია** – მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება ადამიანში ძირითადი მოთხოვნილებების ხანგრძლივი დაუკმაყოფილებლობის გამო; **2. ფრუსტრაცია** – მდგომარეობა, რომელიც დგება მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში არსებული წინააღმდეგობების დროს და ახდენს მოთხოვნილებების ბლოკირებას. ფრუსტრაციისა და დეპრეზაციის მდგომარეობა შეიძლება მხოლოდ მაშინ აღმოცენდეს, თუ ემოციურმა აგზნებულობამ ანუ ტანჯვის, წუხილის ინტენსივობამ მიაღწია განსაზღვრულ დონეს, ტანჯვა, წუხილის გრძნობა ინვესს შინაგან აქტიურობას და თავდაცვის მექანიზმების ამუშავებას, რათა დაძაბულობა შემცირდეს, რასაც მოჰყვება განსაზღვრული ემოციები. ეს ემოციები შეიძლება იყოს სთენიკური (აქტივობის გაძლიერება მოქმედებისაკენ) ან ასთენიკური (აქტივობის შემცირება). სთენიკურ ემოციებს მოჰყვება მრისხანება, გაბრაზება, ხოლო ასთენიკურ ემოციებს მოჰყვება სასონარკვეთილება, სოციალური დაცემა, მარტოობა, გარიყულობა, წყენა, შფოთვა და ა.შ.

ერთ-ერთი საბაზისო ემოციური რეაქცია ტანჯვის, წუხილის შემთხვევებში არის შიშის ემოცია. კ. იზარდი თვლის, რომ შიშის დროს ერთდროულად ვლინდება: მაღალი დაძაბულობა, იმპულსურობა და აქტიურობა. ქცევით დონეზე ძლიერმა დაძაბულობამ შეიძლება გამოიწვიოს დამუხრუჭებულობა (ასთენიური შიში) ან არაადექვატური ქცევა (პანიკური, დამანგრეველი).

ასევე ერთ-ერთი საბაზისო ემოციური რეაქცია ტანჯვაზე არის მრისხანება. ს. ტომკინსის აზრით, ტანჯვა არის მრისხანების მტრული აღმძვრელი, ა. ბანდურაც თვლის, რომ მრისხანება არის ზოგადი აგზნებულობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს აგრესიის განვითარებას.

ტანჯვა – შიში – მრისხანება – ამ სამეულის ურთიერთზეგავლენა შეიძლება იყოს ადაპტაციური და დეზადაპტაციური. შიშისა და მრისხანების ურთიერთზეგავლენა უშუალოდ გავლენას ახდენს ქცევის ხასიათზე.

ხ. კალერმანის, ხ. კონტეს აზრით, როდესაც შიშის ემოცია დომინირებს, ჩნდება დათრგუნვის მექანიზმის უპირატესობა, რომელიც აყალიბებს 1) დათრგუნულ-აგრესიულ ქცევის ტიპს, (ადამიანი ზეკომფორმულია, მუდმივად დამოკიდებულია, ითხოვს დახმარებას, და აქვს დაბალი თვითშეფასება.

შიშისა და მრისხანების პარიტეტულობის შემთხვევაში მოქმედებს შერევის მექანიზმი – შედეგად ფორმირდება 2) პასიურ-აგრესიული ქცევის ტიპი (კომპრომისული ქცევა, თანამშრომლობისაკენ სწრაფვა, ავტორიტეტული ადამიანებისაგან აღიარება, ეგოცენტრულობისა და აგრესიულობის კომპენსაცია კეთილმოსურნეობის მაღალი ხარისხის ხარჯზე). შეიძლება გამოხატული იყოს შემდეგი თვისებებით: განაწყენება, ეჭვიანობა, დაფარული მტრობა ან პასუხისმგებლობითი-გულისხმიერი (მზად არის დაეხმაროს და უთანაგრძნოს გარშემო-მყოფებს, „მოქნილი როლებიანი“ პალიტრიო.)

როცა მრისხანება არის დომინირებელი ემოცია – ადგილი აქვს ინდივიდის მიერ აგრესიულ რეაქციას, რომელიც ვლინდება 3) აქტიურ-აგრესიული ტიპის ქცევაში (სპონტანურობა, მიზნის მიღწევის უნარი, თავშეუკავებლობა, ფეთქებადი ხასიათი, კრიტიკის მიმართ მოუთმენელი, ორიენტირებული საკუთარ აზრზე, დამოუკიდებელი, თვითკმაყოფილი, ნარცისიზმით შეპყრობილი, გამოხატული აღმატებულობისა და კონკურენციის გრძნობით.



ე. გელ-გორნი გამოყოფს ორი ფორმის შფოთვას: აგზნებული ფორმა, რომელიც ხასიათდება: მოუსვენრობით, ჰიპერაქტიურობით, სიმპატიკური რეაქციებით. დამუხრუჭებული ფორმა ხასიათდება ჰიპოაქტიურობით, პარასიმპატიკური რეაქციებით.

1. შფოთვის აგზნებული ფორმა აღმოცენდება მრისხანების გაძლიერების შემთხვევაში და აძლიერებს აგრესიულობას, ხოლო შფოთვის დამუხრუჭებული ფორმა შიშის გაძლიერების შემთხვევაში ხელს უწყობს ნეგატიური ფსიქიკური მდგომარეობის ფორმირებას. გამოკვლევები ამტკიცებენ, რომ შინაგანი შიშები, რომლებიც გარეთ არ ვლინდება მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ შფოთვის გამოსატულ ფორმას.

2. დეპრესია. მკვლევარები თვლიან, რომ ტრიადა „ტანჯვა – შიში – მრისხანება“ არის დეპრესიის სინდრომის ნაწილი, რომელიც მიმდინარეობს ფრუსტრაციის ან დეპრივაციის საფუძველზე. მრისხანება და მტრული გარეგნული გამოსატულება შეიძლება თრგუნავდეს ან ასუსტდეს შიშსა და დანაშაულის გრძნობას. ამრიგად, ისეთი პარამეტრები, როგორც არის „გარეგანი მტრული გამოსატულება“ შეიძლება იყოს დეპრესიულობის ინდიკატორი: რაც უფრო ღრმაა დეპრესია, მით დაბალია გარეგანი მტრული გამოსატულება.

აზრესია


მიზეზები:

- ოჯახში აგრესიული ქცევის მაგალითი.
- ძალიან მკაცრი, სასტიკი ან პირიქით, მშობლების ლიბერალური დამოკიდებულება აგრესიული ქცევის მიმართ.
- სიყვარულის, ალერსის, ყურადღების დეფიციტი.
- ბავშვის დაბალი თვითშეფასება.
- კომუნიკაციურ უნარ-ჩვევათა დარღვევა.
- წყენის განცდა.

რეკომენდაციები:

- ბავშვებთან ერთად განიხილეთ აგრესიის გამომწვევი მიზეზები და ჰკითხეთ, როგორ შეიძლებოდა ასეთ სიტუაციაში მოქცევა.
- ასწავლეთ ბავშვს მრისხანებასთან გამკლავება, ამისთვის გამოიყენეთ სხვადასხვა მეთოდი და სავარჯიშოები.
- ხშირად ჩართეთ ბავშვი სპორტულ თამაშებში, რომ მოახდინოს აგრესიული ენერჯის განტვირთვა ფიზიკური დატვირთვის ხარჯზე.
- დახატეთ ბავშვთან ერთად ფერადი საღებავებით (ფანქრებით) სხვადასხვა გრძობები (ნეგატიური, პოზიტიური) და ესაუბრეთ ბავშვს როგორ იცვლება ადამიანის სახე სხვადასხვა ემოციის დროს, ხშირად ესაუბრეთ ბავშვს თქვენი გრძნობების შესახებ და მიეცით საშუალება თვითონაც გაგიზიაროთ თავისი.
- ასწავლეთ ბავშვს თანაგრძნობა, მნიშვნელოვანია პირადი მაგალითი
- აჩვენეთ არააგრესიული ქცევის მოდელი.
- იყავით ყურადღებიანი ბავშვის სურვილების და მოთხოვნილებების მიმართ.
- იყავით თანმიმდევრული, დასჯით ნუ დაამცირებთ ბავშვს.

ქცევის აფექტურ-დინამური რეგულაცია





აგრესიული ქცევის კორექცია

მსოფლიო ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში ბავშვის აგრესიული ქცევის ბუნების შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს, აქედან გამომდინარე ფსიქოლოგიური მიდგომაც არის სხვადასხვა.

1. ფსიქონალიტიკური მიდგომა

ფსიქონალიტიკური მიდგომა უფრო ხშირად ბავშვის აგრესიულობის მიზეზად განიხილავს: ა) გადაუჭრელ პრობლემებს, კონფლიქტებს მნიშვნელოვან ადამიანებთან; ბ) ემოციური მოთხოვნილებების დეპრივაციას ან გ) გადატანილ ფსიქიკურ ტრავმებს, ამიტომ ძირითადი აქცენტი კეთდება პიროვნების (ბავშვის) გრძნობების ემოციურ-სიმბოლურ გამოხატვაზე (კათარზისი). ბავშვებთან გამოიყენება, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური ფორმა.

ინდივიდუალური მეთოდების გამოყენება, კერძოდ, სპონტანური ან მიზანმიმართული ხატვა ემსახურება იმას, რომ სხვადასხვა მიზეზით გადატანილი ტრავმები (შეგრძნებები, ემოციები) ინტერნალიზირდება ბავშვის მიერ, ასეთ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მხოლოდ საუბრის მეთოდით შეუძლებელია ფსიქოლოგიური ტრავმის აღმოფხვრა. ხატვით, ფერწერით, თიხასთან მუშაობით, რომელიც ინტეგრირებულია ინსცენირებასთან და სიტუაციების გათამაშებასთან, ეხმარება ბავშვს მოახდინოს განცდების ექსტერნაცია, რაც ფსიქიკის შემდგომი განვითარების საფუძველს ქმნის.

ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობის ეტაპები მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

1. პირველ კონსულტაციაზე აუცილებელია რაპორტის დამყარება ანუ ბავშვთან ნდობით აღჭურვილი კონტაქტის დამყარება, ამიტომ არ არის რეკომენდირებული ხატვით დაწყება, ჯობია ხატვითი დავალება მიეცეს სახლში. ასეთ შემთხვევაში შემდეგი კონსულტაცია უნდა დაიწყოს ამ ნახატის განხილვით;

2. ხატვა შეიძლება გამოვიყენოთ საუბრის დროს. ამ შემთხვევაში ხატვა დაეხმარება ბავშვს უკეთ გამოსატოს თავისი აზრები და გრძნობები;

3. თავდაპირველად, ბავშვმა თვითონ უნდა აირჩიოს სახატავი თემა და საშუალებები;

4. მას შემდეგ, რაც შედგება მყარი რაპორტი, ბავშვს შეიძლება შეეთავაზოთ კონკრეტული თემა, გამოვიყენოთ პროექციული მეთოდიკები: „სახლი – ხე – ადამიანი“, „არარსებული ცხოველი“.

ტრენინგის პროგრამა მოიცავს აგრესიული ქცევის ნაბიჯ-ნაბიჯ შეცვლის მოდელს:

I ნაბიჯი – „გაცნობიერება“: ინფორმაციის გაფართოება საკუთარი პიროვნების და აგრესიული ქცევის გარშემო;

II ნაბიჯი – „საკუთარი პიროვნების გადაფასება“: მისი შეფასება, თუ რას ფიქრობს და გრძნობს ბავშვი საკუთარ თავზე და საკუთარ ქცევაზე;

III ნაბიჯი – „ გადაფასება“: შეფასება იმისა, თუ როგორ მოქმედებს ბავშვის აგრესიული ქცევა გარშემომყოფებზე;

IV ნაბიჯი – „შიგაჯგუფური მხარდაჭერა“: გახსნილობა, ნდობა და თანაგრძნობა ჯგუფის მხრიდან ბავშვის აგრესიულ ქცევაზე და მის შედეგებზე;

V ნაბიჯი – „კათარზისი“: შეგრძნებები და ემოციები აგრესიულ ქცევასთან მიმართებაში;

VI ნაბიჯი – „მე“-ს დამყარება: ძიება, არჩევანი და გადანყვეტილების მიღება მოქმედებასთან დაკავშირებით, საკუთარ თავში დარწმუნებულობის და ქცევის შეცვლის უნარის ფორმირება;



VII ნაბიჯი – „ალტერნატივის ძიება“: აგრესიული ქცევის შეცვლის ალტერნატიული გზების განხილვა;

VIII ნაბიჯი – „სტიმულებზე კონტროლი“: იმ სტიმულებისგან თავის დაღწევა, რომელიც პროვოცირებს აგრესიულ ქცევას;

IX ნაბიჯი – „გამყარება“: თვითსტიმულირება, თვითნახალისება ან წახალისება გარშემომყოფთა მხრიდან ქცევის შესაცვლელად;

X ნაბიჯი – „სოციალიზაცია“: შესაძლებლობების გაფართოება სოციალურ ცხოვრებაში და აგრესიულ ქცევებზე უარის თქმა.

ირიბი აზრესია

ირიბ აგრესიად ითვლება ადამიანის ისეთი ქცევა, რომელიც ირიბად მიმართულია სხვა ადამიანისკენ, მაგ: ბოროტი ჭორები, ხუმრობები, ასევე მრისხანება გამოხატული ყვირილით, ფეხების ბაკუნით, მაგიდაზე მუშტების ბრახუნით და ა.შ.

ირიბი აგრესიის მექანიზმი დაკავშირებულია ისეთ ფენომენთან, როგორცაა „გადატანა“ მაგ: როდესაც დედა ბავშვს არ აძლევს კანფეტს, ბავშვი სიბრაზისაგან ისვრის სათამაშოს, რადგან ვერ ბედავს პირდაპირ გამოავლინოს დედის მიმართ აგრესია და გადააქვს სხვა ობიექტზე.

თუ ბავშვს აქვს პატივისცემის გრძნობა და დამჯერია, ის ყოველთვის თავს დამნაშავედ გრძნობს აგრესიული ქცევის გამო, ფიქრობს, რომ დაკარგავს სიყვარულსა და ზრუნვას. თავის მხრივ სიყვარულისა და ზრუნვის დაკარგვის შიშმა შეიძლება განავითაროს აგრესია. იკვრება ჯადოსნური წრე – ერთის მხრივ, ბავშვი დათრგუნულად გრძნობს თავს მშობლების მხრიდან, მეორეს მხრივ, აქვს საკუთარი დანაშაულისა და შიშის გრძნობა. ზოგიერთი ბავშვის აგრესიულობა იღებს დამანგრეველ ფორმას, ხევის წიგნებს, ყრის ნივთებს ძირს, განგებ აფუჭებს სათამაშოებს. ამ შემთხვევაში მშობლებს სჭირდებათ დიდი მოთმინება, რომ აგრესიაზე აგრესიით არ უპასუხონ, უნდა დაადგინონ, რატომ იქცევა ბავშვი ასე მტრულად და აგრესიულად. მიზეზი შეიძლება იყოს ბავშვის ინტერესების მიმართ უყურადღებობა ან ბევრი აკრძალვა.

კიდევ ერთი მიზეზი, როდესაც ბავშვი განგებ იწყებს სათამაშოს მტვრევას, განადგურებას, არის შური, რომელიც თვითდამკვიდრების ტენდენციით არის გამოწვეული, მაგ: ბავშვს შეიძლება შურდეს იმ ბავშვის, რომელიც მასზე უკეთ აწყობს კუბებისაგან ან კონსტრუქტორისაგან კოშკს. ბავშვში თვითშეფასება დაბლდება, მასში ჩნდება შურის გრძნობა და აგრესია მიდის არა ბავშვთან, არამედ აწყობილ კოშკთან, ანგრევს მას და ცდილობს აჩვენოს უპირატესობა, დაიმკვიდროს თავი. აგრესიულობის მიზეზი შეიძლება ასევე იყოს ბავშვის ეგოიზმი, მესაკუთრეობა, თავში დაურწმუნებლობა.

რეკომენდაცია:

- ბავშვის მიერ ძალით დამტვრეული სათამაშო არასოდეს არ შეცვალოთ ახლით, შეაკეთეთ ბავშვთან ერთად, რათა ბავშვმა თვალსაჩინოდ დაინახოს თავისი ქცევის შედეგი;
- უმჯობესია ბავშვს მისცეთ ისეთი სათამაშო, რომელიც იშლება ნაწილებად, რათა დაიკმაყოფილოს ცნობისმოყვარეობა;
- რბილად გამოხატეთ უკმაყოფილება და გაღიზიანება ბავშვის აგრესიული ქცევის გამო;



- ბავშვს ესაჭიროება სიყვარული და მზრუნველობა მშობლების, ახლობლების მხრიდან, რომ იშვიათად გამოავლინოს აგრესია, მრისხანება და ეგოიზმი
- ბავშვის მიერ დაყრილი ან გაფუჭებული სათამაშოები უმჯობესია თვითონ მოანერგოს ან თქვენთან ერთად. მიმართვა ბავშვის მიმართ უნდა იყოს არა მბრძანებლური, არამედ მასტიმულირებელი, პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, მშობელმა უნდა გამოხატოს მადლიერება;
- ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის მრისხანების შემთხვევაში უფროსი ადამიანის ხმის ტონი იყოს დაბალი. ბავშვისთვის ეს იქნება კარგი მაგალითი და მეტი ყურადღების მიპყრობის საშუალება.

ბავშვთან ურთიერთობა აგრესიული ქცევის შემდეგ

1. იძულებით ბოდიშის მოხდა გაუმართლებელია, ბავშვები ადვილად ითვისებენ ფორმულას „ბოდიში“, რათა აარიდონ თავი არასასიამოვნო სიტუაციებს;
2. ბავშვის აგრესიულ ქცევასთან დაკავშირებით იყავით პრინციპული, მოკლედ და გასაგებად აუხსენით, რადგანაც ბავშვი ასეთ მდგომარეობაში ვერ მოისმენს დიდხანს უფროსის ახსნა-განმარტებას;
3. აგრესიულ ბავშვს ხშირად სჯიან იმით, რომ უკრძალავენ საყვარელი სათამაშოთი თამაშს ან ხდება პრივილეგიების შეკვეცა. ნუ დასჯით მთელი დღის განმავლობაში, მას მალე ავიწყდება დასჯის მიზეზი, სამაგიეროდ, მისი აზრები ფოკუსირდება იმაზე, რომ აუკრძალეს საყვარელი სათამაშოთი თამაში, რაც იწვევს მეტ აგრესიას და გაღიზიანებას;
4. ყველაზე არაეფექტურია აგრესიაზე აგრესიით პასუხი.

მნიშვნელოვანია:

1. მოთმინება;
2. ახსნა – ბავშვს უნდა აუხსნათ, რატომ არის მისი ქცევა არასწორი. ახსნა უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე და კონკრეტული
3. ყურადღების გადატანა – უფროსი უნდა ეცადოს ბავშვს შესთავაზოს მისთვის უფრო საინტერესო აქტივობა
4. აუჩქარებლობა – ნუ იჩქარებთ დასაჯოთ აგრესიული ბავშვი, შეიძლება ასეთი ქცევა მალე განმეორდეს.
5. ჯილდო – ეცადეთ ყოველთვის შეაქოთ აგრესიული ბავშვი კარგი ქცევის გამო. ნუ დაიშურებთ კეთილ, გამამხნეველ და თბილ სიტყვებს;
6. სახალისო წესები – ბავშვს შესთავაზეთ თამაშის ისეთი წესები, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც უფროსებიც დაისჯებიან. ბავშვი იგრძნობს, რომ მშობლებიც ემორჩილებიან ქცევის წესებს, მაგ: ვინც სახლში უმიზეზოდ გაბრაზდება, იყვირებს და ცუდ სიტყვას იტყვის, არ შეჭამს შოკოლადს, არ წავა სასეირნოდ და არ უყურებს ტელევიზორს გარკვეული დრო...

აგრესიული ბავშვის დასჯა არის გაუმართლებელი, რადგან:

1. ფიზიკური დასჯის საფუძველზე ბავშვი არ აღიარებს, არ სცნობს მშობლის ავტორიტეტს, არამედ ეშინია მშობლების;
2. ფიზიკური დასჯის პროცესში მშობელი თვითონ ავლენს ხასიათის ცუდ თვისებებს და ცუდი ქცევის მაგალითს იძლევა;



3. ფიზიკური დასჯა არ ცვლის, არამედ ამყარებს ბავშვის ქცევას;
4. ფიზიკური დასჯა არ მოითხოვს მშობლებისგან არც ნიჭს და არც უნარს;
5. აღზრდის მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ ბავშვის ქცევის, არამედ სურვილის შეცვლა.

ბავშვის ან მოზარდის შესახებ პირველადი ინფორმაციის მოსაპოვებლად ვიყენებთ შემდეგი სახის კითხვებს:

- ა) რა არ მომწონს და რა მომწონს ცხოვრებაში;
- ბ) რა არ მომწონს და რა მომწონს სახლში;
- გ) რა არ მომწონს და რა მომწონს ბაღში (სკოლაში).

აგრესიულობის სოციალიზაცია

აგრესიულობის სოციალიზაცია გულისხმობს დასწავლის პროცესს, საკუთარი აგრესიული მისწრაფებების კონტროლს და გამოხატვის ფორმის ძიებას განსაზღვრულ სოციალურ საზოგადოებაში.

ადამიანის „ბუნებრივი“ აგრესიული პოტენციალი არსად არა იკარგება ასაკის ზრდასთან ერთად. სოციალიზაციის შედეგად ადამიანი სწავლობს საკუთარი აგრესიული იმპულსების რეგულირებას, ადაპტირდება, ითვალისწინებს რა საზოგადოების მოთხოვნებს.

ქცევის დასწავლის ძირითადი მექანიზმებია:

1) იმიტაცია – არეკვლა მიმიკური და პანტომიმიკური მოძრაობების. ბავშვი იმიტირებს 5 თვის ასაკიდან.

2) კოპირება – სპეციფიკური მოძრაობების ზუსტი აღდგენა.

3) მიბაძვა – ბავშვის მიერ დანახული ქცევის მანერის აქტიური აღდგენა. მიბაძვის დროს ხდება „მე“-ს შედარება მოდელთან და იდეალურ „მე“-სთან. მიბაძვა იყოფა ორ კატეგორიად: ინსტიტუტური მიბაძვა – ურთიერთსტიმულაცია, მაგ: პანიკა, ჯგუფში აგრესიული ქცევები; ფეხბურთის ფანატების ქცევა სტადიონზე და ა.შ. იმიტაციური მიბაძვა – ქცევის ფორმების გაფართოების საშუალება სხვების გამოცდილების ხარჯზე, რაც ხელს უწყობს ადაპტაციას.

4) იდენტიფიკაცია – გაიგივება ვინმესთან, რამესთან, როდესაც სუბიექტი ითვისებს სხვა ადამიანის თვისებებს, ატრიბუტიკას და გარდაქმნის საკუთარ თავს (მთლიანად ან ნაწილობრივ). იდენტიფიკაცია მოიცავს 3 ურთიერთდაკავშირებულ სფეროს:

1. მყარი ემოციური კავშირი (სუბიექტის გაერთიანების პროცესი ინდივიდთან ან ჯგუფთან ემოციურ საფუძველზე);

2. აღქმა (სუბიექტის მიერ სხვა ადამიანის აღქმა, როგორც მისი გაგრძელება და პროექცია, ანუ მას მიანერს თავის ხასიათს, გრძნობებს, სურვილებს);

3. ჩალრმავება და წარმოდგენები სხვა ადამიანის ადგილას (საკუთარი თავის გადატანა სხვა სივრცესა და დროში).

რ. სირსის, ე. მაკკობის და კ. ლევიანის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ აგრესიის სოციალიზაციაში არის 2 მნიშვნელოვანი მომენტი:

1. შემწყნარებლობა მშობლების მხრიდან (მშობლების მზაობა ბავშვს აპატიოს ცუდი საქციელი);

2. დასჯის სიმკაცრე მშობლების მხრიდან აგრესიული ქცევის შემთხვევაში.



ჰიპოთეზა იყო შემდეგი: თუ ჩავთვლით, რომ დასჯა თრგუნავს არასასურველ ქცევას, მაშინ რაც უფრო მკაცრად იქნება დასჯილი ბავშვი აგრესიული ქცევის გამო, მით უფრო ნაკლებად უნდა იყოს გამოვლენილი აგრესია, მაგრამ ცხოვრებაში სურათი პრაქტიკულად სხვადასხვაგვარია. გამოკვლევები ჩატარდა დედებთან, რომლებიც აღზრდის სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ. შედეგები მოცემულია ცხრილში. მოცემული შედეგები აჩვენებს, რომ უფრო მეტად შემწყნარებელია (C ჯგუფი) და უფრო მომთხოვნი (B ჯგუფი) მშობელი, ბავშვები ბევრად არ განსხვავდებიან აგრესიული გამოვლინებებით. ნაკლებად აგრესიული ბავშვების მშობლები (A ჯგუფი) აღმოჩნდნენ ისინი, ვინც არ იყო შემწყნარებელი და არც იყენებდა დასჯის მეთოდს. მათი პოზიცია მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი „სამართლებდნენ,“ არჩევდნენ ბავშვის აგრესიულ ქცევას, რომ მათ გაცნობიერებინათ საკუთარი საქციელი. მეტად აგრესიული ბავშვების დედები (D ჯგუფი) თვლიდნენ, რომ ბავშვის ნებისმიერი ქცევა იყო მისაღები, არ აძლევდნენ დიდ მნიშვნელობას და არ სჯიდნენ, არ გამოთქვამდნენ აგრესიული ქცევის გამო ნეგატიურ დამოკიდებულებას, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა იგივე მშობლები ბავშვს მკაცრად სჯიდნენ სხვადასხვა საქციელის გამო.

დასკვნა შეიძლება იყოს შემდეგი: ბავშვის მკაცრი დასჯა იმ შემთხვევაში, როცა მან არ იცის რისთვის სჯიან, იწვევს ბავშვში მტრულ დამოკიდებულებას და მეტ აგრესიულობას. ამას გარდა, ის მშობელი, რომელიც აღზრდის მეთოდად იყენებს დასჯას, ბავშვს აძლევს აგრესიული ქცევის მაგალითს, რომ აგრესია – არის ნორმალური გზა ფრუსტრაციის დასაძლევად.

მშობლის მუდმივმა სიმკაცრემ, მგრძობიარე ბავშვში შეიძლება გამოიწვიოს აგრესიული იმპულსების დათრგუნვა მშობლების თანდასწრებით, მაგრამ სახლის გარეთ ბავშვი მაინც მოიქცევა აგრესიულად. საინტერესოა როგორი შესაბამისობა მშობლების ძალადობასა და ბავშვის აგრესიულობას შორის. სხვადასხვანაირია მშობლების დამოკიდებულება გოგონასა და ბიჭის ქცევის მიმართ, მამები უფრო შემწყნარებლები არიან გოგონების მიმართ, ხოლო დედები ბიჭების მიმართ. მამები უფრო მეტად იყენებენ ფიზიკურ დასჯას, ხოლო დედები ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. მთლიანობაში გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ბიჭები უფრო ხშირად ხვდებიან ფიზიკური დასჯის ქვეშ, ვიდრე გოგონები, ამიტომ წინააღმდეგობა უფრო დიდია ბიჭების მხრიდან.

ჯგუფი	აღზრდის სტილი	აგრესიულ ბავშვთა % რიცხვი	
		ბიჭები	გოგონები
A	შემწყნარებლობის დაბალი ხარისხი დასჯის დაბალი ხარისხი	3,7	13,3
B	შემწყნარებლობის დაბალი ხარისხი დასჯის მაღალი ხარისხი	20,4	19,1
C	შემწყნარებლობის მაღალი ხარისხი დასჯის დაბალი ხარისხი	25,3	29,6
D	შემწყნარებლობის მაღალი ხარისხი დასჯის მაღალი ხარისხი	41,7	38,1

ამრიგად დასწავლის სოციალური თეორიის მიხედვით, აგრესიული ქცევის ფორმირება შეიძლება მოხდეს რამდენიმე გზით:

1. მშობლები ხშირად უბიძგებენ ბავშვს აგრესიული ქცევისკენ, როცა სჯიან ბავშვს ფიზიკურად, იყენებენ აგრესიას სხვის მიმართ ან აღწევენ წარმატებას აგრესიულობის



ხარჯზე. ბავშვი ხედავს მოდელს, ნიმუშს, მითუმეტეს, თუ უფროსი ადამიანი მისთვის ავტორიტეტია;

2. მშობლები, რომლებიც მკაცრად სჯიან და თრგუნავენ ბავშვის აგრესიას, მომავალში ეს აგრესია აუცილებლად გამოვლინდება.

მშობლები, რომლებიც არ რეაგირებენ ადექვატურად ბავშვის აგრესიული ქცევის გამო, სავარაუდოდ მასში ზრდიან აგრესიულობას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აგრესიის ნახალისება დროთა განმავლობაში უყალიბებს მაღალი ხარისხის აგრესიულობას, როგორც მის პიროვნულ მახასიათებელს.

ფსიქოლოგის მუშაობა აზრსიულ ბავშვებთან

ბავშვის აგრესიულობის მიზეზი შეიძლება იყოს დაბალი სოციალური სტატუსი, მითუმეტეს თუ ლიდერობისგან აქვს სწრაფვა, ასევე შიშები, შფოთვა; ბავშვებისთვის სოციალური სტატუსი განისაზღვრება მთელი რიგი ფაქტორებით:

- გარეგნული მიმზიდველობა, აკურატულობა, ჰიგიენური უნარების მაღალი ხარისხი.
- ლამაზი, საინტერესო და პოპულარული სათამაშოების ფლობა და მათი გაზიარება სხვა ბავშვებთან.
- ორგანიზატორული უნარები.
- უფროსების მხრიდან პოზიტიური შეფასება.
- ასაკის შესაბამისი შემეცნებითი განვითარების დონე.

აბხანოლოგის ბანსაზღვის დიპლომატიის მეთოდები

ბავშვები	<ol style="list-style-type: none"> 1. დაკვირვება ბავშვის ქცევაზე თამაშის და აქტივობის დროს 2. თოჯინებისა და სათამაშოების გამოყენებით დირექტიული თამაში 3. რ. ჟილის ტესტი 4. როზენცვეიგის ტესტი 5. "Hand"-Test 6. ხატვითი ტესტი „არარსებული ცხოველი“, „კაქტუსი“ „ოჯახი“
მშობლები	აგრესიულობის შეფასების ტესტი
პედაგოგები	ანკეტა

ფსიქოკორექციული მუშაობა აგრესიულ ბავშვებთან ითვალისწინებს შემდეგ ამოცანებს:

- ა) ემპათიის განვითარება
 - ბ) საკუთარი ემოციების გამოხატვის უნარის განვითარება სოციალურად მიღებულ ფორმაში;
 - გ) დაძაბულობის მოხდა და აუტორელაქსაციის სწავლება;
 - დ) ურთიერთობის უნარ-ჩვევების სწავლება-განვითარება;
 - ე) პოზიტიური თვითშეფასების ფორმირება პირადი მიღწევების საფუძველზე.
- აგრესიულობის დასაძლევად ფსიქოლოგები გვთავაზობენ რამდენიმე ვარიანტს თამაშის სახით:

- ჩხუბი ბალიშით
- ფიზიკური ვარჯიში
- ქალაქების დახევა
- დახატვა და სურვილის მიხედვით დახატულის დახევა, დაჭმუჭვნა და გადაგდება
- ჩასაყვირად ქიქის გამოყენება
- სათამაშო ჩაქურჩის გამოყენება და ა.შ.

აგრესიულ ბავშვებთან კორექციის მიზნით ასევე გამოყენებული უნდა იყოს:

- ფსიქოვარჯიშები
- ეტიუდები და თამაშები ქცევის ფორმირებისათვის
- თამაშები და სავარჯიშოები ბავშვების მიერ ხასიათის ნაკლოვანი მხარეების გასაცნობიერებლად
- თამაშები და სავარჯიშოები პოზიტიური მოდელების გასავითარებლად.

ბავშვებთან მალალეფექტურია არტ-თერაპიის გამოყენება, რადგან ბავშვებს სიამოვნებათ წყალთან, ქვიშასთან, თიხასთან ურთიერთობა, ასევე ხატვა თითებით, ხელისგულებით.

აგრესიულ ბავშვებთან ეფექტურია თოჯინათერაპიის გამოყენება, სპექტაკლების დადგმა, სადაც მათ ეძლევათ საშუალება განასახიერონ დადებითი გმირები.

აგრესიულ ბავშვებთან განსაზღვრული დრო ეთმობა ინდივიდუალურ მუშაობას, რის შემდეგაც აუცილებელია მათი ჩართვა ჯგუფურ აქტივობაში.

გაზბალბთერაპიის გამოყენება აგრესიულ ბავშვებთან

ბავშვის ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დიდად არის დამოკიდებული უფროს ადამიანზე, ამიტომ სრულფასოვნად ვითარდება მხოლოდ ის ბავშვი, ვინც იზრდება ისეთ გარემოში, სადაც ბავშვი მიღებულია და უყვართ. როცა ბავშვი გრძნობს არაკეთილგანწყობას, გარიყვას, განსაკუთრებით მშობლის მხრიდან, განიცდის ამას როგორც სიყვარულის დაკარგვას, არ იცის როგორ გაუმკლავდეს ემოციას და ცდილობს შეაკავოს ან დათრგუნოს. შეკავებული ემოცია რჩება და უარყოფითად ზემოქმედებს ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ყველა გრძნობა დაკავშირებულია ფიზილოგიურ ცვლილებებთან, რომელიც ვლინდება კუნთურ და სხეულებრივ ცვლილებებში. თუ ბავშვი ვერ ახერხებს თავისი მრისხანების გამოხატვას პირდაპირ, ის აუცილებლად გამოხატავს ამას ირიბი გზით.

ბავშვის ორგანიზმი ცდილობს აღიდგინოს წონასწორობა, რომელიც დაირღვა მოთხოვნილებების დაუკმაყოფილების საფუძველზე. ვ. ოკლანდერი გამოყოფს 4 ეტაპს იმ ბავშვებთან სამუშაოდ, ვისაც შეკავებული აქვთ ემოციები. ეს ეტაპები შეიძლება განვიხილოთ მრისხანების ფონზე

პირველი – ბავშვებთან ერთად განვიხილოთ მრისხანების პრობლემა, რა არის მრისხანება, რას ნიშნავს აგრესია, როგორ არის გამოხატული ეს მდგომარეობა, როგორ ვლინდება „მრისხანება“ ბავშვში, რა სხეულებრივი ცვლილებებია. დასახელებული იქნას ის სიტყვები, აზრები, რომელიც დაკავშირებულია ამ ემოციასთან და დაინეროს დაფაზე ან დიდ ფურცელზე.



მეორე – ბავშვებს მივანდოთ პრაქტიკაში მიღებული მეთოდები დათრგუნული მრისხანების გამოსახატად. ბავშვებს უნდა დავეხმაროთ გაიგოს მრისხანების მიზეზები და აირჩიოს გრძნობების გამოხატვის სხვადასხვა საშუალება.

მესამე – დავეხმაროთ ბავშვს მრისხანების გამოხატვის რეალურ აღქმაში. რა ცვლილებები ხდება სხეულში, რომ დააკავშირონ ემოცია ჯანმრთელობასთან.

მეოთხე – ბავშვებს მივცეთ საშუალება ვერბალურად გადმოსცენ გრძნობები, რაც აწუხებთ. შეიძლება გამოვიყენოთ „ცარიელი სკამის“ მეთოდი, ბავშვმა უნდა წარმოიდგინოს ის ადამიანი, ვინც აბრაზებს და ყველაფერი უთხრას, რასაც ფიქრობს მასზე. ასევე შესაძლებელია თიხისგან გამოძერწოს ის, ვისზეც არის გაბრაზებული, შემდეგ კი გადაზილოს და სხვა ფორმა მისცეს.

ვ. ოკლანდური ბავშვებთან სამუშაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხატვას და გვთავაზობს სხვადასხვა თემას დასახატად:

I. ერთი წთ-ის განმავლობაში შეხედეთ ყვავილს (ყვავილი წინასწარ არის მოცემული) და შემდეგ დახატეთ არა ყვავილი, არამედ ის გრძნობა, ემოცია, რომელიც დაგეუფლათ ყვავილის დანახვისას.

II. ეცადეთ გამოხატოთ თქვენი სამყარო ფერში, ფორმაში, სიმბოლოში, როგორ უნდა გამოიყურებოდეს თქვენთვის სამყარო?

III. გააკეთეთ რამდენიმე სუნთქვითი ვარჯიში და აღწერეთ რას გრძნობთ?

IV. დახატეთ ის, რაც გაბრაზებთ. დახატეთ თქვენთვის არასასიამოვნო ადგილი, კიდეც სხვა რამ, რასაც ვერ იტანთ, რისთვისაც იტირეთ ბოლოს, რას გრძნობთ ეხლა და რას გინდა გრძნობდეთ.

V. დახატეთ თქვენი თავი, ეხლა როგორ ხართ, როგორი გინდა იყოთ დიდი რომ გაიზრდებით?

VI. დაგბრუნდეთ წარსულში და დახატეთ ის დრო, როცა თავს გრძნობდით კარგად ან საგანი, რომელიც გაგახსენდათ (ოჯახური სცენა, სიზმარი და ა.შ.)

VII. ახლა გავიხედოთ მომავალში და დახატეთ სად გინდათ იყოთ, თქვენი იდეალური ადგილი, საყვარელი ადგილი.

VIII. შეხედეთ (გამოიყენეთ ყვავილი, ფოთოლი, ნიჟარა, ფერები) 2 წთ, შემდეგ კი გამოხატეთ თქვენი გრძნობები სიტყვების, ფერების საშუალებით.

IX. დახატეთ თქვენი 1) ოჯახი სიმბოლურად ცხოველების სახით; 2) ფერების საშუალებით; 3) თქვენი ოჯახის წევრები საქმიანობის დროს; 4) ა) თქვენი შინაგანი „მე“, ბ) სოციალური „მე“ – როგორ გაფასებენ გარშემომყოფი ადამიანები და გ) როგორ გინდათ იყოთ შეფასებული გარშემომყოფთა მხრიდან?

X. დახატეთ: როდესაც გრძნობთ მოწყენილობას, მოუსვენრობას, ეჭვიანობას, მარტოობას.

XI. დახატეთ: ბედნიერი ხაზები, რბილი ხაზები, მოწყენილი, გაბრაზებული, შეშინებული ხაზები.

XII. დახატეთ, გადმოეცით: სიყვარული, ზიზღი, სილამაზე, შფოთვა, თავისუფლება, სივრცე და ა.შ.



ბავშვთან და მოზარდთან მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი უზიარებდეს ფსიქოლოგს თავის განცდებს, ემოციებს, ღიად საუბრობდეს ნახატის შესახებ, რაც ხელს უწყობს ბავშვის მიერ საკუთარი „მე“-ს გაცნობიერებას.

- ბავშვმა უნდა აღწეროს სურათი ისე, თითქოს თვითონ არის ნახატი, მაგ: მე ვარ ნახატი, ჩემს ზედაპირზე განლაგებულია წითელი ხაზები, შუაში ცისფერი კვადრატი. ბავშვი ნახატზე ირჩევს ისეთ საგანს, რაზეც მოახდენს იდენტიფიცირებას და აღწერს მას. აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვს უსვამთ კითხვებს: რას აკეთებ? ვინ არის კარგი ნახატში?

- ბავშვს ვთხოვთ აწარმოოს დიალოგი ნახატის ორ ნაწილს შორის, რომლებიც ეხება ერთმანეთს ან წარმოადგენს ურთიერთსაწინააღმდეგო წერტილს, მაგ: გზა და ავტომობილი, კვადრატის ხაზები, ნახატის მოწყენილი და ბედნიერი მხარე.

- ბავშვს ვთხოვთ მოიფიქროს, რა ფერებში შეასრულებს ნახატს, გამოთქვას აზრი იმის შესახებ, თუ რა ფერებში წარმოუდგენია ესა თუ ის თემა და ა.შ

- ყურადღებას ვაქცევთ ბავშვის ქცევის გარეგნულ გამოხატულებებს: ხმას, სხეულის მდგომარეობას, სახის გამომეტყველებას, უესტს, მიმიკას, სუნთქვას, პოზას, სიჩუმეს, რომელიც შეიძლება ნიშნავდეს კონტროლს, გააზრებას, გახსენებას, რეგრესიას, შფოთვის, შიშს.

- ყურადღება ექცევა წინა პლანზე დახატულ საგნებს, მოვლენებს

- ხატვის გარდა გეშტალტ-თერაპია მიმართავს მუსიკას გრძნობების გამოსახატად, შემოქმედებით თამაშ-დრამატიზაციას, ისტორიებს, ზღაპრებს, ტექსტის კითხვას, მულტიფილმების ჩვენებასა და განხილვას.

ტყეილის თქმის მიზანები და მოტივები სკოლამდელ და სასკოლო ასაკში

1. პარადოქსული მეხსიერება (რემინისცენციის მოვლენა);
2. ანაქრონიზმი – სხვადასხვა პერიოდის ფაქტების აღრევა;
3. სიზმრები;
4. ეიდეტური აზროვნება
5. სოციალური (სხვისი „გადარჩენა“, საიდუმლოს შენახვა);
6. ასოციალური (შიშის, სიმორცხვის, სიხარბის გამო);
7. ანტისოციალური (ცილისწამება, ტყუილი).
8. შიში.

ზღაპართერაპია

ზღაპართერაპია არის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ზღაპრით მკურნალობას. ზღაპრებში ასახული ხატები ეხება ადამიანის როგორც ცნობიერ, ისე ქვეცნობიერ სფეროს. ზღაპრები არის მხატვრული, დიდაქტიკური, სასწავლო, ფსიქოლოგიური, რომელიც თავის მხრივ იყოფა ფსიქო-თერაპიულ, ფსიქოკორექციულ და მედიტაციურ ზღაპრებად.

ფსიქოთერაპიული ზღაპრები – შეიძლება იყოს თქმულებები, ბიბლიური თემები ან ფსიქოთერაპევტის მიერ დამუშავებული. (ინდივიდუალური მუშაობისათვის). ფსიქოთერა-



პიული ზღაპრები ეხმარება ადამიანებს სხვადასხვა პიროვნული პრობლემების გადაწყვეტაში (ცხოვრების აზრის ძიება, შინაგანი კონფლიქტები, საკუთარი ადგილის მოძებნა ცხოვრებაში და ა.შ. ასევე ფსიქოსომატური დაავადებების დროს.

ფსიქოკორექციული ზღაპრები – მზა მოდელი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული მოკლევადიანი ამოცანის გადასაწყვეტად, მაგ: აგრესიული ქცევის, გაუბედაობის, ჰიპერაქტივობის კორექციისათვის.

მედიტაციური ზღაპრები – ზღაპრების განსაკუთრებული სახე, რომელიც გამოიყენება დაძაბულობის მოსახსნელად, მედიტაციური ზღაპრები იკითხება სპეციალური მუსიკის ქვეშ.

ფსიქოთერაპიული ზღაპრების კითხვა შეიძლება 3-4 წლის ასაკიდან, როცა ბავშვს უკვე განვითარებული აქვს აქტიური მეტყველება და შეუძლია დიალოგი უფროს ადამიანთან.

როგორ დავხაროთ ჩვენი ზღაპარი?

ზღაპრის შეთხზვა შეუძლია არა მხოლოდ დიდ ადამიანს, არამედ ბავშვსაც. ზღაპრის შეთხზვის პროცესში კორექტირდება ქცევა, ბავშვი იფიქრებს აქტიურ მეტყველებას, აზროვნებას, წარმოსახვას და ა.შ. ზღაპრის შეთხზვისას უნდა გათვალისწინებულ იქნას ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები:

– ბავშვებს 3-დან 5 წლამდე აინტერესებთ ზღაპრები, რომელთა გმირები არიან ცხოველები და ხშირად მათთან ახდენენ იდენტიფიცირებას.

დაახლოებით 4 წლიდან მნიშვნელოვანია ისეთი ზღაპრების გამოყენება, სადაც აქცენტი იქნება ბავშვის სქესზე, მაგ: გოგონასათვის აუცილებელია ისეთი ზღაპრები, სადაც მოთხრობილია ბედნიერი პრინცესას ცხოვრების შესახებ, ხოლო ვაჟკაცის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ისეთი ზღაპრების შეთხზვა, სადაც მთავარი გმირები იქნებიან არა რობოტები და მონსტრები, არამედ რაინდები, პრინცები, გმირები, რომლებმაც გაიარეს რთული გზა, გაუმკლავდნენ პრობლემებს და გამოავლინეს სიკეთე, ძალა და მეგობრული თვისებები.

ბავშვები დიდი სიამოვნებით უსმენენ ჯადოსნურ ზღაპრებს, რომელშიც მთავარი გმირები იყენებენ მაგიურ, ჯადოსნურ ნივთებს. ჯადოსნურ ზღაპრებში ყველაფერი შესაძლებელია, ბავშვები კრიტიკის გარეშე იღებენ აღწერილ ყველა მოვლენას, რაც დიდ გავლენას ახდენს მათ არაცნობიერ სფეროზე.

ფსიქოთერაპიული ზღაპრის შესაქმნელად საჭიროა გარკვეული პრინციპების გათვალისწინება:

1. მთავარი გმირის პერსონაჟის შექმნა.

მთავარი გმირის როლში შეიძლება იყვნენ სხვადასხვა პერსონაჟები: ადამიანები, ცხოველები, ჯადოქრები, საგნები, ბუნების მოვლენები. მთავარია გავითვალისწინოთ ბავშვის ცნობისმოყვარეობა, ინტერესი, ასევე მნიშვნელოვანია, მთავარი გმირი გარკვეული თვისებებით ჰგავდეს ბავშვს, ჰქონდეს ისეთივე ქცევები და პრობლემები, რომლის კორექტირებაც უნდა მოხდეს. ასევე მნიშვნელოვანია გმირის სახელი, რომელიც არჩეული უნდა იყოს ბავშვის მიერ.

2. ზღაპრის მთავარი გმირის ჩაყენება კონფლიქტურ ან პრობლემურ სიტუაციაში.

ამ პრინციპის გათვალისწინების დროს ვიყენებთ ისეთ რეალურ პრობლემურ ან კონ-



ფლიქტურ სიტუაციას, რომელსაც ადგილი აქვს ბავშვთან ურთიერთობაში, მაგრამ უნდა ტრანსფორმირდეს მხატვრული მეტაფორის სახით. ამისათვის წინასწარ უნდა გავერკვეთ რა არის ამ კონფლიქტის, პრობლემის მიზეზი, რომელიც იწვევს ბავშვის არასასურველ ქცევას. უფროსი ასაკის ბავშვებს შეუძლიათ მიზეზს თვითონ გაუკეთონ ფორმულირება, რატომ იქცევა მთავარი გმირი ასე? პასუხის მიხედვით შეიძლება უკვე ჩამოყალიბდეს კონფლიქტური სიტუაციის სიუჟეტი, რომელშიც მოხვდა გმირი. უნდა აღინეროს ის ნეგატიური შედეგები, რომელიც მოაქვს გმირის ქცევას, შემდეგ კი მოხდეს ახალი გზების ძიება კონფლიქტის დასაძლევად.

3. ზღაპარში მეგობრების, დამხმარე ადამიანების, მტრების და დაბრკოლებების შექმნა მთავარი გმირის მიერ მიზნის მიღწევის გზაზე.

მეგობრებისა და დამხმარე ადამიანების პერსონაჟები უნდა ასახავდნენ მთავარი გმირის პოტენციურ შესაძლებლობებს, ხოლო შიშები, თავში დაურწმუნებლობა არის მისი მტრების, წინააღმდეგობების გამოხატულება. მეგობრებმა, დამხმარე ადამიანებმა უნდა მოახდინონ კონსტრუქციული ქცევის მოდელის დემონსტრირება.

4. სასწაულებრივი სიტუაციების შექმნა, რომელშიც იმარჯვებს მთავარი გმირი დახმარების საშუალებით.

სასწაულებრივი სიტუაციების შექმნა საჭიროა იმისათვის, რომ გავამყაროთ რეაგირების სწორი ფორმა და ბავშვმა გაიფართოვოს პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის გზები. ეს გზები მეტაფორულ ფორმაში შეიძლება იყოს: ა) პირდაპირი აგრესია – პრობლემის გადანყვეტა ძალის საშუალებით (ხშირად გამოიყენება, თუ ბავშვს აქვს თავში დაურწმუნებლობა და რეალურ ცხოვრებაში წინააღმდეგობას ვერ უწევს იმათ, ვინც აგრესიულია მის მიმართ. მაგ: მთავარი გმირი ხმლით ამარცხებს დრაკონს.

ბ) იუმორის, მოხერხებულობის, ტყუილის გამოყენება. გმირის უნარი სიტუაციას შეხედოს სხვა კუთხით, გამოიყენოს მოხერხებულობა ფიზიკური ძალის მაგივრად (მაგ. ნაცარქექია და ა.შ.)

გ) ჯადოსნური საგნები და ბრძენი ადამიანი

– ჯადოსნური საგნების გამოყენება, რომელიც იცავს გმირებს, მაგ: თილისმანი. იგი აძლევს გმირს დაცულობისა და თვითდარწმუნებულობის გრძნობას;

– ბრძენის რჩევა – მთავარი გმირი იღებს რჩევას მისგან და ითვალისწინებს.

5. ისეთი სიტუაციების შექმნა, რომელშიც მთავარი გმირი დამოუკიდებლად გადალახავს წინააღმდეგობებს.

ამ ეტაპზე უნდა მოხდეს შინაგანი ბარიერების და შიშების დაძლევა, ქცევის შეცვლა და დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

6. გამარჯვებული მთავარი გმირი ახალი თვითცნობიერებით.

გმირმა მიიღო სწორი ქცევის გამოცდილება, ეს ქცევა უნდა გათავისდეს და გახდეს მისი საკუთარი ქცევა. მეგობრების მხრიდან ისევ სჭირდება დახმარება და მხარდაჭერა, რომელიც აძლევს მთავარ გმირს მეტ დარწმუნებულობას საკუთარ თავში. კონფლიქტური სიტუაცია უკვე აღარ ხვდება და გმირს ესმის, რომ დაძლია ყველა წინააღმდეგობა და გახდა ძლიერი და უკეთესი

7. პოზიტიური ფინალის შექმნა.

ეს შეიძლება იყოს ზეიმი, მეჯლისი, სადაც გარშემომყოფნი იწონებენ მის გმირობას და აფასებენ მის წარმატებებს. ასეთი ფინალის ფონზე ჩნდება გმირის ახალი შესაძლებლობები, რადგან დაძლია შიში, უნდობლობა და გაიმარჯვა საკუთარ თავზე.



8. კითხვები ზღაპრის გარშემო.

ზღაპრის არსის გააზრება ხდება კითხვების საშუალებით, რაც გვძლევს უკუკავშირის საშუალებას – როგორ აფასებენ ბავშვები მთავარ გმირს; კითხვები შეიძლება იყოს შემდეგი:

- რას გვიამბობს ეს ზღაპარი და რას გვასწავლის?
- რატომ იქცევა გმირი ასე?
- სინამდვილეში რა უნდოდა მთავარ გმირს?
- როგორ წყვეტს გმირი პრობლემას – როგორ ქცევას ირჩევს?
- რა ემოციები მოაქვს გმირის ქცევას გარშემომყოფთათვის?
- რა ემოციებს იწვევს ზღაპრის თითოეული ეპიზოდი და რატომ?
- როგორია სინამდვილეში მთავარი გმირი?

ზღაპართან მუშაობის ფორმები სხვადასხვაგვარია: თოჯინებით, თამაში-დრამატიზაცია (ნიღბებით ან ფორმებით), ხატვა, ძერწვა (ზღაპრის გმირების გამოძერწვა და ხდება მათი ტრანსფორმაცია). მნიშვნელოვანია შესაფერისი მუსიკის შერჩევა. ზღაპრის გადმოცემა სხვადასხვა ფორმით განიცდება ბავშვის მიერ სხვადასხვანაირად, ამიტომ ერთი და იგივე ზღაპარი შეიძლება ბავშვს მიენოდოს სხვადასხვა ფორმით, ამით შევინარჩუნებთ ზღაპრის ახლებურ ეფექტს და განცდაც შესაბამისად სხვადასხვაგვარი იქნება.

ზღაპართან მუშაობის სპეციფიკა

1. ბავშვისათვის ზღაპარს უნდა კითხულობდეს ისეთი ადამიანი, რომლის მიმართაც აქვს ნდობა.
2. აუცილებელია სხეულებრივი კონტაქტი, თუ ბავშვი შთაგონებადია და აქვს შიშები, მაშინ ზღაპრის კითხვის დროს ბავშვი დაისვით კალთაში და ჩაიხუტეთ, რათა იგრძნოს თავი დაცულად და უსაფრთხოდ.
3. ზღაპარი უნდა წაიკითხოთ ნელი, მშვიდი ხმით. ინტონაციამ უნდა გადმოსცეს ზღაპარში არსებული ატმოსფერო. ზღაპარი იკითხება ზომიერი ემოციურობით.
4. ზღაპრის განხილვა პატარა ბავშვებთან არ უნდა იყოს ვრცელი. შეგიძლიათ მოგვიანებით ისევ დაუბრუნდეთ ზღაპარს და ბავშვს შეახსენოთ მოკლე შინაარსის სახით.
5. ბავშვს ნუ მიუთითებთ პირდაპირ მის მსგავსებაზე მთავარ გმირთან, ბავშვი თვითონ მიხვდება და მოხდენს იდენტიფიცირებას.
6. შეარჩიეთ ისეთი სიტყვები, რომელიც ხელს შეუწყობს გარკვეული პრობლემების გადანყვეტას, მაგ: დ. მილსის და რ. კროულის წიგნში „ფსიქოთერაპიული მეტაფორები ბავშვებისათვის“, ენურეზის პრობლემის მქონე ბავშვებთან, ავტორები იყენებენ შემდეგ სიტყვებს: კონტროლი, შეკავება და ა.შ. მაგ: ერთ-ერთ ზღაპარში ზღაპრის გმირი არის პატარა სპილო, რომელსაც არ შეუძლია ხორთუმში შეიკავოს წყალი და ნელ-ნელა სწავლობს წყლის შეკავებას და ა.შ.

ზღაპარი შიშის შესახებ (დაუმთავრებელი ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი შიში. ყველას ეშინოდა მისი, დიდსა თუ პატარას, არავის უნდოდა მასთან თამაში. ვისთანაც მიდიოდა, ყველა გაურბოდა, ამიტომ დარჩა სულ მარტო და მოიწყინა. ერთ დღეს გადანყვიტა მოედებნა მეგობრები, მაგრამ ვერავინ იპოვა, ყველას ეშინოდა და ემალებოდა...



ღიაროსტიაჲი ბაჲათი _____ სან. ნ. თაჲილი
 ფსიქოლოგაჲი ბანვითაჲაზის ბაჲათი (ნცის ღანაწყისი – ნცის ბოლო)

ფსიქოლოგი

№	სახელი გვარი	განვითარების ტემპი	შრომისუნარიანობა	აქტიურობა	მოქმედების ტემპი	დარწმუნებულობა თვითშეფასება	ემოციონალური სფერო	კომუნიკაციური სფერო	ნებელობითი სფერო		წერილი მოტორიკა	თავისებურებები
									მხედველობითი ინსტრუქცია	სმენითი ინსტრუქცია		
1												
2												
3												
4												
5												
6												
7												
8												
9												
10												
11												
12												
13												
14												
15												



№	სახელი გვარი												
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
მეხსიერება	სთავსეფი												
	სთავსაშინაშინეფი												
ინტელექტუალური სფერო	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
ყურადღება	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
ინტელექტუალური სფერო	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
ინფორმაციული	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												
ინფორმაციული	ინფორმაციული												
	ინფორმაციული												



ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების ბარათი (4-6წლ.)

ბავშვის სახელი, გვარი _____

დაბადები წელი _____

მშობლების სახელი, გვარი _____

ტელეფონი _____

მ – მაღალი დონე

ს ↑ – საშუალოზე მაღალი

ს – საშუალო

ს ↓ – საშუალოზე დაბალი

დ – დაბალი

თარიღი	აღქმა						
	ფერი	ფორმა	სიდიდე	სივრცე	დრო	საგნის თვისებები	თავისებურებანი

თარიღი	მეხსიერება			
	სმენითი	მხედველობითი	ტაქტილური	თავისებურებანი

თარიღი	ყურადღება					
	მოცულობა	კონცენტრაცია	სიმყარე	ჩანაწილება	გადაწყვეტა	თავისებურებანი

თარიღი	ჭარმოსახვა			
	რეპროდუქციული	შემოქმედებითი ელემენტები	შემოქმედებითი	თავისებურებანი



თარიღი	აზროვნება								
	ანალიზი	სინთეზი	შედარება	განზოგადება	კონკრეტიზაცია	ჩამორიცხვა	კლასიფიკაცია	სერიაცია	მსჯელობა

თარიღი	ემოციური სფერო				
	ცნობა	დასახელება	განწყობის ზოგადი ფონი	სტაბილურობა	თავისებურებანი

თარიღი	კომუნიკაციური სფერო			
	თანატოლებთან	უფროსებთან	მშობლებთან	თავისებურებანი

თარიღი	პიროვნული სფერო						
	კრიტიკასა და წარუმბატებლობაზე რეაქცია	თვითშეფასება		შიშები	შფოთვა	მიჯაჭვულობა	აქტივობის ტემპი
		ადექვატურობა	თავში დარწმუნებულობა				

თარიღი	ნებელობითი სფერო				
	ინსტრუქციის მიღება	ინსტრუქციის შენარჩუნება	თვითკონტროლი	შრომისუნარიანობა	თავისებურებანი



თარიღი	ფსიქოფიზიოლოგიური სფერო					
	ნამყანი ხელი	წვრილი მოტორიკის განვითარება	მსხვილი მოტორიკა	მიმოკური გამომხატველობა	ინტონაციური გამომხატველობა	ნევროლოგიური ფონი

დასკვნა

ფსიქოლოგი:



ფსიქოლოგის დასავნა ბავშვის საოლისათვის გზაობის დონის შესახებ

ბავშვის

1. სახელი, გვარი, ასაკი
2. საბ. ბალის №
3. ბავშვის ქცევა (როგორია ბავშვის დამოკიდებულება გამოკვლევის მიმართ, შეიცვალა თუ არა მისი ქცევა
4. ჩამოყალიბებულია თუ არ სოციალურსაყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევები, კომუნიკაციური უნარები (თვითმომსახურება, ბუნების მოვლენები, წელიწადის დრონი, კვირის დღეები, მონაცემები ოჯახის შესახებ, საკუთარი თავის შესახებ. წარმოდგენები გარემოცველი სამყაროს შესახებ, სხვა ბავშვებთან ურთიერთობები და თამაშის უნარ-ჩვევები, მიმართვა უცხო ადამიანების მიმართ...)
5. ბავშვის მოტორიკის განვითარების ხარისხი (მათ შორის წვრილი მოტორიკის)
6. ბავშვის ნებისმიერი ქცევის რეგულაციის უნარი
7. კოგნიტური უნარების განვითარების დონე (მეხსიერება, მეტყველება, აზროვნება, სივრცესა და დროში ორიენტაცია, მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა, ანალიზისა და სინთეზის უნარი, ახლის შესწავლის უნარი), სივრცითი ანალიზი, მაგ: „ში“, „ზე“, „ქვეშ“, „გარეთ“, „წინ“, „შუა“.

დასკვნები და რეკომენდაციები

(ფსიქიკური ფუნქციების განვითარების ზოგადი შეფასება, გამოვლენილი სირთულეები)

გამოკვლევის თარიღი

ფსიქოლოგის ხელმოწერა



ფსიქოლოგის დოკუმენტაცია

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია;
2. სამუშაო გეგმა (ერთი წლის). წლიური გეგმა შეიძლება წარმოდგენილი იყოს სქემის სახით წლის მანძილზე დაგეგმილი ღონისძიებების (სხვადასხვა მიმართულებით) საფუძველზე.

მაგალითად:

საქმიანობის სახეები	დაგეგმილი ღონისძიებები	როდის (თარიღი)	მიზანი	შენიშვნები
1. დიაგნოსტიკა 2. განმავითარებელი კორექციული მუშაობა 3. კონსულტირება 4. საგანმანათლებლო (მასწავლებლებთან, მშობლებთან)				

3. სამუშაო გრაფიკი (კვირის დღეების მიხედვით)

	ჩატარების დრო	მუშაობის სახე და ფორმა	ჩატარების ადგილი
ორშაბათი			

4. ფსიქოლოგიური გამოკვლევის აღრიცხვის ჟურნალი;
5. კონსულტაციური მუშაობის აღრიცხვის ჟურნალი;
6. განმავითარებელ-კორექციული მუშაობის პროგრამა და აღრიცხვის ჟურნალი;

ფსიქოლოგიური ბაზოქცევა

ცხრილი – ნიმუში

№	თარიღი, დრო	სახელი, გვარი	დიაგნოსტიკის სახე	დიაგნოსტიკური მეთოდის დასახელება	შენიშვნები
1					
2					
3					
4					



ჯონსატასიუხი მუშაობა

ცხრილი – ნიმუში

№	თარიღი, დრო	სახელი, გვარი	მიზეზები, პრობლემა	კონსულტაციის ხასიათი, თემატიკა	შენიშვნები
1					
2					
3					
4					

№	თარიღი	სახელი, გვარი	მეცადინეობის თემა	შენიშვნები
1				
2				
3				

1. დიაგნოსტიკური კვლევის მიმართულებები:

- ა) ემოციურ-პიროვნული სფეროს დიაგნოსტიკა;
- ბ) შემეცნებითი სფეროს დიაგნოსტიკა;
- გ) სკოლისათვის მზაობის დიაგნოსტიკა;
- დ) ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის ხარისხი;
- ე) ბავშვის საბავშვო ბაღში ადაპტაციის დიაგნოსტიკა.

გამოკვლევა უნდა დაიწყოს იმით, თუ როგორია:

- ა) ბავშვის გარეგნული მხარე;
- ბ) კონტაქტურობა
- გ) ინიციატივის გამოვლენა;
- დ) გამოკვლევის დროს იმპულსურობისა და მოუსვენრობის გამოვლენა
- ე) ინტერესი გამოკვლევების მიმართ;
- ვ) შრომისუნარიანობა და ტემპი.



ფსიქოლოგის დასახვა

(ფსიქო-პედაგოგიური კონსულტაციის შედეგად)

1. ბავშვის სახელი, გვარი, ასაკი _____
2. საბ. ბალის № _____
3. მშობლების ჩივილი _____
4. ბავშვის ზოგადი წარმოდგენები (სოციალურ-საყოფაცხოვრებო ორიენტაცია) _____
5. მოტორიკის განვითარების (მათ შორის გარკვეული საქმიანობა: ხატვა, წერითი უნარები) უნარები _____
6. ყურადღების დახასიათება _____
7. დამახსოვრების ხარისხი და მეხსიერების მოცულობა _____
8. მეტყველების განვითარების დონე და თავისებურებანი (სრული სიტყვიერი კონსტრუქციების გაგება) _____
9. სივრცითი და დროის ორიენტაციის ხარისხი _____
10. ინტელექტუალური განვითარების დონე _____
11. მოტივაციურ-ნებელობითი სფეროს განვითარების დონე _____
12. ემოციურ-პიროვნული თავისებურებანი _____
13. ადამიანებთან ურთიერთობის ხასიათი _____

ფსიქოლოგის დასკვნა _____

რეკომენდაციები _____

თარიღი

ხელმოწერა



ლიტერატურა

1. დ. უზნაძე, შრომები, ტ. 5
2. შ. ჩხარტიშვილი, „ნ წლის ბავშვის სასკოლო სწავლების მოტივაციური თავისებურებები“
3. ი. კოტეტიშვილი, „ექვსწლიანი ბავშვის სწავლების ფსიქოლოგიური ასპექტები“, „ე. პიაჟეს ფენომენების მოხსნა ექვსწლიან ბავშვებთან“
4. მ. ყოლბაია, „სკოლის ფსიქოლოგია“
5. მ. ხარშილაძე, „სოციალური ფსიქოლოგია“
6. „განათლების ფსიქოლოგია“, ავტორები: ნ. იმედაძე, მ. ჯაფარიძე, ნ. კიკნაველიძე, თ. ლომაძე, მ. წერეთელი
7. რ. მირცხულავა „ფსიქოლოგიური დრამიდან-ფსიქოდრამამდე“
8. ვ. კამენსკაია, „ბავშვის ფსიქოლოგია ფსიქოფიზიოლოგიის ელემენტებით“
9. ლ. ფ. ოზუხოვა, „ბავშვის აზროვნების განვითარების ეტაპები“
10. A. Adler, "the individual psychology"
11. C. R Lefraois, "Psiqology for teaching"
12. D. G. myers "Psiqology", "Social psiqology"
13. Helen Bee "the developing chaild"
14. И. Архипова «Ребенок идет в школу»
15. Г. А. Арунтаева «Практикум по детальной психологий»
16. ა. ადლერი „ბავშვთა აღზრდა“
- А. И. Савенков «Методика исследовательского обучения дошкольников»
16. Д. И. Фельдштейн «Психологическая диагностика»
17. P. Tough, 'How children sueceed~
18. О. Н. Истратова « Практикум по детской психокорекции»
19. Т. В. Эксакусто «Большая книга детсклпг психолога»
20. Е. И. Изотова «Практикум по возрастной психологии»
21. Н. Линдре «Практическая психология цвета»
22. В. В. Минина «Проективный рисунок в гештальте»
23. И. Ю. Куражева «Программа психолого-педагогических занятия для дошкольников»
24. В. Квин «Прикладная психология»
25. Г. Ферс «Таины рисунка»
26. Д. Видра «Психоаналитическая педагогика“



მანანა ნარგიზიშვილი-მიქაძე ბავშვის ფსიქოლოგი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ფსიქოლოგიური ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელი და რამოდენიმე წიგნის ავტორი.

Manana Nargizishvili-Mikadze Child Psychologist, Doctor of Pedagogical Sciences, Professor, is engaged in pedagogical activities at the National University of Georgia, head of Psychological Training Center and author of several books.

ISBN 978-9941-9632-6-1



9 789941 963261